

19  
183

58

ISSN 0182-509-X



# ენციკლოპედია



# 7

---

1983



# ენათმეცნიერება



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებათა  
აкадеიის გამომცემლობა

წიგნი 59-0

№ 7

თბილისი, 1983 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

ირაკლი აბაშიძე — ლექსები	3
ჯანსუღ ზარკვიანი — ლექსები	5
დავით კვიციანი — რომანოვსკის სიყვარული და სიკვდილი	9
თამარა ჯანაშია — ლექსები	22
ლია სურგულაძე — ლექსები	25
რევაზ შიშველიძე — ორი ნოველა	29
რევაზ აბაშიძე — ლექსები. თარგმანა ვიქტორია ჯიქიაშვილი	38
ვარკამ ლომინაძე — შიშველი და ვანო და ვინაი, ხე. მოთხრობა	40
ქალა ივანისი — ლექსები. უნგრულიდან თარგმანა მანანა ხადაძე	70
მარკოზ ჯანაშია — ორი თხზულება. რომანი. გეგმელება	73

რამდენი მერა ბრძოლა — 80	
ივანე მთელიანი — ბრძოლისა და სახელმწიფო განმარტებისა შესახებ	94

1783 — გორგონიას ტრაგედია — 1983	
პალეონიანი ჯანაშია — ვახუშტი ბაგრატიონი	101

გაბია მუსხიშვილი — 90	
შალვა ხიფათიანი — ბახმანიანი	108

### კრიტიკა, უზღვევისტიკა

მეორე კვიციანი — ქართულად ამბავების შესახებ	113
ილია ჯანაშია — უზღვევისტიკა და მხატვრული ნაკვეთი	120

### მეცნიერება

გაბია მუსხიშვილი — ამონიოს მისიისა და დავით უმთავრის მიმართებისათვის	137
რევაზ აბაშიძე — ქიზიბი ქართული მისიისა	146

მ. მთელიანი



## შინაარსი (ვაგრძელება)

### ხელშეწობა

ნათელა არველაძე — დავით კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე სახეობა 155

### წიგნების მიმოხილვა

ზაურ კილაძე — გალაკტიონი, გალაკტიონი . . . . . 161  
 ვალერიან ითონიშვილი — ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის მნიშვნელოვანი  
 შენაძინი . . . . . 165

### რეპლიკა

ნიკო შავჭავჭავაძე — ის არ არის კრიტიკა . . . . . 170  
 რომაძეციხისაგან . . . . . 173

□

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო უ ლ ე ბ ი ა :

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე),  
 მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, ა. კალაძე,  
 მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატრო-  
 შვილი, რ. პატარაძე, თ. პაჭკორია (პ/შგ. მდივანი), ნ. წულუიშვილი,  
 თ. ზილიაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი.

ირაკლი ავაშიძე

• • •

არა შელოცვით  
ერთგულ მოყვარის,  
არა შერისხევით  
ორგულ მეტოქის — ,  
ყველა სტრიქონი არის ცოცხალი,  
რასაც სურნელი ასდის ეპოქის.

არა ფერხულით,  
არა მაყრულით,  
არა წუხილით,  
არა სახშილით —  
ყველა სიმღერა არის გამყოლი,  
რაშიც ეპოქის სკექს მოძახილი.

ყველა სათქმელი  
არის დლეგრძელი,  
რასაც ეპოქის  
დაპკრავს ფერ-ფური...  
მხოლოდ მაღალი, მხოლოდ შემძვრელი,  
მხოლოდ კაცური, მხოლოდ მეფური.

ფაიზ აჰმად ფაიზი

მე მელანდება  
დეკემბრის დელი —  
შორს, განგის გაღმა  
იწვის დაისი  
და მუშაირის არწივი ძველი  
ტრიბუნას ანგრევს აჰმად ფაიზი.

კ. შარტავა სსს. სსტ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
შენიშვნა: 1974



ბნელ საყნის ნესტში  
დაგლეჯილ ნერვებს  
აქ სცენის ნოზზე  
    უცხოობს ბეთელი,  
მაგრამ მის ლექსში  
    ათი წლის მერმეც  
ჟონავს და ჟონავს ციხის კედელი.

— „დაადეს ხუნდი  
შენს აჰმად ფაიზს,  
მე კი მზე მსურდა,  
    მე კი შენ მსურდი;  
ყველამ რომ ერთხმად  
    მაქციოს ზურგი —  
შენ ერთი ქვეყნად  
    ნუ დამთმობ მაინც.

— არ იცის ღმერთმაც,  
ღმერთმაც ნუ იცის  
რა ელის ხვალ-ზეგ  
    შენს ტყვედქმნილ აჩრდილს;  
მე მხოლოდ შენთვის, სიყვარულისთვის,  
თავისუფლების ძებნისთვის გავჩნდი“.

დრომ მხოლოდ თოვლი  
დატოვა თმაში  
თან წაჰყვა წარსულს  
    ხუნდი და ბინდი...  
გრიანებს ახლა ვაშა და ტაში  
გუგუნებს ერთხმად  
    ურდუ და ჰინდი.

უძირო ცაში  
მიფრინავს ლექსი,  
აკილებს სტრიქონს  
    ვაშა და ტაში...  
თან წაჰყვა წარსულს  
    გესლი და ნესტი,  
დრომ ზამთრის ყინვა  
    დატოვა თმაში.

მე მესიზმრება  
დეკემბრის დელი —  
შორს განგის ვალმა  
    იწვის დაისი  
და მუშაირის არწივი ძველი  
ტრიბუნას ანგრევს აჰმად ფაიზი.

## სახელი

მე მტკვრის ნაპირზე ვეძებდი სახელს,  
მეძახდა პირჯვრის გადამსახველი,  
მტკვარზე ნუ ეძებ, არაგვზე ნახე,  
შენს ტომს არაგვზე დარჩა სახელი.

შენს ტომს არაგვზე დარჩა სახელი,  
შენი წინაპრის მოკრილ თავებთან  
და შენი გულის სევდაც, ნალველიც,  
ნახე არაგვის შესართავებთან.

შენს ტომს სახელი არაგვზე დარჩა,  
უკირისუფლოს, თვალეზახელილს,  
იმ ჩალისფერი დროშების ფარჩა  
ნიშია შენი ძველი სახელის.

ნაქარიშხლები და ნაავდრები  
დრო მტლეთ ედება ძმათა იარებს,

გულდაჩეხილი მუზარადები  
აცვიათ დევებს, ცხრათავიანებს.

ყველა ციხეში კენესის ნესტანი,  
აპყევი კედლებს გველის დაგესლილს,  
დიდი სახელის პიედესტალი —  
დგას ეშაფოტი ულამაზესი.

იმღერე გულო, სიმღერა ზვალის,  
არაგვის პირი დამაქარგვინე,  
თეთრი დალივით შიშველი ხმალი  
ახალ სახელებს დაგვაქარგვინებს.

უმღერე გულო, იმ ძველ ნაპრალებს,  
მშობელი მიწის გული გრილია,  
ერთი სიცოცხლე რას დაგვაბრალებს—  
ასი სიკვდილი გამოგვივლია.

## რუზიკის კუბიკი

აურიეს,  
დაურიეს,  
დევნის თეთრი ყვითელსა,  
სინჯურისფერ ყვავილს ვდიე —  
ნეტა სად დაითესა?

მოლისფერებს მოლისფერი  
ვერა, ვერ შეუხამეს,  
ვარდი ცალკე მოიმღერის,  
ია ცალკე მწუხარებს.

ფერი ფერსო, მადლი ღმერთსო, —  
ფერი ფერს არ ერევა,  
ნუთუ, მართლა არ არსებობს  
კანონზომიერება.

უცებ, ფერთა სიმშვიდეში  
ისე, ვით გამარჯვება —  
ზაფრანისფერ მშვილდით ხელში  
ყვითელი მზე ჩაჭდება.

ისევ პირდაირია,  
 ისევ აგვიჭაოსდა,  
 ისევ ნაირნაირია  
 შეხვედრა სამყაროსთან.

ყველა მისთვის მილასლასებს,  
 ერთად ვერ დავალაგეთ.

სოფლის ფერთა სიხასხასე  
 ენატრებათ ქალაქებს.

ერთმანეთში ვერ ჩაგვიწნავს  
 რა ფერსაც ჩავეუფიქრდით,  
 როგორა გავს დედამიწას,  
 ეს რუბიკის კუბიკი.

## მთიდან ხარბის დაბრუნება

ცაზე ღრუბლები მოჩანდნენ —  
 ხუკუკა ბურბუშელები,  
 ბჭყალის ღელეზე მოჭარდნენ,  
 პატარა სურმუშელები.

ქიდილ-ნალალი ხარები  
 მოდიან თარიკონიდან,  
 გზად ხედებათ მწიფე ყანები,  
 მღელვარე, როგორც კორიდა.

ე, მოდის, (ღმერთმა გიშველა,)  
 შემხედავს, გადაირევა,  
 ვიციანი, ჩემი გიშერა,  
 ვიციანი, ჩემი ირემა.

გახედეს შრანდელ დახტულებს,  
 დაწრიტეს ნაჩლიქარები.

შემხედეს, დაათახულეს  
 ღამურებივით თვალები.

ბუჩქნარი მოიშლიგინეს,  
 დაუსლტნენ უღელბორკილებს,  
 მერე, უასიდად მირქინეს  
 და ყელში ჩაიკოკინეს.

ყველაფერი რომ დასრულდა,  
 მინებდნენ ტყეთა სიგრილეს,  
 თითქოს რალაციის თქმა სურდათ,  
 კაცივით ამოიგმინეს.

მარხილსაც გამოგიწყობდეთ,  
 ფრჩხილას არ ჰქონდეს ნაკაწრი,  
 თქვენ ლაპარაკი იცოდეთ —  
 შემირცხვენია ძმაკაცი.

• • •

თუ გვინდა ვიყოთ ყოჩები,  
 სხვისი არასდროს ვიკითხოთ,  
 ჩვენს თავზე ფიქრს რომ მოვრჩებით,  
 მერე ჩვენს ძმაზე ვიფიქროთ.

მერე დაზე და მამაზე,  
 დედაზე, ცოლზეც უცილოდ,  
 არვის მივადგეთ წამალზე,  
 არც იქით არ გავუცინოთ.

სად ჰქონდა რუსთველს, ჭორდანოს,  
 თვისი კალო და საბჭელი,  
 ქვეყანავ, შე საცოდაო,  
 ამდენხანს როგორ გასძელი.

კვანჭირი, ნივნივაძეებს



გადამაფრინა კუთაისში,  
კვანჭირში დამსვა,  
ისე,  
ვოცნებობ,  
ღმერთი, რჯული,  
არაფერს არ ვსვამ.

კასთან ბატონო,  
ლობის იქით,  
ძელქვეების ძირში,

არ მითხრათ,  
რავა,  
წყალის სმას მიშლით?!

ხო და, მაკალეთ,  
იმერეთზე  
ფიჭრის დრო ცდება —  
თვარა, მე ვიცი,  
ევისრულეებ  
ამ ჩემს ოცნებას.

იბერეთში

ქალბატონი იმერეთი  
აწვედის ბატონ იმერეთს —  
ხუთი რაა, კიდევ ერთი  
ხაჭაპური ინებეთ...

აქ, ბატონი იმერეთი  
ხელს უღვაშზე გადისობს,  
— თქვენი მონა მორჩილი ვარ,  
აწ და სამარადისოდ.

თუმც, ორივე გულით ამბობს,  
მაგრამ მაინც არტისტობს...  
მერე, კაცი ხელზე კოცნის,  
ქალი მოპგავს ატმის რტოს.

...არშიყში და ღვინის სმაში  
უფრო მალე გადის დრო.

\*\*\*

მე მძინავს,  
სძინავთ, გადაჭრილ მყეცებს,  
ფეხისწვერებზე იარეთ, რომ  
ჩქამიც არ მესმას.  
თუ გავიღვიძე,  
მე ვიცი, მწყემსო,  
საით წავა და  
რაც მოუვა  
მაგ შენს არვესა!



## მარტი

მარტი გამოგვეცალა,  
მშვენიერი მარტი...  
მშვენიერი, რომ ვამბობ —  
ვით აჭრილი კარტი.  
ისე ფერადფერადი,  
ისე მოულოდნელი

და შიგნიდან მღერადი  
და შიგნიდან როდენი.  
მარტი გამოგვეცალა,  
მშვენიერი მარტი,  
მარტი, მარტო პოეტის,  
მარტი, მარტო მხატვრის.

## ორი ქედანი

როგორ ეკრობა მარილი მარისს,  
ახლა ჩვენს შუა ზღვაც დაიწრიტა,  
შენი ტუჩების მხურვალე ალი  
მოდის შენივე სულის შიწიდან.

ნათელი დაგდის მირონცხებული,  
თუმც დაჭრილია ისრით კენტავრის —

ჩემს ქარაფებზე მინარცხებული  
შენი ქათქათა ორი ქედანი.

დაგვენათის მთვარე ვით საყვედური,  
ვარსკვლავებით და ქვეყნის ჭორებით,  
ვარ ბედნიერი და უბედური  
შენთან შეხვედრით და განშორებით.

## შვიდმაისის წვიმა

შარშან, შვიდმაისის წვიმას  
შევხვდი ტაბახმელაზე,  
შარშანწინაც ვცნობდი იმას  
ქუხილზე და ელვაზე.

წელს, ბატკანი შემიწირავს —  
ჩემზე, შენზე, ყველაზე,  
გვირილების გვირგვინს იწნავს,  
ირინოლა ენამზე.

## დავით გარეჯელი

ვინც ეზიარა სიყვარულს,  
ის სიყვარულის ღირსია,  
დასძლიე შიში ბეჩავო,

შეუძლიეც გასაძლისია,  
რის მაქნისია სიკვდილი,  
თუ სული მარადისია.

## როგორ უხმოვდა სიკეთე სიკეთეს!

გომთხრობა

საურმე გზა გადამწვარ, გადარუჯულ ნაპურალზე გადიოდა, ტრამალს ბოლო არ უჩანდა, თვალსაწიერი სადღაც მოუსავლეთში ჩაკარგულიყო ან ჩვენი მოღლილი მზერა იქამდე ვერ ატანდა, არადა ეს უკაცრიელი მინდორი უნდა გაგვევლო, მუხლში ძალა აღარ გავგანინდა და თვალში სინათლე, აგვისტოს მზე სწვავდა და ხრუტავდა ყოველივეს, ოფლში გაღვრილებს სუნთქვა გვიჭირდა, გვწვიოდა და გვწყუროდა, მაგრამ ჩვენი შემწე და მშველელი არავინ იყო, თავად უნდა გვემარჯვნა, თავს ზევით გვეპოვნა ძალა და ბატალიონს დროზე დავეწოდით...

წინ იმედი მიგვიძღვება... ისაა ჩვენი დამპურებელიც და დამრწყულებელიც...

მზე შუბლს გვიხვერტს, ჭერ ნაშუადღევია, საღამომდე უნდა შევფურთდეთ ბატალიონს, ასეთია დავალება, ბრძანება.

მივდივართ, მივლასლასებთ.

იმედგადააწურული ჭარისკაცი ჩვარია.

საცაა გამოჩნდება ჰორიზონტი, თვალსაწიერი — ტყე ან მდინარე. სულ ასე გადაბუგულ-გადაშვლებილი რავა იქნება მთელი ქვეყანა.

ეს საურმე გზაც კარგა შეზარხოშებული, ფეხი რომ ეშლება, ისეთი კაცივით მიქანაობს ნაპურალში, მიბანცალობსო, წამოგდება. ვინდ მარჯვნივ

გაუტევეს, ვინდ მარცხნივ, ვინდ წინ წაგაჩაკუნებს, ვინდ უკან, თავის ნებაზე გაბორიალებს.

ჩვენ საბორილო და სალაყუნო დრო ვინ მოგვაშავა... ბრძანებას ვასრულებთ, გვაქვს რუკა და კომპასი, მიზანი და იმედი. მივყვებით გზას, რომელსაც პირობით დაეარქვი საურმე, თორემ ამ მხარეში ურემს რა უნდა... ოთხთვალეები, ორთვალეები, ნაირნაირი საზიდრები... ამ ნაპურალში ეტყობა ორთვალას გაუვლია ოდესღაც, უფრო მაშინ, როცა ახლად წამოიბიბინებული იქნებოდა პურის ყანა, გადაუვლია ასე, ა, გზის შესამოკლებლად.

პირველი კვალის გავლებაა ძნელი, თორემ... მერე ოთხთვალას ოთხთვალა გაყვებოდა, ორთვალას — ორთვალა, ცხენს — ცხენი, კაცს — კაცი და ასე გაითელება ეს გზაც...

საით მიდის, სადაა ამ გზის ბოლო?

ეჰ, დომხალია ჩემს თავში, რას მივედ-მოვედები, რაებს ვბოდავ...

ძალიან მიჭირს... ენას კბილს ვაჭერ, არამც და არამც არ უნდა დამცდეს კენესა, შიგ გულში, გულღვიძლში იკვნესე რამდენიც გინდა, აკრაჭუნე კბილები, სისხლის დადენამდე დაიკვნიტე ტუჩები, ოღონდ ამხანაგმა, შენსავით ქანცგაწყვეტილმა ჭარისკაცმა არ უნდა შეგნიშნოს სიმწრისაგან თუ როგორ გძვრება სული...

არა გაქვს ამის უფლება.

იფიქრე, იოცნებე...  
ხანდახან თავი ასწიე, იქნებ გამოჩნდეს რაიმე თვალმისაწვდენზე... ბიჭებსაც გადახედე, გაიხსენე აღრიზნული, უფრო უკეთესი ან უფრო უარესი დღეები.

გაიხსენე ოცმეთაური.

რა ვაეკაცურად მიუძღოდა ოცეულს, მიარხევედა განიერ მხარბეჭს... რამდენჯერ გაუკენწლიხარ რაღაც შურის მაგვარს, გაღიზიანებულხარ უმცროსი ლეიტენანტის თითქმის დარდიმანდული ქცევით, ჯიბრის გრძნობა ჩაგძვრომია სულში და უფრო მაგრად დაგიდგამს ფეხი მიწაზე.

სამი-ოთხი წლით თუ იქნებოდა შენზე უფროსი... წლებითაც მოჰქონდა თავი. სარქვენად შემართული ხარივით სულ ყალუზე იდგა, ფაშისტებს პირსისხლიანებს კი არა, თვალბნისხლიან ყარაჩებს ეძახდა, და მუშტებით ემუქრებოდა მაშინაც, როცა თავქუდმოგლეჯილი გამოვრბოდით უკან. დაღლილ-გასავათებულნი რომ მივეყრებოდით, თავდაც ჩვენთან ჩაჭდებოდა, ბალახზე მიწვეებოდა და... ერთი ხალხური სიმღერა ჰქონდა აკვიატებული, ან წაუღილინებდა ან დაუსტვენდა.

აგის მომასწავებელია ფრონტზე მოულოდნელად ჩამოვარდნილი სიწყნარე. ტყვიების სტვენასა და ნაღმის ხათქახუთქს უფრო იტანს და ეგუება ჯარისკაცი, ვიდრე სიჩუმეს, ერთბაშად გამეფებულ სიმყუდროვეს...

მეთაური გვეტყოდა; სიჩუმეს ყური მიუგდეთ, უსათუოდ რაიმე სასიკეთოს გაიგონებთ და მომახსენებთო...

ეს უფრო ომის პირველ დღეებში, თვეებში... მერე და მერე ცოტა მოვიკიდეთ ფეხი, ისე აღარ ვფრთხოდით და გავრბოდით უთავბოლოდ... ეს კი არა და ერთი ორჯერ იერაშზეც კი გადავედით.

ე, მაშინ უნდა შეგეხდათ ჩვენი მეთაურისათვის, აიწყვიტა, პირდაპირ დასაბმელი გახდა, წინ და წინო, ყვიროდა ხმის ჩახლეჩამდე...

მოგვიკლეს. სწორედ იერიშისას ახალა ფაშისტმა ყარაჩმა ტყვიამ შევედრკით, ცხედართან შევეჭრდით დაბნეულები და ის-ის იყო პირი უნდა გვებრუნებინა, უკანვე მოგვეცოცხა, რომ ათეულის მეთაურმა, თემურ ქირიამ იმარჯვა, აგერ ვარ მეო, დაგვეყვილა. მაგრამ რა დაგვეყვილა... ჩვენი ძვირფასი ლეიტენანტის ხსოვნისათვის, მისი სიკვდილისათვის, — ერთი ორად უნდა ვაზღვევივითო ფაშისტებს.

ბევრჯერ გამხსენებია ის წუთი, წუთები... ერთი შეტევა რას მიქვია, ბევრად უფრო მეტი და საგულისხმო რამ გადაარჩინა მაშინ გალეღმა ბიჭმა თემურ ქირიამ... რწმენა ან რწმენის ნასახი ვუწოდე მე იმ რაღაცას...

თემურის მანამდეც ვაფასებდი, სხვა თუ არაფერი, ოცეულში სამი ქართველი ვართ, ხანდახან წავეუქართულებდით გულის მოსაფხანად, ხანდახან წავეუღილინებდით, ქირია მეგრულსაც შემოგვაპარებდა, აფხაზურსაც. ახლაც არ ვიცი ხეირიანად მეგრელია თუ აფხაზი, კაი ბიჭი კია და...

არასოდეს დამავიწყდება მე ის წუთი, ის დღე, როცა სერკანტი თემურ ქირია ოცმეთაურად იქცა.

ბედოცაა.

ომში დიდი სარბიელი და გასაქანი აქვს ბედს... ჯარისკაცს მასკალია ჩიტვიით მხარზე უზის და ბედობს...

შეტევისა და უკან დახვევის მეტი რა მინახავს ეს ერთი წელია. ერთ იღბლიან დღეს თერთმეტჯერ გადავედით იერაშზე...

იქნებ აგერია სათვალავი, ათჯერ... ან თორმეტჯერ გაგსარჯესო, გაუჩნდება კითხვა ადამიანს.

საგულდაგულოდ დავთვალე და გულში ჩავიჭედე თერთმეტზე იერაშში და აღარ მკითხავთ რატომ? რამდენჯერ შევეუტეთ, იმდენჯერ მოგვაკურცხლიეს უკან... ბოლოს მთელი ბატალიონი წამოიშალა, ყველამ ერთად ვიხუვლეთ და...

ჩვენ-ჩვენი დაგვემართა, ოცდაათადე ანგეშვიით ბიჭი კი მოგვიკლეს და...

ამ თითქოს წარმატებით დაგვირგვინებული იერიშების შემდეგ, კიდევ უფრო დაგვიძიმდა ფიქრი... უკვე თანდათან ვეჩვეოდით საკუთარ გულში დარდის დადუღებას, ენაზე ბოჭლომის დადებას, შიგ გულუვიძლში კვნესას.

თემურ ქირია 25 წლისაა, საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი, კისერზე დაბერილი ძარღვებით. ცოტა ფხუკანია და ნერვიული, სულ დაბლვერილია, ერთის შეხედვით უემური და უხასიათო გეგონებათ, მაგრამ კეთილი გულისაა, მომთმენი, მცირე შეცდომის მპატიებელი, თმა გვარიანად გამეჩხერებია, ხმაც რალაცნაირად ზლიჩინა გაუხდა, მგონი სულაც იმ სამახსოვრო შეტევის შემდეგ.

თემური ენადგაკრეფილ ჭარისკაცს ვერ იტანს, ლაყბობა დედაკაცების კი არა, დედაბრების საქმეაო.

თავად აფორიზმებითა და ანდაზებით ლაპარაკი უყვარს, იცის სად და როდის ჩასვას საუბრისას რომელიმე ხალხური მარგალიტი.

მე რომ შეტევები ვახსენე, იმ დღეს პეტია დარონის ვკითხე; თუ იცი რამდენჯერ ვიყავით დღეს შეტევაზე-მეთქი. ეშმაკმა არ იცის არც ჩემი და არც შენი თავით — მომახალა. თემურ ქირიამ ქართულად მითხრა: — ერთხელ მამაჩემს ვახეთის კორესპონდენტი ჩააცივდა, გაზაფხულიდან მოყოლებული ვიდრე რთველამდე რამდენჯერ მოგიწევთ ვახთან მისვლაო. მაგი თუ ვითვალუ ბატონო, კი მოსაველს კი მივიღებო, — უპასუხა ზაბამ. ამაზე გრძელი სიტყვა თემურ ქირიას არ უთქვამს, ესეც მაამისის მოსწრებული პასუხის გამო წამოცდა უთუოდ. ბიჭები შემომიჩნდნენ გვითარგმნეო. მე თემურს ვადავხედე, მან მხრები აიჩიხა: ვთარგმნე, არავის გაუცინია.

ახლა წინ მიგვიძღვება ოცმეთათრი ქირია და არც წამდაუწუმ იხედება უკან-უკან... გვენდობა და ამითაც აფასებენ ბიჭები.

მივდივართ, მივლასლასებთ ვასავათებულნი, მაგრამ ჩვენს ნაბიჯს მთლად

ლოლიალიც არ ეთქმის, რაც არ უნდა იყოს ჭარისკაცის ნაბიჯია... **მარტინესული**

— გამოჩნდა! — ჩაილაპარაკა ჩვენს ქვინ მიმავალმა ილია კახიძემ, მაღალმა, მხრებაწურულმა, თეთრთმიანმა ჭარისკაცმა... ილია თვეზე ცოტა მეტია, რაც ჩვენს ოცეულში გამოჩნდა, პირველ დღეებში ისე ზანტად და მოღვენითილად დააბიჯებდა, სუსტი, უზადრუკი და ხელით სათრევი მეგონა.

კაი გამძლე ბიჭი გამოდგა. ილია კახიძე ახლომხედველია, სათვალის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამს. ბრძოლის დროს მისდაუნებურად თვალეზზე, თუ სათვალეზე იფარებს ხელს, უფრთხილდება. წუთიერ შესვენებაზე მუხარადის მოხდა და შუბლზე ჩამოპუწული თეთრი თმის უკან გადაყრა უყვარს, მერე სათვალეს მოიხსნის, დააოართქლავს, ვაწმენდს, მოირგებს და პირისახეზე თეთრლიმილდაფენილი შემოგვხედავს, რალაცნაირ სიმშვიდეს ჩამოგვირიგებს...

ასეა თუ ისე, ბიჭებმა მალე შეიყვარეს ილია... ბელორუს ვალოდია კოვჩის, კახელ შავტუხა მოდგვეფილ ბიჭს რომ ჰგავს, ეხუმრებოდნენ, — ან ილია კახიძის მამა შეპატიებია დედაშენს, ან... — აქ ცოტა ხმას დაუღაბლებდნენ, ჩურჩულზე გადავიდოდნენ, — ან ილიას დედილოს მოსვლია თვალში მამაშენიო.

ვიცინოდით გულლიად, ჭარისკაცურად.

იყო ასეთი წუთებიც...

ჭარისკაცს უფრო შეტევისას გამოსცდი, ჩვენც ჩასაფრებულებივით ვიყავით და ველოდით იერიშს, რას იზამს, როგორ მოიქცევა ეს აწოწილი თეთრლიმილა ბიჭი, ვაი თუ მტრის ტყვიამფრქვევის პირველსავე ჭერზე ჩაემზოს და ველარავინ ააგლიჯოს მიწას.

მაშინაც ჩემს წინ მიალაჩებდა ზურგჩანთით, შაშხანით წელში მოღუნული, გახვითქული და მე ვხედავდი მის ეკლის სარივით წვრილ კისერზე ერთადერთ დაქიშულ ძარღვს, საცაა წაიჩოქებს და შევლას მოითხოვს-მეთქი.

წაიჩოქებსო!

ერთი გენახათ როგორ გამოენთო ყარაჩებს, როგორ სტეკდა მისი ხმა, რამსიგრძე ლაჭებს ადგამდა.

როცა ჩაეწეკით და გავმართეთ შაშხანები, მშვიდად შეისწორა სათვალე, სასახლეს საჩვენებელი თითი უმარჯვა, გაისროლა და დაცლილი ვაზნა ისე ამოაგდო კოლოფიდან, იფიქრებდით, თავის სიცოცხლეში სხვა არაფერი უყეებებოაო.

...მივდივართ, მივყვებით თემურ ქირიას, არ გაგვაჩნია ლეკმა გასაცნასი, წყლის წვეთი, არ გაგვაჩნია წეკო... მულარალად გვაქვს დარდი, მაგრამ რათ გინდა, არც იჰმევა, არც ისმევა და ვერც გაზეთში შეახვევ გასაბოლებლად...

მიჭირს, ფეხებზე დაკოსებული ბებერები სულს მაძრობენ, ერთი ჩაჯდომა და ფეხსახვევის დაფერთხვა სიცოცხლედ ღირს...

სიკვდილს ვნატრობ...

მიწა გრილია, ჩაწეკი შიგ და მოისვენე...

გამოჩნდაო! — ნეტაეი რა დაინახა ილია კახიძემ სათვალეებს მიღმა?

ბიკოს! ჰორიზონტი! რა ახლოა ლურჯად თუ მწვანედ გაწოლილა ცისა და მიწის შუა, აგერ ხელისგაწვდენახეა...

აჩოჩქოლდნენ ბიჭები, ქირიამაც ინება მოხედვა, ხელიც შემართა, დადუღებულ დარდს იმედი შეურიო, ოღონდ არ შეჩერებულა.

ხელისგაწვდენახეაო!

ბარე საათნახევარი კიდევ ვილაყუნეთ ნაპურალში, სანამ იმ სამოთხე ჰორიზონტამდე მივალწევდით. მეჩხერი ტყის ნაპირი იყო.

ტყე დიდი იმედია, სულს მაინც მოითქვამს კაცი, თან ჩვენი ბატალიონიც სადღაც ახლო, ტყის გადაღმა უნდა იყოს ჩასანგრებული.

გვეგონა ტყეში შესვლის უმაღ შეგვასვენებდა ქირია, არც უფიქრია.

თანდათან მოვეშვიტ, მოვსაედით, მწკრივში ბუხლუნიც გაისმა და კენესაც.

ესეც ჯარისკაცის ბუნებაა...

თემურ ქირია უცებ შედგა, შემობრუნდა და ჩაემუხლოვდა თქვენა ბალახზე დაეყარეთ.

მართლა გრილია ეს დალოცვილი მიწა, გრილი და საამო, მით უმეტეს ტყეში...

პეტია დარონინმა ჯიბეები დაიფერთხა, ერთი გაწყობა წეკო მოახლაფორთა და მალე მისმა კვამლმა თავისი განუმეორებელი სურნელით ნესტოებში შეგვიღიტინა.

ოცულში ყველაზე მაღალი ილია კახიძეა, ყველაზე დაბალი სერგეი კოვალჩუკი, თუმცა მთლად დაგვალული ქონდრის კაციოა, ვერ იტყვი, საშუალოზე ცოტა დაბალი ეთქმის, იქნებ ამიტომაცაა სულ წარბშეკრული, საჩხუბრად თუ არა, საჯიჯინოდ მომართული. თავი ადრე დაკაცებულივით უჭირავს, ნაბიჯიც ბატონკაცური აქვს. მაშინაც კი, როცა ოცული სააღლუმო მარშით მიდის, იგი ზეაწეულ ფეხს მიწაზე დადგამდევ ცოტა, ჩვენზე მეტხანს შეაყოვნებს, ყველა ამ თვისებათა და ჩვევათა გამო სერგეის სერიოზული კაცის სახელი აქვს დამკვიდრებული და იმსახურებს კიდევ.

კვება ჯარისკაცისათვის მთავარზე უმთავრესია. ნაღდ ჯარისკაცს გულახეობა არ შეშვენის, ისიც ომსა და ასეთ გაწამაწიაში.

ეთქვათ ვერაფერი გაახერხეს ინტენდანტებმა, კარტოფილი გაკმარეს ან თვითონ შემოდგი ქვაბუნა ცეცხლზე. ამ წყალობისათვისაც ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, ცოტა მარილიც თუ გაახერხე, მოაყარე და გაუფიქვნელად შეეჭეციო...

სერგეი კოვალჩუკი კი... კარტოფილს საგულდაგულოდ გაფიქვნიდა და ხელში ორჯერ-სამჯერ შეატრიალებდა, არაფერი შემყვესო.

ახლა აგერ ჩექმას ებაწეურება სერგეი, ეტყობა მასაც სჭამს ბებერები, ფეხსახვევები უნდა შეაგრილოს... მეც ამავე ვაპირებ თუ ქირიამ არ წამოგვაგდო ფეხზე და დანა არ გამოგვისევა ყულში. თემურმა ჯერ კოვალჩუკს შეხე-



და, მერე მე, რაღაც დაიანგარიშა და ჩათრევას — ჩაყოლა ამკობინა, თავის დაქნევით გვიწყალობა ნებართვა. სერგეიმ ისე პიწყად დაფერთბა ფეხსახვევები, როგორც თავმომწონე დიასახლისი ფერთახვეს გარეცხილ-გაფთქილ-ბულ ბალიშის პირს გაფენის წინ.

ერთხანს ფეხებგაქიმულნი ვიწვექით ბლახზე, ვთვლემდით, პეტია დორონინმა იდაყვის კვრით მანიშნა, ქირია უფაღმა მიირთვაო.

გამოიკვირდა და მეუცხოვა, რადგან თემურ ქირიამ საერთოდ არ იცოდა რა იყო ძილი, სულ თვალბდაპყვტილი იყო. ახლაც თითქოს ჩემი აზრი დაადასტურაო, კი არ წამოიწია და წამოიზღაზნა, წამოხტა.

— ავდგეთ, ბიჭებო! — თქვა თბილად, ამხანაგურად.

ორიოდე კილომეტრში გრძელ, ყაზარმისმაგვარ ჭუჭყიან შენობას წავაწყდით.

თემურ ქირიამ შეგვაჩერა, ჩაფიქრდა, ღირს თუ არა მწვერავების გაგზავნაო, ხელი ჩაიქნია და გაგვიძვდა.

ნაყაზარმალში ადამიანის ჭაჭანება არ აღმოჩნდა, აშკარა იყო, რომელიღაც სამხედრო ნაწილს სულ ახლახან დაეცალა იგი. მაინც მივათვალ-მოვათვალიერეთ იჭაურობა და აღაყაფთან შევიკრიბეთ. ვილაკამ თქვა, ილია კახიძე არ ჩანსო. ქირიამ გადმომხედა, თითქოს კახიძის დაგვიანების მიზეზი მე ვყოფილიყავი. იმავე წამს ილიაც გამოჩნდა, ხელში ახალთახალი, კრიალა აკორდეონი ეჭირა, ბეც თვალბში ოქროსფერი გუგები უბრწყინავდა.

აკორდეონი ზოგიერთ ჯარისკაცს აჭამდგ არც ენახა და ახლა მუშტრის თვალით მიშტერებოდნენ მოვერცხილ-მონიკელებულ ინსტრუმენტს.

— უკრავ? — ჰკითხა ქირიამ.

ილია კახიძემ თავი მორცხვად ჩაღუნა.

— ათრევ?

— თუ ნებას დამრთავთ... — ასწია თავი.

— წავედით! — ბრძანა მეთაურმა,

შებრუნდა და ფეხჩქარებით გაიარა ალაყაფი.

ილია კახიძეს ჩანთა ზურგზე მოეგდო, მარცხენა მხარზე შეშანა ეკრდა. აკორდეონი კი ილიაში ამოეჩრა და ასე დატვირთულ-დაკაპანებული მიაბიჯებდა. პირველი ორი კილომეტრი კარგა დაქინმაჩებულმა გაიარა, მაგრამ მერე უცებ დაეტყო დაღლა, მხრებში მოიხარა, წელში მოიკაცა, კისერზე ძარღვი გაუმსხვილდა, ნაბიჯიც აულოლდა. საცაა გატყდება-მეთქი, ვფიქრობდი. წამოვეწვი, აკორდეონს წავეტანე, ცოტაზე შეგვევლები-მეთქი. არ გამძალიანებია. აკორდეონი მძიმე იყო, მალე მეც შავ დღეში აღმოეჩნდი, ხელიდან ხელში ვინაცვლებდი ინსტრუმენტს, თანდათან ებრაზობდი, ეუყურთხებდი ილიას, რა სიკვდილად და ბლილაუად აიკიდე ეს უსარგებლო ტვირთი, ალბათ უკრავს ცოტ-ცოტას, უფრო ცალი თითით კენკავს კლავინებზე „ვახტიკოტიკოს“-მეთქი.

ყაზარმიდან ბარე ხუთი კილომეტრი გამოვიარეთ, თუ სადმე სამართალია, გვეკუთვნის და ვიმსახურებთ წუთშესვენებას, მაგრამ ქირიას ჩვენი სატყვიარი არ აწუხებს, დაღამებამდე უნდა მიიღწიოს ბატალიონის შტაბში და დავალების შესრულება აცნობოს, დავალება კი... მან და ფაშისტის ტყვიით გულგანგმირულმა უმცროსმა ლეიტენანტმა იციან...

შე ჩავიდა, ჩაბრძანდა, ჩაესვენა. ტყეს კარგახანია გამოეცდით, მოგვაკლდა მისი სიმწვანე და სიგრილე, კვლავ გადაბრუჯულ ნაყანვეს მივეყვებით და თვალსაწიერზე ისევე არაფერი ჩანს.

პეტია დორონინი შემენაცვლა, ააშენა ლმერთმა, სულზე მომისწრო, თორემ ვკამდი სირცხვილს, უკანვე დაფუბრუნებდი აკორდეონს ილია კახიძეს, პეტიას სერგეი კოვალჩუკმა ჩამოართვა ხუთიოდ წუთში, მერე ვალოდა კოვჩიკ გაისარჯა და ბოლოს ისევე ილიას დაუბრუნდა თავისი განძი. ცოტა გაიოლდა საქმე, გავხალისდით, ფეხსაც ავუჩქარეთ და აჰა, ბანაკი...

თემურ ქირიამ შარვალ-ხალათი დაიფერთხა, მუზარადი მოიხსნა, პილოტური შეისწორა, შემოგვხედა, თვალი ჩაგვიკრა და ისე მხნედ გასწია საპატაკოდ, იფიჭრებდით, ესესაა კი გამოძინებულ-გამოშუშებული წამომდგარა საწოლიდან და ღონე ერჩისო.

მთელი ის ღამე ფეხგაუძნარეველად გვეძინა.

მერე დაიწყო გადასვლები ბატალიონთან ერთად, მივიწვევდით წინ, ვიხევედით უკან, ხან ფურტყამდით მტერს, ხან გვემდა და გვარბევდა, ხან ისე... ვკინკლაობდით...

მივდიოდით ფრთხილად, ფრონტული წესრიგით, ხანაც ერთმანეთს ვაწყვდებოდით, უთავბოლოდ გავრბოდით, უფრო მაშინ, როცა მტრის თვითმფრინავები აღმოგვაჩენდნენ...

ყოველ საგანგაშო არევ-დარევისას ცვდილობდით ვინმე არ დაგვკარგოდა, ერთმანეთი მოგვეძია, გვეპატრონა.

ყველაზე დიდ გასაჭირში ისევ ილია კახიძე იყო. მისი წამება სწორედ საპაერო განგაშისას იწყებოდა. შოსედან ნაპურალში გადავარდებოდა, გაწვებოდა, აკორდეონს გვერდში მოიწვევდა ან სულაც ზედ გადაეფარებოდა. ხან ერთი წაეკურავდით ხელს, ხან მეორე, აღარ ვსაყვედურობდით, უბრალოდ უაჯრედონოდ ილია კახიძე ვერც წარმოგვედგინა, არა და ჯერ აკორდეონის ხმაც არ გაგვეგონა და მაინც შეუცნობის შეცნობის წადილი ყველაზე დიდი ყოფილა, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დადგომოდა საშველი, ხომ უნდა დაეკრა და ეჩვენებინა თავისი ოსტატობა ამ თეთრლიმილა ბიჭს. სულ ლაშქრობაში, სულ აღოლებული და ანერვიულებული ხომ არ ვიქნებოდით.

და აი, ერთ საღამოს ტყის პირას რომ მოვიკალათეთ, მოხარშულ კარტოფილს ფაფა მიეატანეთ და ვიგრძენით დილაამდე მაინც მოგვიწვედა აქ ყოფნა, ვილაყამ წამოიმღერა... მას მეორე აჰყვა, მერე მესამემ შეუწყო ხმა, დალაგდა სიმღერა.

თემურ ქირია მეტყვიამფრქვევე იაშა

ერიკაევის გვერდით იჯდა ფეხნორთხმული, მეც იქვე ვარ მხართემოზე-წამოწოლილი, ვფიქრობ, ვფილოსოფოსობ. მერე მიწაზე გულაღმა გავიშოტე, თავქვეშ ხელები ამოვიწყე და ცას მივაშტერდი...

ავგისტოს საღამოა. ცა სუფთაა, ამდენი და ამდენნაირი თეთრი ღრუბლის ღუნღუნა ფთილები შემხედვარე ოცნების გუნებაზე ვდგები და ვნატრობ, ნეტავ ეს ფთილები თოვლის ფიფქებად იქცნენ, გულზე დამეფინონ-მეთქი.

სიმშვიდეა. თვლემა მძაღვება, ვნებდები უფალს, საცაა წავალ, ჩავიკარგები ტკბილ ბურანში, რომ...

**თემურ ქირია:** — კახიძე, ა, კახიძე! **ილია კახიძე:** — გისმენთ, მეთაურო! **თემურ ქირია:** — მართლა გაგეგება რაიმე მაგ კეთილშობილი გარმონის, თუ თბილისში რომ დაბრუნდები მერე აპირებ სწავლას? — განგებ ქართულად ეკითხება.

**ილია კახიძე:** — ვუკრავ ცოტას... თუ ნებას დამრთავთ... — წამოიწია.

ღუმილი, მერე ფეხის ხმა. წამოგვექი, ბატალიონის შტაბისკენ მიმავალ ქირიას მოგყარი თვალი, ეტყობა შეთანხმების გარეშე ვერ გაბედა ნებართვის მიცემა. წუთშივე დაბრუნდა და ამჯერად კარგა ხმამაღლა, თანაც რუსულად უთხრა თუ უბრძანა კახიძეს, — დაუკარით, რაიმე ჩვენებური, ჭარისკაცური, გულგასახარი...

ბიჭები შეიშმუშნენ, მე სმენად ვიქეცი, რატომღაც ძალუმაღ მიცემს გული. ნალდი ბიჭია ილია კახიძე, კარგი ჭარისკაცის სახელი აქვს დამკვიდრებული, მაგრამ აკორდეონი, მუსიკა, ხელოვნება სულ სხვა საქმეა... ნეტავ რომელიმე გაბზაურებულ მელოდიას მაინც მოახლაფორთებდეს...

ილიამ აკორდეონის ღვედში ჯერ ერთი მხარი გაუყარა, მერე მეორე, ინსტრუმენტი მუხლებზე დაიდო, მოირგო და არც დაუხედავს, ისე შეაყურა კლავიშებში თავისი გრძელი თითები და მკლავები გადაშალა.

გაისმა აკორდი. მრავალხმიანი, მშვი-

დი, საამო. აკორდს — აკორდი გადაე-  
ბა, შეუწყვილდა, შეუხმატბილდა და  
უცებ ვიგრძენი... ილია კახიძე არ ხუმ-  
რობდა.

ბიჭები უკვე წამომჭადარიყვნენ და  
გასუსტლნი უსმენდნენ უცხო მელოდი-  
ას, უსათუოდ რომელიღაც კლასიკური  
ნაწარმოების ფრაგმენტს, შესრულე-  
ბულს ფაქიზად, ღვთიურად...

ჭერ განუცდელი და უჩვეულო  
გრძნობა დაგვეუფლა... ვერცერთი ჩვენ-  
თაგანი ვერ წარმოვიდგენდით თუ გვე-  
რდით ასეთი ხელოვანი გვეყავდა... მეც  
და ჩემი ამხანაგებიც უკეთეს შემთხვე-  
ვაში ველოდით რომელიმე მსუბუქ მე-  
ლოდიას ან სულაც სიმღერას, იქნებ  
თავად ილიასაც ემღერა და ჩვენც აგუო-  
ლოდით. ახლა გაოცებულნი, თითქმის  
ცოტა გაწბილებულნი და ცოტაც ბედ-  
ნიერნი ვდუმდით.

ილია უკრავდა წყნარად, უხმაუროდ,  
უაზარტოდ და მაინც ყოველი ბგერა,  
ყოველი აკორდი ერთნაირად გვგვიჩი-  
და.

გუზგუზებდა ილია კახიძის ბეცი თვა-  
ლები... თურმე უპირველესად თვალები  
ამხელენ მუსიკოსის შინაგან ღელვას,  
ღელვასაწაუღს...

ქლერდა მშვიდი და საამო მუსიკა,  
სულ უფრო და უფრო იპყრობდა, არ-  
ბილებდა და აფაქიზებდა ჩვენს გაუხე-  
მებულ გრძნობებს.

იმ საღამოს ჭერ მოგვენუსხა, მერე რა-  
ღაც ახალს, დიდსა და მიუწვდომელს  
გვაზიარა ილია კახიძემ.

უკრავდა, გზადაგზა სცვლიდა მელო-  
დიას, ერთიდან მეორეზე გადადიოდა,  
ოღონდ ზარზემიური ჰანგი არც ერთ-  
ხელ არ გამოურყვია და საერთოდ ჰგა-  
ვდა თუ არა ეს ჰანგები ერთიმეორეს  
ამის ამომცნობი და მიმხვედრი ჩვენს  
შორის არავინ იყო.

იმ ღამეს უდრტვინველმა ძილმა ჭირი  
მოგკაზმა, სად არ ვიყავ, სად არ ვიბო-  
რიალე, ხან თეატრში ამოვყავი თავი,  
ვუსმენდი სიმფონიური ორკესტრის კონ-  
ცერტს, საღირსიერო პულტთან თეთრ-  
თმიანი აწოწილი ბიჭი იდგა. ხან თვი-

თონ ვიყავი მუსიკოსი, ოღონდ აკორ-  
დონზე დამკვრელი კი არა, ხელში  
ხეში მეჭირა და ვიოლინოს ვაკვნივებდნენ.

მომდევნო დღეებში ჩემი, და ალბათ  
ყველა ჩემი ამხანაგის ფიქრი ერთთავად  
ილიასკენ იყო მიპყრობილი. ჩვენ აქამ-  
დეც გვიყვარდა ერთიმეორე, ეს ბრძო-  
ლებში, ჭირში ნაპოვნი და ნაწრთობი  
ჭარისკაცური ძმობა გახლდათ, მაგრამ  
ილიას მიმართ სულ ერთიანად შეიცვალ-  
ნენ ბიჭები, უფრო მზრუნველნი, მომ-  
ფერებელნი გახდნენ, აკორდონს ხე-  
ლიდან სტაცებდნენ და კი არ მოაპორ-  
წილებდნენ, ფრთხილად, სულიერივით  
ეპყრობოდნენ.

აი, მივდივართ, წინ თემურ ჭირია  
მიგვიძღვება, ასეულს მივეყვებით, თა-  
ვის მხრივ ასეული ბატალიონს უწყობს  
ნაბიჯს და ასე ბოლომდე...

მწყობრი ნაბიჯი თანდათან ირღვევა,  
ვიღლებით, ვიქანცებით, მიძიდება  
ზურგჩანთა, მუხარადი, შაშხანა და მა-  
თარაც კი, აკორდონი ხელიდან ხელში  
გადადის ვით ქალწული უმშვენიერესი,  
ვით დედოფალი — მზეთუნახავი.

ვიღაც დაიყვირებს, ცა! განგაში!  
თვითმფრინავები! და აირევა მონასტე-  
რი, აქეთ-იქით მივაწყდებით, ვმოქმე-  
დებთ ინსტინქტურად, წელში მოხრილ-  
ნი და გადავრბივართ ნაპურალში, ვე-  
ცემით, თავს მიწაში ვრგავთ...

და ამ გაწამაწიში მე შესმის ვალო-  
ღია კოვჩის ხმა:

— ილიას, ილიას მიხედეთ!

დავფაცურდებით, გვავიწყდება სიკვ-  
დილის სიახლოვე, თავს მაღლა ვწევთ,  
ვეყვირით, ილია, ილია!

— ცოცხალი ვარ! — გვაიმედებს ილია  
კახიძე.

ჩათავდება დაბოძება, პიკირება, გა-  
დარჩენილნი ვიშმუშნებით და ვეძებთ  
და ვამოწმებთ ერთიმეორეს. ცოტა  
სულს მოვითქვამთ და ყველა ერთად  
მივცვივდებით ილიას, აკორდონს, ხომ  
არ დაიჭრა ან ერთი ან მეორე?..

ასე იქცა მიტოვებულ ყაზარმაში ნა-  
პოვნი აკორდონი ოცუელის სულიერ  
წევრად.



წუხელ სანგრების გათხარზე დაგვყენეს, დილამდე ვჩიჩქნეთ მიწა, წერაქვებიც მოიძებნა, ვურტყით და ვუბლუყუნეთ, ვატრიალეთ ნიჩბები და იგრძნო ჭარისკაცის გულმა, რომ კახიანს მოუწევდა ამ სანგარში ხოხილი.

აღიოშა გრებლენიკოვმა ტანკსაწინა-აღმდეგო იარაღის გრძელი ლულა სანგარზემოთ ჩაფლო მიწაში, ერიკაევმაც შეფუთნა და შენიღბა თავისი ტყვიამფრქვევი, ჩვენ ხელუშმბარები შევაწყვილეთ, შაშხანების გვერდით დავალაბეთ.

ტანკები რომ წამოვიდნენ...

თემურ ქირია ოცუელის მთავარი დამრტყმელი ძალის — გრებლენიკოვის და ერიკაევის შუა მოეწყო.

— ზუსტად ჩვენს წინ წუხელ ფაშისტებმაც გათხარეს სანგარიო, — გვაბარა.

— ვინ — ვის დაასწრებს?

დილა საღამოზე ბრძენია.

ჩაგვეძინა.

მშვიდი და ულამაზესი განთიადი შემოაკურა და განართხო ჩვენი სანგრების წინ განგებამ. იწეჭი სანგარში, უცქირე ცას, ჩაიწყნარე ნერვები. იქნებ ილია კახიძემაც ინებოს და აიღოს ხელში აკორდონი.

ნეტავი იქ... რომელიმე ფაშისტი ყარაჩი თუა ჩემსავით გაწოლილი სანგარში, ცას მიშტერებული, საკუთარ თავთან მოლაზღანდარე...

ფაშისტებმა საარტილერიო მომზადება ზარბაზნის კენტი გასროლით დაიწყეს, მერე ჭურვს — ჭურვი მოჰყვა და მალე ჭოჭოხეთი დატრიალდა. აგერ ჩემს უკან ჭარისკაცი ჩამხოხილა და მიწას ფხოქნის, შიგ ჩაძვრომას ლამობს, ზმუის... ნაცნობი სურათია. ომის პირველ დღეებში მეც ასე დამემართა, ოლონდ სანგარში კი არა, პურის ყანაში.

მოფრინავენ ჭურვები, ზოგი სანგრის წინ სკდება, ზოგი უკან, მაგრამ დიდხანს არ ვასტანს ასე, ბოლო სანგარსაც უსწორებს ფაშისტი მეზარბაზნე.

ოც წუთს, ჰა და ჰა ნახევარ საათს უნდა გავუძლოთ. თუ არ დაგვაწყდა

ძარღვები, თუ ბედმა ამჯერადაც დაგვაფარა თავისი კალთა. იქნებ მერე ტანკებიც მოგვისიონ...

მოვიდნენ, ბატონო, აგერ არ მყავს გრებლენიკოვი თავისი გრძელლულიანი იარაღით?

დიდი შეღავათია სწორედ.

ასე, გაიხუმრე, შე კაცო, ხანდახან...

ნახევარი საათი გვირტყეს, სანგარი ჩაგვიტყის, გაჩნდნენ დაქრილები, დახოცილები, ჩვენს ახლო-მახლოც ისმოდა კენესა, მოწყალეების დებს გაუჩნდათ საზრუნავი.

ამჯერად ზარბაზნის ჭურვები გვაკმარეს.

— ცოცხლები ხართ? — პირველი წამოდგა თემურ ქირია. ოცუელი სანგარში ჩამარხული აღმოჩნდა. რატომღაც ზღაზენით, ლოდვით დგებოდნენ ბიჭები, ერთმანეთს ეკითხებოდნენ დაქრილი ხომ არ ხართ, ფერთხავდნენ, გადარჩენას ულოცავდნენ.

კახიძეც თავის აკორდონთან ერთად იყო ჩამარხული. ცოტა გვიან შევნიშნეთ, წამოვაყენეთ, წაუტყირჩიმალ-წამოუტყირჩიმალეთ. ილია ჯერ წელში გაიმართა, მერე ერთბაშად ჩაიჩოქა და აკორდონს ეცა, აიღო, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, სული შეუბერა, მტვერი მოაშორა, ცხვირსახოცით გადაწმინდა ღილები, კლავიშები და უცებ იყვირა, ვაი დედაო!

გარს შემოვერტყით, კისრები დავიგრძელეთ და რას ვხედავთ, აკორდონის საბერველი მტკაველზეა გახეული. ამას აღარაფერი ეშველებო, ტუჩები დაიჭამა კახიძემ, მაგრამ თემურ ქირიამ არ დაუჭერა, ცოტა მაცალეთ და მერე მერე ოცუელიდან ისეთ ოსტატს მოგვევრიეთ, მკვდარს გააცოცხლებსო.

მართლაც მოიყვანა ჭარისკაცი, სურენ აგამალიანცი, თბილისელი სომეხი. სურენმა კაი დასტაქარივით გასინჯა ინსტრუმენტი, მერე ჯიბიდან ტყავის გაცვეთილი პორტმონე ამოიღო, იქედან ორფაძაფგაყრილი ნემსი ამოაძვრინა და ისე კოხტად, აკურატულად გაკერა განახევი, განვეციფრდით,



გვინდოდა მადლობა გვეთქვა, მან ხელის აწევით შეგვაჩერა, ჭერ სადა ხართო, ახლა შარვლის ჭიბეში აფათურა ხელი, თავდაცული პაწია შუშა დაგვანახა, უკვდავების წამალიაო. წებო აღმოჩნდა, სურნამო წებო ნაქერზე კარგა ბლომად გაუსვ-გამოუსვა, მერე საკუთარი ცხვირ-სახოცი გახია, ხელოვნებას შეეწიროსო, გააორფა, ვანაკერზე გადააწება, აკორდონს აკოცა, კარგი რამეთო და ახლა იკითხა, რომელი უკრავთო?

ყველამ ილიას შევხედეთ.

— ათი, თხუთმეტი წუთი მოითმინე, — თქვა აგამალიანცმა, — მერე ისეთი დააგრაილე, მეორე ასეულის პირველ ოცეულშიც მომწედეს და იქაც, — ხელი ფაშისტებისაკენ გაიშვირა, — გულელები დაუსკდეთო.

თემურ ჭირია ისე მოწყალედ გვიღიმოდა, თითქოს დაჭრილი აკორდონი თვითონ განეკურნოს...

იმ დღეს ბევრჯერ დაგვიმშვიდა დაწყვეტილი ძარღვები ილია კახიძემ, დაგვკებდნენ ფაშისტები ზარბაზნებს, ჩავემხოზოდით სანგარში, გადაგვიფრენდნენ და დაგვაყრიდნენ ბომბებს თვითმფრინავები, ერთ-ორჯერ ტანკებიც მოგვისიეს, მაგრამ პოზიცია არ დაგვიტოვია, გრებლინიკოვმაც ისახელა თავი, ორი ტანკი ააყრავეა... ბოლო ბოლო ჩაწყნარდებოდა ყველაფერი და ჩვენც შევებით ამოვისუნთქავდით, თუმცა სხეული თრთოდა და ცახცახებდა... რა ახლო იყო ის ოხერი სიკვდილი... მივვარდებოდით ილიას, უფრო აკორდონს, დაფერტხავდით, შევუძვრიტინ-შემო-უქრიტინებდით, კიდევ ხომ არაფერი შეემთხვა-თქო, ილია იღიმოდა, გიჯობთ მე მომიაროთ, აკორდონს აწი აღარაფერი უჭირს, მუცელქვეშ ვასწრებ შემაღლვას, ზედ ვეფარებიო.

მერე უთქმელად აიღებდა ხელში აკორდონს ილია კახიძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი, ომში მოხალისედ წამოსული და...

მუსიკოსებს ჩევეა ჰქონიათ ერთი... რომელიმე მელოდიას ან ფრაგმენტს.

კლასიკური ნაწარმოებიდან ოპეროდან, სიმფონიიდან აიკვირებდნენ და „კონცერტს“ ყოველთვის რჩენდნენ მუსიკით იწყებენ... ეს შევნიშნეთ ილიას, მან დაგვიდასტურა, ასეაო. მალე ჩვეიც ვსტყვევდით ან ვლილინებდით მშვენიერ მელოდიას, რაც კატარა ბიჭივით უხაროდა ილია კახიძეს. ერთხელ დიდის ამბით გვაუწყა, ბეთჰოვენიას... არავინ შეპასუხებია. არც დაეკვიებულა, ოღონდ ილია ერთი თავით კიდევ ამაღლდა ჩვენ თვალში.

ბეთჰოვენიას, კაცო!

ნაშუადღევს სულ შეწყდა სროლა, სანგარი მოვაწესრიგეთ, წავიხმსეთ და მერე შეღამებამდე უქმად ვეყარეთ. შეღამებულში ჩვენებმა დასცხეს, ასე ათი-ოდე წუთს ურტყეს ზარბაზნები ფაშისტების პოზიციას და დაჩუმდნენ.

მალე საღამოც მოგვეპარა, მშვიდი და მშვენიერი. ეტყობა ეს ღამეც ჩვენია. წინსვლის განგაში არ დაგვიფრთხობს ძილს და არც გერმანელები უნდა წამოვიდნენ ჩვენი ვარაუდით. ასე, რომ გაწეკი სანგარში, ათვალეერე ვარსკვლავიანი ცა, იმარჩილე სათთ და რატომ მიდიან ღრუბლის თეთრქუთქულა ფთილები, რატომ არ გადაიქცევიან თოვლის ფანტელებად, რატომ არ დაგვიფინებიან ცხელ შებზზე.

სიმშვიდეს, სიმყუდროვეს ვერ უძლებს ჭარისკაცი... ვერა და ვერ მოვისვენებთ, ავწირალიდით, ვინ წყალს ეძებს, ვინ წიკოს, მოჩვენებითია ყოველივე. ძილი არ გვეკარება, ესაა ჩვენი აწირალების მიზეზი.

თემურ ჭირიამ ილიას რატომღაც მორიდებით უთხრა, თუ ნამეტანი არ გეზარება და გუნებაც არ გიშლის, დაუკარო.

სანამ ილია კახიძე აკორდონს ღვედში მხრებს გაუყრიდა, მე გულში მის მიერ აკვიატებული მელოდია ჩავიღიღინე. ილიამ მკლავები გადაშალა და აკორდონმა ჩემი ნალიღინევი „გაიმეორა“. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

მერე ერთბაშად შეწყვიტა დაკვრა, აკორდონი დაეცა და გაინახა. სანგარ-

17.430

ში ბინდი წვებოდა, მაგრამ ჭერ კიდევ ვარჩევდით ერთიმეორეს, მით უმეტეს ილია კახიძეს...

რა მოუვიდა?

ისევ ერთბაშად და რალაცნაირი სულწასულობით გადაწეა აკორდეონი და ის მელოდია, ის მუსიკალური ფრაზა თუ ფრაგმენტი სამჯერ გაიმეორა, კვლავ გაქვავდა.

მერე აკორდეონი ნაუცბათევედ მოიხსნა, დასდო, წამოიწია და ასე მოხრილმა საღლაკ შორეთს მიაყურა... მისი ასეთნაირი ფაციფუცი, ღელვა ჩვენც თანდათან გადაგვედო და უკვე გაოცებულნი ვადევნებდით თვალს...

ის კი იდგა და ხელით რალაცას გვანიშნებდა...

შორიდან, ძალიან შორიდან ჭერ სუსტად, მერე უფრო გარკვევით მოისმა ის... ის მელოდია, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... წამიერი შეყოვნება და განმეორება, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

ტანში ერთნაირად დამიარა, მეტიც, თმა ყალყზე დამიდგა... ალბათ ჩემს დღეში არიან ბიჭებიც, თვალბეჭეტიანი მიშტერებიან დამის სიბნელეს და სმენად ქცეულან...

ეს ჩვენ, რიგითი ჭარისკაცები მოგვინუსხა და აგვაფორიაქა მტრის სანგრის ამ... ამ გამომახილმა...

რა დამეშინებოდა ილია კახიძეს?

თეთრი თმა შუბლზე ჩამოაუწოდა, სათვალე მოეხსნა და ხელში ეჭირა კამერტონივით ზეაწეული, თვითონაც ცას მიშტერებოდა.

ღმერთო დიდებულო, რა ზეიმი, რა დღესასწაული ჩაჩახებდა მუსიკოსის ბეც თვალბეჭე... როგორ დარეტიანებული იდგა და ირბოდა... ასე გასტანა წუთს, იქნებ ცოტა მეტხანს, მერე სათვალე გაიკეთა, აკორდეონი აიღო, დაჯდა, კლავიშებს დახედა და რალაცნაირი კრძალვით, რიღით შეაპარა თითები.

უკრავდა მთელის არსებით.

დაასრულა, გაყურდა, დააყურა...

უკვე ყველამ გავიგონეთ ჩვენი მელოდის შორეული გამომახილი. მერე

ხან ერთი გამოდიოდა მხმობელის როლში, ხან მეორე, მუსიკის ზღვრები სიმუხად ქცეულიყვნენ და მაქრანავით გარბი-გამორბოდნენ აქეთ-იქით, ქსოვიდნენ, ქარგავდნენ, აგვირისტებდნენ რალაც დიად, სასწაულებრივს, მოულოდნელსა და გაუგონარს.

მუსიკა, ის ერთადერთი გრძნეული მელოდია, ფრაგმენტი თუ ფრაზა ნაღმავდა იმსალამოინდელ სიმუხდროვეს და ჩვენც, სიკვდილის თვალბეჭეში მაქცერალ ჭარისკაცებს კი არ გვამშვიდებდა, უფრო გვაფორიაქებდა.

ბინდი მოცოცავდა, ეანგისფერი ედებოდა მიდამოს, გაქრა შორეული ტყის ნაპირი, მტრის სანგრები, ორ ბანაკს შორის გაწოლილი მინდორიც ეფლობოდა ბინდებუნდში და ჩვენს მზერასა და სმენას იტყუებდა, ნათლისა და ბინდის ამ უხმაურო ჭიდილის საცქერლად გვამბავდა.

სხვა დროსაც, უფრო ადრეინ დილით, რიბირაბოს რომ ვეძახით, მიხნახავს როგორ მოილტვის, მოარღვევს ნათელი სიბნელეს და ტახტისკენ მობრძანდება, დიდებულის საცქერია ალიონი.

ახლა ბინდია გამარჯვებული და მე გული მეკუშვება... თან ეს მუსიკა, ეს ჭადოსნური გადაძახილ-გადმომახილი მამღვრევეს, მაშინებს, უფრო დიდ და ამოუცნობ ნალველში მხვევს.

ილია კახიძემ პირველმა შეწყვიტა დაკრა, აკორდეონი მოიხსნა, დაეცა, და იქვე მიაწვინა, მერე წელში გაიმართა, აიწვართა... თეთრი თმა ასცდა სანგარს და იქვე შეყოვნდა. ახლა ფეხის წვერებზეც აიწვია, ჭიასავით გაიწეა და თავი ანთებულის ფანარივით გააქნია.

რას სჩადის? წერას ხომ არ აუტანია? ახლავე შუბლს გაუხვრეტენ. ვალოდია კოვჩმა მიმასწრო, ციმციმ ასწია და გამოაშორა სანგრის კიდეს, მე ჭერ თავი დაავსებევი, მერე ორივემ ერთად აკორდეონთან მივაწვინეთ. არ გავგამოლიანებია, უკვირდა ჩვენი ქცევა, რალაცას ბურტყუნებდა.

— თავი თუ არ გებრალემა, ჩვენ რას გვერჩი? — შეუღრინა კოვჩმა.

— წამიც და... — თქვა გრებელნიკოვ-მა.

მე ვლუმდი.

ილიამ ხელი ჩამავლო, დამქაჩა და ყურში სიციხით გათანგული კაცივით, ბოდვასავით ჩამჩურჩულა: — შეუძლებელია, შეუძლებელია, რომ მან მეს-როლოს, მომკლას... შეუძლებელია, შე-უძლებელია...

არავის გაცინებია და არც არა იყო სასაცილო... ილიას გულუბრყვილობა შეგძრავდა კაცს... თითქოს იმ მუსიკო-სი გერმანელის გარდა სანგარში სხვა არავინ იყო...

მთელი ღამე ის ჭარისკაცი, ფაშის-ტა მენდირში გახვეული მუსიკოსი მელანდებოდა... ილიაც წრიალებდა, ოხრავდა ზურგჩანთაზე თავმიდებული და მე ძალიან, ძალიან მინდოდა რაღაც მეტყვა მისთვის, მომეძებნა ამ წუთები-სათვის, ამ ფრონტული ღამისათვის შე-საფერი და აუცილებელი სიტყვები, შევკამათებოდი მუსიკოს ჭარისკაცს, საუბარში ავყოლ-დავყოლოდი... სამწუ-ხაროდ არ ვიცოდი ის... ის ენა, ახლა ილია კახიძეს რომ დაამშვიდებდა...

„დაე, თვითონ იფიქროს, იწვალოს... შესძლოს იმ... იმ ყარაჩის დანახვა აგერ ხელისგაწვდენაზე რომაა ჩასაფრებუ-ლი... იმარჩიელოს თუ რატომ გამოე-პასუხა წითელარმიელს, რატომ აგვშა-ლა და აგვწიწა მთელი ოცეული“. რა დასამალია და ეს კითხვები თავად მე-ძალებოდა, პასუხის გაცემა კი არამც თუ მიჭირდა, არ შემეძლო და ეს მალი-ზიანებდა.

ფრონტული ღამე.

ჭარისკაცის სევდიან თვალებში, გუ-ლებში ჩახატული ვარსკვლავიანი ცა და სიმყუდროვე... ჩასაფრებული მტრის, სიკვდილის მოუშორებელი უსიამო გრძნობა...

და მაინც მშვენიერი, ღამაში და კამ-კამა ცა.

დილით ილია კახიძეს თემურ ჭირი-ასათვის არ უკითხავს, ისე აიღო აკორ-დონი და... და იქ... მომხმობი მუსიკა-ლური ბგერები გაგზავნა...

და რა გგონიათ... დათქმულ-დასიტ-ყვებულებით იმ წუთსვე გამოიპასუხა გერმანელი...

კინალამ ხელი წამცდა და ტაში დაე-ცხე. კიდევ კარგი დროზე შევიკავე თა-ვი და მაინც რიდით მიმოვიხედე. ბი-ჭები სიცივისგან შეწუხებულებივით ისრესენ ხელებს... აჰა, თქვენც ტაშის დაკერას აპირებთ? კარგი და პატიოსა-ნი...

გაუმარჯოს თქვენს კეთილ გულებს, ჭარისკაცებო!

მერე მთელი დღე აკორდონი ხელ-ში არ აუღია ილიას, თითქოს უფრო სევდიანი და გულჩათხრობილი მეჩვენებოდა.

დღემ მშვიდად ჩაიარა.

მოუთმენლად მოველოდი შეღამებას, ილია კახიძის მოფხიზლებას, აკორდე-ონის მოგუნებებას...

რომელი — რომელს დაასწრებს, რო-მელი ადრე აიღებს ხელში ინსტრუ-მენტს?

ყურები შორეული სანგრისაკენ გვეკო-ნდა მიცქვეტილი, მზერა — ილიასკენ. ორივე სდუმდა.

ჩვენც ხმაგაკმენდილი ვიჭექით, მაგ-რამ თანდათან გვეუფლებოდა მღელვარება, გვჯახნიდა, გვანერვიულებდა... ფეთქავდა ჭარისკაცის ისედაც დაწვე-ტამდე დაჭიმული ძარღვები... ვაჭირდა თავშეკავება, წუთიც და თვითონ დაე-კიდებოდათ აკორდონს კახიძეს.

ასეთ ყოფაში რომ ვართ, ვხედავ, ილიამ ხელი შემართა, მერე თითი ტუ-ჩებზე მიიჭირა, გასულდითო, გვანიშნა, მაგრამ რაღა მისი გაფრთხილება გვინ-დოდა, უამისოდაც აღარ ვსუნთქავ-დით...

კახიძეს პირისახე გაეზადრა, თვალე-ბი აუგუზგუზდა, საცაა დაიყვირებს-მეთქი, მაგრამ არა, აიწია, არც გაიმარ-თა, არც დაჭდა, ასე ნახევრად მოხრი-ლი, ფეხებგაჩაჩხული დარჩა.

ჩვენ უკვე ვუსმენდით შორეთიდან ჩვენამდე მოღწეულ, სისხლსა და სულ-ში გაელენთილ მელოდიას, იმ... იმ მუ-სიკალურ ფრაზას...

ჩათავდა, წამიერი დემილი და გან-  
მეორება ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...  
მერე ილია კახიძის დაფაცურება,  
ავანკალბებული თითები, გადაფითრებუ-  
ლი სახე და მუსიკა ღვთიური; გაუგო-  
ნარი...

...ანც გაგრძელდა თითქმის მთელი  
კვირა... აჲ ეძებდა და უხმობდა ერთი  
მეორეს ორი სული, ორი სიკეთე, ორი  
სიმწიფე, მერე და სად? როდის? რა-  
ნაირად?

გადარუჯულ მინდორში ან სანგარის  
წინ სიკვდილი დასკულებულიყო და  
ჩვენს გულფრთხვილობაზე ხარხარებ-  
და.

კოტა შევიცვალე, ფიქრი გამიკე-  
თილშობილდა, თითქოს რაღაც შევიმა-  
ტე, თითქოს დავინახე და ხელით შევე-  
ხე ადამიანის სულს...

ჭარისკაცი ვერ უძლებს, ვერ იტანს  
ფრონტულ სიმყუდროვეს თუ გნებავთ  
მუსიკით შეზავებულს, ჩაწყნარებულს...  
კუ ვგუება სანგარში დიდხანს ფორთ-  
ხვას... ჭარისკაცის სული მოწრიალვა  
და არაფერს ემორჩილება...

ქარშოშინივითაა ახალი ამბავი ფრო-  
ნტზე, სადღაც, რომელიღაც უბანზე შე-  
ინძრევა, შეირხევა, აქოჩრავს მარ-  
თალ თუ მონაპორ ცნობას და სანგარში  
გამხმარ ფოთლებივით მოფენს. მერე  
იმძლავრებს ქარშოშინი, გადაიქცევა  
ქარად, ქარიშხლად...

ახლა ჩოჩქოლია სანგარში და ჩვენი  
მუხლი და გული გრძნობს, ხვდება მი-  
ზეზს...

საცა დაიწყება...

უტყუარია ჭარისკაცის ალღო და გუ-  
მანი.

ილია მოშიახლოვდა, აშკარად ვხედავ  
რაღაც უნდა მითხრას და ერიდება. თა-  
ვად მივეძალე, შევათამამე. მან ტუჩები  
ზედ ყურთან მომიტანა და ისევ ისე  
ბოღვასავით ჩამჩურჩულა: — იერიშზე  
რომ წაყალთ, მე იმას... რანაირად უნდა  
ვესროლო?

ერთმანეთს შევაჩერდით.

ბეცი თეალები... საღლაა ოქროს მო-  
გუზგუზე გუჯები, საღლაა ზეიმი და

დღესასწაული... როგორ ჩანავლებულან  
მტეგუზლები, რა ღია, რა უფერულია ეს  
სიბეცე, როგორ მომშტერებია...

რა ვუთხრა, რა ვუპასუხო?

გაჩუქება სჭობია...

იმ დამეძაც ჩაიარა...

გათენდა.

ჩვეულებრივ მივიხედ-მოვიხედეთ,  
მოვიძიეთ ილია, მივაჩერდით, ჩვენდა-  
უნებურად გაულევიდა იმ მელოდის  
მოსმენის წადილს, იქნებ ყინსაც... ის  
მელოდია თურმე ჩიტვივით გვიზის სულ-  
ში და ელის მოხმობას...

მიგვიხედა ილია, აკორდენი ზანტად  
აიღო ხელში, შეეშხადა, მერე ძალის-  
ძალად დაიფინა ღიმილი გადაფითრე-  
ბულ პირისახეზე და...

დაიწყო... ჩვენებს კენტად არ გაუს-  
ვრიათ ჭურვი, ერთბაშად აბლავლდა  
ასობით ზარბაზანი, „კატიუშებიც“ წა-  
მოგვეშველნენ და გაფრინდა ცეცხლი  
და სიკვდილი მტრის სანგრებისაკენ,  
ქვა-ქვაზე არ დასტოვა, ცა და მიწა ჭერ  
შეახეთქა ერთმანეთს, მერე შეადულა  
და ჭოჯოხეთი დაატეხა ყარაჩებს.

ჩვენსკენ მომართული მსგავსი ცეც-  
ხლი და აღმური კი მინახავს, მაგრამ  
ჩვენების მიერ ასეთი სიმძლავრის სა-  
არტილერიო მოშხადების მომსწრე პირ-  
ველად გავხდი.

ავიაციაც დროზე წამოეშველა არტი-  
ლერისტებს.

...ყველაფერს აქვს ბოლო... ჩაჩუმ-  
დნენ ზარბაზნებიც, კატიუშებიც, აღარ  
ბომბავენ თვითმფრინავები.

ჩვენ რა... თითქმის არხეინად ვიყა-  
ვით მოყუჩებულნი სანგარში, ახლა ვან-  
გარიშობთ და ვვარაუდობთ არტმომზა-  
დების შედეგს, ვმარჩილობთ, მოყვება  
თუ არა მას შეტევა!

მოზიდულ მშვილდივით წკაპზეა თე-  
მურ ქირია, შეტევის ბრძანება და მისი  
სანგრიდან ამოვარდნა ერთი იქნება.

ჩქრილ-ჩქრიალი გაუდის ჩვენს ძარ-  
ღებში სისხლს...

ნამეტანი გაგრძელდა მოლოდინი...

უცებ, თითქოს ზარმა ჩამოკრაო და

მთელ ოცეულს ვველას ერთად რაღაც შეახსენა...

ჭერ ილია კახიძეს მივაჩერდით ფერ-დაკარგულნი, მერე აკორდეონს, მერე ხან ერთს ხან მეორეს... უხმოდ, უსიტ-ევოდ ვთხოვდით მხრებში საცოდავად მოხრილ მუსიკოსს, ვეუშდარებოდით, ეუბრძანებდით, რას?

მერე მე დავინახე და ვიგრძენი რო-ჯორ იელვა ნაპერწყალმა ბეც თვალებში, თითქოს ახლა, ამ წამში მიხვდა მი-სახვედრს, აკანკალებული ხელებით დას-წვდა აკორდეონს, ღვედში მხრები არ გაუყრია, ისე ნაუცბათევად გადაწვლა და...

მომხმობი ბგერები მაქომ, იმ ჩაღე-წილ-ჩაქეუელ სანგრებისავენ გააქანა.

გავიდა წამი, წამები... გავიდა წუთი, წუთები...

ახლა უფრო მონდომებით, ეინით დაუყრა კახიძემ და სამჯერ გაი-მეორა ის...

კვლავ დუმილი.

კვლავ ცდა და იმ ბოლო ცდაში ჩაქ-სოვილი მუდარა, ხვეწნა...

ამაოდ.

ცოცხალმკვდარმა მოიხსნა აკორდე-ონი, დასდო და შებრუნდა, თვალი აგ-ვარიდა.

შეტევა ტანკების არმადამ დაიწყო. ჩვენი ჭერიც დაღვა, ერთმანეთის მი-ყოლებით ამოეცვივდით სანგრებიდან...

აკორდეონისავენ არცერთ ჩვენგანს აღარ მიუხედავს...



## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ცნობილ პოეტს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და ხარუდაქციო კოლექცია ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

### მანანა ორბელიანის სალონის გახსენება

თქვენს აბრეშუმთა ზვირთში ვიბრჩეები,  
ვაპ, თქვენი ზღვიდან ვერ გამოველი!  
არ ვიცი, როგორ გადავიჩნებით,  
და დაღუპვასაც თქვენგან მოველი!  
მანანა, ნინა, ეკატერინა...

გიორგი ლომიძე

ვაი, რომ კრილობა აღარ ზორცდება  
ბაგეთა მარჯნით და დალაღთა გიშრით...  
ისარდაკრული ტატოს ოცნება  
ფართხალებს კატიწას საყურის  
ჩრდილში.

განჯის გზებს, ტანჯვის გზებს კაცი ეული  
შერჩა და ეს ღამეც მის ლექსზე  
ტყდება...

მარაოს ნიაზე გაციებული  
მაიკო სტრიქონთა ღაღარზე თბება.

მიხეილ ლერმონტოვს აენტო პწკარი,  
დრო-კამი ვერ მოთოვს იმ ლექსის  
ალზე,  
შეირხა, აედერდა პოლონსკის ქნარიც.  
გრიგოლიც უთუოდ ჩამოვა ხვალ-ზეგ.

— ჰოი, იარაღი...

შორს საღდაც ოხრავს  
და პოეტს შეუესვამს მიმინო ნეკზე.

ვაი თუ გრიგოლს მიასწრო გოგლამ —  
ნინო ჭავჭავაძეს უკითხავს ლექსებს.

საცაა რიყრაყის მოპბერს ნიაფი,  
გაგა სამზეოზე სიტყვა უზადო,  
ფეხზე დგას მანანა ორბელიანი —  
ღიასახლისი ღეთიურ მუზათა.

ჩაპყურებს საწუთროს დაბინდულ  
სარკეს,  
წამწამშეცვარული კენისის თუ  
გალობს...

ციცკარი უღიმის მნათობელ სარკმელს,  
მზის კარი უბია მანანას სალონს.

ოცნების ასულნი კელაპტრებს  
ჰგვანან,

ვერ აქრობთ წლები შფოთიანებში...  
შემოვდივარ შენს ჭერქვეშ, მანანა,  
საუკუნე ნახევრის მოგვიანებით.



## ისევ მაისის პატარაძეული

ისევ მაისის პატარაძეული,  
 შენი ფერადი ყრმობის მინდორი,  
 ისევ მზის სხივზე გადარწეული  
 ბრდღვიალა ღამე ნინოწმინდური.  
 გაღმა გორაზე — დედის საფლავი,  
 ივრის პირებზე — ხოხბის ყვივილი,  
 ჩემს გულში შენი ლექსი — ზღაპარი  
 და უშენობის მწარე ტკივილი.  
 გზის პირს შენი მთა, რომელიც უნდა,  
 უნდა ამალდდეს შენივე ძეგლით.  
 შენი შერცხლები მოფრინდნენ გუნდად,  
 დაღლილი შენი ღიმილის ძებნით.  
 მართლა ღვთიური ჩაქრა ღიმილი?  
 მართლა დადუმდა ბაგე ბრძენისა?  
 ისევ ძღერს შენი ჩანგის სიმები,

მას ვერც სიკვდილი,  
 ვერც დრო შენისლავს.  
 ხომ არ ილღება ფრენით არწივი?  
 ეს ზეიმიც ხომ სიცოცხლის არი?  
 მზემ შეგიწოვა როგორც ნაწილი,  
 მზემ შეგიერთა ნათავისარი.  
 შენ უკვდავი ხარ და მე ვამაყობ  
 შენი სიდიდით და უკვდავებით,  
 მეც ხომ მამური შენი ამაგით  
 სიმღერის ნათელ გზაზე გავედი.  
 ...მეყოს შენეულ სიხალისეთი  
 ლექსთან თუ ერთი ღამეც ვათიე...  
 შენ რომ შეგფერის, ლექსი ისეთი  
 ჭერ ვერ გითხარი და...  
 მაპატიე.

## გულახდილობა

მაინც გიწამებ  
 გულახდილ კაცად,  
 თუ გულახდილად იტყვი.  
 რომ შენ  
 არასდროს ყოფილხარ გულახდილი.  
 ...მე ეს ისე ვთქვი,  
 ისე უცებ,

არც მიფიქრია  
 რითმებზე,  
 ანდა რას და როგორ გაერითმები...  
 ღმერთმა შეგიწოს,  
 როცა ზამთრის ქარები ჰქრიან,  
 მაშინაც,  
 როცა გაზაფხულის ჰაერით თბები.

## შვილს

ლალატმა ბევრჯერ მომდო კლანჭი,  
 მაინც მხნედა ვარ, —  
 მართალი სული ქვეყნად დღემდე ვერვინ გასრისა.  
 ადამიანი უნდა გწამდეს! —  
 მიუხედავად  
 ცხოვრების ჩვენის სირთულისა და სიმკაცრისა  
 და...  
 რაც მთავარია,  
 შენს ირგვლივ მყოფი არაერთი არაკაცისა.



## დილოგი



— რწმენის დაკარგვავ,  
 შენ რა დაგარქვა,  
 იქნებ სიკვდილი?  
 — დიახ, სიკვდილი,  
 შენივე სიკვდილი  
 უსახელო და სამარცხენო!  
 — მაშ კვლავ აღმართებს  
 შემაჭიდე ფიცხი ჭიდილით,  
 დაღმართი დაღმა არ მაფარცხენო!

## აღსარება

რწმენით, იმედის მზის თაღარაგით  
 გულიც და სიტყვაც ავამეტყველე,  
 რაც გუშინ ვიყავ, დღესაც ვარ იგი  
 ალალი გულის მეზვრე, მეტყვიე,  
 ეველა თარიღის  
 ვიყავ ტარიგი  
 და არასოდეს ვიყავ შედღევე.

— — —

## დაგვიანებული რეკვიზი

ბ. ტაბიძის

შენ რომ პატიოსანი კაცი ხარ  
და წელებზე ფეხს იდგამ ოჯახის სარჩენად.  
უფრო სწორედ, გინდა ასეთი იყო  
და კევევით გაწეილი სიტყვაა პატიოსნება,  
დაიბრალებ, ვინ შეგამოწმებს...

თან სულ მიწაზე თვალდაბჯენილი დადიხარ.  
რადგან ზემოთ რომ აიხედო  
და ცა ჩაგვივარდეს თვალში,  
ხელს ზომ არ ამოისვამ  
და რა უნდა უყო ამ უთავბოლო,  
ლურჯ მშვენიერებას.

პურად იგი არ გამოდგება და მიტკლად,  
ოჯახს კი გაგიპარტახებს.

თან მისი აშკარა კარნახით  
გაგიელვებს კითხვა:

— რატომ არ შეიძლება ერთი პურით  
და ერთი თევზით ათასობით კაცი გააძლო?

მაგრამ შენ თვითონვე იცი,

რომ შეკითხვა რიტორიკულია

და მასზე არავინ არ გიპასუხებს

ან თუ გიპასუხებს,

მხოლოდ თავალერული კაცი, სათნოდ თავალერული,

განსხვავებით შენგან. მიწაზე თვალდაბჯენილისგან,

თითქოს ნიკაპის ქვეშ ხელი ამოგყრეს

და ზევით აგახედეს.

ხოლო ფეხების ორ სქელ ბოძზე

შემდგარ შენს ცოლს.

რომელიც მუყაითი ჭიანჭველასავით

თავისზე სამჯერ მძიმე ტვირთს ეზიდება სახლში,

ის კაცი თუ ეტყვის: — ვინ არის ეს ქალი,

ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი?



ამის შემდეგ რაღა დაგრჩენია.  
 ან გიჟად უნდა გამოაცხადო იგი.  
 ან ღმერთად,  
 რაც შენს თვალში, დაახლოებით. ერთიდაიგივეა.  
 და სასწრაფოდ უნდა გაყიდო.  
 არა იმიტომ, რომ ვერცხლის ხამი ხარ.  
 ან გეჩქარება კაცში ღმერთი დაინახო,  
 შენში — უკეთესი შენ.  
 ცივი რძის ფსკერზე —  
 მაქარივით დაღეპილი სევდა...  
 არამედ იმიტომ, რომ არ შეიძლება  
 მიწაზე თვალდაბჯენილმა კაცმა  
 თავალერილი კაცი არ გაყიდოს  
 და კაპიკიც არ უნდა თავისთვის.  
 ყველაფერს მას მოახმარს,  
 ნელ-ნელა გამოუზოგავს.  
 რომ ღვინოში ჩაახრჩოს და ქვეყანას დაანახოს,  
 რომ ყველაფრით ჯობია  
 ამ წვერმოშვებულ ლოთს და ბოგანოს,  
 უშვილ-ძიროს... და აზრადაც კი არ მოსდის,  
 რომ იმ მთვრალ თავში  
 პაწაწინა ფიქრი კი არ ფეთქავს,  
 არამედ კაპელა დახვევებულა,  
 არა ზიბლი დარბეულ ყელთა,  
 ამღერებულ ჯგუფად შეკრული,  
 არამედ კაპელა, მკაცრად შავ-თეთრი,  
 მაგრამ მაღალი ბგერის წვეროზე  
 ისე უტიფრად ოქროცურვილი,  
 რომ ორკესტრი უხეტქავს ფილტვებს,  
 ჰიმნის ზეცამდე და რეკვიემის ქვესკენლამდე იწელება.  
 მზესუმზირების კაშკაშა თავებს  
 დღე შემოყავთ ქვეცნობიერის უკუნეთში,  
 რომელიც არის ლექსი  
 და რომელიც მის მხრებზე.  
 ქერტლისგან გადათეთრებულ მაუღზე  
 თოვლივით მჭვირვალ და ბოძისფეხება ქალებსაც ატარებს,  
 ვისაც მისი ცისფერი ალტაცება ურჩევნია  
 კანონიერ ლოგინს...  
 ბოლო იმედი —  
 იქნებ, ისიც ლოგინში მოკვდეს,  
 როგორც ყველა, მიწაზე თვალდაბჯენილი მოქალაქე,  
 მაშინ მიხვალ და თანაგრძნობას გამოუცხადებ,  
 როგორც ტოლს,  
 სიკვდილმა ზომ მაინც უნდა გაგათანაბროთ,  
 მაგრამ შენთვის თანაგრძნობა  
 სიტყვების მოცეკვავე რიტუალია,  
 მისთვის — თანატყვივლი,  
 რასაც წინათ თანაღმობა ერქვა



და ახლა აღარა აქვს შესატყვისი  
 (მიზეზი, ალბათ, შეუსაბამობა  
 ჩახლეჩილ ხმასა და ნარნარა ბგერებს შორის)  
 მისი ლოგინიც ცივია და ცარიელი,  
 სამუდამოდ წაშლილი ტოლობის ნიშანი...  
 რადგან ვინ გაიგებს  
 მოწყვეტილი ვარსკვლავის გზა-კვალს,  
 სად დაეცემა იგი და სად ამოსკდება  
 ცეცხლოვან ბუჩქად...  
 ჩემო პატიოსანო, დაბღვერილო კაცო,  
 შენ მას ომს ვერ მოუგებ  
 ვერც გარეგნობით, ვერც სიფხიზლით,  
 ვერც გახამებული საყელოთი  
 და ვერც მარგალიტებივით შვილებით,  
 რადგან მან იცის პასუხი უპასუხო შეკითხვაზე  
 — როგორ შეიძლება ერთი ლექსით,  
 ისევე, როგორც ერთი პურით და ერთი თევზით,  
 ათასობით კაცი გააძლო...

### სიყვარულის ანბანი

— აიოეუ! — უმღერის ლამაზი კაცი ლამაზ ქალს.  
 ისინი უსათუოდ ხასხასა ბალახში დგანან,  
 მათ შორის სიცივის კრიალა ფაიფური არ წკრიალებს,  
 სიმღერა უსათუოდ მხოლოდ ხმოვნებისგან შედგება  
 და ისეთი სადად მშვენიერია,  
 როგორც დაღვრილი რძის თეთრი ყელი...  
 გაიგეთ, თურმე, რა ჩაუდენიათ?  
 შუბლიდან გარინდების ბურუსი ჩამოუბერტყიათ.  
 ყველა თანხმოვანი გამოუძვრიათ ხორზიდან  
 თევზის ფხასავით  
 და ხუთი ხმოვნისაგან შედგენილ ანბანს სწავლობენ  
 აი ია-ს ყოვლის უწინარეს  
 იისფერ შუქზე...  
 ა — საყვირივით ღიად და გამჭოლად ამოთქვამს კაცი,  
 ი — მოკუმული პირის სარჩულივით ვარდისფერია ქალი  
 და კიდევ, იებით გადაჭედული მიწა  
 და ოქროს ფასად ღირებული სიტყვაძვირობა...  
 მართალია, ზოგჯერ შორეული ო მთამარგვალებს პირს,  
 ორ ყბას შორის მოწეწვილი ცის ნაგლეჯი,  
 მაგრამ ტყვილიც ხომ ისევე აუცილებელია,  
 როგორც ია აი — უკუღმა გადაბრუნებული ბავშვობა,  
 აუხსნელი და გაუგებარი,

ვიდრე ლოგიკის რკინის კიშკარს მიაღვებოდე,  
 სადაც არჩევანის წინაშე დგახარ, როგორც ზღაპარში,  
 შეხვალ — ყველაფერს გაიგებ,  
 არ შეხვალ—ხუთიოდე დაუნაწევრებელი ხმოვნის ღონეზე დარჩები  
 თუმცა, რა მაინცდამაინც ცნებებით გამოხატვა  
 კირდება იმას,  
 რაც აი ია-ს ყვავილებით გადაჰედლილი მიწისგან  
 და ია აი-ს გადაბრუნებული შავი ბელტებისგან შედგება  
 მათ შორის გადებულ ბეწვის ხიდზე  
 მატარებს სიყვარული —  
 ისეთი სათნოდ მშვენიერი.  
 როგორც დაღვრილი რძის თეთრი ყელი,  
 რომელიც რკინის კიშკრიდან მომზირალ ადამიანებს  
 ჩემი დაუღვერობით დამჩნეული ლაქა ჰგონიათ  
 განსჯის კრიალა ფაიფურულ ზედაპირზე...

## ორი ნოველა

გული

— ჯოტო ჩემო, — თავმჯდომარის ხმაა, სელექტორის წითლად აკიაფებულ ლილას დაეხედუ.

— გისმენთ, ვიანორ ბატონო.

— ახლა შენთან თემურ აჯბა შემოვა. ყურადღებით მოუსმინე, თუ კაცი ხარ. მე თუ მიკითხოს, უთხარი თბილისში წავიდა-თქო. ახირებული მოხუცია. აუჩქმებია შვილი უნდა ავიყვანო. რაღა დროს მაგის შვილია, ოთხმოცდაათს კარგა ხანია გადაშორდა. ბავშვთა სახლის გამგეს ყური უნდა ავახო. ჩვენი დადგენილების გარეშე მიუყიათ ბავშვი. ერთი თვეა სახლში ჰყავს. აბა? შიშიმე მდგომარეობაა კი. შენ უნდა დაარწმუნო, ბავშვი უკანვე ჩააბაროს. როგორ არა ჰყავს, კაცო. ხუთი შვილი და თერთმეტი შვილიშვილი ჰყავს. გეცოდინება შენ კლიმენტ აჯბა, სპორტკომიტეტში მუშაობს. გუშინ იყო ჩემთან. იტირა ამხელა კაცმა. გვიშველეთ რამეო. თავი მოგვეჭრა მამაჩემმა. ამხელა ოჯახის პატრონები ვართ, ეს გვინდოდა ახლა ჩვენო? ერთი სიტყვით, შენ ახალი კაცი ხარ და შენსას დაიჭერებს. მე არა ვარ, იცოდე, თბილისში გამოუძახეს-თქო.

წითელი ლილაკი ჩაქრა. თავმჯდომარე ჩემს პასუხს აღარ დაელოდა. ეგ არაფერი. კაცმა რომ თქვას, რას ვეტყვოდი პასუხად? „კეთილი ბატონო“. მეტს ვერაფერს. ისე, ცოტა არ იყოს, დამამკირებელი კია, წინასწარ რომ

იცი, რაზე შემოდის მთხოვნელი და შენ რა უნდა უპასუხო. მე აქ, მართლაც რომ, ახალი კაცი ვარ. მეორე თვეა რაც აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ განმარტეს და, კაცმა რომ თქვას, ჭერ სკამი არც კი გამითბია. თავმჯდომარე ურიგო პიროვნება არ ჩანს, მაგრამ რაკი ახალგაზრდა და გამოუცდელი ვარ, ბევრს არაფერს მეკითხება. ჩემს მაგიერადაც თვითონ ფიქრობს. ხანდახან აღმასკომის სხდომაზე ყასიდად დამიმოწმებს და ლიმილით გადმოშვებდავს. ცოტა ხანს ვაკლი და ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, მომიწევს ავეხსნა, რომ მე მე ვარ და ის ის არის.

კარებზე ფრთხილად დააკაუნეს. მობრძანდით მეთქი, გაეპასუხე, მაგრამ არაეინ შემოდის. კაცუნი განმეორდა. მივედი, კარი გავაღე და ნიწწამხდარ მოხუც ხელი გავუწოდე.

— მობრძანდით, მობრძანდით.

სკამი გამოსწია და სანამ დაქდებოდა, საეჭვოდ ამხედ-დამხედა.

— მშშზიე.<sup>1</sup>

— ბზილა ვაბი<sup>2</sup> — გავუღიმე და სკამზე მივეუთითე.

— თემურ აჯბა გაზღავართ, თავმჯდომარე მინდოდა.

— იცით რა, თავმჯდომარე თბილის-

1 სალაპი.

2 კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

შია, მე მოადგილე ვარ. რით შემიძლია გამსახუროთ?

თეთრ წარბებს ქვემოდან ხანდახან გამწყაროლივით გამომხედავს. აშკარად ჩანს, არ მენდობა. მალაღია. თეთრწვე-როსანი და წაქისფერთვალედა. ცხვირ-თან უღვაშები თამბაქოს კვამლს გაუ-ყვითლებია. მოკლე წვერი აქვს. მაგრამ გულმოდგინედ დავარცხნილი. თავზე ყაბალახი ახურავს. ვერცხლის ქაპრით დამშვენებული, ჭიბებიანი ხალათი და გალიფეს ტიპის შარვალი აცვია. ფეხზე წულა-მესტები. დგას შესაზარბებლად წელში გამართული და მიცქერის.

— დაბრძანდით, ბატონო თემურ. მე თავმჯდომარის შემცვლელი გახლავართ. ახუბაა ჩემი გვარი.

დაჯდა, ყაბალახს დიდხანს იხსნიდა, გაბურღულ თეთრ თმაზე ხელი ჩამო-ისვა, ყაბალახი გულმოდგინედ დაეცვა და მუხლზე დაიფინა.

— ბავშვის მეტრიკაზე გეახელით.

— რომელი ბავშვის!

რა საშინელებაა. თითქოს არ ვიცო-დე. მიაპიტი შეკითხვები უნდა დავუს-ვა, რომ მივეჩვიო.

— ჩემი შვილის, ტაიფ აჰბასი. ორი წლისაა.

— მერე აქამდე რატომ არ აიღეთ დაბადების მოწმობა?

თავი ჩაჰკიდა და ეტყობა ინანა, რომ ჩემთან მიეცა საქმე.

— ახლახანს ვიშვილე.

— ვინ მოგაშვილათ?

— ერთი სიტყვით, ემხვარების ტყე-ში რომ უპატრონო ბავშვებს ზრდიან. კი აღარ ვიცი, ახლა რას ემახიან საემხ-ვაროს. იქედან გამოვიყვანე, წინა შა-ბათს. ჭიბეში დამალული კატასავით გამოდის, მაგრამ კარგი ბიჭია. ლონიერ ფეხებზე დგას, — ეს ბოლო სიტყვები მისი შესახედაობისთვის შეუფერებელი სინაზით წარმოსთქვა.

— ბატონო თემურ, ოჯახის წევრები თანახმა არიან?

— მეუღლე თქვესმეტი წლის წინათ გარდაემეცვალა. მარტოხელა კაცი ვარ.

— შვილები არა გყავთ?

— მყავს. მაგრამ ყველანი სუხუმს გაიქცნენ. ჩათვალეთ რომელია მყავს. მარტოხელა კაცი ვარ.

— მამატიეთ მაგრამ, შვილებსაც უნ-და დავეკითხოთ.

აენთო, წამოწითლდა.

— რა უნდა ვკითხო? ოჯახის უფრო-სი ჭერჭერობით მე ვარ.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და შემკვიდრეობის საკითხია.

— მე ჭერ სიკვდილს არ ვაპირებ, სიჩქუნ<sup>1</sup> და როცა ალაპის ნებით წავალ იმქვეყნად, ყველაფერს ჩემს უმცროს შვილს — ტაიფ აჰბას ვუტოვებ.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჭერ-ჭერობით თოხის მოქნევა შემიძლია.

მინდა აეუხსნა, რომ შვილად აყვანის დროს მშობლის ასაკსაც მნიშვნელობა აქვს. მართალია, აღმასკომი ზოგჯერ გამონაკლისს უშვებს, მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს სხვა შვილი არა ჰყავს და მოხუცებს წყლის მიმწო-დებელი არაფერს რჩებათ. აქ კი სხვა შე-მთხვევაა. ღვთის წყალობით თემურ აჰ-ბას ხუთი შვილი და თერთმეტი შვილი-შვილი ჰყავს.

— ხომ არ გაგაბრაზეს შვილებმა, ბატონო თემურ?

ჩემი გაშინაურება ეხამუშა.

— მე თქვენთან საჩივრელად და სა-წუწუნოდ არ მოვსულვარ. ეგ ჩემი სა-ქმეა. მომცემთ თუ არა მეტრიკას?

— დაბადების მოწმობა აღმასკომის დადგენილების შემდეგ გაიცემა, მაგრამ ექვი მეპარება...

— რაში გეპარებათ ექვი?

— რომ აღმასკომი თქვენს თხოვნას დააკმაყოფილებს. ჭერ ერთი, ხანდაზ-მული ბრძანდებით და მეორეც... თქვე-ნი კანონიერი შვილები...

— მომისმინე, უხანკუ<sup>2</sup> როცა თქვენ გპირდებით, ეს ჩემი ხანდაზმულობა ღირსებაა და როცა მე გპირდება, მძიმე სენი? წადი და გაიკითხე; თემურ აჰბა

1 შვილი.

2 ბატონო.

რა კაცია-თქო. ახლა თქვენს კარზე იმიტომ მოვედი, რომ ტაიფ აჭბა წიგნის გარეშე არ დამჩჩეს. უმეტრიოდ სკოლაში არ მიიღებენო, თორემ რაში მჭირდება თქვენი დადგენილება. ჩემი ჰკუთით მე კიდევ დავადგინე და კიდევ ვავთავებ.

— ასე ხომ არ არის. თუ აღმასკომმა მხარი არ დაგიჭირათ, ბავშვის ჩამოგართმევენ.

— თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, მაგრამ იმაზეც იფიქრეთ, რომ თემურ აჭბას ჩაბმების გამოკვრა ჯერ კიდევ ძალუძს, გეყოთ, რაც წაიღეთ.

ერიაა, შორს გაუტია. მართლაც რომ ჭიუტი მოხუცი ჩანს. რა ვქნა ახლა, რა ხერხს მივმართო. რა ცეცხლში ჩამაგდო თავმჯდომარემ. ეტყობა, იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და იმ ანდაზისა არ იყოს, მე მნახა დიდთავა ბუ.

თითების ნერვული მოძრაობით გულისკბილდან ჩიბუხი ამოიღო, განზე გაიხედა და ჩაბერა. გალიფეს ფართო ჭიბიდან სათუთუნე ქისა დააძრო. რამდენი ხანია აღარ მინახავს ეს ძველებური, აბრეშუმნარევი ატლასისგან მოქსოვილი, ლალის ბაწაწინა მძივებით გაწყობილი სათუთუნე ქისა. თუთუნე ცერა თითით გულმოდგინედ ჩატენა ჩიბუხში და რომ მეგონა, ახლა კვეს-აბედს ამოიღებს-მეთქი, ჩემს მაგიდაზე ასანთს მიწვდა, მოუკიდა, გაჩაღებულ ჩიბუხს თავისი ფართო და უხეში ცერა თითი რამდენჯერმე კიდევ დააფარა და ცხვირპირიდან ერთდროულად გამოსული ცისფერი ბოლი მარცხენა ხელით დაიქნია, რომ ჩემსკენ არ წამოსულიყო.

ვზივართ და მდუმარედ შევეკვირით ერთმანეთს.

— შენი სახელი?

— ჯოტო.

— შეილო ჯოტო, თუ გაქვს დრო, ცოტა ხანს მომისმინო?

— ბრძანეთ-მეთქი. — თავი დავეუქნე.

ერთხანს მიყურა. ჩანს გადაიფიქრა, წამოდგა, ყაბალახი მხარზე გადაიგდო.

— არ ღირს, შენ ვერ გამიგებ. თავმ-

ჯდომარე როდის ჩამოვა?

უფრო იმ აზრმა დამწყვიტა გულო, რომ მოხუცმა მისი გასაჭირის „ვერგამგებად“ ჩამთვალა. სახეზე წამოვებლივლი, მაგრამ არ შევიმჩინე. მაგიდას შემოვუარე, თემურ აჭბა ლამის ძალით დავსვი სკამზე, გვერდით მივუჭექე და ვთხოვე, გულახდილად ეამბნა ყველაფერი, რაც აწუხებდა.

— ჩემი გვარი მეჭოგეობით განთქმული გვარია. ჯგერდის ვალმა, მთებში ვცხოვრობდით. გუშინდელივით მახსოვს, ოთხმოცი წლის ამბავია, უამრავი თხა ჰყავდა მამაჩემს და აჭბების ძროხას რომ ეძახიან, წითელი, გრძელბეწვა, რამდენიც გინდა. ათიოდე წლის ბიჭი ვიყავი მაშინ, რომ ავიყარეთ და ბარად დავსახლდით. თვალწინ მიდგას: ვიწრო ხეობაში მოვერეკებოდით ნახიარს. თხის პეტელი და ძროხის ბლავილი იკლებდა იქაურობას. ცხენზე ამხედრებული ქალები ბილიკს მიჰყვებოდნენ. მამაჩემის გვერდით მივბიჯებდი და თხილის შოლტს მივიქნევდი. მამაჩემი მეუბნებოდა მაშინ, კარგი ვაქაცო იყო, აცხოვნოს ღმერთმა ტაიფ აჭბა, მთელს აფხაზეთში განთქმული თხის ყველითა და ჯომარდობით. მეუბნებოდა, ბაბუაშენიც ასე აიყარა მიუვალი მთებიდან და ჰქვევით ჩამოსახლდა. ახლა ჩვენ უფრო ჰქვევით მოვიწევთ. ბარის კაცი იქნებიო. მე არც მიზეზი ვიციოდი მაშინ ჩვენი ჩამოსახლების და არც დიდად მაინტერესებდა. მომწონდა კიდევ, რომ სხვა ადგილას დავსახლდებოდით. ჩამოვალწიეთ ბარად. სამი-ოთხიოდე მოსახლე ცხოვრობდა მაშინ ჯგერდაში. სამოსახლო ადგილი თვითონვე ავირჩიეთ მუხნარში, ვაკეზე, ის ღამე ცის ქვეშ ვავთიეთ. მეროე დღეს ნალი ვიხმეთ და საღამოსთვის უკვე ისლით ვადახურული ფაცხა გვედგა. ერთი წელი მოათია მამაჩემმა იმ ფაცხაში, მერე ჩვენ ბარში დაგვტოვა, თვითონ ჯოგი გაირეკა და ისევ ძველ ადგილს, მთას მიაშურა. ჩამოდიოდა მთიდან და ოფლისა და წვიმის სუნით გაქლენთილ ნაბადს თავზე გადაამაფარებდა. როდის იქნება ამ ნა-



ბადს რომ გამართავო. ჩამოქონდა ცხენებით ყველი და ოჩამჩირის ბაზარზე მიქონდა გასაყიდად. გაყიდვას მეც ვეზმარებოდი. ცოლსათხოვი ჭეელი გახლდით, ერთ დღეს მამაჩემი ურუმზე გადებული რომ ჩამოასვენეს მთიდან. აბრაგებს მოეკათა. ეს ყველაფერი რევოლუციამდე მოხდა. დავასაფლავეთ მამაჩემი და მეორე დღესვე ავუყვარი მთას, მივებატრონე მამაჩემის ჯოგს. მოვიგდე მხარზე მეჯოგის ნაბადი. ოცდასამი წლისამ ცოლი შევიართე. რა გასახსენებელია, მაგრამ მაინც გეტყვი, სიტყვას მოჰყვა. ქარიანობაზე კოჩა ქეცბას ქალიშვილს დავადგი თვალი. ერთ კვირაში მოიტაცა ჩემმა ძუძუმტემ, რაულ ქეცბამ, ის გრგო და მთაში ამომგვარა. მაშინ ასე იყო. უბრალო საქმე იყო ცოლის შერთვა. მოსალოგინებლად გავისტუმრე ცოლი ბარში და იმ დამეს აბრაგები დამეცნენ. მარჯვედ დავუხვდი. ერთი შემომაკვდა და მეორემ, დაჭრილმა, თავს უშველა. იმის მერე აბრაგები სათოფედ არ გამეკარებიან. ვცხოვრობდით ასე, მეჯოგის ცხოვრებით. ზაფხულობით მთელი ჭალაბი ჩემთან იყო. ზამთარში მარტო ვრჩებოდი საქონელთან. ახალი დრო დადგა. ბავშვები სკოლაში წავიდნენ. თავს არ ვზოგავდი, რომ ჩემზე მეტი თხა-ძროხა სხვას არ ჰყოლოდა. თხის საყიდლად მთაში ამოსულ სტუმარს ერთ თხას იქვე დავუქლავდი, ერთ თხას პატიოსან ფასში მივიყიდდი და, თუ ძალიან მომეწონებოდა, თიქანსაც ვუფეშქაშებდი. ერთ უბედურ დღეს ტყავისუბნაჩიანმა ჩაგრდელებმა ამომაკითხეს. რვანი იყვნენ, ცხენები ბოსელს მიაბეს და პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდნენ. დილა იყო. თხას ვწველიდი. შუალამისას გამოსულები უნდა ყოფილიყვნენ სოფლიდან, რომ ასე ადრეინად ამოელწიათ. თემსაბჭოს გადაწყვეტილება წამიკითხეს, კულაკი ხარო. კულაკი რას ნიშნავს-მეთქი, მართლა არ ვიცოდი. ბევრი თხა და ძროხა გყავსო. მერე ცუდი რა არის-მეთქი ამაში? ბევრს ნუ ლაპარაკობ, შე წურბელა, შენაო, შემობღვირა კაკი ახუბამ,

თემსაბჭოს მდივანი იყო, კოკლი ახუბა, ჩვენი სოფლიდან პირველი ის ჩამოკიდეს ოცდაჩვიდმეტში. ფაცხამდე მანძილი თვალით გავზომე. თოფის გამართვას ვერ ვასწრებდი. საერთოდ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. ვიყო, ბატონო, კულაკი, ახლა რა გნებავთ-მეთქი. რა და ნახირი უნდა ჩამოგართვათო. მთლიანად-მეთქი? იმდენი დაგიტოვებთ, რამდენიც საჭიროაო. გაირეკეს ეს ამოდენა ჯოგი წინ, შვიდიოდეთხისა და ორი ძროხის ამარა დამტოვეს. გაირეკეს და წავიდნენ. სიმწრისაგან მიწას ვფხოქონიდი ფრჩხილებით, მაგრამ რა გზა მქონდა. მერე ომი დაიწყო. ცხრა შვილი მყავდა მე. ცხრავე ბიჭები. ოთხს მოუწია ქარმა. ოთხივე დაიქარგა. ხუთნი პატარები იყვნენ და არ წაუყვანიათ. მეც ხანდაზმულობამ მიშველა. ომის მერე ისევ გავიმართე წელში. აჭებბის ჯოგი ისევ გავაცოცხლე და გავამრავლე. ისევ ჩავაკითხე ოჩამჩირის ბაზარს ყველითა და თიქან-მოზრებით. გამოხდა ხანი და ისევ ამომაკითხეს საბჭოს ბიჭებმა. პატივს გცემთ თემურ აჭბა, მაგრამ დადგენილებაა, ერთ ძროხას და სამ თხას უნდა დაჭერდეთო. ვინ დაადგინა? რატომ? ვინ დააქცია ჩემი ოჯახი-მეთქი? ბევრი ვითაცემე, მაგრამ ამაოდ. წართმევით, ცოდოს ვერ დავიდებ, არ წაურთმევიათ, წინადადება მომცეს, ორ კვირაში შეასრულე, ჩვენი ბრძანებაო. ჩამოვრეკე ბარად ნახირი, ზოგი გავყიდე ჩალის ფასად (ყველა ყიდა და იაფი იყო), ზოგი გავაჩუქე და დავრჩი ერთი ძროხის შემყურე. მის მერე მთაში აღარ ავბრუნებულვარ. რა მინდოდა. აჭებბის ჯოგი სამუდამოდ ჩაბარდა. ეს ყველაფერი იმიტომ გაამბე, შეილო, რომ გაკირვება ბევრი მინახავს, მაგრამ ახლა რომ მიჭირს, ასე არასოდეს გამეპირვებია. ამ ბოლო დროს ხელს აღარ გვიჭერენ, ჩვენს ეზო-ჩიბეში აღარ იყურებიან და პატარა იმედიც გამიჩნდა გულში. მე ძველი, კერკეტი კაცი ვარ და ერთი წამოდგომა იქნებ კიდევ წამომედგა ფეხი, იქნებ ისევ გავყოლოდი უკან

აქებობის წითელ ძროხებს კომბლით ხელში, მაგრამ ცოლი მომიყვდა, ეგეც არ გამკვირვებია. ჩემი ხნის კაცს ან ცოლი უნდა მოუყვდეს, ან თვითონ უნდა წაილოს იმჭვეყნად წერილი. ჩემი გასაქირი ის გახლავთ, რომ შვილებმა მილატეს. მარტო დავრჩი. მარტო სხვა დროსაც ბევრჯერ ვყოფილვარ, მარტო შეგებმეივარ დათვს და აბრაგებს, მაგრამ ახლა ის თემურ აჯბა აღარა ვარ. ხუთი შვილი. ხუთივე ჭალაქს გამეჭკა. ყველამ უვანა თოხსა და ბაწარს. ერთი შვილიშვილი მაინც დამიტოვეთ, ამხელა სახლ-კარს მიხვდვა ხომ უნდა-მეთქი. გაგონებაც კი არ სურთ. ყველამ სუხუმს და ოჩამჩირეს შეაფარა თავი. ხანდახან კვირაობით ჩამოიბრებენ ამფსონებით. ბაზარში ნაყიდ ხორცს გადმოიღებენ მანქანიდან. ფაცხაში შუაცეცხლს გააჩაღებენ. მე ჩოხა-ახალუხში გამომაწყობენ და დამსვამენ მაგიდასთან. „ჩვენი ასი წლის მამა, ჩვენი ხანდაზმული მამა-ბატონიო“, თავი მოაქვთ სტუმრებთან. მეც ვზივარ გაყინილი და არტისტივით ვთამაშობ დღეგრძელსა და ბედნიერ კაცს. ვის უნდა ეს თვალთმაქცობა. წაიკრიფებიან საღამოს და ვრჩები მარტო ჩემს დარდებთან. შიში მიპყრობს. იმის შიში კი არა, უბატონოდ რომ მოვევდები და გულზე ხელის დამკრეფი არავინ მეყოლება. ყველანი წავალთ, მე იმის შიში მკლავს, ადრე თუ გვიან მამალი რომ აღარ იყივლებს ჩემს ეზოში, კვამლი რომ აღარ ამოვა ჩემი ბუხრიდან.

კაცი ახე როდია, ჩემო ჯოტო, ჩენჩო შემოახმეს და მთელი დარჩეს. ღმერთს ისე მოუწყვია ჩვენი საქმე, რომ გული ხორცზე ადრე ცვდება და ხმება. გამოხრულ, დადუმებულ გულს კი ვერა შელოცვა ვეღარ აამუშავებს. სწორედ რომ გულს მიხრავს ის, რაც ჩემს თავზე ხდება. სიტყვით ყველანი კი ბიჭები

არიან. გულზე ხელის ბრაგუნი და შეცხება თქვენი მოსაწონი იციან, მაგრამ საქმე? საქმე რა არის, იცი ბაბა? კერია არ გააცივო, ბალახი არ ამოვიდეს შენს კიბეზე. რად გინდა სკოლის ლამაზი შენობა, ბაღებით თუ არ არის სანესე, რად გინდა ბანთონი, ახალ მკვდრებს თუ ვერ მიუმატებ. დიდი იმედი არც იმის მაქვს, რომ ჩემს ეულ საფლავს ბალახის გადამცელელი ეყოლება ხვალზეც. და ამას მე ვამბობ, სიჩქუნ, მე თემურ აჯბა, რომელმაც ცხრა შვილი გავზარდე, და ბოლოს მაინც მარტო დავრჩი.

კაცი უნდა, პატრონი უნდა სოფელს, უკაცო ფაცხაში თავგები „გოისარადას“ მღერიანო, ხომ გაგიგონია. კი, მართალია, ბევრჯერ გაგვიტყდა გული, ბევრი ვიროკეთ აუწყობელ ჩონგურზე, შეცდომის ბრმა ჯოხიც ბევრი გადატყდა ჩვენს თავზე, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? ჩვენ ჩვენი გზით უნდა ვიაროთ, ჩვენი ვალისგულა გვკიდია ზურგზე, სოფელი უნდა გავალონიეროთ, მტერი არ გავაცინოთ. რას იტყვიან ასი წლის მერე მოსულნი; რაღაცის თუ ვიღაცის გამო გაწყურნენ ჩვენი მამა-პაპანი და სოფელს ზურგი შეაქციესო. მტრისას თოხს და კომბალს გაბუტული გლეხი. ვის ემართლები, შენსავე ღვიძლს, შენსავე სტომაქს?

ოცდახუთში, კვირა დღეს, დიდი ქვიფი გვქონდა. სტუმრები ჰყავდა ჩემს კლიმენტს უზბეკეთიდან. სხვა შვილებმაც ამომაკითხეს. დიდი სუფრა გაიშალა. ბავშვები ხეებს მოედგნენ. ტაშფანდურა არ მოშლილა მთელი დღე ჩემს ეზოში. გავცოცხლდი კაცი, მარა რად გინდა. საღამოსკენ ყველამ თავისი „უი-გული“ მოძებნა. სუფრის ალაგებაც კი არ გაახსენდათ ჩემს რძლებს. გამომშვიდობებდა დიდებული იციან. „აბა, შენ იცი მამა, წყნარ-წყნარად იარე, თავი

1 წაბლი.

3. „ნაქობი“, № 7.

არ გაიცეოვ“. მეც ვიღივები, თავს ვუქნევ, სტუმრებს დარბაისლურად ხელს ვართმევ, აფხაზურ დღეგრძელობას ვუსურვებ ყველას. გაიკეტეს ჭიშკარი და წავიდნენ. შემობრუნებისას ცოტა ხანს სარკის წინ ვიდექი. ჩოხა-ახალუხში გამოწყებულ ჩემს თავს ვუქვეროდი და, იცი, შემრცხვია. სირცხვილი კი არ იყო ეს, შემეცოდა და შემძულდა ჩემი თავი. რას იმანჭები და იგრინები, რას მაიმუნობ, ანდაზებით ლაპარაკობ და გრძელ სადღეგრძელოებს ჰყვები, კი არა უნდა ყმუოდე მგელივით, უნდა ღრიალბდებე ხაფანგში მოყოლილივით, ასეა-მეთქი ახლა შენი საქმე, ჩემს თავს ვლუბარობი. ჩოხა-ახალუხი და წულა-მესტები ბუხარში შევეტენე და ცეცხლი წავუკიდე. ბერანგისამარა გამოველ გარეთ, სუფრა ავალაგე და დიდხანს მთვარეულივით დაგობრიალებდი ეზოში. მთელ ღამეს წვიმდა, ძილი არ მომეკარა. ერთი პირობა გადავწყვიტე, გადავწყვიტე სახლკარს და ვადავიკარგები მთებში ისე, რომ ჩემი ბურღი ვერაინ იპოვოს-მეთქი, მაგრამ ესეც სისულელედ მივიჩინე. დილაუთენია გამოველ გარეთ. ოჩოფეხებით გავიარე ტლაპო. პირველ ავტობუსს დავხვდი და ცხრა საათი არც კი იყო ბავშვთა სახლის კარებზე რომ ვაკაუნებდი. ავტუსენი დირექტორს: ასე და ასეა ჩემი საქმე, ბიჭი უნდა ვიშვილო დღესვე, თორემ რაღაც უბედურებას ჩავიდენ-მეთქი. გამგებიანი კაცი აღმოჩნდა. ორი წლის ვარსკვლავივით ბიჭი გამომიყვანა. მამაჩემის სახელი ტაიფ აჯბა დავარქვე. გავზრდი და კაცად გამოვიყვან. არაფერს მოვაკლებ. მეზობლის გოგო მეხმარება ვითომ, მისი ჭკუით, შემოდის ხანდახან. რად მინდა, ბავშვის მეტი რა გამიზრდია. მართოც მშვენივრად ვუვლი, თხის რძით ვზრდი. თხის რძე ბავშვს ძვლებს უმაგრებს. დავწყნარდი კაცი. თითქოს ლოდი გადამვარდა გულიდან. კლიმენტი დაბუზღუნობს მართო, თორემ სხვებმა

მშვენივრად მიიღეს ტაიფ აჯბას მოსვლა ჩვენს სახლში. ვახტანგის ცოლს (მკერავია სუხუმში, ვახტანგი) მკერდიდან არ მოუცილებია. იქნება ჩემთან ტაიფ აჯბა, სანამ ქალაქი თოკებით დაქაჩავდეს. სკოლის დამთავრების მერე საქმეზე დავაყენებ, თუ ივარგა, სოფელშივე გავუჩენ საქმეს. ყველანაირად ვეცდები, თავისი უფროსი ძმების კვალს არ გაყვეს. ცოლს აღრიანად შევერთებ. მერე? მერე ალბათ მეც აღარ ვიქნები ცოცხალი. ასეა ჩემი საქმე, ჯოტო ბატონო. შენ მეუბნები, ბავშვს არ დაგიმტყიცებენო. ვინ ასწევს ხელს, ვის გაუწყობა დემრთი; მართალია, დავარდნილ ცხენს ბუზები უფრო ეტანებიან, მაგრამ ჯერ არც ისე დავარდნილა თემურ აჯბა, რომ თავისი წილი სამართალი ვერ გაიჩინოს.

ეს ბოლო სიტყვები მუქარაგარეულად თქვა. ჩამქრალი ჩიბუხი საფერფლეზე გადმოფერთხა და ახალი აღარ გაუწყვია. ჩიბუხს ღონივრად ჩაბერა და ჯიბეში ჩაიღო.

— განცხადება დაწერილი გაქვთ? — ვკითხე.

— კი. კანცელარიაში დამატოვებინეს, თუ არ დაქარგულა. როგორ იქნება ჩემი საქმე? — შიშით გამოძხვდა.

— წაბრძანდით და პარასკევს, თუ არ შეწყუბდებით, გამოიარეთ. თემურ ბატონო. კიდეც რომ გადამაყოლონ ტაიფ აჯბას საქმეს, იცოდე, ისე გადავწყვეტ, შენ რომ გინდა.

— თავმჯდომარე?

— მე ავტუსენი ყველაფერს. შენ ფიქრი ნუ გაქვს.

კართან ყოჩაღად შემოტრიალდა, ორივე ხელი ჩამავლო მხრებში, ჯერ თვალებში ჩამხვდა, მერე მკერდზე მიმიკრა და მხარზე მაკოცა.

— ვაჟკაცი ყოფილხარ.

ცრემლი უბრწყინავდა წაქისფერ თვალებში.



მარი, მარი, მარი...

შეზარბოშებულ კაცს რომ ძალად სერიოზული სახე აქვს, გამწყალი კაცის ნიღბით რომ ფარავს სიმთვრალეს, ცუდი სიტყვა არავინ მკადროსო და ირგვლივ მყოფთ ზედაც რომ არ უყურებს, ხომ გინახავთ? სწორედ ასეთი სახით შემოვიდა სინათლის წრეში მაღალი, ცხვირპაქუა, ქერა, გამხდარი კაცი და შორიახლო, თავისუფალ შეზღონგთან გაჩერდა. ჩემს გვერდით მზეს მიფიცებელი, იაპონურქუდიანი კაცის ხანშიშესულმა ცოლმა თადარიგი დაიკირა; ქმრის ნიფხავს სტაცა ხელი და შეზღონგზე მოისროლა. აქაოდა, ნურას უკაცრავად, ორივე საწოლი დაკავებულნი გვაქვსო.

ზღვაზე, რასაკვირველია, ტევა არ იყო.

ახალმოსული ყურადღებას არავის აქცევდა. გაქვავებული სახით ზღვას შესცქეროდა. ილიაში ამოჩრილი, გახეთქილი გახვეული ნივთი ერთგულად ეკირა. ხელეები მკერდთან ჩაემწყვდია და პირმოკეშული, ფეხებგაფარჩხული (ნიავზე ლერწამივით ქანაობა რომ არ დაეწყო) სიიმედოდ იდგა.

კარგა ხნის შემდეგ შეზღონგს ერთი მოხედა. პრეტენზიული კაცი არ გახლდათ და ხის ნარის ძებნა არ დაუწყია. სადაც იდგა, იქვე გაიხადა. გახდის დროს ზღვას თვალს არ აცილებდა. უწესრიგოდ მიყრილ ტანსაცმელს რამდენიმე კენჭი დაადო და ზღვისკენ გასწია. მხრებში ისე იყო აწურული, რომ ბეჭები თავს ლამის ასცილებოდნენ, გასაფრენად გამზადებულ მიმინოს ჰგავდა. რაღაც ჩაიბუტბუტა, ერთბაშად მოსწყდა ადგილს და წყალში შედგაფუნდა. ეტყობა გრილი ზღვა ესაიშოვნა, ამოტრიალდა, პირიდან წყალი გამოუშვა და მხარული მოუსვა. ასეთი მხარული მხოლოდ დიდი მდინარის პირად დაბადებულებმა იციან. იგი სპორტული თვალსაზრისით დიდი ვერაფერი შეილია,

მაგრამ სანახავად ბრასის სტილზე უფრო ლამაზი გახლავთ.

გუშინ მთელი დღე წვიმდა. ზღვა ჭერაც არ დამცხრა. მოსამკალი პურისხელა ტალღებს მოაგორებს და თეთრი ქაფით მოუწყენლად ფერავს ნაპირს.

შორს შესცურა. წყალთან შეთანამებული ჩანს. ტალღას ხან თავზე მოექცევა, ხანაც ხელწაწვდილი გაუწყება და მკერდზე გადაივლებს. ზვირთებში საეჭვოდ დიდხანს რომ გაუჩინარდა, ჩემს მეზობელს გულმა არ მოუთმინა და მშველელ-მეთვალყურესთან გაიქცა.

მშველელს არც ამჯერად გაუხდია თავისი განუყრელი თეთრი შარვალი და ალუბლისფერი კვართი. ხვეწნა-მუდართით დაიყოლია „გართული“ მოქალაქე და ნაპირისაკენ აქნევიანა პირი.

უფრო მეტად აღმოჩნდა მთვრალი, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

მოვიდა და იაპონურქუდიანის შეზღონგის კიდზე ჩამოჯდა. ჩქარა სუნთქავდა და ციებიანივით ცახცახებდა. წაწვეტებული ბეჭები და დაკუნთული ზურგი ისე მკიდროდ შემოკდობოდნენ გულმკერდს, რომ უკნიდან რომ შეხედავდი, კუ გაგახსენდებოდათ.

ზღვას მიჰქივნიებული, ბატის ქუქის ლინლივით ყვითელ და სიფრიფანა თმებზე უდიერად ჩამოსვიამდა ხელს, ძლივსგასაგონად გაგზავნიდა ვილაცას ჯანდაბის იქით და სახლდამწვარივით ამოიხზრებდა.

ბოლოს და ბოლოს, ცოტათი რომ დამშვიდდა, ცოლ-ქმარს გადახედა. წამოდგა და გაიარ-გამოიარა, ეტყობოდა, ეს ადგილი მაინცდამაინც არ მოსწონდა, მიდგა-მოდგა. ერთი პირობა მეც მომაჩერდა. მაგრამ არც მე მოვუვედი თვალში. ისევე ძველ ადგილას ჩამოჯდა და პირალმამწოლ იაპონურქუდიანს, რომლის ცისფერი თვალების, კუპრივით შავი თმისა და თეთრი პირისკანის მიხედვით მის სადაურობას ვერა და ვერ გაარკვევდი, გამეტებით ჩასძახა:

— რას იზამ, რა შენი ბრალია, შენ ხომ სხვანაირად არ შეგიძლია. ასე გაგზარდეს. სისხლში გაქვს უკვე სიკვლევა დასული!

ციხურთვალეებიანი წამოჭდა, ხელე-ბი უკან დაიბიჯა და დაუბატივებულ მოქალაქეს პირდაღებულ მიაჩერდა.

— რას მიყურებ, შენ სხვანაირად ხომ არ შეგიძლია. ასე მიგაჩვიეს. ყოფის ცერბერად მოგამზადეს. შენთვის არ უსწავლებიათ, რომ არსებობს რომანტიკა. არსებობს წუთები იმ ბაწრის მიღმა რომ გექაჩება ზოგჯერ, ჩვენს ცხოვრებას ჩვენ თვითონვე რომ შემოვავლეთ. ამიტომ შენ, — ფხიზელი მოქალაქე მოწოდების სიმძლავრე უნდა იყო, კაცმა გაზონის ყვაილი მოწყვიტა, კაცმა წითელ შუკზე გაიარა. კაცმა ავტობუსში გააბოლა, კაცმა ბაიარას იქეთ გასცურა — დაიქცა ქვეყანა! შენ მაშინვე მილიციას უნდა აცნობო. აბა რა. ეს შენი მოქალაქეობა-რივი ვალია!

— კი მაგრამ, თქვენ... — სიტყვებს ეძებდა ჩემი მეზობელი.

— ვალოდია! — კატეგორიული ტონით უთხრა მეუღლემ და იაპონურქუდიანი მაშინვე დადუმდა. დიდი ხნის ერთად ცხოვრების შემდეგ ცოლ-ქმარს შორის ჩნდება გაგებინების ახალი საშუალება, რომელსაც პირობითად მინიშნებითი ენა შეიძლება დავარქვათ. ეს ენა მხოლოდ და მხოლოდ ცოლ-ქმარს ესმის. აქ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. იგი ხშირად მთელ ფრაზასაც კი გამოხატავს. მაგალითად. ამ შემთხვევაში ცოლის მიერ კატეგორიულად ნათქვამი „ვალოდია“ აღმათ ნიშნავდა: „რას ელაპარაკები, ხომ ხედავ მთვრალია. ჩხუბი და კამათი გვინდა ახლა ჩვენ? ადექი და გავრიდე. რომ აღარ დაგინახავს, სხვას დაუწყებს კუთის რიგებას. მთვრალია ახლა ეგ და ხომ ხედავ, ენა ექაება“.

სანამ მთვრალი ქაჩანებდა, ვალოდია შეუმჩნევლად გაიპარა და ჩვენს უკან ერთადერთ თავისუფალ საწოლზე თავდალაშა გაიშობა.

კარგა ხანს ილაპარაკა „რომანტიკის

მოყვარულმა“ მოქალაქემ; ჩემთვისო, გაპარულ თანამოსაუბრეს უნდა უკვირდებო, ზღვა სულ სხვა რამეა, შენ ამას ვერ მიხვდებიო. სამი ათასი კილომეტრიდან იმიტომ კი არ ჩამოვსულვარ, წყალში შესვლას შენ მიშლიდო. მამისისხლად მაქვს ნაყიდი ეს ზღვა. ეს სიამოვნება, ამითსავით (ჩვენსკენ მოათითა) ნაქურდალი ფულით კი არ ჩამოვსულვარო. ესენი მშვიდად იმიტომ წვანან მხარეთმობე, რომ არსად ეჩქარებათ. მე კი დღეს უკანასკნელი თემნიანი დავახურდავე და ხვალ თუ არ მოვესვი აქედან, შიმშილი მეღისო. დახედე ჩემს ხელებს და დარწმუნდები, რა კაცი ვარ მეო.

მაგრამ „ხელებზე დამხედავი“ ადგილზე რომ არ აღმოჩნდა, კაცი — მიმინო ერთბაშად დადუმდა. სასოწარკვეთით მიმოიხედა, წამოხტა და ყავისფერ ზურგებს შეერია. მალე იპოვა კიდევ ვინმე ეძებდა. უცერემონიოდ ჩამოუჭდა შეზღონგზე და მთვრალი კაცის ლულულით აუწყა:

— ზღვის ფასი შენისთანებმა არ იცინა. შენ ისეთი სახე გაქვს, რომ ერთხელაც არ აგირევია შენს ცხოვრებაში. კარგია ხომ წინდების ყოველდღე რეცხვა, რძიანი კაკაო, დილის პრესა. განტვირთვის დღე კვირაში ერთხელ. კარგია ხომ, კარგი ცხოვრება? არ დაიჯერო, ეგ ამბავი. მოტყუებული კაცი ხარ შენ. ზღვაში შევედი ცოტა ნასვამი. იცი, რა არის ეეს? არ იცი! ექვიდავები ტალღებს, გეფერება ზღვა. ტანზე თავის ლურჯ ხელებს გხვევს და ილიაში გიღიტიწებს. დავმხრჩვალაყავ თუნდაც, დაიქცეოდა ქვეყანა? ვინ დაგაწმუნა შენ, ასეთ სიკვდილს, ზღვის თბილ ტალღებში სამუდამო მიძინებას, ათი წლის მერე ინფარქტიანი კაცის ღამის კოთანზე ჯდომისას სიკვდილი სჯობია? ვინ დაამტკიცა ეს?

— ღმერთი არ გკლავს ჯერ და მალე იკლავ თავს? — ცას უთხრა იაპონურქუდიანმა.

— ვალოდია! — წელანდელზე უფრო კატეგორიულად განუცხადა მეუღლემ. ვალოდია წამოდგა, ბეჭებზე პირსა-

ხოცი დაიფინა, გამობრუნდა და მეუღლის გვერდით მორჩილად წამოწვა.

მთვრალი, რასაკვირველია, თან მიჰყვა.

— შენ ჩემი სიყვარულით არ მოგვლია ეგ ამბავი. სიამოვნებით გამგზავნიდი ახლა ცხრა ზღვის იქეთ, რომ შეგეძლოს. შენ გული დაგწყდა უბრალოდ. რანაირად ხდება ეს ამბავი: კაცი თავისუფლად დანაგვარდობს ზღვის ტალღებში, ვინ მისცა ამის უფლებააო?! ჩემი თავისუფლება გაგიყვარდა და შეგეხარბა, ცოტა არ იყოს. ამიტომაც უხმე მ-შ-ე-ე-ლ-ე-ლ-ს! რატომაც გინდოდა ჩემი გადარჩენა, ხომ ვიცი მე. რომ დავიხრჩვებოდი, აქ არეულობა შეიქმნებოდა, ხალხი გაიქც-გამოიქცეოდა. სასწრაფო დახმარება და, მილიცია გაჩნდებოდა. არ გიყვარს მწუხარე სურათების ნახვა, გუნების გაფუჭებას მოერიდებ, თორემ ჩემი სიყვარულით არ იკლავ თავს, მაინცდამაინც, ხომ ვიცი მე. ფეხებზე გედივარ, მორჩა და გათავდა. დიდი ზღვარია ჩვენს შორის. შენ სულ სხვა აღამიანი ხარ. სხვა აღამიანები გაჩნდით, სხვა კვერცხიდან გამოიჩეკეთ. ამ ათასკაციან პლაჟზე უსაშველოდ ბევრნი ხართ თქვენ. ბევრნი ხართ და ძალიანაც გვაფიწროვებთ. ამოგვივედით ყელში უკვე. სიმართლე თუ გინდა, ეს არის!..

— ჩადი ბატონო, ასევე გიქნია, ისე „გიბანავია“, რომ შენი ბურღლა ვერ ეპოვოთ! — მოთმინების ფიალა აევსო ვალოდიას.

— ვალოდია! — დაუყვირა ცოლმა. ვალოდიამ იაპონური ქუდი მოიხადოდა. კენჭებზე მოისროლა, ფეხსაცმელს მსკდა წვდა და ცოლს უჩურჩულა:

— ჩაიცვი! წავიდეთ აქედან.

მთვრალი მოქალაქე კვლავ ქაქანებდა, ცოლ-ქმარი მისი ქადაგების აკომპანემენტზე გამალებით იცვამდა, გასასვლელამდე მისდია ლურჯი ზღვის მოყვარულმა თითქმის სირბილით მიმავალთ, კარებთან გამეტებით რაღაც ჩასძახა ორივეს, პასუხად მეუღლენი ერთბაშად შემოტრიალდნენ და არამკითხე დამრიგებელს ენა გამოუყვეს.

ცოტა ხანს უმიზნოდ იჯდა ვალოდია შეზღონგზე და ზღვას გაჰყურებდა. ბოლოს წამოდგა, ფეხზე ჩაიცვა, ტანსაცმელი ილიაში ამოიჩარა და პლაჟს ჩაუყვა. მიდიოდა წელში წახრილი, ბარბაციით, მაგრამ ჯიუტად და საქმიანად.

• • •

სამი საათის შემდეგ ისევ გამოჩნდა. ნებტუნის დღესასწაულის აურზაურში მოხვედრილიყო. ოთხ „ზღვის ლომზე“ ამხედრებული „ურა, ურას“ ყვირლით მოარღვევდა ნაპირს.

უკან ცისფერი ტანტრევეანით წვეროსანი ნებტუნი მოჰყავდათ.

ირგვლივ სირინოზები, ორფეხა მელტუზები, ზღვის ანგელოზები და ეშმაკები დაშლივინებდნენ.

## რევაზ ასაძვი

ცნობილ ოს პოეტს, რევაზ ასაძვს დაბადების 60 წელი შეუსრულდა „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

## ოსეთო ჩემო

ოსეთო ჩემო, სიმღერას ვბედავ  
 და წრფელი გულით გიძღვნი, გეთაყვა,  
 ტურფა მხარეო, დევგმირთა დედავ,  
 შენ ხომ შენ შვილთა გულის ფეთქვა ხარ!

შენ მიწიერი გვყავხარ მნათობი,  
 თერგის ზათქიან ტალღათა ჩქერა,  
 მაგ შენს მწვერვალებს, თეთრად დათოვლილს,  
 შეიღ ფერს მოსტაცებს თვით ცისარტყელა.

შრომის ფერხულში ძმადშენაფიცო  
 უმღერ დიდებას, ცამდე აყვანილს,  
 შენ ისე ამკობ პირს დედამიწის,  
 როგორც გმირის მკერდს — ჭილდო მაღალი!

## საიღუმლო

მალავს პაწია გულმკერდს  
 და მოციმციმე თვალებს,  
 თითქოს არავის უჩენს  
 სიტყბოებას და აღერსს.

საცოლო ბიჭებს მასზე  
 შორით უჭირავთ თვალი.  
 მისი ღიმილი ფასობს,  
 ვით უკვდავების წყალი.

დაატრიალებენ თავზე,  
როგორც მიმინო — ქედანს.  
თითქოს ვერავის ამჩნევს,  
ისე კი უველას ზედავს.

გამართულია წელში,  
როგორც ფანდირის სიმი.  
ნეტავ ვის ზედება ეშხით  
მისი თვალების სხივი?

ვატკაცების წინ დადის,  
ვით სათოფეზე შველი.  
ჩამოდნენ მისი დარდით  
და ვერაფერი შველით.

მას კი არც დარდი ახსოვს,  
არც სიყვარული მათი.  
რამდენი ელის პასუხს,  
რამდენი გოლიათი!

რამდენი ნატრობს თურმე  
იმის ღიმილს და ალერსს!  
მაღავს პაწია გულმკერდს  
და მოციმციმე თვალებს.

საიდუმლო აქვს გულში  
და გულის კარებს ეტავს.  
ო, ამდენ სიყვარულში  
ვის ამოირჩევა ნეტავ?



## მიყა და ვანო და ზიფელი, ხე

(ალმაგორული ესეი პროზაზე)

ვანომ იცოდა, ძალიან ბოლოს, ქვის მზიდავივით რომ მოკვდებოდა — აი ისეთი საქმე ჰქონდა, ეპ. რატომღაც ძალუზად გამწვარებული მზის ფიცხ გულზე, ის, შორი მონა, გამოსაფიტი, უძლურებამდე ამოსაწეწნი ვანო, მთლად ახალ-ახალ და ვრცელ კლდეთაგან, სამი მთავარი თითით ვაეებით გამოჩორკინილ ვეება ლოდებს ეჭიდებოდა მერე და მერე, დაუნდობელი ჯაჭვის უხმო ჟღარუნით მთაზე აჰქონდა ჯერ მცირე კენჭი, მერე, თითქმის ქვა, შემდგომ და შემდგომ, თანდათანობით, მოზრდილი ლოდი, და აი, ბოლოს, იცოდა ესეც, რაღაც ვერაგად აუტანელ სიმძიმეს, მხრებში სადგისად ჩამფლობსა და დამმწივებელს რომ უნდა შეეჭიდებოდა. იმ-სიმძიმეანს, წერაატანილს, ზედამხედველნი და მოთვალთვალენი აჰ, ბლომად ჰყავდა. ჯერ მხოლოდ ბორცვზე რომ აიტანა პირველი კენჭი, ძველ წესისამებრ მაშინვე დაბლობისაკენ უნდა დაეგორებინა. მცირე რამ ტანჯვა სიხარულით მიხტუნავდა ქვევით, და ვანოსეულ ამ წვალებას კი მკრთალი ღიმილით დასცქეროდნენ და შიადვენებდნენ ჯერ უბოროტო თვალს ზედამხედველნი და მოსიერენი: მაგრამ კენჭს ერთი თვისება ჰქონდა — დაღმართში ახალ

ტვირთს იმატებდა, მძლავრი წებოვანი სურვილით შეიყლენთდა და საიმედოდ რომ ჩაიკირავდა, უფრო მძიმე და უფრო სათუო და უფროვე კიდევ, საშიში იყო. პირველხნობით რა, — პაწია ტვირთს ხელისგულზე იდებდა ვანო, მაგრამ რადგანაც თავის საქმეში ჯერ ჩვილი იყო, ეს კენჭიც, როგორც ტვირთი — ებევერებოდა, ვერც სიარული იცოდა ჯერ ხეირიანი, თან სად ეს, — მთაში; მერმე და მემრე, ახალ, უფრო და უფრო დიდ და მძიმე ქვათა დაგორებისას, ზედამხედველნი და მაქვრეტაღნი თანდათანობით ფაციცდებოდნენ, ოღონდ თხელ ტუჩებს მაგრადა ეუმავდნენ, დიდად დაძაბულ. ბორცვებამოყრილ, საცოდავ, ძლიერ ზურგზე როცა შეჰყურებდნენ და მერე კი, ქვის დამგორებულსა და დაღმართში ჩამოანლოებულს, ვითომცდა დიდსულოვნური, მპატიებლური ღიმილით შესცქეროდნენ იმისი თამაშობისთვის და. თამაში იყო? — მტერს და მაწყვეთარს! მაგრამ კი, ღირდა, ძალიან ღირდა... ვანო ისე-რა. ცხოვრებაში (ქუჩა, ტრამვაი) რომ შეგხედროდათ, ვერც იფიქრებდით. ასეთი რთული ხელობა თუ ჰქონდა, ხელოვნებათგან ალბათ პირველი; თუმც მწიფიერი, მაინც ზეგარდმოდ

ვახლდათ ნაერთი თავად მუსიკის, თვით პოეზიის, ფერწერის და არქიტექტურისა, ხოლო ზემოდ მაშინ ხდებოდა, დიდ, უზარმაზარ, ფერადოვან ქანდაკებად თუ აგოროზდებოდა, როგორც „სალამბო“, მაგრამ ეს ჩვენთვის, აღფრთოვანებულ მკითხველებისთვის და აბა, ერთი, ავტორისთვისაც გეკითხათ — რასი გლეხი, რისი მუშა, ვინ კატორღელი... — ყველაფრობაზე, მძიმე იყო.

ვანოსაც, ზიდვა, და ზიდვა, ზიდვა... ვინ რა იცოდა ქვის წიაღისა, მაგრამ კლდე შიგნით ალბათ თბილია, სიგრილე ისე გამოაქვს გარეთ და სხვაფრივ კი, ტანჯვა, ვანოსეული, ხელ-არეულთ, გრაფიკულად სრულდებოდა, შავი მელნით, და თუმც არაფერია მელანზედ იფიქრი, რაღაც გროშებად ნებისმიერ გამწარებულ მკლაბნელსაც კი მთელ გრძელ წელიწადს თამაშად ეყოფა, მაგრამ მაინც ვედრებიანი შეფრფინით ხარჯვასა და წვას მოითხოვდა, მაგრამ ვერაბა ვერ დასწვავდა იმ დიად, ბოლომდე მარად ვერათუთისებულ გასაოცრებას, წინ, მაგიდაზე, თეთრად რომ ედო, აჰ, ახლდა როგორ, თავივანისცემამდე, გაუნელებლად დიადი შიში, რადგან არაფერია აბა ქვეყნად ქალაქებზე მეტად უძლეველი, თუმცა რა არ უკადრებიათ; ტანჯვას ითხოვდა, რაღაც ორიოდ, ოღონდ ნაღდ სიტყვასაც კი წვითა და დაგვით თუ შეიზავებდა, ვანოს სუთავიდანვე ძალიან მოსწონდა აეს გამოთქმა — „წვითა და დაგვით“, ემაშინაც კი როდესაც ბიჭმა არც იცოდა, სიტყვა „დაგვა“ რომ შანთით მოსუსხავს, საბას მიხედვით, ნიშნავს; ეეჰ, ვის როგორ, ამ ვანოს კი, ხორცზე მეტად სული სტკიოდა და სწორედ სული ეფლითებოდა ე, იმა მსუსხავი შანთით, პროზა რომ ჰქვია და ამ სიტყვიდან კი წაიშობოეტო ელემენტებმა შექმნეს გამოთქმა „პროზაული“, იცოდნენ კია, ლეკვთაპირებმა, ვანოსთანების მოსალოდნელი აღსასრული? გაუსაძლისი, ვეება ლოდით პირქვე დაცემულს, გამსრესი ძალა მხრებზე, კეფაზე და, ლოყით ღორღში... ნი-

კაპქვეშიდან კი, შესამოწმებლად, ძალიან არა, მაგრამ საკმაოდ ამორტყმული ჩექმისა კვინტი.

1.

ნეტა პირველად, სუ-სულ პირველად, სად ნახა იგი — ქალად მიაი? ალბათ იქ, კლდეზე მიბჯენილ ქოხში... მაშინ ივანე სოფლელი იყო და რაღაც უჭირდა. კაცები ხომ რა, მკითხავთან იშვიათად დაიარებოდნენ, სხვა სოფლისასთან — განსაკუთრებით, მაგრამ, გასაჭირი, მოგვხსენებათ... თანაც, წაწალი ისე შეუჩნდა, ფერებების ეამს, ივანეს „კარგი ო“ წამოაღულღულღებინა და, მაშინ ივანე განა ისეთი ბიჭი იყო, სიტყვას გადათქომდა? — ღამით მივიდნენ... ბნელა იყო და, ტყისპირს იყვნენ და, იმა უცხო სოფლის განაპირას, რა იცი, რა არ გამოხტებოდა! და გრილი წაწალი — არც დაიჭრებთ, ჯილახათუნი ერქვა — ხეზე შესვა; ილიებბქვეშიდან ასწია, განა: წელს-ზევითურა, ივანესი იყო. მერე, ყმაწვილი მინიშნებულ ქობისკენ სულ ფეხ-აქრეფით გაეშურა, გვიანი ღამით დააკაუნა, და სხვისი ძაღლის შორეულ ყეფაში ძლივს გაიგონა ღრიკოვებიდან გამოწოვილი: „მოდი, ღიაა“.

ივანე მაშინ თვრამეტი წლის ყმაწვილი იყო, ვრცელ მიწას შიშველი ფეხისგულებით შეჩვეული, და ქალამები მთლად დაკრუნხულ კართან მიჰყარა. უჭრიალოდ რომ შევიდა იქა, ბნელ გზას დაადგა სულ ერთი ბეწო სინათლისაკენ, ძალიან დაბალ მაგიდაზე ციქქნა სანთელი ატრუნულიყო, სკამზე კი, ალბათ სამფეხა იყო, ქალი რამ იჭდა გამართული, ოღონდ თვალები იმა მაგიდის რაღაც ჯამისკენ დაეხარა და, იმ კროლანბელში წენგოსფერ ტუჩებს უცხო რაღაცებს აჩურჩულდებინებდა.

ივანე შედგა, რადგან სოხანე იმ ქალისკენ უფრო და უფრო ეგრილებოდა; სიცივე იყო თუ რა იყო, ალიცილებულ ჯამში ჩამყურე დედააკიდან გადმოდიოდა, მოსუსხულიყო ივანე, ბიჭი, მკითხავ მიაციოს თმა ჰქონდა? —

შავი... წვეტ-წვეტიანი თითები ესა? — გრძელი... იმას თვალში მშვიდ-ძლიერულად უქვიოდა რომ — როგორ გიზგიზად მუქი, შავ-ბნელი... უკან კლდე ედგა, და თავდაც, მყარი მოჩანდა? — ქვისასა ჰგამდა... და ივანეს-კენ არც აუხედავს, ისე იკითხა:

— რათ გიყვარს, ბიჭო?

— აბა მე რავი.

— აბა მე სულ არვი, — თითქოს კიდევაც ჩაელიძო, ისე თქვა ესა; დანაწვიმარით ხმა ჰქონდა.

არ უყურებდა. იკითხა, მერე:

— იმას კი ნეტა უყვარხარ, ბიჭი?

— აბა მე რავი.

— პოო, აი ეგრე, იძახე რავი და სულ წინ-წინ წახვალ.

აი აქ კიდევ, გლახურად ძრიალ გაგვიბრაზდა ჩვენი ივანი:

— მაშ შენ რილასი მკითხავი ხარ?

— მკითხავი შენ რა, მარტოსული გგონია, განა? — ცალი წარბ-ლოყა აეძაბა და ისე იკითხა, არ უყურებდა — ჩასცქეროდა, ჯამს...

— აბა მე რავი...

— ე, კიდევ რავი? — აქ ძლივას გაწყდა, მაიკომ კინაღამ არ შეხედა, მაგრამ მხოლოდღა უფრორე მეტად გაიმართა, დედოფლისეფე; თავის ცვლად თუ რა, ჯამს ერთგულებით ჩაყურებდა ძლიერ ზემოდან.

ხანდახან თითქოს ფაციცდებოდა, რას შეატყობდი, ბნელ-ბნელი იყო.

— მაშ, გინდა გითხრა, ვინ გეყვარება?

— თუ ძან გინდა, მითხარ... — გაგვიდიდგულდა აქ ჩვენი ვაკი, მაგრამ მაიკომ ყური არ ათხოვა, რალაც იდუმლად თავისაზე უფრო აფიქრდა. ჯამისკენ ძლიერ გადაიხარა, და იმა გზა-შივ შემოიცილა მუქი თავსაბური. სანთლის ჭილა კი — მთლად აიწურა და ეგრევე გატვინდა, და სანამ შავად მოქნილი კლდისპირა ქალი რალაც სითეთრეს — „ფქვილი არი თუ რა...“ — ძნელ ჯამში ჰყრიდა, ივანეს კიდევ მეტად შესვივდა და ერთ ფეხისგულს მერე კანჭზე რიგრიგობით ისვამდა, მა-

გრამ შიშინი რომ მოესმა — „არა, ფქვილი არ ყოფილა ეგა...“ მთლად გახევედა და, იმ მაიკოს კი, ძლიერ გადამორკალულსა და ჯამში გავეშებით ჩამხედვარეს, სახის მკაცრია-სილამაზეზე მთლად ახალი რამ, ლველფისებური, ჰველი ამოსდიოდა, და, თმებდაფენილს, აის ჯამი ჩამოშლილ თმაზე მისცილ წვალეზად ჩამოჰკიდნოდა და სწვავდა. სწვავდა, მაგრამ მუქარით ჩურჩულებდა გრძნეული ქალი: „ამ ბიჭის გოგოვ, სად მემალეები, იცოდე, განახვ, ყველგან გიპოვი, ნეტა სად უნდა გადამეკარგო, სულ შორისაკენ ირბენ და ირბენ? — აგედევნები, ცხენით გაჰქუსლავ? — რაშით მოგყვები, ზღვის ფსკერზე ჩახვალ? — თმაში გწვდები, მააშ; დიდ კლდეზე ახვალ? — ქუსლში ხელს გტაცებ“, და უცებ შეკრთა და გაშრა და გახევედა ქალი, იმ სანთლის ალი კი აფარფატდა და კიდევაც უფრო აიწელა, თითქოს რალაცას წაეპოტინა, და მერე კი, კვლავაც ჩამოხნეკილი, როცა თავის წილ ჰაერში ბარბაციოთ ჩაქდა, მაიკო ლალად გადიმართა, მუხლზე დაირტყა ვერავი ხელი, და აქ ივანეს სუპირველად, სულ-სუ-პირველად შეხედა, მაშინ; ისე გულლიად შესციონოდა რომ, როგორ კაშკაშით აჩენდა, როგორ, თეთრადქმნილ კბილებს, იცინოდა როომ? — აჰ, სიცილით ლამის კვდებოდა, ოღონდაც უხმოდ იგულებოდა კი რა თქმა უნდა, და პირ-კატანაცემ, იმ თვალნათლივი დიდი ცვლილებით მთლად გამოჩურჩუტებულ ივანეს წვეტ-წვეტიანი თითები უღონოდ მიაშვირა. დაოსებულმა და, ძლივასლა უთხრა:

— შენ მთლად სულელი ჰყოფილხარ. ბიჭო.

— ეს ვითომ რათა... — გამეკაცრდა ივანი.

მაგრამ უცები გამეკაცრება მაიკოს უნდა გენახათ, უთხრა:

— მე გეყვარები.

აჰაქ ივანემ. ერთი პირობა დიდი გატყევა დააპირა. მაგრამ, ვეჰ, მიხვდა, ვერსადაც ვერ გაიქცეოდა.



— ყური დამიგდე, — უთხრა მაიკომ, თმას რალაც მკაცრად ისწორებდა, შემოიხვია ის თავსაბური, — ნეტავი ფეხი მოგმტვრეოდა და, აქ არ მოსულიყავ, — ათოვდა, ხმაზე, მაინც ლამაზი რამეა თოვლი... — მე ბევრი ავი რამ მიჩრევია, და მაინც, მაგრამ, წუნჯალი არ ვარ, — და შეაქკერდა, — შენ სიყვარულის რა იცი, ბიჭო, თანდათანობით, მერე გაიგებ. ძნელი იქნება.

— ძალიან ძნელი? — იკითხა ივანემ.  
— ნუ მაწყვეტინებ, ისედაც ბევრჯერ მოგენატრები.

თმაზე წაივლო აღმსრულებლური თითები, და გრძნულ პეშვში გამოიმწყვდია შავი სიმძიმე, ჯიუტი ბლუჯა, მკითხავ მაიკოს თმა ჰქონდა შავი? — ცოცხლად ჰყვანდა, და თავსაბურში ძლივს შეიმწყვდია.

აქ იმ ივანემ ხელები მომუშტა, და რაც კი შეეძლო, ამაყად ვითომ, გაიმართა და, თავის ქოჩორა თავს ვითომდაც სძლია და, უთხრა:

— ფეხებზემც მკიდობარ.  
— არა, ივანე, გულზე გკიდვიარ, როგორც... — შეჩერდა, სდუმდა, რას გაუგებდო, სევდაც ერია.

— როგორც რა... — ისე გამოშრა ბიჭი?..

— როგორც შავი ქვა, ოღონდ ძვირფასი. — უყურებდა, ეპ. — მართლა ძვირფასი, ფულით კი არა. ყოველნიარად მოგჩვენები, მაგრამ იცოდე, მუდამ დამეარგავ.

— ეს მაინც რათა... — გაიყიდა ბიჭი.

— ვერ შემიშნოებ.

— ვითომო, რათა...

— იმაზე რათა... — და აქ მაიკოს რალაც ისეთი თამაშა სხივი, თანაც ოხრული, ჩაუდგა თვალში? — მტრისას, აპ, მტრისას, და თამაშითვე ვითომც, დაეკანდა: — გაგამწაროო, ჰეე...

— ეს მაინც... რატომ.

— ხეპირ იქნები. მე კი — ოხერი.

— აქ მთლად მზაკვრულად ჩაიღიმეილა. შესცინა კიდევ: — ოხერი ვაარ, როო...

— რათა ხარ.

— ვარ და, რა გიყო, ჰა, ჩემო ვანო...

— როგორ თუ ოხერ... „საიდან იცის!“ — საიდან იცი ჩემო სხეულში...

— აკი მითხარი.

— როდის...

— არც როდის.

მაინც შავ-ბნელი, კი, დიახ, იყო. მერე ხელები გაუწოდა და:

— აბა, მოდი და, ხელისგული მაჩვენე შენი.

— რომელი.

— ეგა.

და, მაიკომ რომ ის გლებურ-კოყრება ხელისგული შავი თვალებით კინაღამ რომ მიმოუხვრიტა, წამოდგა, შეხედა, უთხრა:

— ბევრჯერ იცოცხლებ. ყველგან შეგხვდები.

რალაც ბედკრულად ლამაზი, იყო.

და მერე, ვანოს, ესლა უნდოდა? — მაიკომ კაბაში შეიძვრინა ხელი, საღლაც სხვაგან აღმოჩინა, შიგნი-შიგან ცოტათი აფათურა, და ზედატანის ცალი ნაპირი მოიშინვლა და, ლოყაზე ნახად მიიღო მხარი, უთხრა:

— ამას აკოცე.

ამ შტერმა ივანემაც, არც დაფიქრებულა, ისე გადადგა ნაბიჯი და, მხარზე აკოცა, ოღონდ თან ემაწვილქალურ მკერდზე რეგვენისებრ დასცქეროდა. მერე მაიკომ ერთ-ერთ წვეტიან, უსახელო თითზე მშვიდად იკინა, ივანეს ცალ ფეხზე დააბიჯა, შუბლზე კი თითი წელა მიაცხო — მიხვდა ივანე — სისხლი.

მუქარა იყო, თამაში იყო, თუ სევდა იყო, ანდა სიმართლე? — ასე კი უთხრა:

— ჩემით იქნები. ახლა კი წადი.

მაინც თქვა:

— რათა.

— იმაზე რათა... წადი, ივანე, ბევრჯერ შემხვდები.

ხოლო როდესაც ჯილაბათუნი ხიდან ჩამოსვა, იმან კი ჰკითხა: „მარჩიელმაო, რაო?“ — ივანემ უთხრა: „შაიძლებაო“. მაგრამ გულცივი იყო ისეთი, წაწლობაც კი არ დაუპირებია. ჰფიქრობდა ბიჭი, ჯილაბათუნმა კი, ერთხანს მხოლოდ

ბატარა მაგრამ საქმიანი კეთისა გამო თავდამკერმა, ველარ მათმინა და, შეჩერებულმა, წუნკლურად რომ ჰკითხა: „არ გცივა, კაცო?“ — ივანე მიხვდა. არა სციოდა. რალაცადრატომ. ხურდა.

— თუ გცივა, ქალო და, ჩქარა იარე.

ამისთანეებს ფიქრობდა ვანო. მოცულობის გამს. უხამსი? — პროზა...

## 2.

სანოტარო კანტორის წინ მსუქანივით რიგი დახვდა — მოსაცდელში ჯგროდ შეკრებილიყვნენ, ვინ რომლის უკან იდგა, ვერ გაიგებდი. ვანოც დადგა, რადგან დაბადების მოწმობის ასლი იმ დღეს აუცილებლად უნდა აეღო. ხალხი ერთმანეთისადმი ეკვიით იყო განწყობილი, ფრთხილობდნენ, ვინმეს არ გადაესწრო, ხოლო წინ მდგომების მიმართ შეგუებულ მტრობასაც გრძობდნენ — რას მოეთრივენ მაინცდამაინც დღეს... ვანო იდგა და, გაბეზრებას კიდევ რა უშავდა, გრძობდა, რომ ის თანდაყოლილი მონადირული გეშიც კი დაკარგოდა — სუყველაფერი ცუდად უბრალო იყო: სურათიანი კედელი, ცდა, დგომა, ცდა. ვერაფრით დაისაქმა თავი, ფიქრიც კი ძნელი იყო ასე — იძულებითად ფეხზედგომელა... კიდევ კარგი რომ, ვიღაც ყმაწვილი ურიგოდ ცდილობდა ნოტარიუსთან შესვლას, იმას საინტერესოდ უტიფარი თვალეები ჰქონდა, რალა თქმა უნდა ისეთი არა, როგორც ბებუთ ხანს, მაგრამ მაინც... ცოტათი გამოადგებოდა... იმ ბებუთ ხანის მცირე გახსენებამაც კი ააფორიაქა და გაამწარა — სად უნდა ყოფილიყო წესით, და სად იდგა. აქ რა ჯანდაბა უნდოდა. ვანო თავის მაგიდასთან უნდა მჯდარიყო ახლა და შაპ აბასზე, ბებუთ ხანსა და ყორჩიბა ხანზე ეფიქრა. ანდა მაიას შეხვედროდა უნდა. კარგა ხანს რომ გაუგრძელდა ლოდინი. სიმწრის ძაგძაგმა აიტანა — მართლა ძაგძაგებდა. განერიდა რიგს, მოშორებით დადგა და, კვლავაც იმის გახსენებაზე, წესით რა საქმეში უნდა

ყოფილიყო ჩაღრმავებული ახლა, და რა სისულელისთვის — რომ დაიბნა! — იდგა, თანაც რამდენ ხანს, დაღრმავლება მოუნდა ერთი ისეთი, იჭაურობა ჩამოენგრია, მაგრამ პირზე იტაცა ხელი. მერე იქ შევიდა და წყალი დალია, სახეზეც ისხურა, თითქოს დამწვიდდა და ისიც რომ გაიხსენა, იმან და მაიამ წინა დღით რა მოხერხებული ადგილი აღმოაჩინეს, რათა ერთმანეთისთვის პატარა ხნით მაინც ეკოცნათ. გაელიმა კიდევ და, ქუჩაში, ანდა, მთლად უარესი — საწერ მაგიდასთან ისე მოუნდა, თვალედახუტულს გააერიალა, მაგრამ უსლოდ რომ დაბრუნებულისე შინ, თამამი ცოლი — არც დაიჭერებო, ჯილბათუნი ერქვა — ნაღდად ტვინს ამოუქამდა და ტვინიანა ხომ ძალიან, დიახ, ადვილი იყო ვანოსი საქმე, როგორ არა, კი — მუხა რა ძნელი სტუმარი იყო?!

ის — ქალი იყო, ცის დედაკაცი. და ბაც პაერში ტივტივი და ცურვა უყვარდა. ოღონდაც თავის ფერადოვან ჰკვანზე... ჩვენს ჰრელ ჰვეყანას გაჩენიდან ყოველთვის ახლდა, ეგება ადრეც... ჩვენური გაგებით, არაფრისა და ყველასი იყო, მაგრამ მისი დანახვა ძალიან ჰირდა. სამაგიეროდ, თუ მოისურვებდა? — ან რა თმა ჰქონდა, ანდ რა სამოსი, თან — თეთრობდა და თან მკვინვარებდა, ეს იქა, მაღლა, ძალიან ცაში, მაგრამ თუკი ინებებდა და ჩამოგი-ახლოვებოდა? — ცვლებადობდა — ხან დედოფალი იყო ბრწყინვალე, ხან გლეხის გოგო ფეხშიშველი და ძველი ჯოხით ორლობებში თეთრ და დიდ ბატებს მიდენიდა. რალაც ეშმაქურს ლინებდა, თან. მთლად ჩამოკონკილ მათხოვრადაც შეეძლო გადაქცევა. მაგრამ ცალკე შეგამოწვდილს, ჩამოძენილი თავსაფრიდან სახე უქვიოდა ისეთური, რომ... — ვერგასაქცევი! ან ჩანჩქერის ჰვემ, გამჰვირვალე სამოსიანა, როგორ დგებოდა... იდგა, ე.პ. სხვაფრივ ხელეაწვდილი, სამოსი არ უსველდებოდა, ეს მხოლოდ თვითონ იყო სოველი, და ალბათ, გრილიც, და სახეზე

მძიმედ ჩამოშლილი თმის ნაპრალეებიდან, გიყურებდა შენ. ან რა გაქცევა შეეძლო ხოლმე, და მოფერებაც, ისე იცოდა... ნეტარი იყო. მაგრამ ხანდახან გადამალვა სჩვეოდა ისეთი, ზღებოდა სანთლით საძებარი, და, გაწამებულს, იმედგადაყრილს, ინებებდა და, დაგენახებოდა, და თუნდაც ერთხელ, ერთადერთხელ მოგჩვენებოდა, ოღონდ ნამდვილი, ბიჭი იყავ და, გადაიყვარებდი მერე... ვისაც თავისი მოწყალების ღირსად ჩასთვლიდა, თავს ევლებოდა და თანაც ყურში შევიდასწორებს ჩასჩურჩულებდა, ამოგერჩია... რომელი ერთი... იმ ერთადერთი ზემოთურა, ნადი სიმართლის პოვნას ფხიზელი თავი უნდოდა, შენ კი, ისეთი დაბნეული რომ... რატომ და ნაზი, სათუთი გახლდა ისეთი, სალუქი ისე, გამჭვირვალე და ნატიფი როგორ, დაულაგებელ აზრთა წინდანნი, ცისა — ცისფერი ბრძანდებოდა და, დამატყვევებლის შემხედვარეს, ხანდახან ისეც კი გეგონა, არავინ იყო მასავით მძლავრი... მაგრამ სხვა იყო პროზის ღმერთი!, — დიდი მეუფე!

იგი, გაროზი, — თავი და თავი კაცი იყო, მიწისა და ვერცხლის გონივრული შენახავი, ვეებად კუშტი მამაკაცი, და ხანდისხანობით სადა ტანსაცმლით გამოცხადება იცოდა ხოლმე, თუ ნამდვილ წვასა და ნამდვილ დაგვას შეგამჩნევდა და, ახლოს მიგიშვებდა. თუ, ხოლო გამორჩეულებს, ათიოდ ღერ სულს, მთლად შიშველიც დანახვებია. ტანსაცმლიანსაც კი ეტყობოდა, როგორ უნამუსობამდე ღონიერი, და თავმოუწონებლად ამაყი სხეული ჰქონდა; ისე დაკუნთულს. შიგნი-შიგანაც დაოკებული უღუღღა ძალა. მთელი არსება უზარმაზარ გონებას წაუგავდა. მრავლად დაღარულს. და უიმლონოდ და უიმგონებოდ სხვაფრივ როგორ შებედავდა გამწეე ხარად შებმას იმსიდიდო. ყოვლისგადამხნავ გუთანში. შინაურულად მხოლოდ „პროზა“ რომ ჰქვია და ისე კი ყოველი სიტყვა იმას მონებდა, და მერე რას ხნავდა ძალიან ღრმად —

ქერაც ფეხდაუდგამ. კლდოვან ნიადაგს, მისჩილი ოფლით ექონთებტად მიწად, შეკრთული სხეული, უკლამებდა ვერცხლს, უქირდა როგორ, ნაკვალევზე კი წარუშლელ დამლად რჩებოდა მისი დიდი ნატერფალები.

ცვალებადობა თქვენ იმისი უნდა განახათ. ხანდახან ისე გაცელქდებოდა, გასათიბ ველზე ბავშვივით ისე მიმობოდა, უხაროდა, თვალს, და მარადიულ კმუნვარებასთან ერთად, ჩალიმება და გულიანი სიცილიც კი, ძალიან მეტად უხდებოდა. ასე განსაჩეთ, შენიღბული ანცობები, სხვადასხვაგვარი, გამოერეოდა ხოლმე, რომელთაგანაც შეოკებული არტისტიზმი, მესხვადასხვიე გრძობის ეს ხელოვნური და სადღაც მაინც კარგი ყვავილი, კაი-ყვავილა, უფრო ბრჭყვინავდა, ხანდახან სული წასძლევდა და, მდიდრულ სამოსში გამოიწყობოდა და, მბზინავ-ელვარეს, ის ქალი, მუზა, გულის გარეთა ჭიბიდან ამოშვერილ მიხაკად ჰყავდა, და თუმც ყოველთვის აუცილებელი იყო აიმისი დინჯად, ღრმად შესუნთქვა, იგი, შემსუნთქავი, მაინც, ნიადაგ, ჭრელად დარღიანი ფიქრისა იყო.

სუყველაფერი იმისი ჭრელი საგანი გახლდათ: თუ პატიოსნად შეუდგებოდი, დაყოფილ თითებს ჩაგკიდებდა და მოგატარებდა, მალა. იმან მოფერება იცოდა ისეთი, დაიბნეოდი — ტანჭეთი. თან რა კუშტი და ამაღლებული. თანაც როგორი ღმობიერი და უხვი. მოწყალები, იყო, მაგრამ რაიმე უკეთურს. ან გულარჩატნეულს თუ შეგამჩნევდა. სხვათა სულელურ აპლოდისმენტებში, შეგაქცევდა, ზურგს.

აეს — იცოდა.

ამპარტავნობით არ მოსდიოდა. თავად ერთგული. თავისი ჯგროდანაც ამასვე მკაცრად მოითხოვდა და. თუ არ გნებავდა? — მიბრძანდი. ბატონო, ათასნაირი სხვა ხელობა და საქმე... მაგრამ ქუსლებზე ეტმასნებოდნენ. განრისხდებოდა. თუ რა — არა, მხარუკულმა გულგრილად დახედავდა მხოლოდ და აი ისიც კი არ აცოფებდა. სწორედ

ქულისმიერებმა რომ მოუხვევენ გამოთქმა „პროზაული“, მაგრამ ხანდახან, სხვათა თვალში, თვით მუხლამდე აალოლდებოდნენ და, გინდაც ასე ყოფილიყო — რა უქირდა რა, მისი ძალუმი სხეულის იმოდენა სივრცეზე, ბირკას. მაგრამ, თუ მთელის არსებით შეუდგებოდა, თუ სუმთლიანად მის მონად აღიკვეცებოდა გამწარებულად საქმიანობისა თუ მოცალეობის ეამს, გინა ფხიზელი, გინაც ნასვამი და მთვრალი, ცხადში თუ სიზმრად, მისით დაპყრობილი, მისით — ხელიდან წასული ბოდილა, თუ ერთიანად დაუთმობდი გულს, გონებასა და თვალს, და ამტანობა ქაღალდისა გეკნებოდა, ერთგულება კი — ხის, იმან მოწყალეებანი იცოდა ისეთი, მხოლოდ ზღაპრად თუ შეხვდებოდი, თუმცა ზღაპარიც — იმისი იყო. მოწყალეებებზე — ცოტათი შემდგომ, ისე კი, თავდაპირველად, თავის ასაღწევებელ წილში დაგმარხავდა და უზარმაზარ მცენარეს აღმოგიცნებდა გაბრუებული თავით ისეთს რომ, მეტისმეტად საკვირველს: ეკლოვან ტოტებს ყოველნაირი ნაყოფი ესხა, იმ ნაყოფებზეც — ცოტათი შემდგომ, ახლა კი, ამ არეულ რიგში მოხვედრილი ვანო გრძნობდა, რომ ესეც კი, უმაქნისი დგომა, აუცილებლად გამოადგებოდა როდესმე, სადაც, და თავისი საქმის გახსენებაზე, ზელ და გონებააქავებულს, აღარც ახსოვდა, იმან და მაიამ მზით გაჩახჩახებულ ქუჩაში რა მოიფიქრეს, როგორ მიზნიანად გამოიყენეს სამიოდ ქურდული წუთი — რომელიდაც მალღივი შენობის ვიწრო ლიფტში შევიდნენ და, უნაცნობო სადარბაზოში ვითომდაც ფუტად ასვლა-ჩასვლისას, სამაგიეროდ ძალიან მონდომებით კოცნიდნენ ერთი-მეორეს, გული უცემდათ.

\* \* \*

ერთხელაც ვანომ დიდი ყურადღებით წაიკითხა ძველგვერტური პროზის ნიმუშები წიგნში სათაურით „პეტეისე მესამის მონათხრობი“. ადამიანური

განზომილებით ძალიან დიდი ხნის უკან (ასე, ჩვენამდე ლამის XXIII-VI საუკუნეებში) ქვებზე, პაპირუსებსა და ხის დაფებზე დაწერილმა ამბებმა ძალიან დააინტერესა, ოღონდ ავტორების ფარაონისადმი აშკარად მლიქვნელური დამოკიდებულება (ყოველ ხსენებაზე აღდგურებულდნენ) ნამდვილად არ მოეწონა. იცოდა, შუა საუკუნეებში და უფრო ადრეც, ვთქვათ კართაგენში, ძლიერ რომ იყო გავრცელებული ადამიანთა ეს სისუსტე, მაგრამ მაინც დასწყდა გული — „როგორ, მაშინაც, კაცო?“ — გაიფიქრა. რამდენიმე ტექსტი კი მართლაც მეტად საყურადღებო იყო, მაგრამ ერთ ამბავს, თანაც წიგნის შესავალ წერილში (შესავალს ყოველთვის სულ ბოლოს კითხულობდა) მოყვანილს, კარგად ვერ მიხვდა: თურმე მეხუთე დინასტიის ერთ-ერთი ფარაონის — დე, იყოს იგი დღეგრძელი, უვნებელი და სალი — ერთ-ერთ ვაზირსა და ამავდროულად სამშენებლო საქმეთა მთავარ აღმსრულებელს, უაშპტას, თვით ფარაონი — დე, იყოს იგი დღეგრძელი, უვნებელი და სალი — ოჯახიან-ამალიანა სწვევია და სამშენებლო სამუშაოები დაუთვალეირებია. მერე კმაყოფილება გამოუთქვამს და უაშპტასაგან მადლობის სიტყვები რომ ვერ გაუგონია, გაკვირვებისგან მოტრიალებულა კიდევ და რა დაუნახავს — უაშპტა რომელიდაცნაირ წაქცეულ მდგომარეობაშია. ფარაონის — დე, იყოს იგი ჯანმრთელი, უვნებელი და სალი — ბრძანებით გულშეღონებული უაშპტა ფარაონის — დე, იყოს იგი ჯანმრთელი. უვნებელი და სალი — სასახლეში სასწრაფოდ წაუღიათ, მაგრამ კარის მკურნალების დიდი მცდელობის მიუხედავად, გონს ვეღარ მოსულა და გარდაცვილია.

ნუთუ, ლელავდა ასე?

მაგრამ გაცილებით საკვირველი ვანოს აღეღვება იყო. ისეთი მწვავე ცნობისწაილილი აღეძრა, ვეღარ გაიუფჩა და საღამო ხანს ნაცნობ ეგვიპტოლოგს მიადგა. სხვაგვარად არ შეეძლო, რადგან



იმ ამბავში თან რაღაც ყოვლად ამოუცნობი და თანაც შინაურულად იღუმინალი რამ ისე ძლიერად მოელანდა, თითქოს ნაცნობმა ჩხვლეტამ შიგ გულში უწია. აფორიაქდა, მოკლედ. ეგვიპტოლოგი, ვანოზე ბევრად ასაკოვანი კაცი, მრავალი საიდუმლოთი მოსილი სპეცი-ალობის მიუხედავად, შედარებით გულ-ლია იყო, თუკი საქმე ძველ ეგვიპტეს არ შეეხებოდა. აგრეთვე სხვადასხვა თარიღები ბევრი და კარგად იცოდა. სტუმრის მოსვლა გაეხარდა, მაგრამ ეტყობა, იმ დღეს თავისი ბუნდოვანი პერიოდი მობეზრებული ჰქონდა: უაშ-პტას თავგადასავალი რომ მოისმინა და ვანომ იმ ამბის უფრო წერილად გა-ცნობისათვის შესაბამისი ტექსტი რომ სთხოვა, აბა, რად გინდაო, უთხრა, სწორედ ასე სწერიაო იქ, არაფერიაო სხვა, და ეტყობა უაშპტა ჭალის სახე-ლი ეგონა ან სულაც კარგად არ უგ-დებდა ყურს. რადგან ბოლოს დააყო-ლა, ეგზომი სიძვის დიაცები ბლომად ჰყავდაო სახელოვან ეგვიპტეს; მერე ადამიანურად ამეტყველდა და ცდი-ლობდა, როგორმე თანამედროვე ამე-რიკელი მოთხრობების ავტორებზე ჩა-მოეგლო და აეგო სიტყვა, ალბათ რო-მელიმე კრებული ახალი წაკითხული ჰქონდა, ვანო კი ისევ უაშპტას უტრი-ალებდა. საწადელს ვერცერთმა მიაღ-წია და ბატარა ხნით დადუმდნენ. მერე მასპინძელმა შინაური ლიჭიორი და ნუ-ში გამოიტანა და იკითხა:

- ჭილახათენი როგორ ბრძანდება?
- კარგად. ძველ ეგვიპტეში რა რო-გორ იყო...
- როგორ რა როგორ იყო...
- აი. ვთქვათ... — ჩაფიქრდა ვანო, მაგრამ აღარ აცალეს:
- ბავშვები როგორ არიან?
- კარგად. კარგად.
- ჯონ სტაინბეკი ნობელიანტია?
- არ ვიცი. მგონი...
- როგორ არ იცი... ლიტერატორ-მა კაცმა... — გაიოცა მასპინძელმა და მოულოდნელად რაიმე დეტექტივი სთხოვა.

— რა? არ მაქვს...  
 მერე კი, სადარბაზოში, სხვა რაღაც დეტექტივი უნდა. — თავის-თვის გაიოცა ვანომ. — ისედაც ძველ ეგვიპტეში არ მუშაობს?"

3.

მაინც რა იყო აი ეს მიწა, ვანოს ზედ-მეტად დაღარული ფიქრიც წამოუვლი-და ხანდახან: ადამიანი ხომ ხორციც იყო და, რა ზრდიდა — მიწა... სხვა სულიერთა ხორციეულიც ხომ მიწისგან იყო — თხა, ძროხა, ცხვარი, ბატი, ქა-თამი, ღორ-ინდაური. ვთქვათ, — „რა-ებსა ვფიქრობ!“ — აკი სულ ბალახი-თა და მარცვლეულით, მიწის ამომზე-ურებული წიაღით, იკვებებოდნენ. სხვა ცხოველებიც რომ აგველო, მტაცებლე-ბი მაგალითად, იმათ საზრდოდაც მიწი-სეულობა გამოდიოდა. ოღონდ გზადა-გზა ბალახძოვია ოთხფეხთა წყალობით გარდაქმნილი და — „რა სისულელეა, ფიჭ“. — გამამსუნაგებელი. და დედა-მიწის ზედაპირზე წყალი თუმცა ბევ-რად მეტია. აესეც, წყალიც, მიწისა იყო. მის გტოდ შიგანში რა თვალსაჩინოდ მიწით აღზრდილთა — უნაყოფოებს რომ ეძახიან, იმ ზეთა დიდი ჩრდილე-ბის წყალობით დაცული და შემონა-ხული და ოკეანეც, მოგვსხენებათ—„ეს რა ამიტყდა!“ — მუდამ ფსკერზე ძევს. და მიწაზევე იღო მთების აზიდულ მწვერვალთა თოვლი. კლდეც მიწა იყო. ოღონდ დასჯილი და, სიამაყით, ვითომ, არ იმჩნევდა — „რა მეტაკა დღეს...“  
 ეს მშვიდზე მშვიდი ჯადოქარი კი, ზე-სასწაულთა უპირველესი აღმომცენებე-ლი, მიწა: თუნდაც, სიმიონდის როგორი უბრალო მარცვლები და მერე ცხენო-სანი კაცის დამშალავი ყანა ერთმანეთს შეადარეთ და, საერთოდაც, განა ყვე-ლაფერი, ჩვენს ამა-ქვეყნად, სასწაუ-ლი არ იყო?, მიწისა და მზის როგორ შორეული კავშირით ამომქდავებული. და, ნუთუ ისე შორიშორ წვდომაში უყვარდათ ერთმანეთი მზესა და მიწას და ეს ვისთვის, ჩვენთვის? მზეს ეტ-ყობა რაღაც კაცური მოსურვილება.



ისე მხურვალედ და აშკარად დანათოდა ხოლმე, დედაშიწა კი თითქოს არ იმჩინებდა, მაგრამ დროდადრო ნეტარებისგან მაინც ჩუმ-ჩუმად იშშუშნებოდა და მზესუმზირებით ხომ, იყიდებოდა მთლად — „სულ გავაფრინე...“

ნეტა მათა რისა და რისა იყო? რას გაუგებდი, იმდენი რამ, განსხვავებული, ერთი.

ეს ახლანდელი მათა ვანომ პირველად ისეთი არეულობისას ნახა რომ... რიარია და ღრიანცელი თუ გაუყვირდებოდა, ეს აღარ ეგონა, მაგრამ ზღვისპირა რესტორნის ბაღში შესვლისთანავე, თავადაც ნასვამმა და დასათრობად აღერდილმა, ორი მონატრებული ძმაკაცი ისეთ არეულად სახელდახელო კომპანიაში დაინახა, გაკვირვებისგან შედგა. ძმაკაცებმაც მყისვე შენიშნეს და წამოხტნენ, გადაეხვივნენ, არად ჩააგდეს ვანოს ახსნა რომ სასტუმროს ნომერში ნათესავ-სტუმრები ჰყავდა და ღვინის საყიდლად, მხოლოდ ორიოდ წუთით იყო შემოსული. ამის პასუხად ძმაკაცებმა ორკოფა ოფიციატს ვანოს ნომერში ღვინო და ბლომად პურ-მარილიც გაატანეს, აგრეთვე დაარიგეს ჭიდახათუნისთვის სიტყვიერად გადაეცა რომ ვანო მოგვიანებით მივა, რადგან ერთ-ერთ მათგანს, სინამდვილეში დათვით ძმაკაცს, რომელიც ვითომ მკაცრ დიტაზედ იჭდა, მითომ შიმშილობა ნამეტანი მოუვიდა და სისუსტით გული წაუვიდა, ხოლო ვანომ იგი რესტორნიდან გაგრის საავადმყოფოში ტაქსით წაიყვანა და სტუმრებთან აუცილებლად მობრუნდებდა, გააჩნია, დაზარალებული გონს კარგად როდის მოვა. ვანოც, ნასვამი იყო და, გამონაგონი ძლიერ მოეწონა, და ეგრევე დიდი ჭიქა ბეთქა.

სუფრასთან საზოგადოება შეკრებილიყო რომ? კრელი, კრელი რომ? — გასაკვირველი, სწორედ. რვა თუ ექვსი მაგიდა შეეერთებინათ, და ვილა არ გაეწვევიანებინათ: აშკარად ერთი წრის ქალ-ვაჟთა შვიდკაციანი დასტა, მთვრალი ადამიანი შიშველი ვიოლონჩელოთი, მაგრამ ეს ალბათ ერთადერთი ინს-

ტრუმენტია, რომელზედაც სუფრასთან დაკრას არ მოგთხოვენ, ულესაშა კაცი თავისი ძალიან ფეხშიშე ცოლით, ორბ მებღვაური, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ, მოხუცი ქალი, ჩრდილშიაც რატომღაც გაშლილი ქოლგითა და მკერდზე კი აუარება სამკერდენიშინანი, დიდრუხაყ-რატომღაც-მოუხსნელი ქელი, კარგა სვამდა, სამი ლიტველი ბალერინა და ფორმიანი ვილაც კენტი ტელეგრაფისტი თუ პროკურორი.

ვანოსკენ ზურგით ვილაც ქალი თუ გოგო იჭდა და მეორე თვალბდაჭყეტელ გოგოს ფინჯანში დაღეკილი ყავის მემშვეობით რალაცას ზედმეტად მხიარულად უწინასწარმეტყველებდა — ხმა მოისმოდა მკითხავისათვის აგდებულის, შეუფერებელი. ვანოსაც, იმათი დარდი სულაც არ ჰქონდა — უნებურად ზურგი შეექცია ამ წყვილისათვის, ძმაკაცს ეუუქუთებოდა, სვამდა. მერე უცბო რამ ნაღველი შემოაწვა, ღვინისგან თუ იყო; მწვანის დააბჯინა მზერა, და უცებ მხარზე ორჭერ მსუბუქად დაუეკუნეს. მიიხედა და:

— შენ, ვილაცა ხარ, როგორ გგონია, მე აქ ვარ თუ არ ვარ. — შემოესმა და კარგად ვერც მიხვდა რა და რა უთხრეს, მაიას ისეთი უცნაური თვალბი ჰქონდა. გაოცებული მიჩერებოდა. და შეერთა კიდევ — იმას დიდზე უფრო დიდი თვალბი რალაც მოღურჯოდ უღვიოდა, მაგრამ სიცილზე რომ მოეძალა, ჭერ რალაც ყვითელი და სამეუთხა ნამცეცები აუფთქდა თითქოს და, თვალბი, ჰოიპ, საოცრებავე, სულმთლად მომწვანოდ შეეფერა და, ეს ყოველივე, თვალის პირობაზე, უზარმაზარ და მძლავრშუქა გუგამში მოხდა. მაიას კიდევ — ალბათ მშვენივრად მოეხსენებოდა თავისი ფასი, და ვანოს დაბნეულობა იყო თუ აღტაცება იყო თუ რა იყო, ისე ჭეროვნად შეაფასა. დაუყვავი კიდევ:

— რა იყო, ბიჭო, ლამაზი გოგო აღარ გინახავს? — და გაუღიმა. ვითომ ეხუმრა, მაგრამ მათა ლამაზი კი არა. ლამაზზე ისე მეტად უარესი იყო? მტრი-

სას, აჰ, მტრისას, რადგან ოდნავი სინდისი თუ მაინც გაგაჩნდა, ვერაფერს შეგებდავდი — თავისთვის უნდა ბრძანებულყო, ტყვილად. და ერთ იმედად ესაღ უნდა გქონოდა — ნეტავი კოკლი მაინც ყოფილიყო...

რას გაიგებდი, იჭდა.

— მე, თქვენისთანა, ლამაზი გოგო? მართლა არ შემეხვედრია... არა.

— მათამამებ, ხომ?

აქ მთლად გამოფხიზლებულ ვანოსაც გაეღიმა:

— რა გათამამება თქვენა გქირდებათ.

— ჰეჰ! — ფართოდ გაიციხა მიაიმ და ვანოს ახლა კბილების თეთრად ბრწყინვალეება ეცა ისეთი? — ცოტათი უკან გადაიხარა.

მერე მიაის სიცილქემ უცებ გადაუფარა, თვალები ძლიერ გაულურჯდა. უთხრა:

— იცი, იმ გოგოს რა ეუშვითხავე?

— რა...

— რომ შენა და მე დღეს ერთად გავისეირნებთ.

აქ ვანოს გულმა ერთი ცისფერი ტოტიდან მეორეზე ისკუბა, მეორეც კარგა სავსე იყრ უჩერებელი სისხლით.

— მთლად გავაგიჟე, სულ ჩვენი დარდი არა ჰქონდა? ვილაც ოხერი ძალიან უყვარს.

ის გოგო მართლაც ზედმიწევნით მოწყვნილი, სევდის ნაპირზე გარიყულივით იჭდა და თავზე სულელურად დაედო ხელი.

— და თქვენ... — გაბედა, როგორც იქნა, ვანომ. — სწორი მკითხაობა იცით?

— აბა რა... თუ არა გჯერა, — თქვა მიაიმ და სხარტად წამოდგა. — აღსდექ, გავიაროთ, ვანო.

ეჰ, რა კოკლი, რის კოკლი... კოკლი კი არა, აის ლიტველი ბალურიები ფეხშიშველნიც კი ვერ გაივლიდნენ მოსარკულ იატაკზე ისე ლაღად, ისე თამამად, არადა, მაღალ ქუსლებზე აკიმულად შემდგარი, ძაან კობტად მიაბიჯებდა, თან სად ეს — გზისპირა ხრეშზე.

სალამოს პირი იდგა, ცოტათი შეფე-

რთხილიყო სინათლე და ზოგიერთი მანქანის სულსწრად თუ ფრთხილად...

უკვე ჩაერთო შუქი, მიაის აღმათ მორიდანვე ეტყობოდა მაღალი ხიბლი, რადგან ჩავლილი მანქანებიც კი ნიჩით სხვაფერდებოდნენ — მოახლოებისას, სვლას ანელეზდნენ და შუქი ენთებოდათ. ერთი მძლოლი კი ისე დაიბნა, სინათლე გამოართო, მაგრამ იქვე გამოასწორა შეცდომა. ვილაც ოხერმა კი, ნამეტანი ქნა: სულაც გზისპირზე გადმოუხვია და მთლად შეჩერდა, ვანოს თვალი ძალიან მოსკრა მიბჭენილმა ბღღვი-აღმა; აქამდე ერთობ შემეცბარიყო, ასეთ გოგოს ათანამგზავრებულო, ახლა კი, ასეთი მკაფიო უზრდელობით განრისხებულს, ფერმა გადაუარა და მძლოლისკენ მუშტებშეკრული გაეშარია, მაგრამ რომ მიუახლოვდა, დაიბნა. შედგა — ქალი იყო, კი.

— ეგებ გადაგვეხვია, ჰა? — გაიღიმა მიაიმ.

ბამბუკის გრილ, მშრალ ტვერში სილაზე ფეხაკრეფით იმირტომ მიაბიჯებდა ვანო, რომ — შებინდება და, ზღვა და, მიაი, დასალოერზე, ცაყ უცნაურად ჩაწოლილიყო, მსუვე სიწითლე შეედუნოდა — თალხი ფერები რამ, მძიმედ ერთა.

მერე იყო და, ზედ ზღვისპირს იდგნენ, გოგო — ცოტათი წინ, და იმ ბინდბუნდშიც კი თმა ჰქონდა მზეზე გაშლილი ხორბლისფერი და, ეს ჩვენი ვანო სასოებით შესეკეროდა იმა თმის ტალღას, რომელშიაც რომ ყოველ მკაფიო ღერს რაღაც გრძნეული თავისთავადობა ახლდა, თმა ჰქონდა აი ისეთი რომ, ვანო ერთბაშად შეეკვდა კიდუც: „ხელოვნური ხომ არ... რას ეძახიან... შიონკა...“ — არა, შიონკა ნიგერიელი მწერალი იყო, — „ჰო, შინაონი ხომ არ...“ აქ გოგო ნელა შემობრუნდა, ახლა საბით ედგა და ვანომ მოწიწებით რომ აათვლიერა, იმ მოწიწებას, მიხვდა — მიაის ახლა ამ სიფრიფანა რაღაცეების ნაცვლად უხეში, გამძლე სა-მოსი რომ სცმოდა, ნაღდად თვით პრო-

ზის, თავად პროზის ხატება იქნებოდა, ნაღდად.

და მაინც, ყველაფერზე დიდ საკვირველებად მძიმე თმა უჩნდა, აუარება გრძელსიმა და, მაიაშვიტა ჰკითხა:

— მოგწონს ჩემი თმა?

— ძალიან. დიახ.

— ნამდვილს უფრო ჰგავს თუ ხელოვნურს?

— რაღაი ჰკითხეს:

— მე ხელოვნური უფრო მგონია.

— საფრანგეთიდან ჩამომიტანეს, „გუსტაფლო“ ჰქვია. მოგწონს?

— ძალიან. მართლა.

— და... — ახლა მომწვანოდ შეჰყურებდა. აცელქებული. — ჩემი ნამდვილი თმა არ გაინტერესებს?

— როგორ არა... კი! — და, წარმოუდგა: მაიას რატომღაც ძაან შავი თმა უნდა ჰქონოდა, რატომ, ვერ გაიხსენა, რატომ, ვერ მიხვდა, თითქოს სადღაცას უკვე ენახა აი ეს გოგო, ოღონდაც მწელ სინათლეზე. ამაზე მეტად შორეულ ბინდში. ვერ იხსენებდა, აფორიაქდა. გააწყვეტინეს:

— მაშინ, მომხადე.

ვანოშავ, „გუსტაფლოს“ თმაში ჩასჭიდა ხელი და ჭერ მსუბუქად აუზიდა, მერე დაასვენა — „ალბათ ძალიანაა დამაგრებელი“. უფრო მოზიდა, მერე — უფრო და. გაკვირვებული, იქამდე დაეძინებოდა. სანამ თვალებში სისოვლემომალბებულმა მაიამ უცებ ხელზე არ დაარტყა ხელი და არ წამოიძახა:

— ველარ დარწმუნდი. სულელო? შტერი...

თან მოფერებდასავით ნათქვამსა ჰგავდა, მაგრამ ეს ვანო მაინც დამორცხვებული იდგა. მაიას კი სიმწრის დიდრონი ცრემლები ვიდრემდე ისევ მბზინავ თვალებში შეეფლინებოდა, თავდასხრილი ვანო ეს უკვე მერამდნედ იტუქსავდა თავს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ველარ შეიგნო, რომ თვით ადამიანშია ყოველივეზე მეტი სილამაზე და სასწაული, ხოლო ამაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა. როდესაც, ბევრ რაღაც-რუღაცას მიმხვდარს, ერთადერთ

გამონაკლისად მაინც ეს გვეუფლებოდა, რომ ჯადოქართა ხელგერვა და სულეს-შთაბერვით ხე და ლითონი ყოველივეზე უფრო ამოდ ეღერენ, რა შეედრებოდა მთელი დუნის ამალღებულ საკრავთაგან ორ გამორჩეულს — ვიოლინოსა და ფლეიტას. მაგრამ დიადი ჭერალდინა ფერარი რომ მოისმინა, თან ვისთან ერთად — ფრიც კრეისლერთან, ანსამბლში, სადაც ვიოლინო პატივისცემითა და მოწიწებით უკან იხვედა, მიხვდა რომ, ვერაფერი გაუტოლდებოდა ადამიანის ხმას, ოღონდ ჭერალდინასთანას. და ხეს და ლითონს მაინც თავად ადამიანის მოქნილი თითები და მოთბო სულის შთაბერვა რომ ანიჭებს ნეტარ სიოცლებს, ამასაც მიხვდა, და, როგორც ჩვენში შინაურულად იტყვიან ხოლმე: „დათეშიძის ქალი, კეკელმაძის ქალი“, ამ მომღერალსაც, ძაან შორიდან გულში ისე ამალღელებლად და მაინც ახლობელივით შეჭრილს, თავისთვის, ფიქრში, „ფერარის ქალი ჭერალდინა“ შეარტყა და, შეიშინაურა, თითქოს, მაგრამ ჭერალდინა ევა, გამონაკლისი კი არა. რაღაცა უფრო მეტი იყო, და აი ეს ქალი თუ გოგო, შებინდებისასაც კი ასეთი ლალი და მრთელი. თმით — ჭერალდინა, მთლადაც — ფერარი, თვალწინ ედგა და, აი იმანაც, ჰკითხა:

— და შელებილი მაინც გგონია, არა?

— ალარ. — მტკიცედ თქვა ვანომ.

— და... — აათვლიერა მაიამ, — და, ეს ტუჩები? — თითი მიიღო.

— ტუჩები, კი.

— რატომ, ძალიან მოწითალოა?

— მოწითალოა, ძლიერ, — თავიც კი დაიქნია ვანომ.

— აბა, მოდი და, თუ ბიკი ხარ, — გამომწვევად თქვა მაიამ და უცნაურად განემზადა — ორთავე ხელი უკან წაიღო, თავი გადახარა და ის თვალები მაგრად დახუჭა, — თუ ბიკი ხარ და, ეს საღებავი მომაცლიე.

ხედ ზღვისპირას იდგნენ და ვანომ ორიოდ ნაბიჯი წარსდგა, პეშვით აიღო მოახლოებული ტალიდან მლაშე წყალი, უძრავ მაიას დაუბრუნდა. უყურა



ერთხანს, და ხიბლიანი რილით მერე, ორი თითი — საჩვენებელი და შუა, ტუჩებზე კრძაღვით გადაუსვა. აღვივებულ ფერს რა, არაფერი, ოღონდაც უფრო ამოებურცა მაიას ბაგე, რა სასოებით დასკქეროდა, და საბოლოოდ მოხიბლულმა, აღარც იცოდა რას სჩადიოდა, და არაფერივე იცოდა მესამე თითში, მეზობლებს უნებურად აყოლილმა ცერმა, რომელიც ნიკაპთან მიეზინა თავგადაგდებულ მაიას, ის თითები კი ტუჩებს შეეშენენ, ლოყას აუყვნენ; გახედნენ მერე და, ასე, ამ სამი თითით მომარჯვებულ სახეზე როგორ უებროდ ამოზიდულიყვენ მომლოდინე და ყოველივეთი დამაჯილდოებელი ტუჩები, და ვანომ მეორე ხელის ფრთხილ პეშეში რომ ჩაისვა მაიას კეფა, იძახე ახლა, რბილი და მკვრივი ერთდროულად არ შეიძლება, არ არსებობსო, მაგრამ აჰ, იყო, ძალიან იყო სწორედაც ასე, ვის-ვის და, გადაფორილ ვანოს ახლა არ ესწავლებოდა ეს, რადგან, ზღვისპირას, დაწაფებული, მაიას მკვრივ და მაიას რბილ ტუჩებს სვამდა და სვამდა; იმ სამი თითით, კალმისტარი რომ უჭირავთ ხოლმე, მაიას სახეს დიდის სიფრთხილით დაუფლებოდა და სადღაც გულის კუნტულში გახარებული გრძნობდა რომ, რომ რა კარგია ზედ ზღვისა პირას მაიას კოცნა, რომ ახლა სადღაც სვამენ, სადღაც თევზაობენ და სადღაცას კიდევ დისერტაცია იწერება დუბჰირ თემანზე და კიდევ უფრო სადღაც თავს ისიებენ მოქანდრაციანი — ლაზიერი ათამაშონ თუ კუ. შენ კი, ზღვისპირას, შებინდებულზე, ახასეთ გოგოს, მაიას, კოცნი, და რა იცოდა, ბედნიერმა, წინ რა ძნელი და ეკლის გზა ედო, აქაც კი, ამ ბილიკზე, აქეთობისას, როცა მაიას შეკითხვაზე: „როგორი ვარ, ჰე?“ — რომ წამოაყრანტალა:

— ვით მარგალიტი ობოლი.

— არა, ეგ უფრო პოეზიას ეხება, — თქვა მაიამ, მძიმედ დაყრდნობოდა ხელზე, — მე კი, წარმოიდგინე, პროზა უფრო მიყვარს.

აქ ვანო ძლიერ გაიტრუნა, ხოლო მაიამ იკითხა ასე:

— რატომ დასჩუმდით, ვანო?

— რა ვიცი, ისე.

— მე კიდევ, ვიცი.

— რა იცი...

— რომ მწერალი ხარ. უფრო სწორად, ძალიან ცდილობ.

ვანო აქ კვლავაც გაგვეტრუნა, მაიამ კი წინ გადაუდგა, უთხრა:

— კარგად შემხედე. შენ ზოგიერთებს თუმცა ცოტათი სულელი ჰგონიხარ, მე კარგად გატყობ, რომ არ ხარ.

— რაზე მატყობ...

— ნაწერზე, რაზე.

ვანოს აქ სუნთქვა ძლიერ შეეკრა:

— შენ... წავიკითხავს?

— სუყველაფერი.

— ჩემი?

— ჰო, შენი.

მერე მაიამ ისევ მძიმედ დაყრდნობ ხელზე, მხარზე მაიად მოფერებული ლოყა, მიდიოდნენ, ამბობდა:

— წავიკითხე და, ჯერ იმდენი დიდი არაფერი, მაგრამ პატიოსნად წვალობ. სწორედ ამიტომ დაგაჯილდოვე, — აქ თავზე ხელი შემოვივლო, — ჩემით. თან, მუშაობაც პატიოსანი შეგიძლია. და ამიტომაც, შენს ერთ აბზაცში, ნამდვილი წვიმა წამოვიდა. ეგ წვიმა და მე დაგვიმახსოვრე. თბილისში როგორც კი დაბრუნდები, აეროპორტში მოდი. და იქ დაგხვდები. ვითომ თბილისში ერთადა ვართ ჩამოსულნი, საქორწინო მოგზაურობიდან. სწორედ იქიდან შევალთ ქალაქში, ჰაერიდან ვართ ჩამოსულნი, ვითომ.

კიდევ რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ვანო დაბნეული უახლოვდებოდა ჭილახათუნსა და ნათესავ-სტუმრებს, რომლებსაც გაკვირვებაზე გადასცვლიდათ წელანდელი შეშფოთება და ზღვიდან მომავალ ვანოსა და მის მხარზე ლოყამიდებულ ძალიან ლამაზ. ჯერაც უნახავ გოგოს, ჭილახათუნის გარდა. პირდაღებულნი შესცქეროდნენ. ხოლო ჭილახათუნი — კარგამაგრა პირმოკმული იყო.

აწრიალებულმა, დაბნეულმა ვანომ აღარ იცოდა, რა მოემოქმედა, „ნეტავი ლოყა მაინც აიღოს, ნეტა იცოდეს... ჩემი ცოლი რომ... რანარიია...“ მაგრამ მათი ვანოიანად სწორედ იმისკენ გაემართა, და ზედ რომ მიადგა, მერეღა მოაცილა ვანოს ლოყა და ხელი, ჯიდახათუნისკენ ოდნავ უბიძგა და, იმას კი, დაქიჩმაჩებულს, უთხრა:

— გაიცანით ეს, ქმარია თქვენი.

მაგრამ ჯიდახათუნს, თვალთმაქცობა ეყო თუ რა იყო, მათი ვითომც არ შეუნიშნავს, თქვა:

— სადა ხარ, ვანო, სად დიკარგე, რომ გადაგვრიე...

მათი მხოლოდ ერთი უბრალო მაგრამ ლამაზი მოციქული იყო იმ ზეკაცისა, პროზა რომ ერქვა, მაგრამ ამ ვანოს სწორედ იგი, მათი, ხვდა წილად.

არ იყო, ვანო ბედის მაინცდამაინც უმადური. მაგრამ, ამასზე, კვემთო, და კვემთო...

## 4.

გამორჩეულად მსხვილმან ავაზაკ შაპ აბასს, რომელსაც ვერაგობაში რისი ნერონი, ვინ კალიგულა, შეედრებოდა, ყოვლად უბოროტო შვილიც ჰყოლია თურმე — სეფი-მირზა. და რადგან შაპის კარზე დაწინაურებული დიდებულები თავკაცის მძვინვარე ახირებებისას დასჯასა და, მთლად უარესი, ჩალ-მიანი თავის მოკვეთას წამდაუწუმ ელოდნენ, შიშმა გააბედინათ და სეფი-მირზას ხალათის ჯიბეში შეუმჩნევლად ბართი ჩაუდეს, სადაც ეწერა რომ, იგი, როგორც ტახტის მთავარი მემკვიდრე, მომავალი შაპი, აუტანელი მამის მოკვლას დიდებულებს ალბათ აპატიებდა, ყველაფრისა, და განსაკუთრებით კი მამის მორჩილება სეფი-მირზამ. შეტრუნებულმა, ბართი მამას აჩვენა და, დიდადაც შეცდა, რადგან შაპი თუმც დარწმუნებული იყო შვილის ერთგულებაში, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, როგორ აწყობდათ დიდებულებს მისი ესოდენ რბილი მემკვიდრის ტახტზე დასმა, და სეფი-მირზას, ამ ყოვე-

ლად — გაპრანჭული სიტყვად, მაგრამ აქ სწორი კია და — უმწიკველი — შვილის, ნიადგ მლოცველსა და აღსრბელთა მარად მოყვარულის, მოკვლევი-ნება გადასწყვიტა, და ამიტომაც მთავარი სარდალი, ყორჩიბა ხანი, უერთგულესი, დაიბარა, ყორჩიბა ხანი წარმოშობით სომეხ ქრისტიანებიდან ყოფილა თურმე, ბავშვობაში მოუტაციათ და სპარსეთში გაუყიდიათ, და, აღრეულ კაბუტობაშივე, აღმოჩენილა უბადლო მეომარი. მხიარული ბრძოლა სკოდნია, ხმლის შხივილისას, სიკვდილიან ორომტრიალში, მუდამ მღეროდა, თურმე, და შაპმა სწორედ იგი, ტყვე-ბიჭიდან მთავარსარდალამდე აღზვევებულ რომ დაიბარა და სეფი-მირზას მოკვლა უბრძანა, ყორჩიბა ხანი მის ფერხთით დამხობილა და გამწარებულს დაუჩივლია, რომ მაინც რა დააშავა ისეთი, ამგვარ საშინელებას რომ აეალებენ, რომ შაპისა და კვეყნის კეთილდღეობისათვის მთელი სიცოცხლე მუდამ აურაცხლად მოქნეული ხმლის კვეშ ჰქონდა თავი, და სამაგიეროდ შაპი ერთგულეობასა და თავდადებას იმით უხდის რომ, თავისივე სისხლი და ხორცი მოაკვლევინოს?... შაპ აბასისთვის უარის თქმა უმკველ სიკვდილს რომ უდრიდა, კარგად იცოდა ყორჩიბა ხანმა, მაგრამ, ეტყობა, შორეული ქრისტიანობიდან რაღაცა ბუნდოვნად შერჩა, და თუმც აუარება მოწინააღმდეგის ცოდვაც აწვა, ომი მაინც ცოტათი სხვა რამ იყო, სულ სხვისა მიერ — სათაყვანებელი და ბოროტი მბრძანებლის მიერ დაწყებული, და, ბრძოლაში თუ არ, არაეისი მოკვლა სჩვეოდა, შედარებით პატიოსანი კაცი იყო და, ახლაც, შაპ აბასის დავალებაზე უარის თქმა?... მაგრამ, ეტყობა, რაღაც მცირედი სხვათათვისაც კია ქრისტიანობაში, რადგან თავით შაპ აბასსაც პირი განზე უქცევია, უთქვამს: „წადი“ და ბებუთ ბეგი დაუბარებია მერე.

ბებუთ ბეგი სისხლის ავი წუნკალი ყოფილა თურმე, და დავალების სწრაფად აღსრულებისათვის მაშინვე სეფი-



მირზას შესაგებებლად გავარდნილა. სალოცავიდან წყნარად მომავალს გზაშივე დახვედრია. ჯორიდან ჩამოუსვამს. შაპის პრძანება გადაუცია. და სეფი-მირზას სიკვდილის წინ მამის დალოცვა ძლივს მოუსწრია. რადგან ბებუთ ბეგს მკერდში მაშინვე ჩამდენჯერმე ჩაუტია გრძელი, ვიწრო და ალესილი დანა.

ამას ამბები მოჰყოლია რომ? — გადასანცვიფრებელი... ჯერ ყოფილა და, შაპის მთავარ ცოლს, სეფი-მირზას დედას, აბასისათვის სილა გაუწვავს და მერე ხელუყუღმაც უთხლავს. სპარსეთში რომ მეჯოგის ცოლს ამდაგვარი გაუბედოს? — აჰ, არა, არა... შაპ აბასი კი, დიდი მპყრობელი, გაუნძრევლად მჭდარი, ღრმად დაფიქრებული დარჩომილა... — ბოროტებას, ჰე! მერე ცოლს ცხვირ-პირში ავი მუშტები დაუშენია, და მთელი სახეც დაახოკა თურმე, შაპ აბასი კი, თავჩაქინდრული. რალაც თავისას, მეტად მწარეს, ისევ ფიქრობდა. ეგებ, სამიოდ დღეში მაინც ეღიროსა მციოჩოდ შევბას, როცა დარბაზი მოიწვია და, დიდებულები ერთიანად მოაწამვლინა; მხოლოდ ორნი შემოუძნახავს — ყორჩიხა ხანი და ის ბებუთ ბეგი. მერე ყოფილა და, დღენიადაც ტიროდა თურმე, თვალები ლამის ამოეწრიტა. უბრალო სამოსს იცვამდა თურმე, და თითებიდან ძვირფას-ძვირფასი ნაყარ-ნუყარი ბეჭდები წაუძვრია, და ორი ვაჟიშვილისთვის თვალები დაუთხრევიწყებია, ერთადერთ მემკვიდრედ მხოლოდ სეფი-მირზას ბაღლი რომ დარჩენილიყო. ბებუთ ბეგისთვის ხანობაც კი უბოძებია, ოღონდ სადღაც მოშორებით გაუშვია, მმართველად, და ხუთ წელიწადს ტირილითა და ტყე-ტყედ ხეტილით ითმენდა თურმე, და იკამდე კი ერთ მეზობელ, მომცრო ქვეყანას, მანამდეც მუდამ სისხლს რომ სწოვდა, განსაკუთრებით გადამტერებია. მაგრამ ყორჩიხა ხანი სწორედ იქ მოუკლეს, თურმე, მერე კი, ბებუთ ხანის ერთადერთი ვაჟი კარგად რომ მოჩიტებულა, ხუთი წლის შემდეგ ამალიანად, და საჩუქრებით, სწვევია, და უწყინარი საუბარი

წამოუწყია, და უცებ უთქვამს: „თხოვნა მაქვს ერთი“. ბებუთ ხანს სპარსულად ჩვეულებით, ქათინაურებალსავე დადებით უპასუხნია, რომ ყოველივესათვის გაფაციცებით მზადაა და, შაპ აბასს, დინჯად ჩაუმარცვლავს: „გადი, ბებუთ ხან, და ახლავე შენი ვაჟის თავი მომიტანე“. და პატარა ხანში სხვის სისხლის წუნკალს დიდი ლანგრითა და ტირილ-ტირილით რომ შემოუტანია ერთადერთი ვაჟის თავი, დიდ შაპს უკითხავს: „ძნელი ყოფილა შეილის მოკვლა, ბებუთ ხან?“ „ძალიან ძნელი“, და ორთავე ტიროდა თურმე, და მერე, ალბათ, უცნაურობა მოხდებოდა ძალიან ერთი, მაგრამ ამახე, ცოტათი ქვემოთ, და ვანომ ისიც კარგად იცოდა, ისე ძალიან რამ ააღელვა და საპირველსაქმოდ რად გაუხდა უცხო ქვეყანაში მომხდარი აეს ამბავი: თავად შაპ აბასს დიდდედა ზრდიდა, ჩუმად ქრისტიანი, ქართველი ქალი, სეფი-მირზასაც ერია ალბათ იმ ახლომდებარე ქვეყნის სისხლი. ყორჩიხა ხანიც, დიადი მეომარი, დიდ მოურავ გიორგის, ქართველს, მოუკლავს, ის მომცრო ქვეყანა, სადაური სისხლიც შაპ აბასს ერია, საქართველო იყო და, ყოფილა ისეც, ქართულსისხლიანს გადამთიელზე მეტად სძულებია აეს ქვეყანა, საქართველო, და თვით ეს ვანოც, დღევანდელი, ვანა ქართველი არ იყო, ვანა, თან თავისი ქვეყნის მოყვარული? ამიტომაც შიადგა ვანო ამ ამბავს, ეეჰ, ძან ძნელს, რადგან პირდაპირ თუ მოდექი და იძახე: „ბოროტება ცუდიაა, სიკეთე კი — კარგია“, — ვინ დაგიჯერებს, უფრო სწორად, ვინ დაგოდებს ყურს, და კიდევ უფრო სწორად, აბა ვის შესძრავს ძახილი ესე, რადგან ამ ამბავს ხორცშესხმა, უფრო სწორად — სიტყვათშესხმა, კიდევ უფრო სწორად კი, ყელშიწამჭერი დამაჯერებლობა უნდოდა და მთლად სავსებით სწორად კი, კეთილი უნდა გენება და, წვითა და დაგვით, ბოროტებაზე ფეხის დადგმითა და გასრესით უნდა აღმოგეცენებინა ადამიანში სიკეთე: სულის დიადი. — უზენაესი წვდომის ყვავილი

ამაყებზეც, ქვემოთ, და ქვემოთ, რამდენს ვპირდებით, რაიმბავია...

5.

— ყური დამიგდე, ბიჭო, უვანშტა, — ნილოსის პირას დაუხვდა და მიმართა ცოლმა, არც დაიჭერებთ, აი იქაც კი ჭილახათუნი ერქვა, — იცოდე, მიატიტის თავს თუ არ გააინებებ, თვით ფარაონის — დე, იყოს იგი ჩანმრთელი, უვენებელი და სალი — სასახლეში თმებავაშლილი მივევარდები და სულ კივილ-კივილით გიჩივლებ, იცოდე.

— რამ გადაგარია, ყური დამიგდე, ქალო, — უთხრა უვანშტამ, ნილოსის პირას იდგნენ და იქვე წმინდანად შერაცხილი ნიანგი, ჭერ ისევ სველი, თავგვირგვინიანი, კუთვნილი ხორციით დაჭილდოების მოლოდინში, გატრუნულიყო, — ჭერ ეს ეგ ერთი, არავითარი საქმე მიატიტისთან მე არ მაქვს და, — აქ ხმას საგრძნობლად დაუწია, — დგინდაც მქონდეს, ნეტავი ვის რას ვუშავებ, არ ვიცი, ჰა?

წმინდანად შერაცხილმა ნიანგმა ყურადღების მისაქცევად თათში მორიდებით ჩაახველა. მაგრამ ჭილახათუნი გაცეცხლებული იყო ისეთი? — მტრისას:

— როგორ თუ ვის რას უშავებ, შე საზიზლარო, უსვინდისო შენ, — აჰ, თვალებს ისე ავესებდა? — აჰ... — შე უმადურო, თვით ფარაონის — დე, იყოს იგი ჩანმრთელი, უვენებელი და სალი — ერთ-ერთი ვაზირი და საალმშენებლო საქმეთა უფროსი ხაარ და, იმის ნაცვლად, საქმეს მთლიანად შესწიროთავი, მიატიტისთან წაწალში უნდა დახარჯო ძვირფასი დრო?

— მე ჩემს საქმეში, — მტკიცედ თქვა უვანშტამ, — პირნათელი ვარ, და თვით ფარაონიც — დე, იყოს იგი ჩანმრთელი, უვენებელი და სალი — ჩემით დიხაც რომ კმაყოფილია.

აქ იმ ნიანგმა კარგა მაგრა ჩაახველა, მაგრამ ჭილახათუნს იმისთვის ცხელია? მთლად გაწიწმადლა:

— ეგ რომ გაგიგოს, შე უბედურო, ნელ ცეცხლზე დაგწავის, რადგან ვაზი-

რის ყოველი წუთი დიდი ფარაონის — დე, იყოს იგი ჩანმრთელი უვენებელი და სალი — დავალებათა მტრუნსესქდას-რულებას უნდა ხმარდებოდეს.

— რამდენჯერ გითხრა, მიატიტისთან ყოფნას მხოლოდ ჩემი ჩანმრთელობის ხარჯზე ვახერხებ, — ამაყად თქვა უვანშტამ, — სხვებს თუ ათ-ათი საათი გძინავთ, მე — მხოლოდ ოთხი.

— აჰ, სხვაცა გავხდი? — გადაირია ჭილახათუნი, — და მიატიტის საქმეები — შენია და ფარაონისა — დე, იყოს იგი ჩანმრთელი, უვენებელი და სალი — სხვა? მიატიტისთან იმ შენ ღლაბუცს სწორედ ჩვენი დიადი ეგვიპტისთვის მოსახმარი ძალი და ღონე მიაქვს და, ამისათვის, გიჩივლებ, იცოდე, უვანშტა.

აქ იმ ნიანგმა ყოველად განგებ ერთი ისეთი დააცემინა, უვანშტას მოკლე სამოსის კალთები აუფრიალდა, მაგრამ სულ სამოსის დარდი არა ჰქონდა? იმ ჭილახათუნს თმაში სწვდა და, თუმცა მაგრა არ მოუზიდავს, კარგა საგრძნობი მუქარა მაინც აგრძნობინა, უთხრა:

— ვინმეს რაიმე რომ ჩაუკალო, წმინდანი ნიანგის ებაში ჩაბტენი, კარგად იცოდე.

„აგერ არა ვარ?“ — გაიფიქრა ნიანგმა და ჭილახათუნმა უნებურად მასზე რომ შეაჩერა დამფრთხალი მზერა, გული მიეცა, რომ ახლა მაინც შეამჩნევდნენ, მაგრამ ჭილახათუნმა დაფიქრებით თქვა:

— რისი წმინდანი, ყველას აბეზლებს... შენც კარგად იცი, ეგეთი ნიანგი რომ არ არსებობს.

ხოლო წმინდანად შერაცხილმა ნიანგმა აქ თავი ველარ შეიკავა:

— რამ დაგაბრმავათ, თქვეჩემანალებო, — წამოიძახა გულმოსულმა და ისევ ნილოსში, ტყლაბ.

— რაღაც ხმა იყო, — აღნიშნა უვანშტამ, ცოლს ხელი უშვა და, დაეშვებული, დიდი ქურუმისაყენ გაეშურა, რომელიც გაქვავებულად კი იჯდა, მაგრამ ბასრი, გამჭოლი მზერით; ამოჩე-

მებულ უზარმაზარ ლოდს ჭვიშიან აღ-  
მართზე სხვა ლოდებისკენ აადგილებდა.

მერე უვანშპტას მიაპყრო დაბინდული  
შხერა და ჰკითხა:

- რამ შეგაწუხა?
- სააღსარებოდ მოველ.
- თქვი.
- დიდო ქურუმო, უბაინერ, მე ბო-  
როტებას არ ჩავდიოდი.
- ვიცი.

— არ მომიპარავს, არავისი მშურდა,  
არავინ გამიძარცვია, კაცი არ მომიკ-  
ლავს, და სიკვდილით დასჯის ბრძანე-  
ბაც არ გამიკთია.

- ვიცი.
- აღსაზრებლად არ მიპირფერია,  
არავინ დამიბეზღებია, არ ვყალბსიტ-  
ყვაობდი, არ მიმრუშვია, უხამსობანი  
შორს იყო ჩემგან.

- ვიცი, უვანშპტა.
- სიმართლეს არ ვუყრუებდი, არა-  
ვინ შემირაცხევია, არ ვუხეშობდი,  
არ მიყბედი, არ ვბაქიბუქობდი, ქედ-  
მალლობა მუდამ შორს იყო ჩემგან, აუ-  
ტანელი არ ვყოფილვარ, ტყუილად არ  
მიწუწუნია.

- ვიცი, უვანშპტა, შვილო.
- მაგრამ სიკოცხლე რომ დამენარ-  
ჩუნებინა, დიდ ფარაონთან — დე,  
იყოს იგი დღეგრძელი, უვნებელი და სა-  
ლი — ვპირფერობდი და ახლაც ვტყუ-  
ივარ.

- რატომ, უვანშპტა.
- ქალი რამ მიყვარს, მიატიტი, და  
სააღმშენებლო საქმეთა უფროსს რად-  
გან დროის გაცდენა არ შეპატიება, მა-  
ინც ერთთავად სულ იმ ქალისაკენ, მა-  
იატიტისკენ მიმიწევს გული, და მასთან  
ყოფნა თუმცა ღალატი და ფუჭი გარ-  
თობა ეგონება ყველას, დიდო ქურუმო,  
უბაინერ, მასთან თამაში მეტად ძნელია.

- შიშია, არა?
- ძალიან, ძლიერ.
- მაგრამ ბედნიერებასაც ხომ განი-  
კებ?

- უვანშპტამ თავი ჩაღუნა, თქვა:
- განუზომელს.
- ყური დამიგდე, შვილო, უვანშპ-

ტა, — უთხრა ქურუმმა და, დაჩოქილ,  
თავზე დაადო ძალუმი ხელი, — ~~მეც~~  
მიწის დიდი განმგებლის მსკრუ-  
ცეცი ყველაში არის, შენში კი — უფ-  
რო. სიტყვა ყველაფრის თავი და თავი  
რომია, მოგვიანებით მიხვდებით თქვენ,  
ადამიანები, ამას, ამ ეგვიპტეში კი ჭერ  
არ იციან, პირველს, უვანშპტა, შენ შე-  
გიკრთა ტევადი გული. აქ, ოსირისის  
ვრცელ ქვეყანაში, სიტყვებს მრავლად  
კი ხმარობთ, ჰაპირუსზეც სწერთ, მაგ-  
რამ მხოლოდღა ფარაონის სადიდებ-  
ლად და ვაჭრუყანულ გარიგებათა აღ-  
რიცხვისათვის, შენ კი, ვისაც გსურს  
მზის მხურვალე ნაამბორალი ჰაპირუ-  
სებზე გადაიტანო, ვისაც მიატიტის  
წყალობით გსურს, რომ შენი ხელით  
მოვიდეს წვიმა, ადრე გათენდეს, რომ  
უკეთესი მოკვდავებით დაასახლო მთე-  
ლი ქვეყანა, რომ ბოროტებას მახინჯ  
ყელში სწვდე, და ვინც ფარაონს დად-  
გენილი წესის თანახმად, მზის შვილს  
ეძახი, კარგად იცოდე, უვანშპტა, ჩემო,  
რომ ჭეშმარიტად მზის შვილი — შენ ხარ,  
რადგან ნათელი გირეგია სწორედ ისე-  
თი, რომ სხვისაც გინდა, გაუნათო და,  
მე, დიდ-ქურუმი, უბაინერი, ვინც რომ  
პატარ-პუტარა ფარაონების პირველ  
საყრდენად და ხელისშემწყობად ვით-  
ვლები ახლა, შენ — ფარაონის მიერ  
დავალებულ საქმეთა ჩუმ-ჩუმად დამრ-  
ღვევს, მე — ნებას გამოღევ!

მუხლზე ემთხვია დიად ქურუმს ფე-  
რად-ფერადი სიხარულებით ათრთოლე-  
ბული ჩვენი ვაზირი, იმან კი, უბაინე-  
რმა, მეორე ხელიც დაადო თავზე, უთ-  
ხრა:

— და უფრო მეტიც — იცოდე რომ,  
შვილო, უვანშპტა, აი ის ქალი, მიატიტი-  
ტი, ჩემგნით რომაა გამოგზავნილი —  
შენთან.

ხოლო უვანშპტას აღსასრულზე —  
ცოტათი ქვემოთ...

ამისთანებს ფიქრობდა ვანო, პეტე-  
ისე მესამის მონათხრობისა და,  
რაც კიდევ უფრო მთავარი იყო,  
ამღლევიანდელი მათას წყალობით. მა-



გრამ მთა ხანდახან რამდენიმე დღით გადაიქარგებოდა და ყოვლად გაუსუსურებელი ვანო წრიალა ბოლთას სცემდა თავის ძირითად საბაემნოსთან — თავის პატარა მაგიდასთან, მომცრო ოთახში, და თუმცა შორეული წარმოდგენით თითქმის იცოდა, რა უნდა ვადაეზიდა იმ ყოვლად საშიშ, სუფთა ქალაღზე, მაგრამ ყველაფერი ბუნდოვანდებოდა, იმ სამ მთავარ თითში რომ გამოიძვედევდა შინდისფერ კალმისტარს, და რალაც სიტყვებს — კი სწერდა და სწერდა, და თუმცა არ არსებობს ამქვეყნად გამოუსადეგარი და ცუდი სიტყვა, თვით ეგრეთწოდებული „ცუდი“ სიტყვაც კი თავის ადგილას იშვიათად, მაგრამ კარგია; უმათაოდ დარჩენილს, შეუფერებელ სიტყვათა ავი მეუფე დაპატრონებოდა და მისი მარწუხებით გულ და გონებანაჟიჯგნ ვანოს საკუთარ უსუსურობაზე გაცოფებასთან ერთად, შეურაცხყოფილი ქალაღისაც ერიდებოდა. რა ძნელი იყო... ვანოს ერჩია, კლდე ემტვრია მძიმე წერაქვით, ანდა ზღარბებზე გაწოლილიყო, ანდ, მთლად უარესი გამოსავალი — იმ ხანგრძლივი დღეებით დამარცხებულს, სიმწრით ავარვარებულს, გონდაბნელებულს, „კედელზე თავი ერტყა, მაგრამ იცოდა, ის მრავალსახოვანი ნებისყოფა, გარე-ცხოვრებაში ძალიან რომ აკლდა, სწორედ აქ, ამ მაგიდასთან უნდა მოეკრიბა და ის აურაცხელი სისულელე, ფხიზელსა თუ პირიქითურს, რაც ჩაედინა, აქ, ამ ქალაღზე ერთითად რომ უნდა გამოესწორებინა და უმიზნებო ხეტილსაც რა, რა უქირდა? — არაფერი, ოთახში თუკი უძლურებით იხრჩვებოდა. მაგრამ ხანდახან, მისავათებულს, იმედგადაყრილს ისე, სიკვდილი მართლა ენატრებოდა, ვილაცა მხარზე დაადებდა ხელს, რავინვილაცა! — მთა იყო... იტრუნებოდა, არ ახედავდა, მაგრამ იცოდა, ნანატრ მოსულს ძლიერ უხეში სამოსი ეცვა თავდაპირველად, ამოგანგლულიც იყო ისეთი, დიდი კატების ნათრევესა ჰგავდა, „კვლავ შაპ აბასზე

ფიქრობ ხომ, ვანო?“ „კიი“ „მერედა, ვანო, გლახათაა ეგ შენი საქმე?“ „ძალიან, ძლიერ“. მთა ოდნე დაფიქრდებოდა, თან იმ ძნელ ჯაგრიის, შედარებით მყვიარალა სიტყვა — „მიგნება“ რომ ერქვა, დალაქავებულ სამოსზე მეორე ხელით ისვამდა, ეკითხებოდა მერე: „როგორ გგონია, ის ორი დიდი ავაზაკი, შვილთამკვლევები — შაპ აბასი და ბებუთ ხანი, ინტუგეშებდნენ რაიმეთი თავს?“ „რა ვიცი, აბა...“ „ისე კი, ხომ ძალიან მოუნდებოდათ რაიმე შევბა...“ „კი, მთა, კი!“ — რალაც-რულაცას უკვე მიმხვდარი, ამბობდა ვანო, ფიქრებში ისე ძალიან წასულს, თვალეები უელამდებოდა. „რაო, რა ჰკითხა შაპ აბასმა?“ „შაპ აბასმა ჰკითხა — ძნელი ყოფილა შვილის სიკვდილი, ბებუთ ხან?“ „მერედა, იმან რა უპასუხა?“ „იმან უპასუხა — ძალიან ძნელი...“ „მერედა, ვანო, ნუთუ ვერ ხვდები, რას ჩაიდენდნენ?“ „მთა, ვხვდები! — ძლივს არ გაწყდა, დაიღრიალა ვანომ, — ატირდებოდნენ!“ „ალბათ. და მერე?“ და ისე ნათლად, საოცრებავ, წარმოიდგინა: ერთ-ერთის შვილის თავი ლანგარზე — იქვე და, და ორი აქვითინებული ცოდვილი, ერთმანეთს მაგრად ჩახუტებული ორი ავაზაკი! „მთა, გმადლობ...“ — თქვა და ახედა, სულ სხვა სამოსით მოჩითულიყო, და ჯერ მხოლოდ ცის ღედაკაცის — იმ ჰრელი მუზის მოციქულს ჰგავდა, მაგრამ როდესაც დაეკითხა: „შენ გაკვირვებია ბავშვობაში რაიმე, ვანო?“ „კი, როგორ არა, — უთხრა ვანომ და მოიწყინა, — მაგრამ ერთი რამ ძალიან, მუღმივად მიჭირდა“. „რა...“ „ღედა და მამა გაყრილები იყვნენ“. „მერე, რაიმეთი თუ ინუგეშებდი თავს...“ „ვერა. აბა რითი...“ „კარგად გაიხსენე, ვანო“.

და, ვაახსენდა: ბავშვობისდროინდელ, სამსართულიანი სახლის მაღლიან, ძველებურ ეზოში წიფელი იდგა ერთი, ხე...

6.

„წამკვამს ახლა ტვინს, — გაიფიქრა უვანშტამ, მოახლოებულ დღეიმძას,

ფარაონის — დე, იყოს იგი ჭანმრთელი, უვნებელი და სალი — ერთ-ერთ უფროს მრჩეველს რომ ჰქონდა თვალი, — ამისი თავი მაქვს?"

მართლაც, შუაგულ მზეზე შეაჩერეს და, იმას რა, თანმხლებ მონებს უზარმაზარი საჩრდილობელი მიემარჯვებინათ, უვანშტა კი, რომელსაც თანამდებობის მიუხედავად უმონებოდ უყვარდა ხეტიალი, გრძნობდა, ეგვიპტურ მზეზე ტენი როგორ ულყადებოდა.

— ვინმე რაიმეს თუ ჩაიფიქრებს ჩვენს წინააღმდეგ, შვილო უვანშტა, — ასე წამოიწყო ერთ-ერთმა უფროსმა მრჩეველმა, იგივე დედიძემ, — ეგრევე ჩემთან დააბეზღე და მერე მე ვიცი ფრიალ.

— კარგი.

— ახალგაზრდების და ნორჩების დამლუბველიც იქნება მტარვალი იგი, ღარიბ-ღატაკებს გადაეკიდე, ქლიტე და ქლიტე, მონები მაინც ბლომად გვყავს სახელოვანი ფარაონის — დე, იყოს იგი ჭანმრთელი, უვნებელი და სალი — წყალობით. ღარიბები კი გაანადგურე, ფეხით გასრისე, რადგან მდიდრები არ ამბობდებიან, რა ძალა ადგათ, ღატაკები და გაღლეტილებია უვანშტავე, შვილოვ, საშიში.

— აბა რა.

— შენი ძალა შენსავე ოსტატურ გამონათქვამებში უნდა იყოს („ესეც თუ ამასაც მასწავლის და“, — გაიფიქრა უვანშტამ), და რადგან ენა, გეთაყვა, აღამიანთა შორის დამაჩერებელი ურთიერთობის საშუალებაა. დააბეზღე ის ვინც არ მოგწონს, ენა არ გაქვს თუ რა, შენი ენა შენივე მახვილად აქციოო უნდა, უთქვამთ ბრძენებსა.

— მაშ. „ეგ შენი ენა ყოფილიყოს წმინდანად შერაცხილი ნიანგის...“ — რაღაც აბლაუბდა გაიფიქრა უვანშტამ, თაკარა მზეზე ტენი უღულდა.

— აღამიანი უკვდავი როდია. აღამიანი მოკვდავიც არის. ეპ, ჩვეულებრივი აღამიანები კი არა, მაქვს ისეთი ვარაუდიც, რომ შეიძლება მეც კი დროებით ხანგრძლივად მივიძინო.

— აჰ, როგორ გეკადრებათ, აჰ.

— რა ვიცი, შვილო, ხანდახან კი გაიფიქრებ... იმას ვამბობდი, თუ ვინმესაგან საჩუქრებს იღებ და მომავალ გამორჩენებსაც ელი, იმას ნუ მოაკვლევინებ, რადგან შემოსავალი დაგაკლდება, ხოლო შემოსავალი — კარგიაო იგი ფრიალ.

— კარგი.

— და ჭანმრთელობასაც ძალიან უნდა უფრთხილდებოდე. მზეზე თავშიშველი ნუ დადგები ხოლმე. ცუდია.

— დიან.

— იცოდე, ქვრივებს არ გადაეკიდო, ნუ შეავიწროებ, ქალიშვილების მეტი რა ყრია.

— კი.

— ძლიერ ბევრნი არიან?

— კი.

— ერთს ვერ მიშოვნო? — ჩრდილიდან გამოვიდა და ისე ჩაეკითხა.

— კი.

— როდის მომიყვან, შენ გენაცვალე!

— რას? — შეერთა უვანშტა.

— არა, არაფერი, — თქვა მერე დედიძემ და ისევ ჩრდილში შევიდა. — წადი, უვანშტავე, კეთილად გვევლოს.

— ვეცდები.

„ეს უნდა იყოს ფარაონის — დე, იყოს იგი ჭანმრთელი, უვნებელი და ერთი იმისი პატრონი დედაც, — გაიფიქრა უვანშტამ მერე, — ერთ-ერთი უფროსი მრჩეველი?“

მთელი ეგვიპტე საქმეში იყო და ფუსფუსებდა. მიწათმოქმედნი და ხელოსნები, მონები, ვაზირნი, მუსიკოსები, მეომრები, მოქანდაკენი, დეკორატორნი, ქურუმები და მგალობლები, მოცეკვავენი, კენტ-ფარაონი... თავ-თავიანთი საქმე ჰქონდათ. სხვაფრივი ცხოვრებისაც ძაანა სწამდათ და ფარაონისთვის — რომლის დროსაც, დესპოტი ეძახე და, აქეთ მოდი, იქით წადი, ხელოვნება დიდად იყო განვითარებული — უზარმაზარ პირამიდას აგებდნენ, რადგან მისი მომავალი სიკვდილი კი არა, მხოლოდ გრძელი მიძინება სწამდათ, და ისეც თვლიდნენ, რომ სახლები და

სასახლეები — დროებითი თავშესაფარი იყო მხოლოდ, პირამიდა და აკლამები კი — მუდმივი საცხოვრისი.

უვანშპტა თავისი ქვეყნის შვილი იყო.

ეს ჩვენთვისაა ახლა ის ეგვიპტე ძველი, მაშინ კი უვანშპტას თვალწინ სასწაულებოდა თიხა და მინა, ქვა და აგური, ობსიდიანი, კირქვა, საღებავი და ძვირფასი თვლები, ლითონი, ტყავი, ხე, სპილოს ძვალი და ქაშანური... ხოლო ყველაზე შთამბეჭდავი მაინც პირამიდა იყო, ის ნაგებობა, რომელზედაც ითქვა: „ყოველივეს ეშინია ეამთასვლის, ეამთასვლას კი — პირამიდებისა“.

უვანშპტა ფარაონისთვის დიად, უზამზარ, მანამდე არნახულ პირამიდას აგებდა. დიდ, გორგზად თლილ ქვის გოლიათებს შესეოდნენ საცოდავი მონები, აუარება მოწყობილობით ოდნავლა თუ გადაადგილებდნენ, და უვანშპტას ხანდახან ისეც კი ეგონა, რომ ლოდად ლოდი — მისი ფარული საქმე იყო, ის ჭიუტად აღერლილი მონები კი — სიტყვები, იღვრებოდა ოფლი, აცხუნებდა მზე-ეგვიპტური, მზეე, დიდად უყვარდა აიშ უვანშპტას მაღალ და მაღალ, კუშტად დიდებულ პირამიდათა მზერა. და სიამაყით ებერებოდა სახე, ევსებოდა ტევადი სული. მაგრამ რა ექნა — სიტყვა მაინც უფრო ერჩია. პირამიდისკენ ზურგშექცეული, უხვად უხვ მოწყალებას, ამღვრეულ, სადღაც დანაწივითარ ნილოსს დასცქეროდა და, მის ღვთაებას, მოწყალე ჰაპის, ათრთოლებული მიმართავდა იგი, უვანშპტა: მოგუსალმები, ჰაპი, დედამიწიდან ამოსულო.

ჩამომდინარევე, რათა დაარწყულყო ეგვიპტე.

არსით სპეტაკო...

იგი, უვანშპტა, მიმართავდა თხევადი ღონით აღსავსე ნილოსს, დიად მარჩენალს:

თუ არ განიღვრები, სიცოცხლე წყდება და

ყველანი ვლატაკდებით...

ანდა, მზისაკენ ხელებაწვდილი, უხ-

ვად დანაფრქვევი შუქით ცრემლმომდგარი, შეყვარებული ლაღადტბდა... იგი, უვანშპტა: შენ დილაობით ამხთებ-მიწას, წყვდიადს განდევნი, სხივებს გვიგზავნი, და დედამიწა შენით ზეზე წამოიკრება, შენით ვცოცხლებით; სხეულს განვიბანთ, სამოსს მოვირგებთ. ხელები შენსკენ აღგვიწვდია, შენს ამობრძანებას ვადიდებთ, და ყოველივე კუთვნილ საქმიანობას შეუდგება; სუყველაფერი შენით იდგამს სულს... მარცვლეულთა ამომამზეურებელო, საქონელსაც შენგნით ამოზრდილი ბალახი აპურებს, ფრინველნი თავიანთ ჭაობზე ფრენენ, მათი ფრთხილი შენს გიზგიზა სულს ეთაყვანება, სათაყვანებელო; ნეტარებას გვეგვი — საქონელი კენებით ლაღობს, ჩიტები — ფრენით... და სალოცავთა მგალობლებიც ფერხითთ გიმღვრენ, უნეტარესო... ჩვენთვის ღვივდები, და ყოველივე სიცოცხლეს იძენს, რასაც დაჰყურებ — ეს ხომ შენ შექმენ დედამიწა მწველი სურვილით, ერთიანო!.. მზეე“.

მაგრამ თავის ციქქნა, უსარკმო ფიცრულში ყოფნა მზეს და ქვეყანას, და ამრეკლავ, ციან ნილოსს ბევრად ერჩია:

ჰაპირუსი რამ ეგულებოდა იქ, სუფთა, და გრილი. იქ იატაკი მიწისა იყო, ნედლი სოხანე, და კარის მიხურვისთანავე იმ დღისით-მზისით უკუნეთში აღმოჩენილი უვანშპტა ხის ღია ჭოშებს იქვე მიჰყრიდა. და პირველი, რასაც იგრძნობდა. ეს — მიწა იყო, დიდი მშობელი და შიშველი ფეხისგულებით იმედად გრძნობდა. იდგა და იდგა, დიდად-ზევეების მოლოდინში, მაგრამ სად იყო...

მერე კი ფრთხილად ანთებდა ციქქნა სინათლეს, და ჩია აღზე სამალავისკენ გაუბრბოდა თვალი, ალბათ იქ იყო მათიტტი. ჰაპირუსით შემოგრაგნილი... როგორც იყო და, გაბედავდა. იმ ნაცნობ ჭროლბანელში ფრთხილად, შემკრთალი უტრიალებდა. და ეჩვენებოდა იყო თუ რა, მაგრამ როგორც კი ამოესმოდა თანაც წყნარი და, მოუთმენელიც. შრიალისებრი ხმობა, ზედ სამა-

ლავთან იჩოქებდა, მიწას აკლიდა, ორივე ხელით ძალიან ფრთხილად ამოქონდა თავისი გრაგნილი, მერე სოხანზე მძიმედ ჭდებოდა, ეგვიპტურად მოირთხამდა ფეხებს, პაპირუსს მუხლიდან მუხლამდე გადაიშლიდა, ლერწამის ყალამს ჩააწობდა შავ საღებავში, და, გაქვავებული, ფაციცდებოდა.

უვანშტა იჭდა გამართული, მაგრამ თვალები დაეხარა, და პაპირუსის კიდეზე ფრთხილად დაედო მარჯვენა ხელი. უვანშტა იჭდა გასუსული, რადგან იმ დიად ტანჯვას — რის ნელი ცეცხლი — სულის დამდაღავს, აი აქ, ახლავ, თუკი განგება ინებებდა, უნდა შებზოდა, და იმ ნეტარ წამებას, სიტყვისმიერს, პაპირუსის უკიდევანო სიღრმეებიდან რომ უნდა ამოვლენთილიყო, მთელის არსებით უნდა შებზოდა — ქალს ვისმე გრძნეულს, მიატიტის, ამოვლოდა.

პირამიდასთან იდგა ფიცრული, და უვანშტამდე ბუნდოვნად, მაგრამ მაინც აღწევდა ლოდთათლის ყრუ ხმა, ტვირთის სიმძიმით გაწამებული მონების ქშენა, შოლტის ტლაშუნის მოკლედ საშიში, წერტილივით ხმა, და ეს ველური თანხმოვნები თვინიერად შინაურდებოდნენ უვანშტაში, რადგანაც მისი ახლანდელი ყოფა — მონისას ჰგავდა!

და ახლა უკვე თავდახრილი, ადელვებული სხვა სიტყვაა, თრთოლვის უვანშტა მუხლებზე გადაფენილ საოცრებას — შაქებარიც სხვა სიტყვაა — ამომწოვადი მზერით ჩაპყურებდა, მოლოდინის სუსხით იმოსებოდა, გადიოდა ეკლოვანი დრო, და, კი, როგორც იქნა! — თავდაპირველად, ჭერ მიატიტისი აღმოცენდა ბაგე, ნეტა რომელი ყოვლისშემძლის ხელ-სასწაულით გამოხაზული, ტუჩები ჰქონდა? — კოცნას და ამბორს ვინ დაექებდა, საიდუმლოსკენ ჩაღრმავებული, მკრთალჩრდილიანი, ბაგისეული ერთი კუთხიდან მთლად მეორემდე გადაგესვა ნეტავი თითი... უვანშტას გული რეჩხსა შვებოდა — ზედაპირისკენ მძიმედ ამო-

ტივტივებას იწყებდა აის გრძნეული მიატიტი, თავდაპირველად, ბაგისკენ, და, პაპირუსელი მაწანწალა და, ცილქალბატონი, ლამაზი არა — ჩალაც უფრო მეტ-მეტი იყო... საოცრებებად ამოდიოდა:

იმას ვერცხლომკედელის ნატიფი ხელით გამოძერწილი ყვრიმალევი ჰქონდა რომ? — სიმშვენიერით და სილამაზით ლამის მსხვერვედი, ისეთი თლილი ცხვირი ჰქონდა რომ? — ოდნავ გაფაციცებული, ფაქიზი ნესტოებით აღზევების მშვიდად შემსრუტი და, ისეთის ძნელის — ყოველივეთი ნებაშოსილი თავისუფლების გამომსუნთქავი, ეს მხოლოდ სხვისთვის, რადგან თავად — ეკ, დარდიანად გახლდათ თავად თავისუფალი, როგორღაც წყნარად ამაყი და მთლად წყნარსვე გლოვას შედგომილი, უვანშტას სევდით გაუსწორებდა ჰეე, ისეთ თვალებს?! თვალები ჰქონდა... თვალები ჰქონდა — გეყურა და შენთვის გეტირა, თვალები ასხდა: ტყის და ვარსკვლავთა, მთვარის და მიწის მარტილიანი წყლით შენაზავი, რომელ უდაბურ და იდუმალ წიაღთა შორის ჩასახული და უვანშტასა და მისთანანის დიდმოწყალებად წილხვედრი მერე, თვალები ჰქონდა — თან აწყვეტილი და თანაც რაღაც მკაცრად ლამაზი დიდებულებით საყრუანტელო, მაკქერაღლისთვის — გორგალგამჩხერი მთლად გამომშრალ, დაგვალველ ველში, და ამ უფსკერო ზესასწაულს მკაცრ თალად ედგა ზედა ქუთუთო, თვით საფეთქლამდე ჩაწელილი...

და, პაპირუსის რარიგ ტევადი და უდაბური წიაღიდან თანდათანობით სრულიად, მთელი სისავსით აღმოცენებული, ზედ პაპირუსზე ფეხისწყურებით შედგებოდა მიატიტი, გრძნეული ქალი, იმ თავის თვალებს ჩამოაპყრობდა: „უვანშტა, გიყვარვარ?“ თავს დაბლა ხრიდა: „ძლიერ მიყვარხარ, მიატიტი“.

„ნილოსზე მეტად?“ სუნთქვა ეკვროდა: „ნილოსზედაც და... სუველაფერზე, ძალიან მეტად“. დაფიქრებული, შემართავდა ხელს: „უვანშტა, რა ვარ?“ ახე-

დავდა, აპ: „ქვეყნად არსებულ სიღატაკითა ყოველსმომცველი, შესხვადასხვიე ქალბატონი“. უღიმოდნენ და, გალობასავით ჩამოესმოდა: „დააგააჯილდოებ...“, და ჩვენს უვანშპტას ჯერ ეგვიპტურად მიაშვერდა ორთავე გლუვ ხელს, მერ კი, წვდომად გადაქცეული, რალაც უცნაურ, მდორე ტრიალს შეუდგებოდა, უვანშპტას დაგვიტ ძალიან ძნელად შედიოდა იღუმალ ეშხში, მერე ნელინელ მოძრავდებოდა მთელი სხეული, მისი სხეულის ყოველი ციდა, სათნოდ მომრგვალო ნაკვთებიანი, უძრაობისას თითქოს ხმოვნებად იყო შეკრული, ხოლო ცეკვისას ხელთა თამამი მოძრაობით თანხმოვანების ჯგრო გამოჰყავდა, უცნაურ ცეკვას — სიტყვისმიერს, ცეკვავდა ქალი, მეუფის გოგო, რარიგ წერწეტი შეამავალი, მოქნილი იყო? — რაის წყალი და რისი ჰაერი, უღიადესის — სიტყვისა გახლდათ, და ეს უვანშპტა, რომელსაც რომ ძალიან სურდა, მთლად შექლენთოდა ქვეყნიერებას, გამოესახა სუყველაფერი, მინამდე დაფარული, ცასა და მიწას მოსდებოდა, ატორილალებოდა მზესა და მთვარეს, და სწორედ ამიტომ პაპირუსელ ქალს, მიატიტის, ახალთახალ და ღონიერ სიტყვებს ევედრებოდა, რადგან ძველები აღარ ჰყოფნიდა, და მიატიტიც დაუჭერებლად, ახლებურად ცეკვავდა მის წინ, რალაც გრეხილი მოძრაობებით თანხმოვნებს თავის სანდო წიაღში — იმხმოვნებიან დრეკად სხეულში ცეკვური ტანჯვით განიზავებდა, და მის ნაკვალევს გრძლად გადამლილი პაპირუსის ერთი კიდიდან მეორემდე შავ საღებავში ჩაწობილი ყაღვით დასდევდა იმისეული ჩვენი უვანშპტა, დახშულ სენაკშიც — ვარსკვლავთმარცხველი, რადგან რამდენი ენაც არსებობს ქვეყნად, აი იმდენიც — გალაქტიკაა, რამდენ-ეკ-უცნობვარსკვლავიანი, და აღმოჩენის მწველი ძინით შეპყრობილი ჩვენი უვანშპტა მიატიტის მოძრაობათა ვრცელი წყალობით ახლებურ ციმციმით სკვრეტდა და სკვრეტდა, შეედრებოდა ნეტავი რამე ამ ქალის ფერ-

ხით ფარულად ყოფნას? აპ, ვერაფერი, მაგრამ ერთხელაც მკაცრებით მოულოდნელად მშენებარე პირამიდის დასათვალიერებლად თვით ფარაონი მოვიდა, შვილებით, ვაზირებით, საჩრდილობლებითა და ფრთხილად მსუნთქავი ამალითურთ, სიცხით ისედაც ალივლივებული ჰაერი ღონიერად შეახანზარა უარება ბუკის გრძელმა ხმამ, უვანშპტამ ფიცრულის კუთხეში მიღო გრავნილი და სასწრაფოდ გამოვარდა ფარაონის შესახვედრად, არ ეკაშნიკა მის გვერდიგვერდ, არა — წვივდაგვერდ მომავალი წმინდანად შერაცხილი ნიანგის დანახვა, ფარაონმა კი დაუშთაერებელ პირამიდაში შესვლა ინება, მათვალიერა, და რომ გამოვიდნენ, უვანშპტამ უცებ თავისი ფიცრულის ადგილას ჩაქცეული, ანაკვერჩხლებული ფიცრების გროვა დაინახა, რადგან ფარაონის თვალს თურმე არ ეკადრებოდა ასეთი უღიმამომ სათავსის დანახვა, და იმ ნიანგის განკარგულებით თურმე ცეცხლს მისცეს, ხოლო მშენებლობით კმაყოფილმა ფარაონმა უვანშპტასადმი ზომიერი ქების ამსახველი სიტყვები რომ გამოთქვა და პასუხი ვერ მოისმინა, გაკვირვებული შეტრილდა და რას ხედავს — უვანშპტა რომელიღაცნაირ წაქცეულ მდგომარეობაშია, ფარაონის ბრძანებით, გულშეღონებული უვანშპტა ფარაონის სასახლეში სასწრაფოდ წაუღიათ, მაგრამ კარის მკურნალების დიდი მცდელობის მიუხედავად, გონს ვეღარ მოსულა და გარდაცვლილა.

\* \* \*

არა, უვანშპტას არ ეშინოდა ნელ ცეცხლზე დაწვის, ის, საცოდავი, მიატიტის დანაცრევამ მოკლა, და, უბედურმა, რა იცოდა რომ, „ხელანაწერები არ იწვიან“, ეს ერთმა დიდმა მექაღალდემ თქვა დიდი ხნის შემდეგ. თუ არა გჯერათ, ამის დასტურად ხელთ აღღევით „პეტეისე მესამის მონათხრობი“, გამოცემული ათას ცხრაას სამოცდათვრამეტ წელს „ხულოფესტენენაია ლიტერატურა“-ს მიერ, გადაშალეთ ორას მე-



ცხრამეტე გვერდზე, და იქა ნახავთ ხა-  
ხაპერასენების, რომელსაც მოფერებით  
და შინაურობაში უფანშტას ეძახდნენ,  
ფიქრებს:

„ოა იქნება რომ, ნეტავ განგებამ მა-  
პოვინიხოს ჭერაც უცნობი გამოთქმები,  
უცხო აზრები; აქამდე სხვისგნით ვერ-  
მიწვდენილი. ჭერ ვერნათქვამი და არ-  
სმენილი ახალი სიტყვები, ჩემამდე რომ  
არავის უხმარია, განსხვავებულნი იმათ-  
გან, წინაპრები რომ წარმოთქვამდნენ.  
მაშინ ჩემს შიგანს იმ ძველ სიტყვათაგან,  
წინაპრები რომ ხმარობდნენ, გან-  
ვითავისუფლებდი, რადგან ადრე ნათ-  
ქვამი -- ნათქვამია უკვე და ტყუილ-  
უბრალოდ ნუ მოვიწონებთ თავს წინა-  
პორბედთა აზრების განმეორებით.

რომ მათქმევინა რაღაც ისეთი, სხვამ  
რომ არ იცის, სხვათა ბაგედან ჭერაც  
აროდეს დაცდენილი. ჩემს გულისწა-  
დილს ავიხრულებდი. მე გიაზობდით  
ჩემს დიდ ტანჯვაზე და უმძიმესი ტვირ-  
თისაგან შევიმსუბუქებდი დაოსებულ  
ზურგს. გავეცლებოდი იმა ძველსა და  
მომაბეზრებელ სიტყვებს. გულზე ვაუ-  
ბად აბლაც რომ მაწევს“

აესე წერდა ზემორე ბევრგან ნახსე-  
ნები ძველი უფანშტა ოცდაცხრამეტი  
საუტუნის წინათ, ვკითხულობთ დღე-  
საც, იმისი დიდი რომელიღაცა ფარათ-  
ნი კი -- ვერ გამოდგა-უ მუდამ ჭანმრ-  
თელი, უვნებელი და სალი.

7.

ბავშვობისდროინდელ, სამსართუ-  
ლიანი სახლის მადლიან, ძველებურ  
ეზოში წიფელი იდგა ერთი, ხე... ვახა-  
ფხულობით, რაღაც ძალიან შეუმჩნე-  
ვლად ისხამდა ფოთოლს, წვიმაშიც ძაან  
უჭრად იდგა და, ზაფხულის ხვატსაც  
მშვიდად ითმენდა. შემოდგომობით  
წყნარად, თავისთვის იძარცვებოდა და  
ზამთარში ხომ, ვერც შეამჩნევდი, გა-  
რიყულიყო ისე... მაგრამ ვანოს მერე,  
და მერე სწორედ ეს ხე, ეზოსეული გე-  
ნტი წიფელი, სხვა ყველა მცენარეს ერ-  
ჩია; რაღაცნაირად, სანდო იყო, ყოველ-  
თვის მიენდობოდი.

პირველად მაშინ შეითვისა ეზოს წი-  
ფელი, იმ დღიდან შეუდგა, ეჭვითაა შლი-  
ნიდან რომ წავიდა, დედას მამამხედველს  
მთლად გათხოვილი იყო, სხვაზე; დეი-  
დალა შერჩა. ის მშვენიერი, ძველი თა-  
ობის ქალი იყო, მართლა მკურნალი,  
მართლა ექიმი, გაუთხოვარი და მა-  
ინც ყოველთვის დარბაისელი, მხო-  
ლოდ ვანოსთან ფაციცდებოდა შე-  
უმჩნევლად, რადგან უყვარდა მიტო-  
ვებულნი, მას შერჩენილი ბავშვი. გვერ-  
დით ცხოვრობდა და სქელი კედელი  
გამოანგრევინა მუშებს. დეიდას საცმით  
შემოსავალი ჰქონდა და ცხოვრებით,  
თითქოს არა უშვებდათ რა, ცხოვრობდ-  
ნენ, მაშაც ძალიან ეხმარებოდათ. მაგ-  
რამ რომელი დახმარება გააბათილებდა  
მიტოვებული ბავშვის ნადველს. დეი-  
დის ერიდებოდა და წყნარად, თავის-  
თვის დარდობდა, ხოლო ყოველი კვი-  
რაუქმის დილა ზეიმად ჰქონდა; მაშას  
კვირა დღით მობეზრებული სახლიდან  
გამოჰყავდა, ტირებსა და ატრაქციონებს  
მოატარებდა, და თავზე ხშირად ადებდა  
ხელს. მერე რესტორანში ბევრკერძი-  
ანდ სადილობდნენ. მაშამ უცნაური --  
თან დახვეწილი და თან გემრიელად სა-  
დილობა იცოდა. იმისი შადა ვანოსაც  
გადაედებოდა ხოლმე; კინო მოუნდებო-  
და, ცირკი თუ თეატრი, ან ქალაქგა-  
რეთ მაშინ ჭერ კიდევ იშვიათი მანქა-  
ნით გასეირნება, ყოველივემდე გზახსნი-  
ლი ედო, მაგრამ როდესაც შებინდებუ-  
ლზე მაშა ქიშკართან მიაცილებდა, ორი-  
ვე ლოყაზე მაგრად აკოცებდა, მხარზე  
მიადებდა ხელს, თბილად უბოძებდა და  
წავიდოდა, კრემლმოწოლილი ვანო ისე-  
ვე, როგორც მაშის წასვლის პირველ  
დღეს, ეზოს წიფელთან მიდიოდა. მაგ-  
რად შემოხვევდა ხელებს, გრილ, ხეშემ  
ქერქზე უნაცვლებდა ახლად ნაკოც  
ლოყებს, და რაღაც კაცურად ერთგუ-  
ლი, ვაჟაკურად ამტანი და გამამხნე-  
ვებელი რამ, უტყვი წიფლისგან გად-  
მოედებოდა ხოლმე; რვა წლისა იყო.

მაშა პირველად რომ წავიდა, ვანო  
იატაკზე დავარდა და ყავისფრად შე-  
ლებილ ფიცარს ჩაჰყვიროდა, გამწარე-

ბული იქნებოდა ხელ-ფეხს; მერე კი, მოფერება რომ დაუბირეს, სულ გადაირია, ფერებალა აკლდა... წამოვარდა და ეზოში გზააბნეული გაიქცა, და რაღაცას რომ დაეჭახა, გაავებულმა მოუღერა პატარა მუშტი, მაგრამ ხე შერჩა, კენტი წიფელი, თავისთვის მდგარი, და ვანომ ნელა დაუშვა ხელი, მერე კი, რაღაც მარტობის თანაგანცდა იყო თუ რა, წიფელს მთელი თავისი მცირე, მაგრამ გამწარებული ძალით ღონივრად ჩაეხუტა, თითქმის გატვინდა, მხოლოდღა წყნარად სლუქუნებდა, შემოჭარულ მეზობლებს კი დეიდამ უთხრა: „იდგეს, იტიროს... შინ წაბრძანდით“, ხოლო მომავალ შაპ აბას პირველს, სწორედ რვა წლისას, ნადირობისას გზა აებნა უდაბურ ტყეში, რადგან ელდანაცემმა ბედაურმა გაიტაცა. ტახტის მემკვიდრეებს ბალლობიდანვე აჩვევდნენ ჭირითსა და მშვილდ-ისრის ხმარებას, შუბის ტყორცისა და ხმლის მარჯვედ ქნევას, სანადიროდაც ხშირად დაჰყავდათ ხოლმე, რაღა თქმა უნდა გამოცდილი მონადირეები ეხვივნენ, მაგრამ ერთხელ, მოსალამოებულზე, ძაღლების შემწეობით ტყის სიღრმიდან ნადირთა გამოდევნას მთლად გატრუნულნი რომ ელოდნენ, ყველასათვის შეუშინებლად, ამხედრებული აბასისაკენ, დასავესვლად, მიმოკლანილი გზით დაძრული შხამით აღსავსე გველი — იირკოლა ცხენს უკანა ფეხზე რომ შემოეხვია, შიშით ზარდატეხილი, წამბდარი რაში ისე ღონივრად გავარდა საითყენდაც, შორს, რომ გონსმოსული, შეშფოთებითა და რისხვით თანაბრად აღვსილი მონადირენი რომ დაედევნენ, ვერას გახდნენ, რადგან ისედაც მარჯვე ბედაურს ახლა ძრწოლით გასამშაგებული ძალა მიაჭენებდა, ამით თუ სურდა, შეცოცებულ უბედურებას რომ გასკლოდა. იგი მიჰქროდა დიდრონთვალეზამბურცული, ლამებზე დუემომდგარი და უკანა ფეხზე — დაუნდობელი იირკოლითი, რომელსაც კუდი მიწაზე ეხლებოდა და, ამით გამწარებული, უფრო შემოგრაგვროდა ცხენს, აბასისაკენ აბობლებას ვერ

აბერებდა, ის კი, აბასი, ცხენს მიტმასნილი, ფაფარს თითებითა და კბილებითაც კი ჩაფრენოდა, ჯერ მხოლოდ ბავშვი, მომავალში კი დაუნდობლობითა და ვერაგობით, სისხლისღვრით დიდად სახელგანთქმული შაპი, ახლა ჯერ კიდევ ყოვლად უმწიკვლო — ბავშვობის სენი — იყო, და ცხენი სიბნელეში მძლავრად რომ აიყალყა, ტუჩებსა და თითებში ფაფრის ნაკუწებშერჩენილი აბასი რბილად დაეცა, სიამით ეგდო ხავსზე, აცახცახებულ სულს ითქვამდა, და ნედლ თქარათქურს სწრაფად იწოვდა და ითავისებდა შორეული ტყე, ეს — განწირული შორიშორდებოდა ცხენი, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, სადღაც დავარდნილს, ფეხიდან პარკით აღოღებული იირკოლა შიშველ, უბასო ზურგს გაანჩხლებული მოუთვალეიერებდა და სწორედ ზურგში ჩასობდა შხამით შეფერილ, ყვითლად თეთრ კბილებს, აქეთ კი, საშინელებას გადაფენილ ხავსზე, ისე სიამით მიგდებულყო ნორჩი აბასი, თითქოს სადღაცას, განსაცხრომელში იძირებოდა. და რაღა თითქოს! — მართლაცდა მრუმე ჰაობზე იყო, და ხავსგადაკრული მისი წებოვანი შიგანი ცუდად მომწვანო, ავად ყვითლური ციმციმით აიქ ითრედა, სადაც ლორწოა და სიბნელეა, და წურბელები!..

და შიშით ასხმარტალებული, ხავსგაბზარული დაუნდობლობის მიერ შესაწოვად გამეტებული ბავშვი მომწვანოდ ლბილი მარწუხებიდან თავის დაღწევას ფუქად ლამობდა, სადღაც ჩაღმისკენ ეფლობოდა წვრილი მაჭები, ძვირფას წულათაგან ერთ-ერთი ხავსს ქვემოთ ჩარჩა, ხმაწართმეული, ველარც ყვიროდა, მწარედ ხაოდა, და წურბელები უკვე აპკვროდნენ, მჭიდროდ შეზრდილნი, ძრწოლვით შეგრილებულ სისხლს მღორე სიხარბით ითავისებდნენ, და ლორწოდქეულ გონებასაც რაღაც სასტიკი ჰყლაპავსულში გაუდიოდა, ეს — უკმეზი შიშის მტკიცე, ძალუმი ხელი რკინის თითებით ტყინს უტყულებდა და, საცა იყო, მთლიანად უნდა მი-



ნებებოდა ზინზლიან გულში ღრმად ჩამკრავს, ჭაობს, მაგრამ უცნაურ იირკოლას მსგავსს, ხავსქვეშ გატრუნულს, დაკრუნჩხული თითებით გადააწყდა და, იმ ლორწოვანში, იმ მყარს რასმე, იმედით ჩაებლაუჭა, და შორიახლო მდგარი ხისკენ ძლივს წაითრია გადასარჩენი სხეული, ხელები ნდობით მოუნაცვლა, ეს — ფესვი იყო; ჭაობის პირას წიფელი იდგა მორჩილად ერთი, ხე, სწორედ ამ ფესვით ისრუტავდა ჩამყაყუბულ სითხეს და მერე კი ტანჯვით გასავლელი, სუფთა, ხისმიერი შიგანით სწმენდდა და სწმენდდა, და ასე აწვდიდა წყალს, მაცოცხლებელს, შეურაცხველ ფოთლებსა და წიწიბოს, რაღაც ძნელი და იღუპალი ხდებოდა ხეშეში ქერკით შემორკალულ მის ნატიფ ტანში, და მის დაკლანჯილ, ერთგულ ფესვთაგან ერთ-ერთს, ღონიერს, მორჩილად სანდოს, დიდის იმედით მიუყვებოდა სიბინძურით გალიბული ყმაწვილი, აბასი, და, დიად მიწაზე რომ ამოფოფხდა, ძლიერ იცოდა, იმ ხის წყალობა რომ იყო მისი გადარჩენა და, ბარბაცით მიუახლოვდა, ლორწოიანი, წურბლებიანი, გრილ, უხეშ ტანზე შემოეხვია. აბასი იდგა, ჩახუტებული მიწის ნაღდ პირმშოს, ლოყით მიკრული გადამრჩენელს ძალუმად ისე, ჯერ უცოდველი სისხლი სდიოდა, და იმ ტლანქ ქერკზე მაგრად ჰკოცნიდა მერე და მერე, ტუჩდაცხვირ, ნიკაბგადაყვლეფილი, შემდეგ კი, ისე გახვევებულს, თითქო იმ წიფელს შეზრდოდა უნდა, რაღაც მეტი სწაღდა და, მიხვდა, მიხვდა: მიწის აუწყავ სიკეთით გრძობდა ცალი შიშველი ფეხისგულით, და მეორიდანაც შიშველი ტერფით ჩაიცილა საფირონებით მოკედლილი წულა, და ასე იდგა, მიწის უებრო მადლთა შემწოვი და მის უტყვე, ცოცხალ პირმშოს ჩახუტებული მადლიერად ისე, რომ, რომ იპოვნეს მაშხლიანებმა, არც მიუხედავს, იმ თავის მდიდრულ სასახლეში დაბრუნება აღარცა სურდა.

მაგრამ თანდათან, წლიდან წლამდე, მოგეხსენებათ, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი თვლები, რამე...

8.

მაგრამ მიაი ერთხელ დიდი ხნით გამადაიკარგა.

გადაკარგვამდე კი, უთხრა:

— მე აღარ მინდა.

— რა არ გინდა.

— რა და შენობა.

ვანო ლაიბნა:

— რა შენობა...

— შენი რომ ვიყო, აღარ მინდა.

და გადაიკარგა.

ამ ვანოს სული — თანხმოვნებით ორკეცდებოდა, თავად არც იცოდა, ისე, რაღვან ეს ვანო, უნებურად, ბუნებისა იყო, ხოლო ბუნების მკვეთრ გამოვლენებს, იქნებოდა ეს ქუხილი, წვიმა, ხეების შრიალი, ქარი, წყალთა ხმა, რომელი ერთი — ამეტყველებულ სულად. თანხმოვნები ედგა. მაგრამ უმთავრესა მანც რომ არ შეიძლებოდა, კარგად იცოდა, თავიდან მხოლოდ შემფოთებული, ყოფილი მფლობელის ულაპაზობით, გულს იკეთებდა: „სად წავა, მოვა...“

მაგრამ მიაი, მოციქული, ჯერ ვერსად ჩანდა.

რა უცნაური სახელი ჰქონდა, ერთ თანხმოვანზე — სამი ხმოვანი, და უიშისოდ შეუძლებელი იყო მშრალ ბგერათა განზაგება, მაგრამ არ ჩანდა. და ძველ ერთობებს, ბატიფეხურს, გულდაწყვეტილად დასცქეროდა გაუსუსურებული ვანო, და თავს იმხნეებდა, რომ ქვეყნად არსებულ ხილთაგან დეფისი ერთი დიდად აღმსრულებლურია. ხოლო ტირეს კი — ნუღარ იკითხავთ, რისა და რისი დაკავშირება აღარ შეეძლო, რა სანდო იყო... ან, თუნდაც ისეთი ვრცელი თავისუფლების მომნიჭებელი მრავალწერტილი — საცა კი გინდა, მიდი, იარე, წადი...

მაგრამ მიაი, ფორიაქა მაწესრიგებელი, ჯერ ვერსად ჩანდა და, მერე, ვანოს დიდად რომ გაუძნელდა უიმისობა, მონატრებული, სულ თვალწინ ედგა, ოღონდ უტყვი, უძრავი, აღარ იცოდა რა ეღონა და, უბედური, გამწარებული, კედელს მხოლოდ იმიტომ არ ახლიდა



თავს, კედელსაც მაიას ბუხდოვანი ხატით რამ აჩნდა; და შევბად, ძალამოდ სად და სად არ შეხვედრილ, თავის მაიას ჭიუტად, რისხვით იხსენებდა და, თუკი მართლა წარმოიდგენდა, ძალისძალათი თუკი ოდნავ შეაშშუშნებდა, მყისვე უღებებოდა მპატიებლური, დამთბობი გულო:

მაშინ ეს ვანო, ძალიან ადრე, დიდი ხნის წინათ, მთლად თანხმოვანებისა იყო — ტყავით შემოსილს, მონადირედ მოვლენილს ქვეყნად, შუბი ჰყავდა ფრინველად, ხელნაჯახი ეპყრა, და იმ ძველი ქვის ხანაში ყოველ ნაბიჯზე ხიფათი რომ ელოდა, ევ არაფერი — მღვიმეში ერთი ისეთი ძნელი ქალი ჰყავდა, დამბნევი და გამხარებელი, მესხედასხვიე, და თან, ეხ, ოხ, უჰ, ძალიან უცხო, რადგან მთლიანად — თეძოიანა, მკერდიანა, და გლუვი მხრებით — ნაზი, ნატიფი ხმოვნებისა იყო, და მონადირის თანხმოვნებით შეკირულ სულს ამოდ ავსებდა. და, გამამწარებელიც ისე? — ტყუტყუდ იცოდა ვადაკარგვა, ოღონდ საშიში შუადღიდან, როცა მსხვილი გველებიც სანადიროდ ამობობდებოდნენ, და სხვა, სქელწვივა დედაკაცები დიდ, შიშველ მკერდზე ხეთა ნაყოფებმიხუტებულნი რომ ბრუნდებოდნენ, ის, რალაცნაირად კუთვნილად ნებიერი, იმდროინდელი, მღვიმის მაია, მინავლულ ცეცხლთან, ნაკვერჩხლების პირას წამოადებოდა და, აააამთქნარებდა, ოღონდ, ლამაზად — გრძელ თითებს ბაგეზე მსუბუქად იკაეუნებდა და, ისე, მერე გრძლად გაშლილთმება თავს დაადებდა და, კოხტად, თამამად შედიოდა დაბურულ ტყეში... მონადირე კი საღამო ხანს ბრუნდებოდა ვადაქანცული, დაკაწრული, და მღვიმისწინა შემრეც აღმართს სულ თანხმოვანთა მწარე ქშენით ამოივლოდა, რადგანაც მხარზე ნანადირევი, მძიმე რამ ხორცი, ელო, და, დაკუნთულ მხართა მძლავრი შერხევით განრისხებული ჩამოანარცხებდა გამოქვაბულში ტყიურ, ძნელ ნადავლს, განრისხებული, რადგან ის ქალი, იმდროინდელი, მღვიმის მაია, არსად ჩან-

და და, გამოქვაბულის გახიერ ხელრბლზე გამობრუნებული დიდ-მომადირე, რალაც ნანატრი, საოცნებო კუთვნილების ვერდამნახავი, რაკი სიტყვები ჭერ ვერ იცოდა, შებლაოდა ტყეს, და რადგან ბლავილი უნებურ ხმოვნად იწვლებოდა, ტყიდან მალამოდ გამოდიოდა კენარი ქალი, ძნელი მაია. ის მოდიოდა ლალი, არხენი, და ქვის ხანისათვის ყოვლად შეუფერებელი რამ, უსარგებლო მცენარეები — ყვავილები კოხტად მოჰქონდა, და მონადირეს თანდათანობით რბილად ეპობოდა რისხვით მოკუ მული ბაგე... მაგრამ ხანდახან, გზად თუკი თავსმა მოუსწრებდა, გამობოდა როომ — წვიმით დამძიმებული, ახტუნავებული თმა შავი ცეცხლივით უგვიგინებდა, შემცივნებული, ნაღდი ცეცხლისკენ ისწრაფოდა იმდროინდელი ქალი, მაია, აღმართს ღიმილით ამოირბენდა, და, გალუმპული, ხელეგაშლილი, კოცონთან ისე გახევედებოდა, ვითომ სულაც არ იყო კისრისტეხით ნარბენი იმ დელგმაში, ოღონდაც ძაან ასდიოდა სიფრიფანა ორთქლი... მაგრამ ხანდახან ძაგმაგებდა; სახეაღეწილს, მღვიმის ცივ კუნჭულში გარიყულსაც არ ასვენებდა წვიმით ნაშობი მხურვალება, და მონადირე, ვინც არ იცოდა ლაპარაკი, მაგრად იკრავდა თანხმოვნების ღრჯუ სხეულში და, აქეთ თბებოდა, ხმოვნებით რბილად იელინებოდა, და რა წამებით დასცდებოდა ალბათ, როდესმე, ის ერთი სიტყვა, თავდაპირველი, ვერანაირად დასაფიწყი, აიქ, მღვიმეში დაბადებული, მაინც რა იყო ნეტავ ასეთი, ეგება: „აღუუ...“ და, წვალებისგან განთავისუფლებულს, მადლიერს ისე, განზავებული თანხმოვნები შვებით უთრთოდა, თავის ნეტარ ქალს, მშრალ ბგერათა მწკრთნელს, აიშმაიას, ვადაფარულს, მადლობის ნიშნად რალაც-რალაცებს დაბუტბუტებდა, იგი კი, მაინც ქალი, ქალური წესით დამძიმებული, მღვიმიდან აღარ გადიოდა მერე და მერე, და, რალაც სათნოდ დამორცხვებული, ყველაზე დიდი მოლოდინით დიდ-მომლოდინე, ცეცხლთან იჭდა და,

ნედლ რტოებს წნავდა, და მერე, ტანჯვით შემსუბუქებულს, მონადირისთვის ამო სიტყვა ჩვილი ბავშვივით, როგორც მღვიმის სადა მარიაშს აისე ნაზად ეკავა ხელში...

მაგრამ ეს მიაი, მთავარი, ახლანდელი, ჯერ ვერსად ჩანდა და, იმის როგორმე წარმოსაჩენად, დახმარებისთვის ყოფილთაგან სუყველაზე ადვილს გადასწვდა — ცრულ რომანტიკულს, ასე, საუკუნენახევრის წინათ... მაშინ ამ ვანოს ეან ერქვა და, თუმც სარკეებიან დარბაზებში მიაიგრეტს დიდად ჰყვარობდა, მაშინდელი მიაიგრეტ, სუნამო-უხვად-ნაპურები, ფაშფაშ-შრიალა კაბებიანი, ბეჭდებიან-მედალიონიანი, ნუ ეწყინებოდა და, ცო-ოტათი მოსულელო იყო: აბა, თავად განსაქეთ, ისეთი ლამაზი თმისა პატრონს, ისეთი უწნოდ ფერფლისფერი ძალიან მაღალი პარიკი წამოეკოსებინა თავზე, რომ... ეანს კი უყვარდა, აპ-ჰუჰ, უყვარდა, აბა, რა ექნა ვაჟ-რომანტიკულს, ცრუ-რომანტიკულად რომანტიკულივე უყვარდა ძალი, მაშინ ბალადაც კი შეითხზა მწველი იმით ამბავზე:

„არა, ეს კრაკოვიაკი სხვას შევკპირდიო“, — თქვა და მარათ ეანს ცელქად დაქრა მხარზე (ვაჟი მუხლებზე იდგა), „ასივე მეზვეწებოდაო გრაფი ჰენრიკო“, — ელურტულეზდა წვრილ ხმაზე, აპ, ის რომანტიზში...

კაბა — ზომ ეცვა რომანტიკული, და ქოლგაც, აპ, რომანტიკულივე ჰქონდა, და რომანტიკულივე ეხურა ქუდი, ვარდგაჩრილი, ის ეან კი, მტვერი ფერხთა მისთა, მისი აჩრდილი, მიაიგრეტ! — გვედრებოდათ კრაკოვიაკს, თქვენ კი ეპოლეტებიანს, ჩინმენდლებიანს — შეკპირებოდათ ჰენრიკოს...

ეანს — გული ჰქონდა გაღიაეებული, გრაფ ჰენრიკოს — დილები ამაყად დაპრიალებული, ნეტა რომელი აჯობებდა?

მიაიგრეტ! თქვენი სიყვარულით ეან გადააბრუნებდა პირველყოფილ კლდეთ, ველარ მოითმინა და, უარზედ, თმაში გტაცათ ხელი და, ფერფლისფერი

პარიკი-ლ შეპჩრა ხელთ, და იმ აბზრეზულ, დიდებული ფერიდან, თქვენი თმისა რომ ამოიცნო, თქვენი საკუთარი, თქვენი აღმოგაჩნდათ, მართლაც-და საარაკო, რალა ჯანდაბად გკნებავდათ პარიკი, გრაფმა ჰენრიკომ კი ისროლა ხელთათმანი...

მეორე დილით ეანს და ჰენრიკოს გადაუთვალეს ოციოდ ნაბიჯი, რომანტიკულად... მზეზე ბრჭყვიალებდა დუელიანტ ჰენრიკოს ეპოლეთი, მზეზევე ბრჭყვიალებდა აგრეთვე ეანის პისტოლეთი, ესროლეს ერთურთს...

ეანის ცხელმა ტყვიამ კინაღამ გააგორა მისივე სეკუნდანტი — სწორედ მის ფეხებთან ასხიბა ცხელმა ტყვიამ ხრეში, გრაფმა ჰენრიკომ კი ეანის ძალიან თავს ზემოთ, ძალიან შორს, ტყეში, ჩიტი ჩამოაგდო ხიდან, ფანდი — იყო დიდი ვერაფერიშვილი, უნებურად მოხდა, და დუელი კოხტა დამთავრდა ასე, გადაჩრჩენ ორვე... და ეანისვე სეკუნდანტი. დამეულნი სიზმარნი ეანის, საშინელნი, არ ახდა... დიდი რომანტიკული დუელი გახლდათ.

ეან კი იმავ საღამოს ასე სჩოდა: „იმავ საღამოს კი ისე ჩამიარე, მიაიგრეტ! — საღამ-რევერანსიც კი არ მოგიცია“, მათ კი, თავზეხელალებულთ, აქებდა მთელი მხარე — სრულიად პროვინცია, ყველას პირს ეკერა მათი სახელი — ეანის და ჰენრიკოს... გაისმოდა ქება პირდაპირიც და ქარაგმული, ეანმა და ჰენრიკომ კი შეჰსვეს შამპანური, აქაფებული — რომანტიკულ ყაიდაზე...

მიაიგრეტ!, შენ კი — ერც-ჰერცოგოსას წახვალ. —

მათმა დუელმა აღგამაღლა ერც-ჰერცოგოს თვალში, გაგხადა უფრო დიდებული, უფრო შნოიანი, ასე დამთავრდა ეანის სიყვარული, მიაიგრეტ-ერც-ჰერცოგ-ჰენრიკოიანი... აბა? —

და მორჩა.

კი, კი, ამ ვანოს სულ სასაცილოდ ჰქონდა საქმე...

9.

სიცილი კი არა, სული ეწვოდა, ეფ-  
ლითებოდა მსუსხავი შანთით, რადგან  
მეუფემ ვრცელი ზურგი რომ შეაქცია,  
ეგ კიდევ ვითომ არაფერი, ყველაზე  
მეტად ის აწამებდა, შუამავალი არა  
ჩანდა, მეუფესთან მისაახლებლად იმის  
მოციქულს ფეხებში ეჩინვით კი არა,  
გადარჩენის მავედრებელივით უნდა ჩა-  
ვარდნოდა, მაინც რა იყო ეს ტკივილი,  
უმათო, თანხმონებთან ცეცხლში ნა-  
შობი; სად იყო ნეტავ ის გაზავება, მა-  
იასმიერი, და თუმცა თავს იმით იმხნე-  
ვებდა რომ, „მუდამ არსებობს გამოსა-  
ვალი“, არა, არა, ვერა სჭეროდა რაიმე  
წამლის, რადგან ავარგარებულ შანთს  
უიმედობა შიგ სულში სჩხელეტდა, და  
ტენისა და გულს შორის, ყელში, უკ-  
მეხი გორგალი გასჩხეროდა, და რო-  
გორ უწყინრად ეჩვენებოდა გამოთქმა  
„ადგილს ველარ პოვლობდა“, — ად-  
გილს კი არა, თავად ჰაერს ვერ პოუ-  
ლობდა, ეხუთებოდა ნაჭიჯგნი სული,  
ვეება ლოდი რამ აწვა სხეულზე, ის-  
რისებოდა, ებლავლა? — არა, ვერ უშ-  
ველიდა, ეტირა? — არა, თვალტრემ-  
ლიანთ ახლოსაც კი არ იკარებდა მისი  
მეუფე, ცხვირ-პირში მაგრად წაეშინა?  
— ფუჰ, თუმცაღა შვებას იპოვნიდა, ეს  
შვება იყო სწორედ, ასე ძალიან რომ  
აწამებდა, რადგან შაჰ აბასს, კარგი  
შვილის მკვლელს, ვანოს შეწვევით რა-  
ღაცა შვება, შვებისმავარი რაღაცით  
მაინც უნდა ეგრძნო, მაგრამ რითი, რით,  
ვერა ხედებოდა, ვერ ჩაეძია ბნელი სუ-  
ლის ამყაყებულ კუნჭულებს, რადგან  
მეუფე აღარსად ჩანდა; ვერც იყვირებ-  
და უბრალოდ რომ: „ბოროტება ცუ-  
დიია, სიკეთე კი — კარგი“, ამას მე-  
უფის შთამბეჭდავი, თავზედამდები ხე-  
ლი უნდოდა, მაგრამ სად იყო... თან, ეს  
ქალაქი, ვითომ ძალიან ცოცხლად მო-  
ძრავი, ვითომ ძალიან დამუხტული, და  
სინამდვილეში რარიგ ბლანტი, ზოგი  
ხელობის კაცისათვის როგორი მწკლა-  
რტი და გაყინული, მანქანების გამო-  
ნაბილქვით მოწამლული, მდინარეშერ-  
ყვნილი, შეკრეკილგაზონებიანი და გე-

რივით საცოდავებება, ყოველნაირი  
მუხრუქის ხმით გაელენდნენ ჩვენს ქა-  
ლაქი, ყალბად დაგვიღიეს და ფეხებზე  
ყველგან — მხოლოდ ასფალტი, თით-  
ქოს დალუქულ ჩვენ ხვედრ მიწაზე  
სულთამხუთავად გადაფარებული, და  
თავისი წილი ბედნიერებისათვის სადაც  
რომ უნდა ყოფილიყო, აი ეს ვანო ფე-  
ხისგულებით, კი, ფეხისგულებით მიხ-  
ვდა — აქოშინებული, მაღალ, ტყისპი-  
რა სოფელში იდგა, ძლივს ააღწია იქ,  
და განრისხებამდე უკვირდა, აქამდე  
როგორ ვერ მოისაზრა ეს: რადგან მათა  
სადაც გადაკარგულში იყო, რაღა თქმა  
უნდა თვითონაც უნდა გადაკარგული-  
ყო სადაც, და ამ სოფლისკენ გამოუ-  
წია კი არა, სულმოუთქმელად აარბენი-  
ნა გულმა, თუმც, ეს ადგილი სულაც  
არ იყო გადაკარგული — წილხვედრი  
იყო, იქ ალაგ-ალაგ იდო თოვლი, ღამის  
ჰაერი, მთვარის წყალობით მაინც კამ-  
კამა, საღი იყო და, იწიწვნებოდა, სო-  
ფელი იყო? — ხის და აგურის სახლე-  
ბიანი, და თუმც სუყველა რბილად ბო-  
ლავდა, რაღაცა ნაღდი, გაუქვარტლავი  
სინამდვილით მოსილი ვანო გზაჯვარე-  
დინზე შემდგარიყო, მერე ადგილზე ნე-  
ლა ბრუნავდა თავისი ქალის მოლოდინ-  
ში, ნეტა საიდან ებოძებოდა, ოთხი გზა  
იყო: მის წინ და უკან — ასფალტიანი,  
ერთი — დაღმართში ჩაიღოდა, იქ  
ბლომიად იდო რატომღაც თოვლი, და  
კიდევ ერთი — ბილიკი მიცოცავდა  
მთაზე შეფენილ ტყეში, თვალი ააყოლა  
და, გაკვირებული მიაჩერდა მთის ლა-  
მის წვერთან მოციაგე რაღაც სინათლეს,  
ნეტა იქ რას რა აციაგებდა, ნეტავ რა  
უნდა ყოფილიყო, ალბათ ვარსკვლავი  
ეგონებოდა მთის კენწეროზე ოდნავ  
ქვემოთ რომ არ ეციაგა... დაბნეულოც  
კი, მიჩერებოდა, მაგრამ ფეხისხმა მო-  
ესმა და, სწრაფად შეტრიალდა: ვიღა-  
ცა ქალი ახლოვდებოდა, მისი მაიას სი-  
მალისა, მისივე იერის, თითქოს... გაე-  
ქანა და, მაგრამ ქალმა შეშინებულმა,  
ცალმხარაწეულმა აუარა, სახტად დაგ-  
ვირჩა ვანო, გააყოლა თვალი... მერე  
ციაგე გაახსენდა, ისევ ახედა, შემობ-

რუნდა... და, ვანოსაკენ შემრეც აღმართზე ამოდირდა რაღაცა შავი, ფართო, მალალი, მაიას სულაც არა ჰგავდა, მაგრამ ისეთი რეჩხი უყო თვალზე მიმხვედრმა — გულმა, ვანო დაღმართში სწრაფად დაეშვა და ფეხი რომ დაუსხლტა მოყინულ თოვლზე და წაქცევას ძლივას გადაურჩა, მერე ძალიან ფრთხილად ჩადიოდა, ყოველი ნაბიჯი ნეკნებზე აწევებოდა, და, იქიდანაც ნელინელ, მიიმედ, მაგრამ ჭიუტად ამომავალს, შეაკებრდა და, თანდათანობით როცა უფრო გამოარჩია, შეცბუნებისგან, კიდევ გახევდა — ვიღაცა დაღლილი რწვევით ამოდირდა თოვლზე, ნაბდინი და ფაფახში წარბებზემალული, რაღაცა სქელი ყელსაბურცი ზედ თვალებამდე შემოეხვია, ყაჩაღსა ჰგავდა, ღამეც იყო, კი, და კიდევ კარგი, თვალეზი მაინც რომ მოუჩანდა და თვალეზში კიდევ ისეთი შექი? — უღიმოდა, აჰ — მაია იყო!

— ვერ მიცან, ბიჭო?

ხმა თან უცხო, თან ნაცნობიც, ჰქონდა, ოღონდ ბაგეზე აფარებული ყელსაბურციდან უფრო სქლად, მიიმედ მოჟონავდა და, ეჭვით შეათვალიერა, ის კი თამამად შესცქეროდა, უთხრა:

— დავიღალევი, მოდი...

მივიდა, ნაბდინ ზურგზე შემოხვია ცალი ხელი, მერე ცოტათი დაიხარა და, რომ გაიმართა, ხელეზზე ჰყავდა. ის იყო, მაგრამ:

— ეს რა ჩაგვიცვამს, რა გახურია...

— აღარ მოგწონვარ?

ისეთის დიდი გულდათუთქულობით ჰკითხა, ნაღდად ემასხრებოდა. მაგრამ ეს ვანო გამოჰყერილი იყო კრავივით, ალაღად უთხრა:

— როგორ არა... კი.

— და... — მთლად უარესი: რაღაც ჰქვითინისწინა შეირია გახედნილ ხმაში, — და არც გიყვარვარ?

— კიი!.. როგორ არა.

— მაშინ ჭერ გზაზე ამიყვანე.

— სად გზაზე...

— მაღლა.

მიიმედ აიძრა — თუმცა მაია ჰყავდა ხელთით, აღმართი მაინც აღმართია...

ყელსაბურციდან კვლავ მოგუდული, ცოტათი უცხო ხმა მოისმოდა...  
ბლა რაღა, გზაში:

— შენა, რა გქვიან? სულ დამავიწყდა...

ამჟამად მიხვდა, — ემასხრებოდნენ. და ვითომ აჰყვა:

— მეე? — რამაზი.

— უი ჰო, ვანო.

ვინ აჯობებდა... რა შვილი იყო?

აი ეს ვანო აღმართში მწარედ აღიოდა, ის კი, მაია, მის ხელეზზე უღარდელად მოკალათებული, ექაქანებოდა:

— მართლა, რამაზზე გამახსენდა, პოვეტი არ გამოხვიდე, იცოდე, ბიჭო. რა კირად გინდა, რითმა ისეთი საშიშია?!

— შეტყუება იცის. შენ დიდი ჰქვიანი ბიჭი ხაარ და, — ემასხრებოდა, ემასხრებოდა! — სიფრთხილის თადარიგი კარგა უნდა დაიჭირო, ის რამაზი კი აი იმიტომ გამახსენდა, ერთი პოეტი შეაცდინა. გინდა გითხრაა, როგორ?

— როგო...

— როგორ და, ვანო, ერთმა პოეტმა საზოგადოებაში აღნიშნა რომ, რ-ზე სახელი იწყება ბევრი, და ჩამოთვლებით აავსო ქვევარი, ჩამოჰყვა ერთხანს, ბოლოს კი შეცდა. ხომ არ დაიღალე?

— არაჰხ...

— აი, ასე თქვა: რ-ზე რამდენი სახელია, კაცო?! — რიჩარდი, როსტომი, რაჟდენი, რამზესი, რაფიელი, რომანი, როსტეგანი, რამაზი, ეე, რამაზი, რამაზი, ჰო, რამაზი, თამაზი, თადეოზი, თანდილა... და გაჰყვა. გაიგევი?

— კი...

— აიი, ასე ჩამოთვალა და, საიდან სად გავიდა ყმაწვილი, ხედავ? ალბათ რითმამ თუ შეაცდინა, რა ძალა ადგა ჩამოთვლის ნეტავ, ხედავ?

— კიი...

— ხედავ თუ გესმის...

— მესმის, ჰუხ... მესმის.

— ცოტათი ხომ არ დაიღალევი?

რა მოსულელო სიტყვებს ამბობდა... — არაჰ.

— იცოდე, ბიჭო, შენთვის კარგი მიწა და იმიტომ ვამბობ — პოვეტი აღარ

გამოხვიდე, იცოდე, რითმებს არ გადასყვე, არ აედევნო, ძაან ძნელია. აქ არა გყავარ? — ასე ადვილი...

ადვილი იყო, როგორ არა, კი... მეტი რომ აღარ შეიძლებოდა. და ასფალტი თუ მოენატრებოდა, აღარ ეგონა; გახარებულმა, ფეხი რომ შედგა ფართო გზაზე, მოელოდა რომ, ქალი ჩამოსმას სთხოვდა, მაგრამ მაიამ უთხრა:

— ცოტათი ტყეში შემოყვანე, რაა... ვაი-ვაგლახით, შევიდა იქაც...

— ახლა, ჩამომსვი.

ძლივს ჩამოსვა და, თოვლზე ნაბღიანად დასმულს, ღონემიხილი, კინალამ თავზე გადაემხო... ძლივს გაიმართა.

— ახლა, იქ მიდი.

მკაზე სიმკაცრე შერეოდა მაიას ხმაში.

— სად... იქა... სადა...

სულს ძლივს ითქვამდა.

— იმასთან...

— რომელ... იმასთან...

ქალი წამოდგა; თვალეზი მუქად უღვიოდა, ნაბღიდან მძიმედ გამოჰყო ხელი, თავისი ბიჭი შეაბრუნა და, მხარში უბიძგა:

— იმ ხესთან მიდი. —

წიფელი იყო.

წიფელი იყო, მორჩილად და ღონივრად მდგარი, ხე. ძლივს მილასლასდა, და რადგან წაქცევას ემუდარებოდა მძიმე სხეული, თუმც უფოთლებოს, თუმცა უცხოს, ხელები მაგრად შემოხეია და, ჩახუტებული, მერე და მერე მაღლიერებით გრძნობდა, რომ აი ეს ხეც რაღაც ნაცნობი, და მეტიც უფრო, მშობლიურებით წიფელი იყო, ნეტა ხეთა სულებმაც თუ იცოდნენ გადასახლება, რა უნდოდა აქ იმა წიფელს, ეზოში ღვთისნიერად რომ ედგა; გადაღლილი და დამწვიდებული, უცხოდ ნახა ალერსს, გაყუჩებულს და, ყუჩად გადმომდებს, იკლენთდა ვანო, წიფელი იყო, ამ შუა ზამთარში უფოთლებო, მაგრამ ცოტახნით რომ ახედა, ვანოთი შემთბარს, თითქოს ფოთლებიც გამოსხმოდა, ისევე მაიად შემცივებული ლო-

ყა, რისი წყალობა იყო ნეტაც ასეთი დიდი, ვრცელი სიკეთე და უცხე, მიხვდა — მიწით გაზრდილი თავად, მიწისვე მაღლით ამოსულ უცოდველ პირმშოს, მიმღებ ხეს, წიფელს, მიწის ალერსით ჩახუტვოდა და იმისგანაც მიწისავე ალერსს იღებდა, მაინც რა იყო აი ეს მიწა, ადამიანთა და თავად ბუნების ერთგული, სანდო, უძლეველი კარიატიდი, ეს მისით იყო წყალი, ჰაერი, და სიყვარულიც, თუ ალაგ-ალაგ არსებობდა, იმისით იყო, გაწიშვლებული ფეხისგულებით იღგა დამზრალ და სათნო მიწაზე ვანო, როდის და როგორ გაიხადა ფეხსაცმელები და წინდები, აღარც იცოდა, და ამ ზამთრის ეამს მიწის ფარულ, ჩაკარგულ სითბოს — კი, მაინც გრძნობდა, და თავის დიდ და უმთავრეს საფიქრს, აქ, ახლა მიხვდა: რომ მიწა იყო თავად პროზის ვრცელი მეუფე, სუყველგან გყავდა, ოღონდაც ზოგან — ასფალტითა და მსგავსი ოხრობით გადაფარული, და მაინც უნდა მოგეძებნა და ფეხისგულებით ასე, ზამთარშიც უნდა გეგრძნო, რომ ნაფიქრი და სატანჯველი ამ წიფელივით სანდოდ უნდა ამოგეზარდა, და მიხვდა, მიხვდა: მოხუცი შაპი, სადა ტანსაცმლით მოსილი, ვერაგი, გულქვა და გაიძვერა, მონანიებით დაღობის ეამს აიი, ასე, სწორედ ასე მივიდოდა წიფელთან, ხესთან, და ძვირფას ნოხებზე სიარულით მიწა-დიდმშობელ-დავიწყებული. გაწიშვლებული ფეხისგულებით შეუდგებოდა და, როგორც შორეულ ბავშვობისას, ისე ვედრებით, გადასარჩენად შემოხვევდა სისხლიან ხელებს მის პირმშოს, წიფელს, მაღლიან ხეს, და მაიასადმი პირთამდე სავსე მაღლიერებით აღვსილი ვანო შემობრუნდა და, თავისი ქალისკენ მოუთმენლად, ხარბად გასწია, იმას კი ნაბადი ფართოდ გაეშალა, ფაფახი განზე მიეგდო და, იმ შუა ზამთარში, აქ, ტყის პირას, მხარ-თეძოზე იწვა... ყელსაბურცი კი მოეღედა და, ვანო შემცბარი დაჩერებოდა:

— შენ... მაიკო ხარ?

— მააშ, მკითხავი.

წამოდგა ზეზე, თვალში შეხედა:

— აქი გითხარ რომ, ყველგან შეგხვდები.

დაბნეული და შეყვარებულიც მიჩერებოდა, რადგან ეს ქალი, მკითხავი მაიკო, ქოხიან-ნაბდიანი, შეხვედრილთაგან, ყველაზე მეტად მისიანი იყო.

თვალეში შავად უბზინავდა, ხელი ჩასჭიდა:

— აიი, ესა, — მეორე ხელით წრე შემოხაზა, ქვეყნიერებას თუ გულისხმობდა, რას გაუგებდი, ბნელ-ბნელი იყო, — რათ გიყვარს, ივანე.

— აბა მე რავი...

გაეღიმა და:

— ოოო, ეგრე, იმახე რავი...

მერეღა, ჰკითხა:

— ხვდები, ივანე, ასე დიდი ხნით რად დაგეყარგე?

ხვდებოდა, ღუძდა.

— ბოლო ხანებში ცოტა ზედმეტად ლალი გამიხზი, და მიგატოვე, უბედური რომ ყოფილიყავ, რადგან ბედნიერსა და გახარებულ კაცს... მოკლედ, ივანე, კჳუთი იქნები? — შენი ვიქნე-

ბი, ბიკო, — და, დაეკითხა: — შაჰ აბას პირველთან, ვითომ დიდთან, წაგიყვანო, გინდა?

— ეუჰ! ძალიან.

— მაშინ, ამიყვა.

ალარც ახსოვდა წელანდელი არაქათ-გაცლა, აიყვანა და, ღონით აღვსილმა, იმედიანმა, ჰკითხა:

— საით წავიდეთ... სად წავიყვანო...

ხელეგზე ძნელი რამ ქალი ჰყავდა, რალაც შავ-ბნელად ძაან ლამაზი მკითხავი ქალი, ძნელი მაიკო, რალაცა ეჭვით ამოსცქეროდა ხელში ამყვანს და, ამ ივანემაც, გაუმეორა:

— სად წავიყვანო?

— ეგონა თუ, იმ ფართო გზისკენ, ქალაქისაკენ კოხტად ჩამავალ დაღმართზე მიაწიწნებდა, მაგრამ მაიკომ, მის კისერზე ცალმკლავშემოხვეულმა, მეორე ხელის წვეტ-წვეტიანი თითები იმ მაღალი მთის კენწეროსთან მოციავე სინათლისაკენ გაიშვირა და, უთხრა:

— აიი, იქა.

## ქალა იუვასი

წელს სრულდება ასი წელი გამოჩენილი უნგრელი პოეტის, მეოცე საუკუნის უნგრული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ძელა იუპასის დაბადებიდან უნგრული პოეზიის კლასიკოსის ენდრე ადის იდეური მემკვიდრე, თავის თანამედროვე თანამოკალმეებთან: მიჰაი ბაბიჩთან და დეკო კოსტოლანთან ერთად ერთგულად იცავდა უნგრული პოეზიის ტრადიციებს. მას მარად აღელვებდა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებისეული თუ სულიერი პრობლემები და დაუღალავად უმღეროდა თავისი ხალხის შრომას, უნგრეთის მშვენიერ ბუნებას. წარმოგიდგინთ ძელა იუპასის ჩამოდენიან ლექსს ციკლიდან ანასადში. ძელა იუპასის „ანას ციკლი“ სამართლიანად იცავებს ერთ-ერთ გამოჩენილ ადგილს უნგრულ ლირიკაში. ქართულად ძელა იუპასის ლექსები გამოქვეყნებულია მეოცე საუკუნის უნგრული პოეზიის კრებულში.

## როგორი იყო

როგორი იყო, განა მახსოვს, ის ჩალისფერი? მაგრამ მახსოვს, რომ ჩალისფერი არის მინდვრები, როს თავთუხები თავს დახრიან ზაფხულის ხეატში და მე ის ფერი გამახსენებს ანას თმების ფერს.

მისი თვლები, განა მახსოვს, ცისფერი ფერი? მაგრამ, როდესაც სექტემბრის თვის მოთენთილ დილით, შემოდგომის ცა ლაქვარდისფრად გაცისკროვნდება, მე ის ცისფერი გამახსენებს ანას თვალთა ფერს.

როგორი იყო, განა მახსოვს, მისი ხმის ქნარი? მაგრამ მისში მინდორს კვნესა რომ ამოხდება, მომეჩვენება: ანას ტკბილი ხმა მიხმობს ისევე გაზაფხულიდან, იმ შორეულ გაზაფხულიდან.

## მარადი ანა

წლები მოდიან, ილევიან, აჰა, მოაკლდი ჩემს მოგონებებს და გაფერქრთალდა გულის სიღრმეში შენი სახე და წაიშალა შენი მხრების ნაზი ოვალი,



მიხმო შენმა ხმამ, მაგრამ, ვაი, ვერ წამოგყევი  
ჩვენი ცხოვრების გაუვალი ტყის ბილიკებით.  
დღეს უკვე აღარ მალეღვებს: „ანა“,  
დღეს აღარ ვუკრთი შენს ნათელ მზერას,  
უკვე ვიცი, რომ მრავალთაგან ერთი იყავი,  
რომ სიჭაბუკე — სიბეცეა, მაგრამ, ო, მინც  
არ დაიჯერო, სულო, თითქოს ამო იყო,  
და სულ მთლად გაპქრა, წაიშალა — არ დაიჯერო!  
შენ ჩემთანა ხარ — დაუდევრად ნასროლ მზერაში  
თუ დაბნეულად ნათქვამ სიტყვაში,  
უმისამართოდ წამოსროლილ მისალმებაში  
და იმ წერილში, წაკითხვა რომ არ უწერია.  
ჩემს გზასაცდენილ ცხოვრებაში  
სამარადისოდ შენ ცოცხლობ, ამენ!

### ანა

დრომოკმულ ნაღველს მივსტიროდი ისევ და ისევ,  
სალამოს ბინდმა ჩემს ოთანში დაისადგურა,  
მე მის ჯადოსნურ, მორევივით მღვრიე თვალებში  
მოქანცული დღის ძველი სევდა ნათლად ვიხილე.  
კლავიშები თუ ქვითინებენ ასე სალამოს,  
ბალბა წითელი, ფანჯრის მინას აფარებული,  
ისევე, როგორც სევდა ჩემი ობლად მავალი,  
სიყვარული და თანაგრძნობა რომ შეეწყვილა.  
მაშინ კი ანამ დახუჭა თვალი.  
მაშინ ტკივილი სილამაზედ იცვალა უცებ,  
და ბედმაც თითქოს შეარბილა თავისი ხელი  
და ვით ნანატრი მშვენიერი ხატება დილის,  
სალამოს ბინდში სასოება ამოიწვერა,  
მაგრამ, ვაი რომ იმედს მიღმა დარჩა ის ჩემთვის!

### გარდაცვლილი შეყვარებული საფლავის ძვაზე

ანა მოკვდა და ანა მიწას მე მივაბარე...  
სათნო, ლამაზი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი,  
მხოლოდღა ცოცხლობს მოგონებათ ნათელ მორევში —  
ყველაფერი ზომ გვრევაღია და წარმავალი.  
ცრემლი არ მაქვს და ვერ ვივლი, ვიცი ძაძებით,  
თუმც ანა მოკვდა, ანა მიწას მე მივაბარე!

თუმცა ჩვენი გზა უკვდავია, ზოგიერთ ბილიკს  
სულელები ჩვენი ვერასოდეს დაადგებიან,





მარად ყვაველით გადაჰენტილ ჯადოსნურ ხეთა  
 მე და შენ მხოლოდ პაწაწინა ტოტები გვერგო,  
 ჯადოსნურ ბაღს კი ჭვითინით თუ შემოვივლიდით...  
 ო, ანა მოკვდა, ანა მიწას მე მივაბარე!

ნუ შეტყვი ნურას მის შესახებ, ნურცა ღრუბლები,  
 ნურცა გაზაფხული მომიყვება მე ანას ამბავს,  
 ზაფხულის ტყეებს არ შეშურდეთ კურთხევა მისი,  
 მე მოგონებამ თოვლის მძიმე ჭურჭში გამხვია.  
 სათნო, ლამაზი, სისბეტაკით მოსილი ჩემთვის,  
 ო, ანა მოკვდა, ანა მიწას მე მივაბარე.

### ანას გახსენება

შემოდგომა!

სადა ხარ ანა? კოცნა შენი მე მავიწყდება.  
 ტკივილნარევი მე რად მერგო ეს ყრუ წუთები  
 და სევდიანი შემოდგომა, მთელემარე ვარდნო!

ვემთხვევი შენს სულს.

სადა ხარ ანა? ცრემლი შენი მე მავიწყდება —  
 წარსული ცრემლი, მარად შენგან მივიწყებული,  
 მე კი იმ ცრემლებს ვმადლი შენს სულს, ვკოცნი, ვადმერთებ!

შენი ხილვა მსურს.

სადა ხარ ანა? კვალი შენი საით ვიპოვნო?  
 დავბრუნდე შენთან? მაგრამ, ვაი, რომ მეშინია,  
 მთლად არ წამლეკოთ, მშვენიერო მოგონებებო!

უნგრულიდან თარგმნა მანანა ხალაჩიშ

# ორი თვალი

რომანი

იმ საღამოს მე მარტოდმარტო ვიჯექი ოღის აივანზე და ყუმის გორაკისაკენ ვიციკირებოდი. ერთი ავთანდილი იყო, ერთი ტარიელი, ერთი ფრიდონი; მკაფიოდ კი არ ვიცი, რომელი მათგანი იყო ავთანდილი, ან კიდეც ფრიდონი; მაგრამ ასე მეგონა, ყუმის გორაკისაკენ რომ გავიხედავდი, იქ სამი მაღალი ცაცხვი იდგა და ქროდა ნიავი დღენიადაგ, და საცა არ უნდა წამეკეთხა ის წიგნი. ეს სურათი მეჩვენებოდა მაინც, გორაკზე დაჩნდებოდა ის სამი ცაცხვი და გრძელდებოდა ამბავი, შორს კი ტყიანი კალთა ჩანს, მდინარის გაღმა მინდვრებს იქით. ტყეა შეჩქვიფული ერთ ალაგას, უფრო მოშორებით კიდეც ტყეა ბნელი, და კიდეც ხუთიოდე ვერსის მოშორებით ტყეა ისევ; ის ტყეები დანაწილებულ ჭარს მაგონებდა მაშინ, ჭარის ნაწილები ერთმანეთისაკენ მიდიოდნენ, ერთმანეთს უერთდებოდნენ, და მერე კიდეცა უნდა წასულეყვნენ ერთად, სხვა ჭარებთან საომრად, რა თქმა უნდა. მაგრამ ხანდახან ის სამი, სხვადასხვა ალაგას შეჩქვიფული ტყიანი ადგილი, მოჭიშპე რაზმებს მაგონებდნენ. ისინი წელა ჩამოდიოდნენ ფერღზე, შუბები შემართული ჰქონდათ, მოიწყვდ-

ნენ წინ და საცაა უნდა შეებოდნენ ერთმანეთს კიდეც...

ამ წუთსა მახსენდება, თუ როგორ ჩამოვიღე სხვენიდან სერჯი მაკალათიას წიგნი; ახლა ვამბობ, სერჯი მაკალათიას წიგნი-მეთქი, თორემ მაშინ ისიც კი დაუჭერებელი იყო ჩემთვის, რომ ამა თუ იმ წიგნს ავტორი ჰყავდა. მე ავედი ოღის სხვენზე, იქ კიბე გვქონდა მიღგმული, იმ დილით, ალბათ, ვილკას დასკირდა ის კიბე; ოღა-სახლში ჩემს გარდა არავინ არ იყო. მახსოვს სხვენიდან ჩამოტანილი საზამთრო მსხალი. მრგვალი და მოყვითალო, მახსოვს სურნელი მისი, უტებელი იმ მსხალს და შურწურით გამოუვიდოდა წვენი, ტბილი და სასიამო. ხოლო ვიდრე არ დავერეფდი, ვიდრე კარგა ხანს არ შევიწახვედი, მახსოვს, ის საზამთრო მსხალი არაფრადაც არ ვარგოდა, მაგარი იყო და უგემური, კბილს რომ მოგტეხდა, ყელზე რომ დაგადგებოდა. ისეთი, ახლა კი დაგუნდავებული იყო. მაქრიანი და წყლიანი, — ის მსხალი მომინდებოდა მაშინ, აქ სიფრთხილე და გულისყურიანობა გამართებს. — კერზე აკრული ფიკარი თბელია და შეიძლება ჩატყდეს; სხვენი აქნვეულში მსხალია მიყრილი, იქამდე კიდეცა ხუთი-ექვსი ნაბიჯი, მაგრამ, სანამ იქ მივიდოდი, მე ვნახე უფერულ უდაში ჩასმული წიგნი.

ავიღე ის წიგნი, ავიღე, მტვერი მოვაცილე. „სამეგრელოს ისტორია“, ეწერა ზედ, ძველი წიგნი ჩანდა, დრო-ჟამისაგან გაცვეთილი, ფერშეცვლილი, ფურცელშეყვითლებული, და სადაც გადავშალე ის წიგნი, იქ იდო სწორედ ის ფოთოლი, ჩვენი წყლიანი მსხლისა, ჰაწია, სიფრიფანა და გალუული, ფოთოლი არც ეთქმოდა თითქო, მარტოოდენ სულიდა დარჩენილიყო მისი. ჩინელი ოსტატის წერილი ფუნჯით გამოყვანილ ნახატს მოჰგავდა ის, დიდი გულისყურითა და საქმის ცოდნით შესრულებულს, ნაქარგევით იყო, ოდნავად დაჩნეული წიგნის ფურცელზე და საკმაო იყო შეცხებოდი მას, ნაქარგი დაიშლებოდა, გაქრებოდა მტვერებით, ხელში ჩამადნებოდა, ისევე დავხურე წიგნი და გულისფანქვალით ჩამოვედი ძირს; სვი. მო ბაბუამ, როგორც ეთქვი, კითხვა არ იყო. არც ლუცა ბებიას ჰქონდა წაკითხული ის წიგნი და არც ალექ ბიძიას; ვინ იჭდა, ნეტა, ჩვენი წყლიანი მსხლის ჩრდილში, იმ წაჩხულ ზაფხულს, როცა ის ფოთოლი ჩამოვარდა ხიდან? ის ვიღაცა წიგნს კითხულობდა მაშინ, ნელმა ნიაგმა ჩამოაგდო ფოთოლი, ან შეიძლება სულაც იმ ალაგას დავარდნილიყო ის ფოთოლი მაშინ, სადაც წიგნი იყო გადაშლილი, წამკითხველი მაშინ რალაცას გაიფიქრებდა, იმ ფოთოლს თითებით მისწვდა იქამდე, სადაც გვერდები ერთდებოდა და მერე დახურავდა წიგნს, რამდენი ხანი იყო მას აქეთ გასული... ვინ იყო ის? იმ კაცზე არაფერს ამბობდნენ, არ იხსენიებდნენ მას და აბა, მე საიდან მეცოდინებოდა მისი ვინაობა, ომი დაწყებული არ იქნებოდა, რა თქმა უნდა, კოჩია ბიძია და გეტა ბიძია ხომ ომიდან არ მობრუნებულან, და ომში წასვლამდე თუ აიღებდა იმ წიგნს რომელიმე მათგანი; მაგრამ. სალამო ხანს, ყველაფერი ნათელი გახდა. ლუცა ბებიას თქმით. გეტა ბიძიას მოჰყოლია (ომში წასვლამდე, რა თქმა უნდა), ერთხელ, ვიღაც ქალაქელი ამხანაგი, იმ ქაბუცს სჭერია ის წიგნი, ხელში, ლუცა ბებია სადილს აშა-

ღებდა, კარგი ამინდი ყოფილა, ის ქაბუცი ჩამომჯდარა მსხლს, ჩრდილში და კითხულობდა თურმე იმ წიგნს, მერე დამთვრალან სამივენი, გეტა ბიძია, კოჩია ბიძია, და ის უცხო ყმაწვილი, დღე-ღღე ომში უწევდათ წასვლა, თურმე დაიწყებია ის წიგნი სტუმარს, მთელი ღამე, მსხლის ძირას, სკამზე იდო თურმე ის წიგნი, მეორე დღით უნახავს ბაბუა სვიმოს, ალექ ბიძისთვის უთქვამს, სხვენზე აიტანეო, ბოში, და ამითვე მორჩენილა იმ წიგნის ამბავი, ის ქაბუცი მეტად არ გამოჩენილა ყუმში; მგონი, კოჩიაზე და გეტაზე ადრე გაუწყვევიათ ომში და ის წიგნიც სამუდამოდ დარჩენილა ჩვენთან.

სერგი მაკალათიას „სამეგრელოს ისტორია“ მაშინ მე არ წამიკითხავს; ჯერ ერთი და, რას გავუგებდი. კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც; მეორეც, იმ წიგნის ფურცლებიდან, სურათებიდან, და თვითონ უდიდან, რალაცაიჩი სიბნელე მოდიოდა, წიგნს ფურცლები გაუკითხუბული ჰქონდა. სუნიც კი ასდიოდა თითქო, სიძველისაგან. ოდის სხვენიც ხომ ბნელია, მაგრამ მთელი ჩვენი სამეგრელოც ასეთი არ იყო განა? წიგნიდან გარდმომავალი მოწყენა. ალბათ, სამეგრელოს ლანდშაფტიდან მოდიოდა; ამას კი ჩვეულებრივ, გამოუსვლელ ჭირ-ვარამში მცხოვრები გლეხ-კაცობის ბედ-იღბალი განსაზღვრავდა. წიგნი თავისას ამბობდა. სვიმო ბაბუას კი, ვიცი, მოწიწება ექნებოდა სტუმრისადმი, ჩვენსაა რომ ის წიგნი დარჩა, შევენახავო, ფიქრობდა, და ამიტომაც უთხრა ალბათ ალექ ბიძიას, სხვენზე აიტანეო ეს წიგნი. ბოში.

მე რომ უზოვარ და ჩრდილში ვკითხულობ წიგნს, — სვიმო ბაბუა ამ დროს ეხუზოდა. რალაცას უჩიოკიტებს ჩვეულებრივ, სინათლიანი ამინდია ცისკვეშეთში. მზე დაბარჩხალებს მიწას, სიწყნარეა, მზე თავისას აყეთებს, სვიმო ბაბუა თავისას, იქ ყანა მწიფდება. აქ — ჰატარა ურჩივით ნაკელი შეაქვს ვენახში სვიმო ბაბუთას. ლუცა ბებია ჭარკვლის მახლობლად ფუსფუსება. ან ჰაწია ბოს.

ტანშია. იქ დაფარფატებს კვლებს შორის, სარეველას აცლის ბოსტინელს, ალე ბიძია ეზოს მომდგარ ტყეშია წასული, იქიდან მოდის ხანდახან ნაჯახის წყვეტილი ხმა. მე ვზივარ ჩვენი წყლიანი მსხლის ჩრდილში და ვკითხულობ წიგნს. რას ვკითხულობდი მაშინ, არ მახსოვს, — მახსოვს, წიგნი მქონდა გადაშლილი და სვიმო ბაბუას ნაკელი შექმონდა ვენახში. რა ვიყავი მე მაშინ სვიმო ბაბუასთვის, ვინ ვიყავი-მეთქი, ამის თქმა მინდა, მან ხომ წიგნი არ იყოფა, და რას ფიქრობდა ჩემზე, რას გაიფიქრებდა, მე რომ გვერდით ჩამივლიდა. საესე ურიკით ვენახისაყენ მიმავალი?!. ჩამივლიდა სვიმო ბაბუა საესე ურიკით, ნაკელს ვენახში დაყრიდა, გადმოაპირქვავებდა იქ და ისევ მობრუნდებოდი უკან. ისევე ჩამივლიდა გვერდით, მე გაუნძრევლად ვიჭდებოდი იმ ალაგას, სადაც ვიჭექი, წიგნში შექნებოდა თავი ჩარგული; ხმაძალა წაიკითხეო, დაიბახებდა ლუცა ბებია ბოსტინიდან, თავს ხომ არ იტყუებო, ამას გულისხმობდა. სვიმო ბაბუა კი არაფერს იტყოდა, ჩამივლიდა და ჩამომივლიდა ისევ ურიკით. ხან საესე ურიკით, ხან ცარიელთ. თავს წამოვწევდი წიგნიდან ფრთხილად. მსხლის გარშემო დაფენილი ჩრდილი კლებულობდა, მზე მაღლა იწევდა, ჩრდილი პატარავდებოდა, ხოლო როცა ჩრდილი იმ გრძელი სკამის ბოლოს მოაწევდა, სადაც მე ვიჭექი და ვკითხულობდი, ლუცა ბებია ბოსტინიდან გადმოვიდოდა და იწყებოდა სადილის სამზადისი, სვიმო ბაბუა კი ჩვეულად დაატარებდა იმ ურიკას ყანიდან — ვენახში, ვენახიდან — ყანაში; გაუსკდაო ბოლანას ტვინი, იტყოდა სვიმო ბაბუა, მე ვზურავდი წიგნს და მეტად არ ვკიდებდი ხელს. მაგრამ საღამო ხანს, ნამდვილი გამოცდა მეწყებოდა. ჩვენი ოდის აივანზე ვზივართ ყველანი; დამდებდა თანდათან, გაბუ ბიძია ჩვენთან სტუმრად ან კიდევ სხვა ვინმე, რა მნიშვნელობა აქვს, მე დახურული მაქვს წიგნი და ვყვები იმას, რაც დღეს შევისწავლე, დღეს წაიკითხე, ან სულაც განვილი

გაკვეთილს ვყვები, ვინ რას მიმიხედებ? მაინცდამაინც. ბნელი რომე მტრუღლებზე — სინათლე მცირდება და ჩრმუტ-განწყნადეს, აწი წიგნში ვერ ჩაიხედავ, ვერაფერს დაინახავ. „სინჯარაში რომ წყალი ჩავასხათ, ჰაერი ამოიტუმბება და მის ადგილს წყალი დაიკაებს“ — მახსოვს, თუ რა გულმოდგინედ და გაკვირვებით უსმენდა სვიმო ბაბუა ამ უბრალო ფილოსოფიას. ლუცა ბებია, ხანდახან, როცა მე შევხანდებოდი, — აი, პატენი, ხომ ხედავო, ეტყოდა სვიმო ბაბუას, შენ რომ ლერიების მოსაგროვებლად აგზავნიდიო, ხომ ხედავ, არ იცისო გაკვეთილი ბალანამ. სვიმო ბაბუა დამნაშავესავით მიჩუმდებოდა ამ სიტყვებზე, გაილურსებოდა, ისე დაიჭერდა თავს, თითქოსდა ის სიტყვები არც კი გაეგონოს, — ასე თუ ფიქრობდა, ალბათ, ბავშვი ლერიებზე არ უნდა გამეგზავნაო, მაგრამ ალე ბიძია, ყველასაგან განსხვავებულად შექცეოდა. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, ალე ბიძიას ნაკლებად აინტერესებდა, თუ რას ვაკეთებდი მე; მისგან, ერთი სიტყვით, ყოველთვის თავისუფალი ვიყავი. — არც არაფერს დამევალებდა, არც დამიბახებდა, ესა და ეს მინდაო, ესა და ეს მომიტანეო, ძროხა გამოუშვიო ბაქიდან, ლორებს კარი ჩაუკეტეო, ფინახარში ჩალა ჩაყარეო; არ მეტყოდა, ხერხი გამიწიეო, მივიღოდა და თვითონვე მოჰკიდებდა ხელს, მარტო ცოდვილობდა, ვხედავდი, და მე არ მეძახდა, მე კი მივდიოდი, რა თქმა უნდა, თუკი ამას დავინახავდი; ცხადია, მივიდოდი და მოვეჭიდებოდი იმ ხერხის მეორე ბოლოს, ორ-სამჯერ დავიყვანდი ძირამდე ხერხს, ახლა კი წადიო, მეტყოდა, გაკვეთილები მოამზადეო, ლუცა ბებია იმ დაგინახოსო; სვიმო ბაბუას კი, გვერდით რომ ვედექი, ეს ახარებდა; მახსოვს, ყანიდან მობრუნებულები — როგორ ვუსხედვართ ტაბაკს. დღეს ჩვენთან ფილუ დარანდიაა, გვებმარებოდა ფილუ დარანდია მარგვლაში და ჩვენთანაც წამოვიდა, მზე რომ გადაიხარა საონდლეშიოდა; „ონდლურს ხომ არ უდგასო ალე ახლა“, იხუმრა ფი-

ლუ დარანდიამ, იმ ხანად ჩვენ დიდი ონდლური გვედგა წინ. ტაბაკის გარშემო ვისხედით მთელი სახლელი და შევექცეოდით ღოშსა და ყველს, თავი და თავი კი, იმ გვარისა არ იყოს ან მეტსახელისა. რაც ამკუთხელებს აქვთ მიბმული, — თავი და თავი საკმელი მაინც ლობიო იყო, ღვინოც იქვე, ტაბაკთან გვიდგას და ვსადილობთ ამრიგად. უმცროსი ვარ და ვასხამ მე ღვინოს. რანაირი მტკიცე ამინდი იყო თითქოსდა, რანაირად ცხელოდა და ტყარცალეზდა სახსარი სიერცისა, წურწურით ჩამოგვდიოდა ოფლი მესადილეთ, „ჭამასაც შრომა უნდაო, ბაბაია“, ამბობდა სვიმო ბაბუა, ბული და ხვატი იდგა მთელი დღე, და მოულოდნელიც ის იყო სწორედ, რომ უცებ გაიავდრა, შიისის დასაწყისი კი იდგა მაშინ, და ტექვა-ქუხილიც ვის გააკვირვებდა, მაგრამ რალაცნაირად უცებ ჩამოწვა სიბნელე, უცებ ჩამობნელდა ცა, არ გადაიღებსო, ესა თქვა მხოლოდ ბაბუა სვიმომ, და მეტი არაფერი, არც ერთი სიტყვა არ მაგონდება მეტად, მაგრამ რომ დაიგრგვინა და ჩამობნელდა ცა, იქამდე იცოცხლე, რას არ ყვებოდნენ, რას — არა, რა არ მოგონენ, და საით არ მიდიოდნენ, სად არ იყვნენ და სად არ აპირებდნენ კიდევ გასეირნებას, მაგრამ დაიგრგვინა და ჩამობნელდა კიდევაც ცა, და რა უეცრად გაკმინდეს მაშინ ხმა, რა უეცრად მოეშენენ ყველანი, და განა ვაცი მარტო, და მარტო ისინი, ვინც იმ დღეს ტაბაკს უსხდნენ, — აგე, ჩვენი მარჩენალიც მოადგა ჭიშკარს, მოტყუვდა ბეჩავი, როგორც ჩანს, ბნელდებაო, თუ გაიფიქრა, ამ აზრმა თუ გაუფაჩუნა თავში, წამოვიდა და მოადგა ჭიშკარს ნაშუადღევზე, მაგრამ მე ეს მაინც ნაკლებად მაკვირვებდა, ვინემ მესადილეთა გაჩუმება და გარინდება, როგორ დაეკარგათ ენა, როგორ წაერთვათ და გაუთავდათ სათქმელი და სალაპარაკო, ან იჩენება უნდოდათ კიდევ ეთქვათ რამე, ხმას ვერ იღებდნენ მაინც, ძალას კი არ ატანდნენ თავს, რაიმეს ვიტყვი-თო, ბუნებრივად ხდებოდა ყველაფერი,

ძალდაუტანებლად და ჩაუჩუქვლად, ოღონდ რალაცის ბრალს ვიყენებთ გაჩუმება. ამას მე თვითონვე მიგზვდი მაშინ, მიგზვდი და გავიფიქრე, გააზრებით კი არ გამოიზრია, რა თქმა უნდა, მიზეზი ამისა, მაგრამ ხომ იმ დღიდან დამამახსოვრდა ეს სუოათი, ეს განწყობა ხომ იმ გაავტრებდიან მოდის მაინც, იმ დღეს რომ დაგვატყდა უცებ, და ვხედავ მე იმ ძროხასავით შეტბუნებულ ხალხს, გაყუჩებულ და ენაჩავადნილ მესადილეებს, სვიმო ბაბუასა და ფილუ დარანდიას, ალუ ბიძიასა და ნუნუ ბიცილას, და ბებიაჩემს, გასისმარებულად მდგარს ჯარჯვლის კართან, ხელში რალაცა უჭირავს, — მოდიოდა, ალბათ, ტაბაკთან, რალაცა მიგვაკლდებოდა და ის მოჭმონდა ალბათ, მაგრამ გაჩერდა ანაზღად გზაზე, და მიეყრდნო ჯარჯვალს, უხმოდ და უაზროდ, სოფლის გარე იდგა თითქო, სოფლის იქით, სურათში იყო თითქო, მრუქედ გამეღვენებულ, მჭრქალ სურათში, და იდგა ჩვენს მთავარ ჭიშკართან ჩვენი მარჩენალი ძროხა, ზურგმობუზული და აფხორილი, და სევდიანი თვალებით მომზირალი ჩვენსკენ. ეზოსკენ, საძროხესკენ, — სადაც კიდევ ენთო მისთვის იმედის მომცემი მცირეოდენი შუქი... იმ დღეს, რატომღაც მგონია, ასეც კი გავიფიქრე, ძროხამ, როგორც ჩანს, ჩვენზე ადრე გაიგო, რომ გაავდრდებოდა, და ადრევე გამოუყვია შინისაკენ მომავალ გზას, სვიმო ბაბუა კი შეეცა, ტაბაკი ხომ ჩვენი წყლიანი მსხლის ძირას გვედგა, როგორც ყოველთვის, და სვიმო ბაბუამ მარტოდენ მაშინ თქვა, ტაბაკი ქოხში შეეიტანოთო, როცა ძალუმად დაიგრგვინა, მაგრამ ამას, ალბათ, სხვა რამეც უძღვის წინ, ძროხა რომ ყუმის ტაფობიდან წამოვიდა, გზაც ხომ საკმაოდ გრძელი ედო წინ, ვინემ ჩვენს ჭიშკარს მოაწვედა, სვიმო ბაბუას კი, ალბათ, ტანი თუ ეუბნებოდა, შინ ხარო მაინც, რა გეჩქარებო: ტაბაკს კი, ადრევე უნდა მეთქვა. წვეთი რა არი, წვიმიან წვეთიც კი არ დააცემია, ისე ციმციმ მოვასწართ ჯარჯვალში შესვლა.

მერე იქ ლუცა ბებიამ ჭრაქიც კი აანთო და არაფერია ქვეყნად ისე დასამახსოვრებელი, როგორც ის, დღისით რომ სინათლე დაგვირდება. და ეანგისფერი აქვს ამ სინათლეს. ჭრაქი რომ გამოსცემს, ლამე კი არ არის ნამდვილად, არამედ დღეს ჩამობნელებული. და მახსენდება ამ წუთსა ფერი. — იმგვარი, იმ ჭრაქსა შუქს რომ უახლოვდება თითქოს. დიდ ქალაქში რომ მიდიხარ სადმე. დიდი ქალაქის ქუჩაში, ნაწვიმარზე, და უცებ, შორიდან დაინახავ ყველაზე მკაფიო ფერს. დაეანგული გორგოლაქისა, დაეანგული ჩიხისა, ასფალტი რომ უწყობრებით და უტყუპნით ოდესღაც. და სჯაბნის გარშემო ყველაფერს ის ეანგისანი ნაწვიმის ფერი, ბრდღვიანდება. როგორც პროტესტის ნიშანი, როგორც წინააღმდეგი შექმნილი მდგომარეობისა და მუშტივით ელერება მთელ ქუჩას, მთელ ქალაქს. მთელ ქვეყნიერებას. კიბო სპირიტეს თითქოსდა ქალაქს, მაგრამ ამისგან განსხვავებით, იმ ჭრაქის შუქი. დღისად რომ ანთო ლუცა ბებიამ. სხვაგვარ განწყობილებას გვიქმნის. — რალაცნაირი. სევდიანი და არაფრისმთქმელი შუქი აქვს მას. აი. ქალაქში ელექტრონის ბოძებზე დაკიდებულ ნათურას რომ აქვს შუქი დღისით, ისეთი, უმიზნო და არაფრის მაქნისი. არცა სიხმარს და არცა ცხადი. არცა ცოცხალი და არცა მკვდარი, ნახევრად ცოცხალი და ნახევრად მკვდარი, ნახევრად სიხმარი და ნახევრად ცხადი, ნახევრად კაცი და ნახევრად ქალი.

ალე. ბიძია ყველასაგან განსხვავებულად შექცეოდა-მეთქი. მახსოვს, სიბნელის მოტანებისას, შელამებისას, ოდის აივანზე რომ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი, — მაშინ, როგორ მოვიდა შეუმჩნეველად ალე ბიძია, როგორ მოიტანა ანთებული ჭრაქი და დამიდგა წინ. სჯამზე, მე პაწია ყველაზე ვიჯექი, წინ სჯამი მედგა. „ზალიდან“ გამოტანილი, იმ სჯამზე ფიზიკის წიგნი მედო. და ასე ვკითხულობდი; დამდებოდა, მოვიდა ალე ბიძია და დამიდგა ჭრაქი წინ. მე ჩვეულებრივად გაფაგრძელე კითხვა-ალე ბიძიას რომ ეთქვა მაშინ. — აჰა, წენ ჭრაქი. სიბნელეში რომ უხიხარ გადაშლილ წიგნს, თავს ხომ არ იტყუებო. — შეიძლება მე ის სალამო არც დამმახსოვრებოდა. მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეთქვი, უხმაუროდ და უსიტყუოდ. ალე ბიძიამ არაფერი მითხრა, კითხვას არ მომწყვიტა და ისე დამიდგა წინ ჭრაქი. ამაზე მე მაშინ არაფერი მიფიქრია, მაგრამ ახლა ვიცი, მას მოწიწება ჰქონდა წიგნის მკითხველისადმი; ვინ იცის, ალე ბიძიამ იმ სალამოს იაიცი კი გაივლო გულში. მიზა დიდი კაცი გახდებო.

ნაწილი მორად

სალამოს ბაზარი

\* \* \*

სადანიები ფრინველებივით მრავლდებოდნენ. ათი-თორმეტი შვილი ჰყავდა ნებისმიერ სადანიას. მაგათ ხომ საქმე არა აქვთ და საფიქრალი. თან პაწაწინა სახლები უდგათ ყველას, და აბა რა იქნებო. — ამბობდნენ მეზობლები; იმ პაწია სახლის გამო, როგორც მერე გავიგე, ქალი კაცთან უნ-

და დაწოლილიყო ეცილობდა; ზამთარმა გრძელი ღამეები იცის. ბალღები მათ ვერ დაუდარაჯდებოდნენ. ცხადია. მილულავდნენ თვალებს, ან ციკვატიას ზღაპრის მერე, როგორ გინდა არ ჩაყვინთო და ბურანმა არ წაგართვას თავი, იმდენი ქვეყანაა მოსავლელი ფეხითა და ცხენით, ნავითა და ხალიჩით, დაიღლები და ჩაყვინთავ კი-

დეს, ხოლო ვინც იმ ზღაპარს ჰყვებოდა, მან კი იცოდა, ალბათ, რაშიც იყო საქმე, ის არსადაც არ წაიფიქროდა, ბავშვებს კი არ გაჰყვებოდა თან, შინ იქნებოდა მუდამ და ფხიზელიც დარჩებოდა. დაიძინებდნენ ბალები და კრაქის შუტიც ჩაქრებოდა ფიცრულ სახლებში, და ისმოდა გაბმული შარი-შური და ფაჩი-ფუჩი. მე კი დავლუნავდი თავს და უფრო ჩავიფიქრებოდი ლოგინში, არაფერსაც არ გავიგონებდი და ყველაფერი ლეუა ბებიას მომაგონებდა ისევ, აბრეშუმის ქიის შრიალის მსგავსი ჩამესმოდა რაღაც და იყო ღამე გაუთავებლად გრძელი და ბნელი...

ის წელი მამინაცვალმა რატომღაც თითქმის უსაქმოდ გაატარა. არავის უნდოდა საქმის წამოწყება; ქვეყნად რა ხდებოდა, მე არ ვიცოდი. ცხადია, ან რად მინდოდა, ქვეყნის ამბები გამომიეკითხა. მე უბრალოდ, რასაც ვხედავდი იმას აღვწერ, იმას ვიგონებ და იქიდან მოვდივარ ჩემსკენ, დიდი მიხასაყენ, ქალაქში. სადაც ახლა ვარ და ვწერ ამას, ამ მაგიდასთან, სარკმლიდან შემოპარული მზე რომ ანათებს ოდნავ, ქუჩაში რომ ხმაურია და არაფერი მესმის, ტროლეიბუსის ბიგელი ავარდება ხოლმე ხმაურით და არ გავიგონებ, თავს ვიტყუებ, განზრახ სიჩუმესა და სიმყუდროვეს მივცემი, სხვანაირად არაფერიც არ გამომივა, ძაფი კი სუსტია და წყდება, დედა კი მეტყვის, გამიყარეო ისევ ძაფი, აი, ამ ძაფივითაა ყველაფერი, არ უნდა დაიჭიმოს, არ უნდა გაწელო, მანქანა ბრუნავს, ფეხის საკერავი მანქანა კი არაა ოღონდაც, არამედ ხელით უნდა აბრუნო, ხელით უნდა ატრიალო, ასე, ნება-ნება, გრძნობდე უნდა, რასაც კერავ, რანაირია ძაფი, მანქანას რომ მიაკვს, რამდენი კუჭრუტანა აქვს იმ ძაფს გასავლელი, აღმა და დაღმა, ზევით და ქვევით, და მერე კი სწორია, როგორც საფენივით გაშლილი ქალაქი. შენ კი ზევიდან დაპყურებ სოფელს და ყველაფერი ჩანს; იმ წელიწადს დიდი თოვლი იყო.

თოვლს კარგი მოსავალი მოსდევს. იტყვიან, მაგრამ იმ წლის მოსავალს ჩვენთვის არაფერი შერუტანია. მამინაცვალი უსაქმოდ იქდა.

\* \* \*

სვიმო ბაბუა რომ ხნავს ყანას და გუთანი ხროტინებს, — ცვივა ბელტებად გადმობრუნებული მიწა, მათრობელი ოზზივარი ასდის მონხელ მიწას. გრძელი ქიაყელა ამოჰყვება ბელტს. დაილაკნება ის ქიაყელა. დაპატარავდება, გაიწელება ისევ, დაილაკნება კვლავ, დაპატარავდება. გაიწელება ისევ, მატარებელივით. ხეობაში რომ უხვევს მატარებელი — ისე, მერე ფეხს დაადგამს ქიაყელას შემთხვევით ბაბუა სვიმო და შუა გაწყდება ქიაყელა. ახლა ერთი ერთ მხარეს მიდის, მეორე. — მეორე მხარეს, და იმ გაწყვეტილ ქიაყელას რომ ვაკვირდები. უცრად დავინახავ მიწით მოთხვრილ საინის ნატებს, ავიღებ იმ ნატებს. თითები გადავწმენდ თბილ მიწას, გავასუფთავებ და გავაყრილებ საინის ნატებს და გამოჩნდება ციკქნა ფოთლები. პაწაწინა და მომწვანო ფოთლები, საინის კუთხეებს რომ მოსავს. ჯიბეში ჩავიდებ იმ ნატებს, მიხარია რაღაც და სიამოვნებით მივუძღვები ხარებს. იმ მოხატული საინის ნატეხივით მხიარული ცხოვრება ჰქონდა ჩემი სკოლის მეგობარს ჯანი ხანთურისას. ჯანი და მე ერთ მერხზე ვიჯექით. ადრე ხინტუ სადანიო მეჯდა გვერდით, მაგრამ მან სწავლას თავი გაანება. საქმე ხელს ითხოვდა, სადანიების ბალები ადრევე ეჩვეოდნენ შრომას. თავის რჩენას, ზოგი სადანიო მედროვე იყო, ზოგი კიდევ — ხილის ვაჭარი. ჩემსობას თითქმის ყველა მოზარდი ვაჭრობდა ხილით. ავიღებდით ჯოჯო სადანიას მიერ გამოწეულ მომცრო კალათს (კარაჩხას) და დავუყვებოდით უთენია სოფლისაკენ მიმავალ გზას. ოთხ-ხუთ მანეთს გამოვრჩებოდით ერთ კალათ ხილს. ატყავებულ გვექონდა ზურგი კალათის ზიღვით, გაციარილებდით ხელს და ამოვისუნთ-

ქედით, დავითგლიდით ნაეპურ ფულს; თანს ცალკე ჩაეიდებლით ჭიბეში, მოგებულს — ცალკე. ხინტუ სადანია ჩვენზე მეტს იგებდა მუდამ. ჯერ ერთია და ჩვენზე უფროსი იყო ის მთელი ორი წლით, მეორეა და ჩვენზე მარად დადიოდა, ჩვენზე მეტი ტვირთის ზიდვა შეეძლო, და რაც მთავარია და საგულისხმო, თუკი ვინმე დაიძახებდა ქალაქში, აბა, აქეთ, მსხალიო, — ის ჩვენზე ადრე მიუბრუნებინებდა მსურველს ხილს. გაასაღებდა სადანია იმ კალათ მსხალს და გასწევდა ისევ საკონაროსსაკენ ცარიელი კალათით, საიდანაც მოგვეკონდა ხილი. ჩვენ ბოლომდე არც კი გვეკონდა ხელი გათავისუფლებული, ხინტუ სადანია უკვე მეორედ შემოდებდა გავსებული კალათით: ქალაქში. საღამო ხანს ცარიელი კალათებით ვბრუნდებოდით შინ სასადანიოში მცხოვრები ბალები. ხან კიდევ დავჯდებით საღამე შექაში, ამოვიღებთ: ჭიბიდან ფულს, ერთხელ კიდევ გადავითვლით გულმოდგინედ, ქალაქის ფულს ცალკე მივაქუჩებთ, სპილენძისას — ცალკე; ხინტუ სადანია მოგვიგებს ხურდა ფულს და დაძეგილი მიღის შინ. ზამთრის ხანს კი, შინ შეეკრილი, მხარზე გადაკიდებული ჩითის ჩანთებით მივდივართ ინგირის სადგურში, სადაც ჩერდება ჩქარი მატარებლები. ის მატარებლები საიდანაც დიდი ქალაქებიდან მოდიან და იმგვარსავე დიდ ქალაქებში მიეშურებიან. ინგირის სადგურში კი ყველა მატარებელი ჩერდება საკმაო ხანს. ავალთ იმ მატარებელზე ბავშვები, ავივსებთ ჩანთებს პაპიროსით და ისევე ვბრუნდებით უქირში საგარეუბნო მატარებლით. „სულეიკო!“ „სულეიკო!“ „პაპიროსი სულეიკო!“ „პაპიროსი!“ — გავყვირით უქირის ქუჩებში. ორი მანეთი და ოცი კაპიტი ღირდა მაშინ „სულეიკო“. ასეთივე ფასი ჰქონდა „ფლოტსკის“, ხოლო შემდეგ „ბელომორკანალსაჲ“, ჩვენ გყიდდით კოლოფ პაპიროსს სამ მანეთად, ვიგებდით ოთხ აბაზს და კ

გამოგვდიოდა ზუთი-ექვსი მანეთი მოგება დღიურად. მარტინეზული  
 ჯანი ხანთურია კი სულგანა ზმეკაშიკა მიწაგადაწმენილი საინის ნატეხივით. ჩემი სკოლა იყო უქირის ქუჩები, საკონაროსსაკენ მიმავალი აღმართი, სინწა და სინწის საცალფეხო ხიდი. მტვრიან ქუჩაში, პირდაპირ მიწაზე მჭდარი სადანიების ბალები და მიტუ ანდია, და მე მათ შორის, პატარა, ნაღვლიანი და გულმომწვაარი, რომ ჩემგან კი არ იყიდა ამ დიდმა ბიძიამ მსხალი, არამედ ხინტუ სადანიასაგან. ჩემიათ, პატენი, ახალი მსხალი, ის დილიდან ზის აქ, მე კი ახლა მოვედიო, ამბობს სადანია. ჩემი სკოლაა უქირიდან ინგირს მიმავალი მატარებელი და ინგირის სადგური, სადაც ბიძია მილიციელი მტაცებს საყელოში ხელს და ვაგონის კიბიდან ჩამომავლებს. მიტუ ანდიას ბაყაყისა ეშინოდა. ეს ვიცოდი. მაგრამ ჯანი ხანთურიასი არაფერი ვიცოდი. „მასწავლებელო თუთარია ჩემგან იწერს!“ — ამბობს ხამაღლა ხანთურია. მასწავლებელი მოდის ჩემთან და თავაზიანად მართმევს რვეულს. მართმევს მოფერებით, ასე არ შეიძლებოა. მეუბნება და მაგდებს საკლასო ოთახიდან. ვერა მასწავლებელს: მე ქუჩაში კი ვეყოლებოდი ნანახი. რასაც ვაკეთებდი, ისიც კი ეცოდინებოდა ალბათ და მიტომ თუ მიყვავებდა ასე, მაგრამ ვითუ. ვერა მასწავლებელს ჩემი ეშინოდა!  
 კონარების გორაზე სანამ ახვიდოდი, ჯერ სინწის ხიდი უნდა გაგველო. სინწაზე პატარა ხიდი იყო გადებული, ხშირწვიმობისას ხიდი წყალს მიჰქონდა და ფონით გავდიოდით მდინარეს, აფუყვებოდით აღმართს და ასე. ოციოდე წუთში ავალწევდით კონარების გორას.  
 გორაკის გარშემო ღობეა მრგვალად შემოვლებული, ასე, ორიოდე მეტრი სიმაღლისა, ზის მსხვილი მორებისაგან შეკრული. იმ ღობეს გავცდებოდით, მერე ცალფა კარში შევიდოდით, მახსოვს, იმ კართან რომ ხერგილი იყო და იმ



ხერგილში საქონელი იცდიდა. ცალფა კარით, ვიწრო ხეივანი ეზოში შედიოდა, იქ კი, ფაშასავით, შილიფად ჩაცმული, ჩეროში იჯდა ამ უზარმაზარი ეზო-კარის შეპატრონე, — გერგე კონარია. ჩვენი კარახებით მივადგებოდით გერგე ბატონს, ჩეროში მჭდარს. ეზარებოდა კონარიას ჩვენთან ლაპარაკი, ამას კი ვგრძნობდი, მაგრამ არც ჩვენი გაშვება არ უნდოდა, და ასე და ამგვარად, ჩეროში წამოწოლილი გვირიგდებოდა: კარახა-მანეთი! მორჩა და გათავდა! მას მერე გავიდოდით ხეზე, დაფერთხვის ნებას ის არ იძლეოდა, — დაფერთხილი მსხალი ფუჭდებოდა. ავიდოდით ხეზე და გულმოდგინედ ვკრეფდით მსხალს. ხინტუ სადანი აყვლაზე ადრე გაავსებდა კალათს და მერე ჩვენ გვეხმარებოდა. მახსოვს, როგორ ჩამიკრიფა ერთხელ სადანიამ კარახაში მწვანე მსხალი. „მეც ასეთი მსხალი უნდა დამეკრიფათ, სულელს! — ამბობდა ის, როგორ შეეცდი, ბიჭო!“ სულელს თავის თავს ეძახდა და მე კი მასულებებდა ხინტუ სადანი! იმ დღეს ყველამ გაითავისუფლა ხელი ჩემს გარდა და ის მსხალიც, დაღამების ხანს, შინ მივიტანე. ავაკსებდით კარახებს, დავალაგებდით გერგე ბატონის წინ, აიღებდა გერგე კონარია თავის საჭვეყნოდ განთქმულ „ლალას“, თავის მოხრილ ჯოხს და გადაუსვამდა კარახებს თავზე, პირამიდისავით ახოხოლავებული მსხალი ცვიოდა ძირს; ვიცოდით, გერგე ბატონი რომ ასე საესე კარახებს არ გაგვატანდა, მაგრამ მაინც ვავსებდით კარახებს ჩვენებურად; მერე გერგე ბატონს ანგარიშს გავუსწორებდით, ჩავაბარებდით ფულს, აი, აქ დადევითო ფული, მიგვანიშნებდა ბალახზე, — ფულს იქ დავალაგებდით; მახსოვს, როგორ მივიდა ერთხელ იქ დახვავებულ მანეთიანებთან ხინტუ სადანი და როგორ გაუსწორა ერთ მანეთიანს კიდე, ფულს კიდე ჰქონდა მოკეცილი, სადანიამ აიღო ის მანეთიანი, დაიდო ხელისგულზე, კარგად გაუსწორა კიდე, გაუმრთელი და

ისევე დაღო იქ მოწიწებით. გერგე კონარია ხინტუს მიეფერა. ხმისგან კაცი დადგებო, უთხრა მან იქვე მდგარ დედაკაცს, რომელიც მას ნათესავედ მოუდიოდა, ცოლი კი არ იყო მისი, ან—და, არამედ ნათესავი იყო შორეული ირგა მათთან სამოწყალოდ, — ეს თვითონ იმ დედაკაცისაგან ვიცოდით. ის საწყალი ქალი, როგორც ჩანდა, ხალხსა და ხმისგამცემს იყო დანატრებული და რაკილა ჩვენ დაგვივლებდა, კიდევაც მოხსნიდა თავისი ამბების ტომარას თავს. ასე და ასეაო, ვერგე კონარია დიდი კაციოა, სამოწყალოდ ვყავარ აქ, თუმცადა მისი ნათესავი არა ვარო: ნათესავი კი იყო საწყალი, ასე ამბობდნენ სოფელში და ასეც იქნებოდა, ოღონდაც რატომ მალავდა ის ქალი ნათესაობას, არ ვიცი; არავინ იცოდა ეს, ვიცოდით მისი სახელი და კიდევაც ნორა დეიდას ვეძახდით — არაფერი უფლება კი არ ჰქონდა იმ ბეჩავს კონარების სახლში, თუკი გერგე ბატონი შინ არ იყო, ის ქალი ჩვენ მსხალს არ მოგვყიდდა, არ გაგვატანდა, — გერგემ იცისო, იტყოდა, მე არ ვიციო და ამითვე მორჩებოდა ყველაფერი, მეტად არც ჩვენ შევაწუხებდით და არც თვითონ შეიწუხებდა თავს, დადებოდა ოდასახლის წინ, და დაბლა, სინწისაკენ იყურებოდა, იქიდან რომ გაიხედავდი, ჩანდა ის პაწია ბილიკი, გორას რომ ჩაყიდებოდა, — მახსოვს, აგერ არ მოდიხო გერგე! — თქვა ერთხელაც ნორა დეიდამ და ფრატუნით დაუყვა იმ ბილიკს ჩაღმა. ნორა დეიდას შვილი ჰყავდაო, ამბობდნენ სოფელში, ვისგან ჰყავდა ოღონდაც შვილი, არავინ იცოდა, ჰყავდა თუ ჰყავსო, — არც კი ვიცი, როგორ ამბობდნენ. ჰყავსო მგონი სადღაც. — მე ვცდილობდი კარგად შემებედა ნორა დეიდასათვის თვალბეში და იქ ამომეკითხა სიმართლე, მაგრამ იქ სულ ბნელოდა თითქო; ხინტუ სადანიამ თქვა, მე ქალს იმწამსვე შევატყობ, ჰყავსო თუ არა შვილი. სადანი აი სულ ფეხებში უყურებდა რატომღაც ოდის კიბეზე ჩამოსკუბებულ



ნორა დეიდას, ოლონდაც ის არ იმჩნევდა არაფერს, არც კაბას გაისწორებდა და არც ფეხებს მიადგამდა ერთმანეთს; იჭდა ისე, როგორც მანამდე. ხინტუ სადანიო გვიმტკიცებდა, სიზმარი ვნახეო, არავის ისეთი სიზმარი არ უნახავსო ამ ქვეყნად, როგორ გვინდოდა მაშინ, რომ თუნდაც სულ ერთი ღამით, ხინტუ სადანიო ვყოფილიყავით, — გურგე ბატონი ხინტუს მიეფერა. ავიცილდეთ კალათები და ჩავყვებით ბილკს. ვისვენებთ გზა-გზა. კალათებზე ხის ფოთლები გვაჭებს გადაფარებულნი, ფოთოლი სინესტესა და სიღბილეს უნახავს მსხალს, უნარჩუნებს პირველყოფილ გემოსა და ფერს, ხანდახან გადავხსნით თავს კალათებს, დავხედავთ ხილს, დავფარავთ ისევ ფოთლებით და მივალთ უჭირში. ინგირში წასვლა კი ხიფათიანი იყო შედარებით. ჭერ იყო და, რომელიმე მილიციელი ჩამოგვაგდებდა უჭირ-ინგირის მატარებლიდან, ან სულაც ეს საგარეუბნო მატარებელი დაავიანებდა ინგირში ჩასვლას. მისხოვს, მოსკოვის, მატარებელი წავიდო, როგორ გამოაცხადა ერთხელ სადგურის მორიგემ. ხანდახან თვითონ ის დიდი მატარებელი დაავიანებდა ინგირში ჩამოსვლას. ახლა იმ მატარებელზე ასვლას არ იკითხავ; აქ შესაძლოა კაფა დარჯანისაც კი დაველანდეთ სადმე და მორჩა! განათუ. პაპიროსებით ხელდამშვენიებულნი, ისიც კი საკითხავია, იმ ღამეს გავვიშვებდა თუ არა შინ. გავგაჩერებდა თავის ოთახში, დავცესამდა სკამზე და მთელი ღამე უნდა გუყვინთა ასე, მოგაკითხავდა ვინმე და კარგი, არადა იქნებოდი ასე მთელი ღამე. დილით გაგიშვებდა, მეტი არ ვნახოო აქ, შე მამაძალო. გეტყოდა, გასწევდი შინისაკენ, შემცივნებული და მოკაყული, საოცრად დაპატარავებული და დაჩივებული ღამის თვისაგან, ჩიბებეგამოფერთხილი და გულგამოცლილი, და არ იცი, რა უნდა ქნა აწი! რა გზას უნდა დაადგე. სად უნდა იზოვნო კონი, ანუ ის ფული, რითაც იწყებ ვაჭრობას. რა ბირით უნდა

მიხვიდე შინ! — ავიდოდით რის ვაგვალახით იმ მატარებელზე, ეფერებოდით ბოდით ჩუმად. სქელი რუსული გაგვიტენილდნენ პაპიროსებით ჩითვის ჩანთებს, და გამოვწევდით ისევ უჭირში.

• • •

ყველაზე მკაფიოდ, იმ დროიდან მოკიდებული, საღამოს ბაზარი მახსოვს. მაგრამ სანამ იმ ამბებს მოვიგონებდე, ეს მინდა მოვყვე. აქ მთავარია ის სუფთა პერანგი, ის ქათქათა ფერი, მე რომ კაფეში დავინახე იმ დღეს. „პაპიროსი ფლოტსკი!“ — დავიყვირე და სწორედ მაშინვე მოიხედა ჩემსკენ იმ კაცმა, თეთრი პერანგი რომ ეცვა. მოდიო, ხელით მანიშნა. მივედი. ხოლო ვიდრე მივიდოდი, ერთი კი გამკრა გულში, ნეტავი, აქ არ შემეხედა-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მან, მოდიო, მანიშნა და მეც შევედი კაფეში. იმ მაგიდასთან ერთი ახალგაზრდა რუსის ქალიც იჭდა, იმ ქალს მე ვიცნობდი, ოფიციალტი იყო იმ კაფესი, სადაც მე შევიხედე, ქალი კიდევაც ადგა მაშინ. მერე კი, როცა მაგიდას მივუახლოვდი, ოფიციალტი ისევ დაბრუნდა მასთან, მკირე ხნით ჩამოჭდა სკამზე, მის პირდაპირ, უცხო კაცს ცხელი ყავა და კონიკით სავსე ჭიქა დაუდგა წინ. მერე ადგა ისევ და ახლა ბუფეტთან უყურებდა ფარვით იმ კაცს. ვილაცას ესაუბრებოდა თან. თვალებს კი აქეთ აპარებდა. აქეთ იცქირებოდა, — მე ამოვიღე ჩანთიდან ერთი კოლოფი „ფლოტსკი“ და გავუწოდე უცხო ბიძიას. მან გამომართვა ერთი კოლოფი პაპიროსი და სამი მანეთის ნაცვლად ათი მანეთი მომცა. მე კიდევ გავუწოდე ორი კოლოფი, რათა სწორზე დავრჩენილიყავით, მაგრამ მან იუარა, არა ბიძია, მეტი არ მინდაო, ეს ფული გჭონდესო. მეორე დღეს, ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ისევ შევიხედე იმ კაფეში, ოლონდაც, ამჯერად არ დამიყვირია. უცხო ბიძია იმავე ადგილას იჭდა და სვამდა კონიკს. მოდიო, მანიშნა მან,

გამომართვა ერთი კოლოფი პაპიროსი. მომცა ათმანეთიანი და მითხრა, თუ გინდა, •კაკაო დავლიოთო. კი-მეთქი, ვუთხარი, გავიჭეცი ოფიციალტან, ორე კაკაო მინდა-მეთქი, ფული გადავიხადე და მივიტანე იმ მაგიდასთან ორი ჭიქა კაკაო. უცხო ბიძიამ ყავა და კონიაკი განზე გასწია და კაკაო მიიჩოჩა. ესგამდის კაკაოს და ვუყურებდი უცხო ბიძისს. აქაური არ იყო, ზედვე ეტყობოდა, ჩამოსული იყო საიდანღაც. მერე ხანმა გაიარა და საღამოს ბაზარზეც ვნახე ის კაცი ერთხელ. იგივე ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ ამჯერად მისი თეთრი პერანგი ძალზე გაზინთულიყო და უცხო ბიძიაც საცოდავად გამოიყურებოდა. ორი-სამი თვე თუ იქნებოდა გასული მას აქეთ, მეტი არა, ის მოვიდა ჩემთან, სიტყვაც არ უთქვამს, არც მე მითქვამს არაფერი, ისე მივეცი ერთი კოლოფი „ფლოტსკი“. რაღაც კი ჩაიდუღუნა ბრუნდედ, რაც დაახლოებით მაღლობას თუ ნიშნავდა ალბათ და წავიდა. მერე კიდევ ვნახე ის კაცი ორ-სამჯერ, ისევე უსიტყვოდ ვხვდებოდით ერთმანეთს, მე ვაძლევდი პაპიროსს და ის მიდიოდა. მას მერე უქირსი ის კაცი კი ხანი არ მინახავს.

\* \* \*

ბაზრის შესასვლელში, აგურის ნატეხებისაგან ორი მაღალი ბოძია ამოყვანილი. ბოძებს შუა, დროემისაგან გაცვეთილი ტილოს ნაჭერი ჰკიდია და ისეთივე მჭრქალი ასოებისაგან გამოყვანილი წარწერაა: „უქირის საკოლმეურნეო ბაზარი“. ბაზარს რკინის ლობე აქვს შემოვლებული. აქაა საყანთრო. სადაც ფუტილსა და სიმინდს ჰყიდის სოფლელი, აქაა ხილის ბაზარი, სათუთუნე, პაწაწინა ფარდულებია ჩამწკრივებული ერთმანეთის მიყოლებით. დასავლეთის მხარეს, გისოსებს გარეთ, საქონლის ბაზარია. საქათმე კიდევ ცალკეა: კვირა-პარასკევს უქირს მიმდებარე სოფლები მოაწვებოდა ამ ბაზარს, მოჰქონდათ და მოჰქონდათ ხორაკი. მოყავდათ ქათმები, ხბოები, ძროხები,

ცხვრები, ცხენები, კამეჩები; ბაზრის დასავლეთ მხარეს ხომ *შაქრისდგამს* მაღლობი იყო, აღმოსავლეთ მხარეს *სუკა* პატარა ჩიხი, — სადაც იმართებოდა საღამოს ბაზარი. დაეცვადნენ ბაზრის კარებს, ჩაპებრადნენ ლურჯუდიანი ყარაულები სასტვენებს, აბა, აბა, ლამდებო, აჩქარებდნენ მოვაჭრეებს და ბაზრიდან ერეკებოდნენ, უშალიანდებოდა ზოგი ბაზრის მორიგეებსა და ყარაულებს: „შენი ქირიმე, პატენი, აი, ესლა დამჩა, გავიციარელებ ხელს და წავალ მე წასასვლელი კიდევ“, ან ასე იტყოდა, ან კიდევ „მე არ მოსასვლელი“ დააყოლებდა, ის კი არ გაიგონებდა. ცხადია, ძალათი გადააქედა ბაზრიდან სოფლელს, ხოლო ნაცნობ გადაწყვიდელებს თვალს ჩაუტარა და ყავა დარჩანია, იყავი ჭერ, შენ ნუ იჩქარებო აქედან გასვლას, მაგრამ გავიღოდა კიდევ მცირეოდენი ხანი და ყველას უწევდა ბაზრის დატოვება, უნდოდა თუ არა. თვლიდნენ ფულს ნოჭრები, ხურავდნენ სავაჭრო წერტებს. ბაზრის სასადილოს ოფიციალტი ქალი ჭეჭუყან წყალს გადმოაპირქვავებდა ვედროდან პირდაპირ ქვაფენილზე და ამითვე მორჩებოდა დღიურ გაწამაწიას. რამდენიმე მთერალი კაცი ედგო აქა-იქ, ზოგ მათგანს მე სახელითაც კი ვიცნობდი. ისინი აქ შოულობდნენ ლუქმას, სამსახურში კი არ იყვნენ. როგორც დიდი ქალაქის ნომრინი მუშები, არამედ თავისი ნებასურვილით დაატარებდნენ ფუჭილით სავსე ტომრებს: ბაზრობა ღღეს, დღის ყოველ მონაკვეთში დაინახავდი ზურგზე ტომარაკიდებულ ვინმე მამაკაცს. ვისაც ბებრუხანა ქალი მიუძღოდა წინ ჩიფჩიფით. — „აქეთ კაცო, აქეთ!“ — ამრიგად ნაშოვნი ფული არაყში მიდიოდა: მეტურტენები აქვე, ბაზარში, პირდაპირ მიადგებოდნენ დახლებს და ყოველგვარი მისატანებლის გარეშე ხუხავდნენ მაგარ „ქაქას“. დათვრებოდნენ საღამოსათვის, ზოგი ხომ აღრევე თვრებოდა კიდევ, ერთ გზობას მოითავებდა მხოლოდ და მხოლოდ, და მორჩა, დათვრებოდა იმ ფულით. მე-

რე კი არავინ აღარ დაასაქმებდა იმ ბე-  
ჩავს მეტად, არადა, მინახავს მე გზაზე  
ტვირთიანად გათხლამული კაცი; მახ-  
სოვს ერთხელაც, როგორ მოიყვანა ერ-  
თი მეკურტნე მამინაცვალმა შინ, ის  
კაცი მერე ჩვენთან იდგა, დედაჩემი  
ურეცხავდა იმას ტანსაცმელს, ვაკმევე-  
ლით და ვასმეველით, გვებრალებოდა ძა-  
ლიან ის საწყალი. ახალგაზრდა კი იყო,  
მაგრამ გამუდმებული სმისაგან მთლად  
დაჩაივებულიყო, უკირდა ფქვილის ტა-  
რება და ერთიანად ფერგადაღუული  
იყო იმ დღეს, ძლივს შემოვიდა ჭიშკა-  
რში; მერე ევლეა საწაიამ მოინდომა  
შეშველებოდა, იტყადრისა მან, არაო,  
ჭერ კიდევ მაქვსო ღონე; ასე თუ ფიქ-  
რობდა მაშინ, და მარტოკამ მოინდომა  
ტვირთის ჩამოღება ოდის კიბეზე, ეს კი  
ვერა და ვერ მოახერხა და დაეცა კი-  
დეც იმ ტომრიანა, მერე არ გავუშვით  
არსად და ვუვლიდით. მოეშვა არაყს  
და გამოკეთდა, ღონე მოიკრიბა და  
ფერი მოუვიდა. აბანოში დადიო-  
და კვირაში ერთხელ, აბანო მიყ-  
ვარსო ძალიან, ამბობდა, მერე ის იყო,  
— წავიდა ერთხელაც აბანოში და უკან  
არ მობრუნებულა: დაახლოებით ორი-  
ოდე თვე თუ იქნებოდა გასული მას  
მერე, ჯოკო სადანიამ რომ შემოიყვანა  
ჩვენს ქუჩაში ერთი დაჩაივებული კა-  
ცი, — ისააო, ის, — ჰყვიროდნენ სა-  
დანიების ბაღები, ის კი ყურსაც არ  
იპარტყუნებდა.

ხანდახან, საღამოს ბაზარზეც ვხედა-  
ვდით მას, ოღონდაც ერთიანად გალე-  
წილი იყო საწყალი. ბოლო ხანს კი,  
არც მცნობდა, დავიწყებული კვავდი  
შაჰი.

საღამოს ბაზარი იმ პაწია და ვიწრო  
ჩიხში იმართებოდა. გამოვიდოდნენ გა-  
რეთ ყველანი, აქ ხომ დახლები არ იყო  
და ზედ მიწაზე აფენდნენ ტომრებს და

ქალაღის ნაეჭუნებს, დააწყობდნენ ნა-  
ირ-ნაირ ხილეულსა და ნივთებს, მუ-  
ლოჩკი, ბულოჩკი, ბატონჩიკი, ნატონ-  
ჩიკი", — იძახის ლამაზი რუსის გოგო-  
ნა, ლიდა, — მას აქ ყველა იცნობს, დე-  
დამისს პირში პაპიროსი აქვს გაჩრილი  
გამუდმებით და ისე ლაპარაკობს. დამ-  
რწიან ერთად შეჩქვიფულ ბრბოში პა-  
წაწინა ქურდბაცაცები, აქ, ამ ბაზრის  
მახლობლად მოსახლე ბიჭები. სწრაფი  
და ვერცხლისწყალივით დაუღეგარი ბი-  
ჭები. მე ბევრ მათგანს უკვე სახელი-  
თაც კი ვიცნობ, მაგრამ კი არ ვმეგობ-  
რობთ მათთან სასადანიოვლი ბაღე-  
ბი, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, იმათ —  
თავისი: აი, მივიდა პაწია „ხოჭო“ და  
აეტორღილა სოფლიდან ჩამოსულ ახ-  
მახ ბიძიას, ის კაცი ჩქარობს, დრო ცო-  
ტა აქვს, მალე უნდა გავიდეს აქედან,  
გზა წინ უდევს და ყოველი წუთი ოქ-  
როს ფასად უჭდება, მაგრამ ჯერ კიდევ  
უნდა იყიდოს რალაცეები, თვალი კი  
ხარბია კაცისა (თვალი თვალის მტე-  
რიოა, იტყოდა ხოლმე კვლეა საწაიამ).  
ეს უნდა, ის უნდა, თან ორჭოფობს კი-  
დეც; იცის „ხოჭომ“ ამ ბიძიას ხასიათი,  
მისი გუნება, — იცის, რამდენ ხანს იდ-  
გება ამ „ბატონების“ რიგში და თავი-  
სუფლად ასწრებს თავისი საქმის მოთა-  
ვებას; მერე ის ბიძია იკრავს ჭიბეზე  
ხელს და სადაა ფული! ახლა წინიდან  
მოუვლის მას პაწია „ხოჭო“, ფული  
მოგპარესო, ბიძია, — ეტყვის მას. —  
ასე ხელებგაჩაჩხული დაუდგება წინ,  
თოჯინასავით, ბიძიამ კი არ იცის, რა  
ქნას ახლა, ამ ბავშვს სტაკოს ხელი თუ  
თავისი ამბის მონაწილედ ჩათვლოს,  
— აი, ამან დაინახა სწორედ თუ ვინ  
მომპარა ფული მე! — იყვირებს უეც-  
რად ის, — შენ, ეი, თავი გაანებე მაგ  
ბავშვს, უპატრონო ხომ არ გგონიო,  
— ეტყვის ლამაზი ლიდას დედა და უ-

რუნველად გადაიტანს პაპიროსს პირის კიდედან — მეორე კიდეში. ხანჯალი ჰკიდია იმ სოფელზე ბიძიას და მე ერთი სული მაქვს, „ხოკომ“ მას ის ხანჯალიც არ ამოაყოცოს ქარქაშიდან, თორემ, მერე ვინ იცის, რაები დატრიალდება! საბედნიეროდ, „ხოკომ“ ხალხში გაერევა ისევ, წაუვა თვალიდან იმ კაცს და ამითვე მორჩება ყველაფერი. მოვიდოდა ის პაწია „ხოკომ“ იქ, საცა ჩვენ გვედგა რიგზე ჩამწკრივებული კალათები, მოგვიახლოვდებოდა თავის კბილა, პაწია ხილის ვაჭრებს, აგვივლიდა გვერდს, პირდაპირ ხინტუ სადანიას კალათთან გაჩერდებოდა, დაწვდებოდა ყველაზე დიდსა და ფეროვან მსხალს, აიღებდა ხელში, ნელა, ნება-ნება აიღებდა, თან იმას აყურადებდა, ალბათ, ხინტუ სადანია შეიმჩნევდა თუ არა ამას, მერე ამოიღებდა ჭიბიდან ჭაყვას და იჭვე. კალათის წინ მდგარი, კალათზე ცოტათი მაღალი, თლიდა მსხალს; მახსოვს იმ მსხლის ნათალი რომ ხინტუ სადანიას კალათში მოხვდა. „კარგი, ხოკომ, არ გინდა ასეთი რაღაც“, — იტყოდა სადანია და ისიც გამოერკვეოდა თითქოსდა მაშინვე, ეს რა გამიკეთებიაო, ვითომ და გაგვეტლებოდა თავმომწონედ. „სასადანიოშიც შემოვა მაგი“. — ამბობდა ხინტუ, მაგრამ „ხოკოს“ სასადანიოში რა ესაქმებოდა, სალამოს ბაზარი იყო მისი მუდმივი სამყოფელი. — აქ მას ვერაფერ თითხაც ვერ დააკარებდა. მიტუ ანღია ამბობდა. „ხოკოს“ თურმე ლამაზი ლიდა ყვარებიაო. ვინ იცოდა, ოღონდაც, სიმართლე. ისიც კი ითქვა ერთხელ, ლამაზი ლიდას დედას უყვარსო „ხოკომ“, ლიდას დედას ბავშვები უყვარსო, ასე ამბობდნენ, და ვინ იცის, მართალი. იმ სალამოს ბაზარზე დავინახე პირველად ერთი ლამაზი ბიჭი, ვისაც ბაიას ეძახდა ყველა. ხინტუ სადანიას ტოლი იქნებოდა ის, მეტი არა. ბაიას მუდამ პაპიროსი ეღო ჭიბეში და სახალხოდ აბო-

ლებდა. მერე ის იყო, სამიოდე წელიმაც გაიარა და მოკვდა. იმ მსხლით პაპიროსმა მოკლაო, საწყალი, ასე ამბობდნენ. პაპიროსმა გაუთეთრაო სისხლი. მაგრამ ამაზე მაშინ ბევრი არ ვგვიფიქრია. ახლა კი, რაც დღე გადის, სულ თვალიწინ მიდგას თეთრი ბაია, და მე არ ვიცი, რას მივაწერო ყველაფერი.

ბაიას გარდაცვალების მერე, თუმცა ამას არავინ ამჩნევდა და არავინ უთქვამს, ეს ნაღდად ასეაო, — ბევრმა მიანება პაპიროსს თავი და ამ საქციელში იყო რაღაც, რაც მოგაგონებდათ: თითქოსდა არა საკუთრივ მწველებს დაენებებინოთ თავი პაპიროსისათვის, არამედ თავად ბაიას, თითქოსდა ბაიასთვის შეეძლო ევნო მათ მიერ მოწვეულ პაპიროსს; ჩვენ ხშირად ვერ ვწონით უამრავ საქციელს, ამიტომაც არ ვიცი, რა მოსდევს სინამდვილეში ამა თუ იმ მოძრაობას, სიტყვას, ჰოსა და უარს, თქმასა და უთქმელობას. მახსენდება, აი, ჩვენ ახლა უქირის სადგურში ვართ და ველით თბილისიდან კატო სადანიას... კატო სადანია მთელი ხუთი წელი არ ყოფილა უქირში, მას რაღაც სასწაული სჭირდა, ასე ამბობდნენ და აი, როგორც იქნა, გამოკეთდა თითქოს და დაბრუნდა უქირში; იმასაც კი ამბობდნენ, კატოს არაფერი სჭირსო ისეთი, მაგრამ ბავშვობიდან ამგვარი იყოო, სულ რაღაც ავადმყოფობას იგონებდაო, და მართლაც, მახსოვს, ჭანმრთელი ხარო, რომ ეტყოდა ვინმე, სწყინდა კატო სადანიას. მოადგა მატარებელი უქირის სადგურს, მიეცვივით ვაგონებთან, აი გამოჩნდა კიდეცაც კატო სადანია, მოავლო თვალი დამხედურთ, გადაკონა ფუხუ სადანია, გადაკონა თავისი ნათესავები. არა მჭერაო, ნუთუ ეს თქვენა ხართო, ჩიფჩიფებდა და გულში იყრავდა მათ. მერე ბავშვების ჭერმაც მოაწია და აქ შევესწარი იმას, რისი თქმაც მინდოდა — კატო სადანიამ გაშალა ხელები, რათა მე ჩავეყარი, „ესაა, ფუხუ, მირდატი?“ — იკითხა და უფრო მომიახლოვდა მე. „ესაა, ევნიაცაუ!“ — თქვა ფუხუმ და დაუყენა

წინ მირდატი. — კატო სადანიას მეც რომ ჩავეკარი, მირდატს ხომ არაფერი დააკლდებოდა ამით, მაგრამ კატო სადანიამ მე გაღიშებული პირისახის ნაცვლად, რალაცნაირი, ჩერისმაგვარი რამ მომაჩენა და მირდატს მიუბრუნდა... არა და, რა იოლი იყო მაშინ ჩემი პატარა გულის მონადირება, მახსოვს მისი იმ-ყამინდელი პირისახე, როგორ უცინოდა პირი, რა გაკვირვებული თვალებით შემომხუტებდა, მირდატი მან პატარა დატოვა უჭირში და საიდან ეცოდინებოდა, რომელი ჩვენგანი იყო მირდატი; ხომ იცოდა დიდმა კატო სადანიამ ბავშვები რომ ერთნაირები იყვნენ ყველანი, ხომ შეეძლო ჩემთვისაც მოეცაეუნებინა თავზე ხელი, თმა მოეჩეჩა მხოლოდ, გული რომ არ დამწყვეტოდა, მაგრამ კატო სადანია მირდატს მიუბრუნდა. მას მერე არასოდეს არ გავყოლივარ სადანიებს სადგურზე ვინმეს დასახვედრად. ხინტუმ თუ შეამჩნია ეს? არა, ხინტუ სადანია ამაზე არც-ღაფიქრებულა მაშინ და რომც შეეშინია, რას გააკეთებდა? არაფერს, ალბათ. ამ ამბის გამო გულშიც არაფერსაც არ გაივლებდა და ეს იქნებოდა სწორედ ბუნებრივი. მასსადაამე. არც მე უნდა ჩამრჩენოდა გულში ხინჯად ეს ამბავი, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა ბავშვი არაა ერთნაირი, თუმცაღა მამაჩემის დაბრუნებას რითი უნდა ჰგვანებოდა კატო სადანიას თბილისიდან ჩამოსვლა, არ ვიცი.

წავაგე ერთ ჩემს კბილა ყმაწვილთან კამათულში; ბაღში ვიჯექი ექვსი დღე არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, რა პირით უნდა მივებრუნებულიყავი შინ. კამაჩის ტყავი უნდა ამეკრა შუბლზე, როგორც იტყვიან. ან სულაც უნდა გადაეკარგულიყავი საღმე უჭირიდან, ან სვიმო ბაბუასთან ჩავსულიყავი, ყუშში, — ერთხანს იქ ვერაფერსაც ვერ გამოგებდნენ, მერე კი გამოჩნდებოდა საიდანმე საშველი, — ან ოქუშში უნდა წავსულიყავი, მამაჩემისიანებთან, მაგრამ მე იქ ნამყოფი არ ვიყავი კიი ხანი და როგორ მიმიღებდნენ ახლა, არ ვიცოდი; — აი, მაშინ წამომადგა მე ჩემი საღამოს ბაზარი. — მოვძებნი „ხოკოს“, გაეიფიქრე, ან ფულს მასესხებეს, ან რამეს გამომინახავს-მეთქი და საოცრად თბილი და მშობლიური მომჩვენა მობინდული და მოყაყანე საღამოს ბაზარი. „ხოკო“ და მისი ამფსონები, ლამაზი ლიდას დედა და კიდევ მრავალი ვინმე, ვისაც ვიცნობდი, ან უბრალოდ ნანახი მყავდა იქ, მაგრამ წამოვიდა უცებ და თვალწინ დამიღდა ერთი მეტად შემზარავი სურათი, რამაც ხელი ამაღებინა ამ განზრახვანზე; მეუტრტენ პირდაპირ შუა ბაზრის ქვაფენილზე იყო გაშხლართული, ცხლოდა, ცხლოდა, ბუზი ეხვეოდა და კამდა მას, კამდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. — „ვერა ხედავთ, ხალხო, ბუზმა შეკამა, კაცი!“ — თქვა კიდევაც ვილაყამ, მე დავაკვირდი მას და დავინახე საოცრად ნატანჯი სახე, სიცოცხლის ნიშანწყალი რომ არ ემჩნეოდა, ის მინებებოდა ამ უზარმაზარ ქვეყანას, ამ გაეაზვარებულ ცისქვეშეთს, მუწუეები ესხა სახეზე, ბუზები ფრენდნენ გარშემო, დიდი, ზონზროხა და გატიქნული ბუზები მისეოდა მუწუეებზე, ბაზარი კი ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, მიდი-მოდიოდა ხალხი, ეამი-ეამ თუ შეჩერდებოდა ვინმე, შეხანდებოდა წამით, ან სულაც სიარულში გადაულაპარაკებდა გვერდით მიმავალს, ვინმეს, ქალსა თუ კაცს. — გათავებულა ეს ბეჩავი და ეგააო, ან სულაც გადააფურთხებდა განზე, როცა

დრო გადიოდა და ჩვენ დღითი-დღე უფრო და უფრო ვეჩვეოდით საღამოს ბაზარს, იმ მობინდულ ჩიხს, სადაც საღამოს ბაზარი იმართებოდა; რალაც-რჩებოდა თითქოსდა ჩვენგან, ჩვენეული ხმა: „მსხალი, აბა, მსხალი!“ — „პაპი-როსი!“ — ბაზრიდან მოგვევებოდა მისეული სუნნი, ყაუანი და რია-რია: ერთხელ კი, წარმოუდგენელი რალაც დამემართა, მაშინ მე დადიას ბაღში ვიჯექი მარტო, მამინაცვალმა მომცა დილით ფული, რათა ყავარი შემეძინა და

მას გაუსწორდებოდა და ჩაივლიდა თავისი გზით, თავის ცოლ-შვილში წაეიდოდა, თავის ოჯახში; ახლა მგონია: ყველას, იმდღევანდელ ბაზარში მყოფს, ნაცლებად როდი უჭირდა მაშინ. ვინემ იმ მეკურტნეს, რაღაც ისეთი გამოსკვიროდა იმ ხალხის უგულობიდან იმ დღეს და მე გაეფიქრე, მაშინაცვალი განათუ იმხანად, საერთოდ ვერ იშოვიდა ვერანაირ საქმეს, — მივედი იმ საღამოს შინ, კარგა შეღამებული იყო. მახსოვს, იმახნა საწყალი დედაჩემი, მეძებდნენ სასაღანიოში, მიხა ხომ არ გინახავთო, თქვენთან ხომ არ ყოფილათო, ვილაკ-ვილაკები პასუხობდნენ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ბაზარში იყო დღეს, იქ დაეინახეთო, — მოვა, შე ქალო, რა დაგემართათო, სად წავიდოდაო, — ანუ გეშვებდა დედას ფუხუ საღანია, — რა ვიცი, რა ვიციო, ამბობდა დედაჩემი და მე ყველაფერი მესმოდა მკაფიოდ... მაგრამ დაეუბრუნდეთ საღამოს ბაზარს — კაყა დარჯანია მოდისო, დაიძახებდა ვინმე და შეტორტმანდებოდა საღამოს ბაზარი, ატყდებოდა ერთი ალიაქოთი, რია-რია. გარბოდნენ ბოშა ქალები, გაერბოდით ჩვენ და დიდხანს, სანამ კაყა დარჯანია ისევე არ გავიდოდა ზღაზღნით ჩიხიდან, ვუთვალთვალდებით მას სხვადასხვა კუნძულებიდან, წავიდოდა კაყა და გამოვიდოდით ჩვენც. ხდებოდა ხოლმე, ვინმე შეტორისათვის, ფული კი გვეკნებოდა გამორთმეული, მაგრამ პაპიროსის გადაცემას ვერ მოვასწრებდით. ვერ მოვასწრებდით ვერც ფულის დაბრუნებას და ისე მოგვიწევდა გაქცევა ჩიხიდან, — იცდიდა ის კაცი იქ, სანამ ჩვენ არ მოვებრუნდებოდით, რათა თავისი პაპიროსი მიეღო ჩვენგან, „რას უცილი აქ, თუკი მართალი კაცი ხარ“. — შეუწყურებოდა მასაც კაყა დარჯანია, მაგრამ მეტად ვერაფერსაც ვერ აკადრებდა. ის კაცი მართალი იყო და ზურგიც მაგარი კქონდა: — გაყიდეთო, ბატონო, მალაზიებში პაპიროსი და აქ აღარ დავდგებითო. — კაყა დარჯანია ამაზე არაფერს პასუხობდა და ამითვე მორჩებოდა მათი საუბარიც. მოვებრუნდე-

ბოდით, მოვებნიდით იმ კაცს და მივეცემდით პაპიროსს — ვერასწრებდა ამნაირ საკციელს, იქ იქნებოდა არ იქნებოდა, იმანაც იცოდა და ამითვე მორჩებოდა ყველაფერი, მაგრამ, ერთხელაც, მახსოვს, როგორი პანდური მაჭამა ერთმა მალაღმა ბიძიამ იმის გამო, რომ პაპიროსის გადაცემა მაშინვე ვერ მოვასწარი. „პაიტ, შე, მა-მაღალოო!“ — დამიყვირა მან და მთხლიშა პანდური. მე კრემლის ყლაპვით დაეუბრუნდი ჩემს კბილა საღანიებს, ამასობაში მოხვავდნენ ისევე გადამყიდველები, ბოშა ქალები, ლამაზი ლოდა და დედამისი, კოკლი ტურე და ისონა ყომარბაში, აივსო ისევე ჩიხი, ორიოდვე წუთიკ კი არ იქნებოდა იმ ამბიდან გასული და მე დაეინახე, თუ როგორ დაეთხლიშა ის მალაღი ბიძია მიწაზე; რა მოხდა, რა მოხდაო, კითხულობდნენ, ვერაიენ კი ვერ მოახა თავი სიმართლეს და ამ კითხვა-კითხვაში წამოღვა ის კაცი და გინებით გაუღდა გზას. მერე საიდანაც „ბოკო“ მოკოცდა ჩვენთან. „თუ დაინახეთ, ბიჭვო“, გვითხრა თავმომწონდა, მოგვიანდებოდა ასე, მერე ხინტუ საღანიას ცხვირზე მი-აქირა თითი, „პეი, შე ძველოო!“ — უთხრა დაცინვით და გავეშორდა. იმ დღიდან „ბოკოს“ სხვა გულით ვუყურებდით, ხოლო შინ რომ ვებრუნდებოდით, ხინტუ საღანიას ავეუტებე ჩხუბი, ხინტუ საღანიამ მკემა და ამრიგად დაე-ბრუნდით სახლებში. კაყა დარჯანიას გამოჩენა შინის ზარს გვეცემდა, ხომ ყველას წარმოგვიდგენია ჩვენი-ჩვენი თავი სხვადასხვა მდგომარეობაში და ვითარებაში, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა სამუშაოზე, — ეთა ანღია, მაგალითად, ისეთივე კარგი მასწავლებელი იქნებოდა, როგორიკ ფოსტალიონი იყო, და შესაძლოა მასწავლებელი უკეთესი ყოფილიყო. ვინემ ფოსტალიონი; ლამაზმა ლიდან ისეთი კარგი ანგარიში იცოდა, ჩინებული მოწაფე იქნებოდა, სკოლაში რომ ევლო, მე, აღმათ, ჩინებული მხედარი ვიქნებოდით, ან კიდევ ჩინებული მოფერი, კარგი ცხო-

ვრება რომ ჰქონოდათ, ყველა გადამ-  
ყიდველი მიატოვებდა ამგვარ საქმიანობას და ალალ შრომას მოეკიდებოდა, — მაგრამ კაქა დარჯანია მაინც კაქა დარჯანია იქნებოდა. ის იყო ჩია ტანისა, ერთი შეუხედავი და ცქნაფი კაცი, უბრალო, რიგითი მილიციელის ფორმა ეცვა, ამ ფორმაში გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე და არც მომატებია არავითარი წოდება; ტყვიასავით თვალები ჰქონდა; ამბობდნენ, კაქას იმდენი კაცი ეყოლება მოკლული, თავად არ ეხსომებოთ; იმ დროისათვის კაქა დარჯანია შუახანს მიღწეული კაცი იყო და კარგა ჭარკეცხლიანი ეამი ექნებოდა გამოვლილი, ცხადია. ტყვიას ტყვიაში აჭენსო, ამბობდა ხალხი. „არ გაბედო გაქცევა, თორემ, ნათქვამზე მოგაბეჭდავ ტყვიას, მამაჩემის მადლმა!“ — იტყოდა; ნათქვამზე, ესე იგი, სადაც დაგპირდები, იქ მოგარტყამო; გაქცეულ კაცს ჭუსლში ახვედრებდა ტყვიას კაქა დარჯანია; უკაფიო, ხრინწიანი ხმა ჰქონდა, რაც იმას გაფიქრებინებდათ, რომ ამ კაცს ვაგაკობის ნატამალი არა აქვსო, მაგრამ მოლორებული კი დარჩებოდით. კაქა დარჯანიას ცხოვრება ლეგენდას ემგვანებოდა ჩვენს თვალწინ; საოცარი კი ის იყო, — კაქა დარჯანია, როგორც ყველა, ისე დადიოდა მიწაზე, ისე შედიოდა ბაზრის სასადილოში, და საპირფარეოშიც, ჩვეულებრივად გადახუხავდა დაზღთან მიმდგარი „ჰაჰას“. შეკარხლდებოდა მაშინათვე და იყო ასე მთელი დღის განმავლობაში, — შებრაწულ კიბოსავით გაწითლებული; რომელიღაც ცნობილი ბანდიტი დაეცა იმხანად უქირს, ძარცვავდა ის კაცი უქირის მალაზიებს, მაგრამ კაქა დარჯანიამ მარტოდმარტომ დაიჭირა ის და თავისი ფეხით მიიყვანა. სადაც საჭირო იყო. ვინმე მენშევიკი კაცი იმალებოდა თურმე ჭაფათის ტყეებში, ისიც კაქას გამოუყვანია იკიდან; რას არ პირდებოდნენ დარჯანიას და რას არ უქადდნენ. დიდი თუ პატარა: მაგრამ მაინც სალ-სალამათი დადიოდა ყველას თვალწინ: ეკიდა თავისი პატარა „ტე-

ტე“ და დააბიჯებდა თავმომწონდნის წყლის იმდენი მტერი ჰყავს, აღმაშენებლის მანეთის ლოდინში არიანო, — არა ის მოჰკლავს და არა — ისო. ყოფილა შეშთხევეა, უსროლიათ კიდევაც მისთვის, მაგრამ დარჯანია ყოველთვის უვნებელი გამოსულა ტყვიების ჭახა-ჭუხიდან; ამ კაცს თითქოსდა ღმერთი უფარავდა უქირსა და მის შემოგარენს. „ქურდი ეს მამაძალი!“ — ამბობდა ის „ხოკოს“ დანახვებზე და საცა წაასწრებდა. იქვე უთავაზებდა მოწყვეტით სილას; ახლა მგონია, კაქა დარჯანია მიტომაც რჩებოდა ყოველთვის მთელი, რადგანაც ის თავისათვის, საკუთარი გამორჩენისათვის კი არ ზრუნავდა, არამედ კანონს იცავდა, მას ფეხებზე ეკიდა თავისი თავი, როგორც ამბობდნენ, და მიტომაც რჩებოდა უვნებელი, — კაქა კი არ ეძებდა ქურდსა და ავაზაკს. არამედ თუკი გამოჩნდებოდა ქურდი და ავაზაკი, მაშინ გამოიჩენდა ხოლმე თავს; ისე კი, ცხადია. მან კარგად იცოდა, რამდენი ქურდი და ქორვაჭარი იყო უქირში, მაგრამ შინ კი არ მიუხტებოდა ვინმეს, მთავარი იყო, დანაშაულის ჩადენის ეამს წაესწრო მხოლოდ, ამ დროს მასში იღვიძებდა დაუოკებელი ეინი უკანონობის აღკვეთისა და ვერანაირი ძალა მას წინ ვერ დაუდგებოდა.

\* \* \*

საშემოდგომო გამოცდა გამოყვებოდა ხოლმე, მაგრამ შემოდგომით კი არ გვეკითხებოდნენ არაფერს, გვიწერდნენ „სამოწყალო სამიანებს“ და გადავყავდით შემდეგ კლასში. ამასობაში, დედაჩემს, კელვა სანაიასგან შეილი შეეძინა: დედას უნდოდა, ქმრის გული მოეგო და მიტომაც გაუჩინა შეილი; ისე კი, კელვა სანაიას, ალბათ, ნაკლები გული ექნებოდა; მას აქეთ, თითქოსდა მეტი სიამტკბილობა გაჩნდა ოჯახში. თავად დედაჩემიც უფრო აღერსიანი გახდა ჩემდამი. მაყვალა დაია ერთთავად აკვანის დაჰფუსფუსებდა, აცინებდა ძალითი თავის ბაწია ძმას და ისმოდა კისკისი შინ. არ გასულა ორი წელიწადი



და დედას კიდევ შეეძინა შვილი, ამჯერად — ანი, და გაწყდა ჩვენს შორის რალაც; მივიკირდა, რისი იმედი ჰქონდა დედას, რითი უნდა გვერჩინა თავი. მას აქეთ მთლად ავიცრუე სწავლაზე გული. ვაცდენდი გაცვეთილებს, დავვებოდი ქალაქელ ბიჭებს; ერთხელ ჰრულ ცხვირსახოცში გახვეული სამამანეთიანი ავაციანცლე ჭიბიდან უჭირის ბაზარში პაწია გოგონას. დავკარი ფეხი და ისე, არავინ რომ არ გამიფრთხილებია, — ჩავედი ოქუშში, ჩემიანებთან. იქ კარგად შემხედნენ, დიდუ, ჰიკოს შვილიაო, შეიცხადეს და ხელიდან ხელში სტაცებდნენ ჩემს თავს ერთმანეთს თუთარიები. თითქმის ყოველ თუთარიასას მეძინა თითო ღამე, ბიძაშვილი კი მყავდა, მაგრამ ისინი ღარიბად ცხოვრობდნენ ძალიან და მე ჩვენი გარე ნათესავისას, ბაგი თუთარიასას დავრჩი საცხოვრებლად. ბაგი ბიძიას მეუღლე ასწავლიდა ოქუშის სკოლაში ქართულს. მან მიმიყვანა სკოლაში და ამრიგად დავიწყე ახალი ცხოვრება. კარგად ვსწავლობდი. ჰიკოს შვილი არისო, აბა, რა გეგონათო, ამბობდნენ ჩემზე და ბედნიერი ვიყავი თითქოს. ღუმურიშვიც კი წამიყვანეს ერთხელ, იმ ქალთან, ჩვენ რომ ოქუშიდან გამოგზავრებისას დავემშვიდობეთ, იმ დედაბერთან, ტბილისკვერი რომ გამომატანა, ტიროდა ის ქალი, როგორ ვეხვეწებოდითო ნანის მაშინ, — არა, ნანი, ნუ წაიყვან ამ ბალებს აქედან, ნუ მოსწყვეტ მამისეულ ადგილს-მეთქი, არა და არ დამიჭერა დალოცვილმა მაშინ, — „მიხვდიო აბა, რა არიო, შენი, მახარე?“ — მეუბნებოდა ის. ტიროდა თან ბეჩავი და წუხდა ძალიან. „როგორაა საწყალი დედაშენი, მახარე? გათხოვდა, არა? მგონი შვილებიც კი შეძენია იმ კაცისაგან, რად უნდოდა, ოღონდაც, ბეჩავს, ა?“ ღუმურიშიდან რომ ვბრუნდებოდით, რატომღაც უგუნებოდ შევიჭენი, არავითარი საბაბი კი არ მქონდა მაინც და მაინც, გუნების გაფუჭებისა, მაგრამ, ხდება ხოლმე და ყველაფერი ერთმანეთს წაებმება, — ჯერ დღესე მოგივა, კამათელს

რომ აგორებ, დადიანსე მალში მერე დუბეში, და მერე კიდევ რაღაცა-ღველაფრის დამაგვირგვინებელი დუშაში, — გაძლევს და იგებ შენ, და თითქოსდა წინასწარ იცი, აწი რა მოგივა, ამ ხელზე რას გააგორებ, მოსაგებს თუ წასაგებს, ამას გუუბნება შენი ქვეშეცნეული, დაფარული გრძნობა, და ეს ისე ნათელია თითქო, გეშინია კიდევაც, შენმა მოპირდაპირმაც არ იგრძნოს ეს და არ მოგიტრას ხელი, თუკი „მეტ-ნაკლებს“ თამაშობთ, ან „ვარი“ არ გითხრას სულაც, თუკი „ბაი-ბუტს“ თამაშობთ — ისეთი გუნება მქონდა, თითქოსდა ჩემს მოპირდაპირე მოთამაშეს ჩაეხედოს ჩემს გულში და იქ ამოეცნოს ის, რასაც ვფიქრობდი — „აგე, მიხა ბაბაია, ფული შენ. — მითხრა იმ საღამოს ბაგი ბიძიამ, წახვალ უჭირში, ამ ფულს მიიტან ამა და ამ ადგილას, იქ შენ მოგცემენ ნაბადს და წამოხვალ ხვალივ უკან. „ბაგი ბიძია, ის ადგილი, ჩემი ხუთი თითივით ვიცი-მეთქი, — ვუთხარი სიმართლე. გამოვართვი ფული და მეორე დილით, კვირა დღეს, უთენია გავუდექი უჭირის გზას. „დღესვე დაბრუნდი, მიხა ბაბაია, აბა, შენ იციო“, — „აბა რას ვიზამ-მეთქი, ბიძია“, — ვთქვი მე. ჯერ იყო და მივედი კიდევაც იქ, სადაც უნდა მივსულიყავი. ვნახე ის კაცი, კი არ ვნახე, ვიკითხე ჯერ, ესა და ეს კაცი თუ არის-მეთქი, — მოვო, მალე, ბაბაია, აი, იქ დაიცადეო, — დამიდგეს სკამი და დავჯექი მეც. მაგრამ მენაბდე არა ჩანდა. ვუცადე იმ ოსტატს. ვუცადე, არა ჩანდა ის დალოცვილი. წამოვდგებოდი ხოლმე სკამიდან, ვიკითხავდი, ეგების სულაც არ მოვიდეს-მეთქი ოსტატი დღეს, მოვა, ოსტატი, ბაბაია! — მეუბნებოდნენ. გავვილი-მეთქი, დავიბარე და გავედი საამქროდან. ჩვეულად დავუყევი ბაზარში მიმავალ გზას. აქ ერთი-ორი ნაცნობი ბიჭიც ვნახე, ოღონდაც საუბარი არ გამიბამს მათთან, მერე ტირში შევედი, მახსოვს, ჯავო მეთირემ ტყვიები დამიყარა წინ და მე ვესროლე ნიშანში. ნაბდის ფული კი ჯიბეში მედო. მთელი რვაასი მანეთი!

„ხოკო“ ხომ არ გინახავს-მეთქი, ვკითხე იქ ერთ ნაცნობს, თითქოსდა ძმაკაცი ვყოფილიყავი მისი, ან რაიმე საქმე მქონოდა მასთან. „ხოკო“ დაიჭირესო, მითხრა მან, წაასწრესო. მეწყინა საოცრად. მაგრამ ჯიბეში ბევრი ფული მქონდა და წყენაც მალე გადამივიდა. მერე მე თითქმის მთელი საღამო ვუყურებდი მაჭიტას კონცერტს. მაჭიტია ყომაზბაზი იყო; გაგონილი მქონდა, მაჭიტას ჰიქიდან ასროლინებდნენ კამათელს. ხან კიდევ სრულიად სხვა ვინმე აგორებდა იმის მაგივრად, იღვა მაჭიტია და მენცარივით ანგარიშობდა რალაცას. იმ საღამოს ერთი ყმაწვილი კაცი ეთამაშებოდა მაჭიტას. ათი ნაბიჯი ჰქონდა გადაზომილი მაჭიტას და იქიდან ისროდა კამათლებს, მაგრამ ყველას გასაოცრად. მაჭიტია იმ სიშორიდანაც ახერხებდა თავისას, — წააგო იმ ყმაწვილმა ყველაფერი და მორჩა თამაშიც. ბაზარი დაიკეტა. მორიგემ ჩაბებრა სასტვენს, იფანტებოდა ხალხი, და სხვათაშორის თქვა თითქოსდა მაშინ ჭაგო მეტირის ბიჭმა. — „აჩკოს“ სათამაშოდ მივდივართ და შენც ხომ არ წამოხვალ; გამოვედით ბაზრიდან, ავუყვებით უჭირის მთავარ ქუჩას და შევედით ერთ ძველ შენობაში; თამაშში მე არ ჩავრეულვარ, ვიდექი და ვუყურებდი მხოლოდ, როგორ იგებდა ჭაგო მეტირის ვაჟი, იგებდა და იჯიბავდა ფულს ბლუჯა-ბლუჯა. თუ გინდა, შევამხანაგდეთო, — მითხრა მან, — წილში გაგიყვანო — მომეცი ეგ შენი ფულიც, რა იცი, ეგების დამჭირდესო. მივეცი მთელი ჩემი ფული. მონაგებიდან კი, კაპიკსაც არ გამოვართმევ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. რიგდებოდა ქალაღი სწრაფად. ხანდახან ჩამახედებდა კარტში კიკოია, — მირჩიე, რამდენი დავიძახოო. „ტუზი“ ეკირა, მახსოვს, — მიდი, რისი გეშინია-მეთქი, „ტუზზე“ — „პაპა“ დაეცა. ესეც შენი თხუთმეტი! დამიკელიო. — ითხოვა კიკოიამ. — რაღა დროისაოო. — უბასუხეს. ჩამოარიგეს კიდევ ქალაღი. კიკოიას „ცხრიანი“ მოუვიდა. „დაიწვა“. ამრიგად წა-

აგო მან თავისი ფული, წააგო ჩემიც, — როგორ მიმართლებდაო. ~~მომხმარებდა~~ და სინანულით. არაფერია-მეთქი, ვინმე გეშე მე კიკოია და გავეჩე შინისაკენ. ათიოდე მეტრიდა მქონდა სახლამდე დარჩენილი, — მივხვდი, — განზრახ აგებდა კიკოია; ერთი პირობა ვიფიქრე, დავბრუნდები ახლა, თუ ხელით ვერ მოვერევი, ქვებით მაინც დავუჩეჩქავ-მეთქი კიკოიას თავს. მაგრამ ამითი საქმეს რა ეშველებოდა. თამაშს თავისი წესი აქვს და ფულს მე აწი ვერ დავიბრუნებდი. ყველა სიმართლე კი არაა სიმართლე, რაც ჩვენ სიმართლედ მიგვაჩნია, არამედ არის უფრო დიდი და უფრო ქეშმარიტი რამ, რაც ამქვეყნიურ კანონებს ემორჩილება და არაფრად დაგიდევთ თქვენველ სისწორეს. — ესაა სწორედ ის დაუწერელი კანონი, რაც ყველა კანონზე მტკიცეა და საფუძვლიანი; ფუხუ სადანია ასესხებდა კაცს ცხრას მანეთს და ერთი თვის თავზე ათას მანეთს იბარებდა იმ კაცისაგან. ეს იყო კანონი. ამგვარი კანონის გადასვლა არ შეეძლო არავის. თამაშის კანონს ერთი მოთამაშე კი არა ქმნიდა, არამედ მთელი თაობები, გზადაგზა იხვეწებოდა კანონები მისი და მტკიცდებოდა. ფუხუ სადანიას თვითონ კი არ გამოუგონია ასეთი კანონი, არამედ თავად ხალხმა, თავად სასადანიომ გამოიგონა. „მე კი არ გამომიგონია ეს, — ამბობდა ფუხუ, — ასეა ყველგან და ასე იქნება კიდევ, სანამ ხალხი ამგვარ ვითარებაში იქნება“. მაგრამ სახელმწიფო კანონსა და სადანიას კანონს შორის იყო განსხვავება, — სახელმწიფო კანონი, ასე ვთქვათ, თუნდაც რომ დაგერღვია, ეგრეთწოდებული მორალისაგან ანთავისუფლებდა კაცს — კანონს და არღვევდი, შენ შენი მოგვლევებოდა და მორჩა. ხოლო ფუხუს კანონის დარღვევა დამოკიდებული იყო კაცის მორალურ მხარეზეც. ფუხუს კანონის დამრღვევი კაცი უპირო კაცად დარჩებოდა სამუდამოდ. მას არასოდეს არავინ ასესხებდა ფულს. ხოლო სახელმწიფო კანონების მიმთვისებელი კაცი, მეტად არ

მიითვისებდა სახელმწიფო ქონებას და აღიდგენდა დროთა განმავლობაში ძველ სახელს. „სახელმწიფო კანონი ჩემეულ კანონს უნდა ჰგავდეს, — ამბობდა ფუხუ სადანიო, — ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, კანონი რომ არ სჭირდება ისეთი სახელმწიფოს მომხრე ვარ მე, — სადაც ბევრი კანონია, დანაშაულიც მეტია“. — დასძენდა სადანიო.

დედაჩემმა შეიცხადა ეს ამბავი, ისე გაუტვირდა ჩემი საქციელი; ერთი სული ედგა საწყალს, ეგების ოქუშში მაინც მომეკიდა ფეხი. იქ იყვნენ ჩემიანები, და რალაცნაირი, იმედის მომცემი ფიქრები ექმნებოდა დედაჩემს. იმ სოფელში აიდგა ფეხი მამაჩემმა, მთელმა ჩემმა გვარმა, აქ ხომ ისე მრავლად ესახლნენ თუთარიები, სათუთარიოც კი ერქვა სოფლის ერთ მხარეს. — ერთხელაც ვცდიო ბედს, ასე თუ იფიქრა დედაჩემმა, და მეორე დღეს, როცა ყველაფერი ნათელი გახდა, ისევ ჩამიყვანა ოქუშში. სადაც მოაგროვა სამგზავრო ფული (ფუხუ სადანიოსაგან ისესხებდა, ალბათ), და გავწიეთ ოქუშისაკენ. რა კარგად მახსოვს მთელი ის დღე; ჯერ იყო დი, მზადება წასასვლელად. მე დედას ღამითვე გავუცხადე ის ამბავი, რაც ვადაძხვდა და დედაჩემი უთენია ადგა ფეხზე მეორე დილით. ცრიდა. გაცვეთილი კალოშები ეცვა დედას, დაკუთხუნიდა იმ კალოშებით, „კალოშებს კი ვერ იყიდი შენთვის შე გაკირვებულ“, — თქვა მამინაცვალმა. ათასგზის გავიდოდა ეზოდან და ათასგზის შემოვიდოდა, დადიოდა ფულის სასესხებლად. — კელვა სანაია კი არ განძრეულა იმ დილით, უსიტყვოდ იჭდა ფიცრული ოდის წინ, სქლად ახვევდა ბეწვიან თუთუნს თხელი პაპიროსის ქაღალდში, და წამდაუწყუმ აბოლებდა; დედას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რალაცა და ქმარი მის საქმეში არ ერეოდა, გაყუჩებულ იყო კელვა სანაია მთელი დილა, ნაწყენ ბალს ჰგავდა თითქო. „კალოშები მაინც გყვიდა შენთვის, შე გაკირვებულ“, — ესა თქვა მხოლოდ. მეტად დერი სიტყვა არ დასცდენია. გრი-

ლი დილა იყო. წვიმიანი, კაცასიონის მთაგრეხილი არა ჩანდა. ღვიწკაროდან, მონისლული იყო ჩვენი შუქა და ქაფათის შინდარი. ვინმე მეზობელთაგანი გარეკავდა ხოლმე საქონელს იმ სანახისაკენ, მოახლოვდებოდა ჩვენს ლობესთან, დალანდავდა ნისლში კელვა სანაიას, ეტყოდა გამარჯვებას და ჩაივლიდა. „რა დრო არი, რა დრო, ნეტავი“, — კითხულობდა ვამი-ვამ დედაჩემი და წასასვლელად ემზადებოდა. „ასე ხელცარიელი როგორ ჩავიდე ახლა ოქუშში, რამდენი ხანია იქ არა ვყოფილვარ... უიმე, როგორ დამაიწყდა ის თივთიკის თავშალი, რა ოხრად მინდა, მე არდასარჩენს“. — ამბობდა დედა.

ოქუშში მზიანი ამინდი იდგა, ოღლა ბიცოლა დაგვხვდა შინ. „უიმე, ნანი, შენა ხარ, შემოგველე“. — მოეგება ის დედაჩემს. კი უკვირდა ოღონდაც მისი ჩამოსვლა. „გუშინ რატომ არ დაბრუნდი, მიხა, უქირიდან“. მკითხა მე სხვათაშორის, — „მოდი, ნანი, საცაა ბაგიც დაბრუნდება საწყობიდან“. რა უთხრა და რა — არა დედამ ოღლა ბიცოლას, არ ვიცი. არც მე მეკითხებოდნენ არაფერს; ბაგი ბიძია ამოვიდა სოფლის ცენტრიდან, გაიხადა სქელი კიტელი, შილიფად გამოეწყყო, მომატანიდა ქილოფი და წამოწვა ჩვეულად დიდი მსხლის ძირას, ჩრდილში; მუთაქაზე ჰქონდა ცალი მხარი დაყრდნობილი, დედაჩემი პაწია კველაზე იჭდა მის ფერხით, მეც იქვე ვიყავი ჩაცუტული, და საუბრობდნენ ისინი ამრიგად, მთისას და ბარისას, ერთხელაც არ უხსენებიათ ოღონდაც ნაბადი. ბაგი ბიძია იწვა ჩრდილში, მზე აცხუნებდა და ნია ვიც კი არ იძროდა იოტისოდენი, რალაცნაირი. ჩახუთული დღე იყო, მახსოვს, — გუშინ ჩვენსკენ წვიმდაო, — ითქვა, — ასე იცისო წვიმის მერე. ხილი ცვიოდა ხეთა შტოებიდან და ზუზუნით ეხვეოდნენ ხილულს მწერები. გუგუნებდა გავარვარებული ცისკვეშეთი; ბაგი ბიძიას თანდათან რული ერეოდა იმ დღეს, დედაჩემი იჭდა მის ფერხ-



თით პაწია კველასუ, ძალიან მაწუხებ-  
სო სოცხე, ამბობდა ბაგი ბიძია, დასას-  
ვენებლად მე არა მკალიაო, ჩიოდა.  
ბაგი ბიძიამ ჩაიძინა. საღამო ხანს,  
ცრემლით საესე თვალებით დავეთხო-  
ვეთ თუთაროებს და გამოვეწიეთ უქი-  
რისაკან. ტიროდა დედაჩემი, ტიროდა  
ოღლა ბიკოლა, ტიროდა მათი უფროსი  
ასული, ტიროდა ბაგი ბიძიაც, ჩვენსა-  
ვით კი არ ტიროდა, მაგრამ ტიროდა,  
მძიმე გული ჰქონდა, ცრემლი გულში  
ეწვეთებოდა, გულის კოვზზე ეცემოდა  
და ებერებოდა გული, გასკდომასზე  
ჰქონდა და დღემდე არ ვიცი, რატომ  
არა თქვა ბაგი ბიძიამ, მიხა ჩვენთან  
დარჩესო. მსხლის ძირას რომ იჯდა, დე-  
დაჩემს, თუთარიას ჩაძინების მერე, ხე-  
ლში ალვის ხისაგან მოტეხილი შტო  
ეკავა და მარაოსავით უქნევდა ბაგი  
ბიძიას: შტო რომ ირხეოდა, ნელი ნია-  
ვი იქნებოდა და ეს სიამოვნებდა მძი-  
ნარე კაცს. თან ბუზიც არ დააქდებო-  
და, არ მიეკარებოდა, და ძილში არაფე-  
რი შეაწუხებდა. მე თითქოსდა მიყუ-  
რადებული ვიყავი იმ შტოის ნიავეს;  
რა ხმას გამოსცემდა ალვის პაწაწინა  
ტოტი? დედაჩემს ჰქონდა რალაც სათ-  
ქმელი უფროსი თუთარიასთვის იმ  
დღეს, მაგრამ ვერ უთხრა, ვერ ეუბნე-  
ბოდა, ბაგი ბიძია ასე ოციოდე წლით  
მაინც იქნებოდა უფროსი დედაზე და  
მას თავად ეცოდინებოდა, როგორ უნ-  
და მოკტეულებოდა, რა უნდა გადაეწყ-  
ვიტა იმ დღეს, დედა ამას გრძნობდა,  
ცხადია, და თავის სათქმელს ვერ ეუბ-  
ნებოდა. დედას პაწაწინა ალვის შტო  
ეკავა ხელში და მძინარეს უნია-  
ვებდა, რალაცას კი ნიშნავდა, აღბათ,  
იმ შტოის ხმა? დედაჩემის ამნაირი სა-  
ტყველი სათქმელს უახლოვდებოდა,  
მძინარეს კი რა ჩაესმებოდა... იმ დღეს  
მთელი სამყარო ჩემთვის თითქოსდა  
ორად ვაიყო, ერთ მხარეს ხორშავი  
იყო და მეორე მხარეს — ჩრდილი,  
მზვარეში დედაჩემი იჯდა, ფიქრიანი,  
გრილოვანში კი — ბაგი თუთარია იწ-  
ვა მშვიდად და ფშვინავდა. მზე რომ  
დააცხუნებდა, დედაჩემი ასწევდა იმ

პაწია კველას და ჩრდილში შეჩაჩობ-  
და, მაგრამ მცირე ხნის მერე დადგებოდა  
დაადგებოდა თავზე და ისევ გადადგა-  
მდა კველას; ხოლო თუკი თუთარიამდე  
მიაწევდა მზე, მაშინ გამოვიდოდა ოლი-  
დან ოღლა ბიკოლა, მათი უფროსი ქა-  
ლიშვილი, ადგებოდა დედაჩემი, ავდგე-  
ბოდი მე და მოვეკიდებოდით ქილო-  
ფის ოთხივე კიდეს, და ძლივს-ძლივო-  
ბით შევაჩოჩებდით ჩრდილში ბაგი  
ბიძიას, — არც უფროსი თუთარიას-  
თვის იყო მოწყობილი სოფელი მაინც-  
დამაინც, დრო გავიღოდა. მზე შევეტად  
დადგებოდა, მსხლის ხეს ჩრდილი უპა-  
ტარავდებოდა, მძინარე კაცი იგრძნო-  
ბდა ამას ძილში, შეიშმუნებოდა და  
გამოახელდა თვალებს; ჩრდილი რომ  
სულ დაპატარავდა, ბაგი ბიძიამ თქვა:  
„იწვის ქვეყანა, ოხერი!“ ამასზე დედა-  
ჩემმა რალაც ბოღიშისმაგვარი უთხრა  
მას, კი არ უთხრა, არამედ, ოდნავ დაი-  
ხია უკან თავის პაწაწინა სკამიანა და  
ამითი გამოხატა მოწიწება უფროსი  
თუთარიასადმი, — ის პაწია ჩრდილიც  
მას დაუთმო მთლიანად და თვითონ კი  
მზეში მოიხვედრა თავი, — მერე კი-  
დედაც წამოღდა ბაგი ბიძია, ადგა დედა-  
ჩემიც და მიწით მოგებულ ქარგვალში  
შევედით ყველანი.

გვიან საღამოს ჩამოვედით მე და სა-  
წყალი დედაჩემი უქირში.

\* \* \*

რა უნდა მექნა აწი? იფიქრა გამზრ-  
დელმა, იფიქრა და გადასწყვიტა: ჩონ-  
თო ბიძიასთან მივეყვანე, ჩონთო ქი-  
რია დედაჩემს მოუღოდა ბიძად, მისი  
დეიდის ქმარი იყო, ამიტომაც, მეც დე-  
იდას ვეძახდი ნინას, ბებიაჩემის უმც-  
როს დას, საოცრად ლამაზსა და მომ-  
ხიბვლელ ქალს, დედას რომ უჩიჩინე-  
ბდა ოქუნში ჩასული: „აქ როგორ დად-  
გები, ნანი, შენინანი აქ არავინ გყავს,  
გაყიდე ეს კარმიდამო, წამოდი უქირ-  
ში“, აკი ასეც მოიტყა დედაჩემი, ქირი-  
ებს ერთი ჩემი კბილა გოგო ჰყავდათ  
და სამი ვაჟი, ორი მათგანი სამხედრო  
სამსახურში იყო იმხანად, ისინი გზავ-

ნიდნენ ბარათებს შინ, ბარათებში სურათები იდო, ერთ მათგანს შეზღვეურის ლამაზი ფორმა ეცვა, ხოლო მეორეს — ჯარისკაცის უბრალო ტანსაცმელი. „სტრობატში“ მსახურობს უფროსი ჭირია, ასე ამბობდნენ. ყველაზე უმცროსი ჭირია ცოცხალი აღარ იყო. მისი სურათი საჩინო ალაგას ეკიდა სახლში. ისეთი ლამაზი ჩანდა უმცროსი ჭირია, არ დაიჭრებდი, რომ ის მკვდარი იყო და მიწაზე არ დადიოდა. მე და ჭირიების ასული ერთად დავდიოდით სკოლაში. ერთ კლასში ვსწავლობდით. ნიკიერი ვიყავი, როგორც ამბობდნენ, მაგრამ მეცადინეობა არ მიყვარდა. წიგნებს კი ვკითხულობდი, მაგრამ უფრო კლასგარეშე წიგნებს, რაც დიდად მოსწონდა ჩონთო ბიძიას. ერთი სული მედგა, ვინემ სკოლიდან შინ მოვბრუნდებოდი, — მიყვარდა ეს სახლი, მიყვარდა ის დრო, ჩონთო ბიძია რომ ბრუნდებოდა სამსახურიდან, მას დიდი თანამდებობა ეკავა და სამსახურიდან დაგვიანებით ბრუნდებოდა ხოლმე. ხელცარიელი შინ არ მოვიდოდა, მოჰქონდა ჩემთვის ნაირნაირი წიგნი. — მე ვკითხულობდი და ეს უხაროდა. „კაცო, ამხელა კაცია ჩვენი სპირიტონი და მაინც არაფერი კი არ იცის ზუსტად (ამ სიტყვას ხაზს უსვამდა), როდის დაიწერა-მეთქი ეს წიგნი, ვკითხე, და რა მიბასუხა თუ იცი? მეთრთმეტე საუკუნეშიო“. ერთი სული მედგა-მეთქი სანამ ბიძია შინ მოვიდოდა. ჩონთო ჭირია ერთადერთი კაცი იყო მთელს დედამიწაზე, ვისთვისაც არასოდეს მივთქვამს ტყუილი, თუნდაც სულ ერთი ბეწო და არაფრისმთქმელი ტყუილი! და მე ვგრძნობდი, — თუ კი ერთ ვილაცასთან ხარ პირმართალი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ მოიქცევი სხვებთან, ოღონდ იმასთან არ უნდა იცრუო, რაც არ უნდა მოგივიდეს. სხვათა აზრი არც მაინტერესებდა თითქო. ჩონთო ბიძია მუდამეამს გვიან ბრუნდებოდა შინ. ასე თორმეტ-პირველ საათზე დგებოდა ლოგინიდან, მეორე ოდის წინა მინდორში იჯდა. იქ

ჩაის სვამდა, ღოსა და ლობიოს ქამდა, მერე ადგებოდა. პირს უამოიოცხავდა, ხელებს დაიბანდა, თავის ვიწრო „ახი-აკეებს“ ჩაიცვამდა, თავზე „უოკეს“ ქუდს დაიხურავდა, გალიფეს უქანა ჭიბეში „ნაგანს“ ჩაიდებდა და ეზოდან გადიოდა. ზამთარში ნაბადს წამოიხურავდა, ან კიდეც ხაყის მოსასხამს და ისე მიდიოდა სამსახურში, თან ხელის ფარანიც მიჰქონდა, — უქირის სადგურიდან მოყოლებული ვიდრე სახლს მოაღწევდა გზა ტალახიანი იყო და თუკი წვიმდა, იმ ფარნით ინათებდა გზას, ერთი ბეწოთიც არ დაისვრებოდა, ისე მოვიდოდა შინ. ხოლო შაბათი და კვირა ნამდვილი დღესასწაული იყო. ჩონთო ბიძია ამ დღეებს შინ ატარებდა. შაბათი დღე გადაიხრებოდა, რკინის კიშკარი გაიჩხარუნებდა და შემოვიდოდა ეზოში ჩონთო ბიძიას მეგობარი კაცი. — სპირტო ჯანაშია. ისინი ერთად დადიოდნენ სანადიროდ. ორივეს სანაქებო მწვერები ჰყავდათ. ორლულიანი თოფები ჰქონდათ, შემოვიდოდა ეზოში სპირტო ჯანაშია, მე სკამებს გამოვიტანდი ოთახიდან, ორ სკამს ერთმანეთს მივადგამდი, ზედ ნარდს ჩამოვდებდი, თითო სკამს მათ დავუდგამდი, მეც მათ სიახლოვეს ჩამოვჯდებოდი და ვუყურებდი. როგორ თამაშობდნენ ისინი. ერთი სკამი კი თავისუფალი რჩებოდა ყოველთვის. უცებ რომ ვინმე გვსტუმრებოდა, — იმისთვის. სტუმარი რომ შემოვიდოდა, სკამიც ხომ დასჭირდებოდა, მე კიდეც ნარდს ვიქნებოდი მიცქინებული და ადგომა დამეზარებოდა. ნარდს ფულზე თამაშობდნენ: თანაბარი მონარდები იყვნენ დაახლოებით ორიგენი, — ხან ერთი მოიგებდა, ხან მეორე. ცოტათი სჯობნიდა ჩონთო ბიძია, მგონი, და ეგ იყო და ეგ „კისლაველსკში მივდივარ წელს“. — ამბობდა სპირტო ჯანაშია, ჩონთო ბიძია კამათელს აგორებდა და სათამაშო ქვეებს ზომავდა თვალით, ორქოფობდა, რა ეთამაშა. მისთვის მთავარი იყო, ზუსტად ეთამაშა, წაგებას კი არ ინალე-



ლებდა. ოღონდაც ისე ეთამაშა, როგორც კანონი მოითხოვდა. „კანონი არ იცის ნარდმა“, — ამბობდა სპირდო ჭანაშია. „ასე გეგონოს შენ! — დაურთავდა ჩონთო ბიძია, — აი, ახლა რომ ზღვაური ჭრის ამას ძალიც კი გრძნობს, შეხედე, საითყენა აქვს თავპირი“. ჩონთო ბიძია აიღებდა „ყაზბეგის“ კოლოფს. ღერ პაპიროსს ამოიღებდა, კოლოფს: დაბურავდა, პაპიროსს კოლოფზე დაფერთხავდა, ჩაიდებდა პირში, გააჩხაკუნებდა ასანთს და მოუკიდებდა, უსიამოდ უკიდებდა მუდამ, ერთს გააპაპუნებდა პირში პაპიროსს, მერე უცებ გამოიღებდა, ოღნავ უკან გასწევდა თავს, იმ არასასიამოვნო სუნს, ასანთის ალს რომ ჰქონდა, ცოტათი აიცდენდა, მერე კი სიამოვნებით ეწეოდა, შეისრუტავდა ხარბად პაპიროსის ბოლს, ცოტა ხანს დაიგუბებდა ფილტვებში, მერე გამოუშვებდა კვამლს სკლად პირის ღრუდან და გრძელი ნესტოებიდან, დაფერთხავდა პაპიროსის ნაბწვს და ჩამოდებდა ნარდის კიდზე ანთებულ პაპიროსს, — პაპიროსის ღეროდან — ნელი, ოღნავ მოლურჯო და ლამაზი კვამლი ამოდიოდა, ნარდი ხომ ჩრდილში იყო გაშლილი, იქ სუსტი ნიავეიც იძროდა, თვალისაგან შეუძმჩნეველი, მაგრამ კვამლი იკლანებოდა, ჭერ შვეტად ცდილობდა მაღლა ასულიყო, მაგრამ ნიავე გზას უცვლიდა, კვამლი ეძალიანებოდა, ნიავე სჯაბნიდა და დაკლანკილი ბოლი განივად მიდიოდა, წამით დაჩნდებოდა ჩონთო ბიძიას თეთრ კიტელზე და უფრო გამქ-

რქალებული პაერში განიბნებოდა. ისეთი სიამოვნებით თამაშობდნენ ჩონთო ბიძია და სპირდო ჭანაშია, რომ მთელს ქვეყნიერებას უფილიყენენ თითქოს მოწყვეტილნი. „კისლავოდსკში მივიღვიარ წელს დასასვენებლად“ — თუ რამე გაახსენდებოდათ ამ ნარდის კაქუნის დროს, ამ სიტყვების მაგვარი იქნებოდა ისიც, სულ რომ დასვენებას და სიამტკბილობას მოავრუნებდათ. ისეთი რამ, რაც გულზე არ მოეკიდებოდათ ნამეტნავად, არამედ გულს რომ დაუამებდათ, — ამასობაში შეეკიდებოდა სკამიდან, მახლობლად მდგარ ლელვზე ავკოცდებოდა, დავკრეფდი ახალშემოსულ, მწიფე ხილს და დიდი ფართო საინით დავეუდგამდი შათ წინ. ისინი მიიერთმევენენ ლელვს, თან ნარდს ამღერებდნენ, ჩონთო ბიძია პაპიროსს ფერთხავდა კოლოფზე, და არ იყო მათი ჭამა იმგვარი, სვიმო ბაბუა რომ ამბობდა, ჭამასაც შრომა უნდაო, ბაბაია (სვიმო ბაბუასთვის მთელი ცხოვრება შრომა იყო და შრომას ნიშნავდა, ის მიტომ ისვენებდა, რომ მერე ისევ გასულიყო ყანაში სამუშაოდ, ხოლო ჩონთო ბიძია და სპირდო ჭანაშია იმიტომ მსახურობდნენ, რათა დაესვენათ). ისინი სხვათაშორის დაწვდებოდნენ ლელვს, კამათელს რომ გააგორებდნენ. ხელი ხომ წინ ექნებოდათ გაწეული, იმ ხელს რომ უკან წამოიღებდნენ, აი, მაშინ წამოიძღვანიებდნენ ლელვსაც, — ამისთვის დროს არ დაჰკარგავდნენ, არც კი შეყუვნდებოდნენ, ისე გააგორებდნენ თამაშს.

□დასასრული იქნება□



იროდრონ მაჩაბიძე

## ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვების გზა

რსდმპ 11 უბოლოა .....ერთადერთი, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელ ისტორიაში გაუგონარი მოვლენა იყო.<sup>1</sup> — წერდა ვ. ი. ლენინი. სწორედ ამ უბოლოზე, 1903 წლის ზაფხულში, შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია — ბოლშევიკური პარტია. აღნიშნულმა უბოლოებმა დაამთავრა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული იდეურ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე რუსეთის რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაციების გაერთიანების პროცესი. ამ დროიდან ახტორიულ ახპარეზზე გამოვიდა ახალი ტიპის პარტია — მუშათა კლასის პარტია, შეცნირებული კომუნისმის პარტია, სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური აღშენებლობის პარტია.

„ლენინური პარტიის შექმნა... რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის შემობრუნების პუნქტი გახდა.“<sup>2</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული პარტია სთავებში ჩაუდგა პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების განმათავისუფლებელ ბრძოლას რუსეთის სამ რევოლუციურ და მშრომელი მასები ძღვევაშილ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მიიყვანა.

ახალი ტიპის პარტიის — ბოლშევიკური პარტიის წარმოშობა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა, რომელმაც დასახამი მისცა ძირითად შემობრუნებას

ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან ახალი ტიპის პროლეტარული პარტიისაკენ გაერთიანების მახშტაბით. „ბოლშევიკური პარტიის შექმნით დაიწყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ბრძოლისა და გამარჯვების კუმშარითად გმირული გზა განვლო. ამ სახელოვანი ისტორიული გზის 80 წლისთავს, წელს კომუნისტები, ყველა საბჭოთა აღმაინი, მშრომელთა ინტერესებისა და იდეალებისათვის, აღანეტის ზღვითა თვისუფლებებისა და ბედნიერებისათვის შებრძოლები, საზეიმოდ აღნიშნავენ.

ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნის აუცილებლობას აჩირობებდა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთში დაწეული მუშათა აღმაველი რევოლუციური მოძრაობისაღნიხელმძღვანელობის აუცილებლობა, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრის დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმონაცვლება, იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავება — განსაკუთრებით რუსეთში, სოციალიზმის მუშათა მოძრაობისათვის შერტობების განხორციელების ინტერესები და სხვ.

მუშათა მოძრაობის აღმაველობა და რევოლუციის აწყობა მოახლოება მოითხოვდნენ მუშათა კლასის ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნას, ისეთი პარტიისა, რომელიც შეხსნებდა რევოლუციური მოძრაობისათვის ზელმძღვანელობის გაწევას.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 515.

2 რსდმპ მეორე უბოლოების 80 წლისთავის შესახებ. სკკპ ცკ-ის 1983 წლის აპრილის დადგენილება. გაზ. „კომუნისტი“, 1983 წ., 5 აპრილი.

3 ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. სკკპ ცკ-ის თეზისები, თბილისი, 1970, გვ. 11.

მთუ დავად ანის, რომ 1895 წელს შედგა ჩემი პარტიის I ურლიობა, რომელსაც პარტიის დარსება გამოაცხადა, პარტია მაინც არ აუთოქნებელი. პირველი ურლიობის შემდეგ რუსეთში ადვილად აღმწოდებელი და ორგანიზაციული დაქაზნულობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

ვ. ა. ლენინი რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის განვითარების დროს, კრძალული განზოგადების საფუძველზე იმ დაქვანებულ მხედრად, რომ რუსეთის მარქსისტებს უნდა ებრძოლათ მუშათა კლასის არა ჩვეულებრივი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის, როგორც არსებობდა იმ დროისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში II ინტერნაციონალის პარტიების, ანდა ძველი ნაროდნიკული ორგანიზაციების ხაზით, არამედ ახალი ტიპის პარტიისათვის, რომელიც ძველი ტიპის პარტიებისაგან ძირითად განსხვავებული იქნებოდა თავისი მიზნებით, ამოცანებითა და ორგანიზაციული პრინციპებით. ვ. ა. ლენინი მოითხოვდა, რუსეთის კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით, ახალი ტიპის პარტიის შექმნისას გათვალისწინებული უოფიციური არა მარტო რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარება, არამედ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის დადებითი შედეგად რეგულირება.

ვ. ა. ლენინი წერდა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატია ბევრს რამ გააკეთა ძველი რევოლუციური და სოციალისტური თეორიების კრძალისათვის... მას ახლა გადასადგმელი დარჩა შემდეგი, განსაკუთრებით ძნელი, მაგრამ იმავე დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ნაბიჯი: შექმნას ჩვენს პირობებთან შეფარდებული ორგანიზაცია ამ მოძრაობის... დასავლეთ ევროპის სოციალიზმისა და დემოკრატიის ისტორია, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია და ჩვენი მუშათა მოძრაობის განვითარება, — ანუ ის მასალა, რომელსაც ჩვენ უნდა დავუფუძვლოთ იმისათვის, რომ შევიშუშოთ ჩვენ პარტიის მანანშეწინილი ორგანიზაცია და ტაქტიკა“.<sup>4</sup>

ვ. ა. ლენინი განსაკუთრებით აფრთხილებდა რუსეთის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ტიპისა და ფორმის შემუშავებისას თავიდან იცავდნენ დასავლეთევიროპული „ნიშნის“ ანუ მეორე ინტერნაციონალის პარტიების ტიპს და ფორმას.

მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიები წარმოადგენდნენ „სოციალური აფორიზმის“ პარტიებს, რომლებიც კაპიტალიზმის შედარებით „შვიდობიანი“ განვითარების პირობებში შეიქმნენ. თავის დროზე მათ დადებითი როლი შეასრულეს პროლეტარიატის ძალების შეკავშირების საქმეში, მაგრამ შემდეგში ოპორტუნისტების კვაში ჩაფლულნი აღმოჩნდნენ.

მეორე ინტერნაციონალის პარტიების ასეთი თვალსაზრისი ლიდერები, როგორც იყვნენ ვერმანაში: ბერნშტეინი, ფოლმარა, დიუგლასი, ლისონი — ფაშიანებელი, საფრანგეთში — დიერიანი და სხვ., აშკარად უარყოფდნენ სოციალიზმის შეცნობრულად დასაშუთების შესაძლებლობას, მასებს მზად ხილდაცეს და კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გაწვევას, კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას. ისინი თავიანთი მოღვაწეობის მთავარ ამოცანად ესახვედნენ მიღწეული რევოლუციისათვის, მუშების შეგომარების უნიშვნელო გაუქმობებისათვის, ისე, რომ კაპიტალიზმის საფუძველი არ შერყეულყო.

საზოგადოებრივი განვითარების 80 წელზე მეტე ხნის განვითარებამ ცხადყო თუ როდენ მართალი იყო ვ. ა. ლენინი, რსდმპ II ურლიობაზე შექმნილი ახალი ტიპის პარტია II ინტერნაციონალის პარტიებთან ისტორიულ დავაში, სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტისა და პროლეტარიატის წინააღმდეგ შეურაცხებელ ბრძოლაში. უკანასკნელი 40-50 წლის მანძილზე ბევრ სახელმწიფოში (დასავლეთ გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, დანია, ნორვეგია, შვეიცარია, პოლანდია და სხვ.) სოციალისტური ინტერნაციონალის პარტიებმა არა ერთხელ ჩამდგომიან ხელისუფლების სათავეში, სარგებლობდნენ რა მუშათა კლასის ნდობითა და მხარდაჭერით და შესაძლებლობა ჰქონდათ წაეყვანათ თავიანთი ქვეყნები სხვა, არაკაპიტალისტური გზით, მაგრამ, როგორც ცნობილია, არაფერი ამის შესავსი არ მოხდა. ის ქვეყნები, სადაც მრავალი წლის მანძილზე ხელისუფლების სათავეში იდგნენ და დღესაც დგანან რევოლუციონერები, რომლებიც თავისთავს სოციალისტებს უწოდებენ, როგორც იყვნენ, ისე-ვე კაპიტალისტურ ქვეყნებში და არჩნენ.

ვ. ა. ლენინი, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწეთაგან, პირველი იყო, ვინც მიხვდა და შეცნობრულად დაამტკიცა, რომ მუშათა კლასის იმპერიალიზმის პირობებში სკიორდება ახალი ტიპის პარტია, რომელიც ძირითად განსხვავდება II ინტერნაციონალის პარტიებისაგან, სპირდება სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტია.

„რსდმპ მეორე ურლიობის 50 წლისთავის შესახებ“ სკიპ პარტიის ცკ-ის 1958 წლის აპრილის დადგინებულში მოცემულია, მეორე ინტერნაციონალის პარტიებისაგან განსხვავებით, ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი: „ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით და შემოქმედებითად ათავსობს მას, უარსუნდყოფს რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ორგანულ ერთანობას“; „მუშათა კლასის კოლექტიური პოლიტიკური ხელადი, მისი ორგანიზაციის უმადლესი ფორმა, ეკე-

4 ვ. ა. ლენინი, თხზ. ტ. 6, გვ. 259-260.



„...არა უწიგნორო იყვნენ ქართველნი უწინარესთა ეთაჲთა შინა. ვიდრე ფარნავსამდე სწორდნენ იგინი უხუცესთა წერალითა, ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევსბერთა უხობდენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მიმსხვერპლენი ერისანი ღმერთთა შინართ. და წერალი მათი არს წერილი ესე ზუტური ჩვენი. წერილინი ზუტესნი პირველსა ეთაჲს ქმნილ არს წერილისაგან ებრაელისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ზუტურანი“.

არცერთი ერს ასეთი ამოწურავი ეოდნა თავისი დამწერლობის წარმოშობის შესახებ არ გააჩნია. ცნობილია, რომ დამწერლობას, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, რელიგიის მიხედვით — ქურუმები ჰქმნიან, მაგრამ პირდაპირ ჩვენება ამის შესახებ ქართველებს გარდა არავის

გააჩნია; ქართული წყაროა გამოკლებილი ამ სრულიად უზადლო ცნობის წყალობით, ჩვენ არა მხოლოდ ის ვიცით, თუ როგორ დამწერლობათა საფუძველზეა შექმნილი ქართული ანბანი, არა მხოლოდ ის ვიცით, თუ ვის მიერაა შექმნილი ქართული ანბანი, არამედ ისიც კი ვიცით, რომ ქართულ დამწერლობას „ზუტური“ ანუ ქურუმთა დამწერლობა ჰქვია.

ფარნავს შეიქმნა ხანაში ქართული რელიგია, როგორც ჩანს, ჰეაგაგას სრულიად — სახელმწიფო რელიგიის ფუნქციებს, უნდა ვთვქროთ, ელინისტურ ხანაში ქართული რელიგია ვერ წინააღმდეგა ელინისტურ კულტებსა და ელინისტურ კულტურას, სპარსულ მაღვდანიშნა და სპარსულ კულტურას. უფოლო, ქართველ ქურუმთა პოლიტიკურ-კულტურული ჰეგემონია შეიღება. სწორედ ქართული რელიგიის დასუსტებითა და უცხო რელიგიური კულტების გაძლიერებით უნდა აიხსნას ბერძნული ენისა და დამწერლობის გავრცელება საქართველოში და სპარსული ენისა და სპარსული (არამეული) დამწერლობის გავრცელება საქართველოში.

რაცა 812 წელს რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ამას თავისთავად უნდა გამოეწვია წარმართული ელინური კულტების დამხობა. ამიერიდან საქართველოში ორი რელიგია უნდა დაიპირსებოდნა ერთმანეთს — სპარსული და ქართული, რადგან ელინური თავისთავად უფუნქციოდ რჩება. ვფიქრობ, ამდროინდელი ვითარების გამოძახილია „ქართლის ცხოვრების“ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები ჩოჩიან მეფის შესახებ. ამ ცნობებში ნათლად გამოისკვივის, რომ საქართველოში ერთგვარი მწიგნობრობის აღორძინების ხანა იწყება:

„...და აღიზარდა მირიან მსაზურგენასა მას შინა შეიღოთა მათ კერპთასა და ცდუბლისასა. ბოლო შეიყვარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული. და მშაბა შემკობა კერპთა და ბოშონთა (ბოშონი — საერპო ხაურთხეველი). კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და უყოფელთა მეფეთა ქართლისათა უწყებეს აღასრულებდა მსაზურგენასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავსისა... და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და უოგლთა დიდებითა“.

ცხადია, ქართული მწიგნობრობის აღორძინება კვად ქართველ ქურუმებს უკავშირდება, რაც ფარნავსის საქმის საბოლოო გამარჯვებაა. ასეთი აზრისაა ა. ბაქრაძე, მიც ამავე აზრისა ვარ.

რაც შეეხება ძველს დათარიღებას. რაკი ძველი ქართული მწიგნობრობის აღორძინებისა და ქართული ელინისტური ფაქტორის შესახებაა საუბარი, იძულებული ვარ ჩემს ადრინდელი შეხედულება უარყვო და აქება ქართული ენისა და „აღრულ ქრისტიანულ ძველად მივიჩნიო.“

## დავით კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე სახეობა

14 წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თ. ჩხეიძე დ. კლდიაშვილის შემოქმედებას. კ. მარქს-ნიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე განახორციელა (გ. თოდუაძისთან ერთად) „დარისპანის გასაპირი“ და „უბედურება“. ამ ორი პიესის ერთ სპექტაკლად გაერთიანება ქრთ კიდევ მოზარდმაყურებელთა თეატრში მოღვაწეობის პერიოდში სცადა თ. ჩხეიძემ. „კლდიაშვილის თეატრის“ საფულისსმო წაწალი აღმოჩნდა აღნიშნული წარმოდგენა და თავისებური ელფერიც შეხშინა მას. ეს იყო 1968 წელს; მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არა ერთი პრობლემა და სატკივარი გამოიკვეთა, სახე იცვალა სათეატრო ესთეტიკაშიც. თ. ჩხეიძე თავად იყო ჩაბმული სასცენო შემოქმედების ფერისცვალების ამ რთულ პროცესში. რამდენიმე სპექტაკლმა სრულიად ნათელი გახდა რომ ქართულ რეჟისურას თ. ჩხეიძის სახით ჰყავს ღირსეული წარმომადგენელი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ერთგუნული ლიტერატურის სცენური ადაპტაციის საკითხის გადაწყვეტა თანამედროვე თეატრში. იმ შტაკვეთულ პრობლემათა სიმრავლიდან, რომელიც ჩვენმა სინამდვილემ წამოჭრა, თ. ჩხეიძის ველებზე შეტად ზნეობის საკითხი აღელვებდა და იმას, რასაც უწევდათ მიჩინედა, გმობდა როგორც მოქალაქე და როგორც შემოქმედი, თ. ჩხეიძე თავისი დადგმებით აქტურად ებრძოდა საზოგადოების უმოქმედობას, უზამლობას მორალურ დაქონებას. ცდილობდა, რომ ადამიანს, საკუთარი თავის შეცნობის შედეგად, სინამდვილესთან კომპრომისული შეჭურვლების ნიღაბი ჩამოეხსნა, მისი ზღვრებდა ადამიანთა ურთიერთობებს იკვლევდა და გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პათოსით მკვეთრად ემიჯნებოდა ილუზორული წარმოდგენების სათეატრო ეს-

თეტიკას. რეჟისორის საუკეთესო სპექტაკლების შეტაფორულ სისტემაში აშკარად იგრძნობოდა, რომ თ. ჩხეიძე თავისი ერთი სულიერი ცხოვრების უველაზე მნიშვნელოვან შეტირებას აცხადებდა. მაგალითისათვის „სამანიშვილის დედინაცვლის“, „ჩაყოს ხიზნების“, „გუშინდელის“, „ჩემო კალაშოვა“ და „ბაკი აბას“ მოქალაქეობრივი სიკვდილი, გარეგნული სახიერება და მსახიობური ანსამბლის საშემსრულებლო ოსტატობაც კმარა. ამ სპექტაკლებმა შეუქმნეს თ. ჩხეიძის შემოქმედებითი ავტორიტეტი და ამიტომაცაა, რომ ასეთი მოლოდინით ველით მის უოველ ახალ ნამუშევარს. და მხარს ვუჭერთ მის ძიებებს, სწორედ ეს იმედი გამოიტყვედა, როცა „დარისპანის გასაპირი“ და „უბედურება“ ვნახე მარქანიშვილის თეატრში. იმისათვის, რომ კიდევ უფრო შეტად გამოაკეთოს რა პოზიციიდან გამოშინარე ვეკამათება დამდგმულ კოლექტივისა და უპირველესად თ. ჩხეიძის, თვალი გადავავლოთ დ. კლდიაშვილის შემოქმედების გააზრების მცდელობას მშ-იანი წლებიდან დღემდე. ეს ის პერიოდაა, როდესაც ქართულმა თეატრმა კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე და ახლებური მოდელი შექმნა. წარსულის გამოცდილების გაზარებათა და თანამედროვე ცხოვრების „დრამატული პროლექციის“ გონივრული გააზრებით ახალი ასპექტოთა და ფერებით წარმოიჩინა დ. კლდიაშვილის მწერლური ინდივიდუალობა, ადამიანური ბუნება, აზრდების სიღრმე, უოველივე ამით კი უფრო მასშტაბურა, მწკვეთი და პოლემიკური შექმნა კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე სახეობა.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა ახლებური ამოკითხვა და გააზრება დაკავშირებულია ქართული რეჟისურის იმ წარმომადგენლებთან, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მწერლის ნაწა-

რმოვების აღმატების თანამედროვე ქართულ თეატრში. ესენი არიან: მიხეილ თუმანიშვილი, ლალი იოსელიანი, თემურ ჩხეიძე, რობერტ სტურუა, შალვა გაწერელია, გიორგი ქავთარაძე და სხვ.

ქართული რევინორული თეატრის აღნიშნულმა წარმომადგენლებმა განვიითარეს დ. კლდიაშვილის თეატრის ტრადიცია, და ამით დასაბამი შეესდგინა მის თანამედროვე სახეობას. კლასიკური დრამატურგიისა და პროზის თანამედროვე ინტერპრეტაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი დროის სასცენო ხელოვნების განვითარებაში, საშვეზრულებლო ოსტატობის მოპოვების გაფართოებაში. ამ მხრივ დ. კლდიაშვილმა გამოარჩეული ადგილი გაიწვევინა.

კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე მოდელი დასაბამს იწყებს ჩვენი საუკუნის 80-იანი წლებიდან; ეს პერიოდი ქართული თეატრის ესტორიკაში მრავალმხრივ იმსახურებს საგანგებო ყურადღებასა და დოკუმენტულ კვლევას. ამჟერად შეეჭრადეხით მხოლოდ რამდენიმე პრობლემაზე, რომლებზეც, ჩემი ფიქრით, შეამზადეს ნიდეგი და შემდეგმ ჩამოყალიბებს კლდიაშვილის თანამედროვე თეატრი.

აღნიშნული პერიოდისათვის ქართული რევინორის ოჯახიანო წარმომადგენელმა მ. თუმანიშვილმა აღორძინა, განამტკიცა და დააფუძნა ქართულ თეატრში რევინორის ავტორიტეტი, ჩამოყალიბა რევინორული თეატრის ის სახეობა, რომელიც ჩვენი საუკუნის II ნახევრის მსოფლიო სათეატრო აზროვნებისათვის იყო ნიშანდობლივი. ხოლო შემდეგმ ჩვენს თეატრში განსაკუთრებული სიმძლავრით გამოკვეთა რევინორის, როგორც სპექტაკლის ავტორის ის სახეობა, რომელიც ქართულ თეატრში ახალი ტიპის რევინორული მოღვაწეობით დაიწყო. სპექტაკლის ავტორ-რევინორი კი, როგორც ცნობილია ლიტერატურული მასალის განპოციელების დროს უპირველესად ითვალისწინებს თანამედროვე ცხოვრების „დრამატულ პროდუქციას“ (ბ. ბრეხტი), ამიტომაც ასეთი სახის თეატრში, ჩამოყალიბებული კონფესიის შედეგად განსაკუთრებული სიმძლავრით ამჟამად დრამატურგის ხატევა, ვადიხსნა მწერლის ინდივიდუალობა და წარმოჩინდა აქტიორული ოსტატობის მასშტაბები.

რევინორული აზროვნების ინტენსივობამ „ქრესტოპორული მტკიცე“ (მ. კნეხელი) ჩამოაყალიბა კლასიკის, თანამედროვე ეპოქის პრობლემათა პრიზმაში ვარდატება და თავისი დროის მუხურების თანამოსაუბრედ აქცია. რევინორულ თეატრში განსაკუთრებული აქტივობით მონდა კლასიკოსთა შეხიტყვების პროცესი თანამედროვე ეპოქასთან. რევინორის ტენდენციური ინტერპრეტაციის წყალობით, კლასიკოსები ჩვენი სულიერი შევიარების თანამდგომნი ვახდენენ.

„ღარისპანის ვახაგრა“ აღმოჩნდა ეს პიესა,

რომელმაც დაიწყო თვისებრივად ახალი ეტაპი კლდიაშვილის თეატრის განვითარებაში. ამ პროცესის დასაწყისი დაკავშირებულია მ. თუმანიშვილის სახელთან. მან 1956 წელს განახორციელა ტელესპექტაკლის დადგმა „ღარისპანის ვახაგრის“. ამოკითხვისა და ვადამწვეტის ინდივიდუალობამ ნაწარმოების შეჯამლასტები ახალი ასპექტით წარმოაჩინა, ხასიათები კი მოულოდნელი რაკურსით ადგვანახა.

მ. თუმანიშვილმა, მ. ქავთარიძესთან ერთად, დაარღვია კარონანს სახის ვაზრების ტრადიცია. მთელი პიესის მანძილზე კარონანს დუმილის სხვა აზრობრივი დატვირთვა და შენარხი შესძინა. რევინორმა და მასხიომამ მომხმებელელ ქალს თავისი ღირსებების დაცვის სუბრივი გაუჩინეს და ამის უფლებაც მოაპოვებინეს. ადამიანისადმი სუყარულისა და პატივისცემის ნიშანი იყო ეს პოზიცია, რომელიც თავად მწერლის სუყარულთან ცრემლი იღებდა დასაბამს. ერთი შეხედვით უტყვი და მორჩილი კარონანს — მ. ქავთარიძე უხმოდ იტანდა თავის შევიარებას, მაგრამ ეკრანზე თანდათან უფრო ხზარად ნიდეგიდა კარონანს. ქავთარიძის ჩაფიქრებული სახე. ეკრანზე მხმელი ხედით დაფიქსირებულ თვალეში მომეტებულად ჩანდა სევდა, ცრემლი, შემწეობის მატება გამოხედვა და საყუთარი ღირსების დაცვისათვის ტაქტანი ამბობის სამზადისი. ს. ზაქარიაძეც უკვე აღარ იყო ის ქრესტოპორული პერსონაჟი, რომელიც შემოღგომის აზურთო ავებლობას, ეკონომიურ ვახაგრის შარავაზე გამოყვდო ერთი ზედმეტი მკამების მოსაშორებლად. ს. ზაქარიაძე უპირველესად მამა იყო, ოქახის უფროსი, და ეს შეგნება ავადებულეზება ეზრუნა თავის სამწყსოზე.

„პატარა ადამიანი“ ცხოვრებას იძიებდა იმ ხანად მ. თუმანიშვილი, მისი შინაგანს საყაროს კვლევითა და სულიერი შევიარებას ჩვენი სურდა ვიწრო, ოზივატულური ყოფის ჩარჩოები შეედუნა, დაქინებული სურვილებითა და ვნებებით დაკავებული ადამიანებისათვის აქტიური მოქმედების ფინ ვადვიძებინა, ვეზარდა მისი აზროვნების პროზონტი, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული მოვლენების ორომტრიალში „პატარა ადამიანის“ ჩახმა, მისი გამოთხზულება, მასში პირადი მასულისმგებლობის ვადვიება და არჩევანს წინაშე პირისპირ დაუენება — მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის სათეატრო ხელოვნების ნიშანდობლივი თვისება ვახლავთ. ვიწროაზროვნებთან, პირადულმიზნებთან ოზივატულურ ყოფაზე თავდასხმისათვის ეშაღებოდა თეატრი, იგი ერთეულს და გამოჩენის კი არ იწვევდა ორთახროლდაში, არამედ შრავალთა ფიქლოვინის შევიარებას მივლტვოდა. სიმართლის მქადაგებელი სთეატრო მოდელის აზროვნებისათვის დამახასიათებელი მეტროლი პათოსი არა მარტო პოზიციაში ჩანდა, არამედ წარმოდგენის სტრუ-

ქტურასა და გარეგნული პარტიტურის ერთიან სისტემაშიც იკეთებოდა.

1984 წელს კვლავ დაუბრუნდა მ. თუმანიშვილი „ღარისხანის გასაბიჯის“ და იგი გაერთიანდა ქართულ პოეზიასთან. სპექტაკლს ერქვა „პოეზიის საღამო“. ღარისხანი კვლავ ზ. ზაქარაიძემ განხორციელა, ხოლო კაროენა ახალგაზრდა მსახიობმა, გ. გოდერძიშვილმა. ლიტერატურული თეატრის ფორმაში საგულდაგულოდ გამოიკვითა დ. კლდიაშვილის სიტყვის ძალა და მადლი. ზ. ზაქარაიძე-ღარისხანი მთელი არსებით ცდილობდა უწინაის კანონი შეერსულებინა და ცალმხრივად არ დატოვებინა მოწვეული კალიშვილი. კაროენა-ნ. გოდერძიშვილი აგრძელებდა წინამორბედის პოეზიას. ისიც შეამზობენ იყო. მართალია, ჭრს კიდევ შერთალდა ჩანდა ეს ამბობი, მაგრამ მაინც საგრძობი იყო კაროენას პროტესტი. ადამიანური ღირსების დაცვა აქაც დამდგმელი ჭკუფის ძირითადი პათოსი გახლდათ. მაგრამ უკვე გამოიკვითა 70-იანი წლების სათეატრო აზროვნებისათვის დამახასიათებელი წერისის საკითხის წარმოჩენის კონტრარტი. დრამა დრამატუზმით აღმავლ პიესამ ტრაგიკომედიური ფაქტურის სახიერი გამოვლენის შესაძლებლობა მისცა რეჟისორს.

1988 წელს გ. ერისთავის სახელობის გორის დრამატულ თეატრში ლ. იოსელიანის მიერ განხორციელებული „ღარისხანის გასაბიჯი“ გამოიკვითა ტრაგიკომედია გახლდათ, სადაც ოსიკოს „მოპოვებისათვის“ შექიბი პქონდათ გამართული ღარისხანისა და პელაგიას, ეს აუქციონი, ქალიშვილთა ღირსებებს წარმოჩენის სურვილი, პიროვნების დაქინების ფაქტად აღიქმებოდა. მ. ქავთარაძე იღებდა მონაწილეობას ამ წარმოდგენაში.

კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე გაზრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თ. ჩხეიძის მიერ 1988 წელს ქართულ მოზარდმეურეგებლთა თეატრში დადგმულმა „ირინეს ბედნიერებაში“ და „უბედურებაში“. რეჟისორი თავდაუზოგავად აბრძოდა ადამიანის უფლებებისათვის, გონებრივი სიბერისა და საზოგადოების სიხუნელის წინააღმდეგ.

1989 წელს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე თ. ჩხეიძისა და რ. სტურუას მიერ განხორციელებულმა „სიანთშვილის დედინაცვალი“ დაუფარავი სიმძაფრით წარმოაჩინა ადამიანის შინაგანი დაცემის პროცესი. ტრაგიკომედიის ფარში გადაწყვეტილ წარმოდგენაში შენობის პრობლემა გამოიკვითა. თავი იჩინა გ. გენეკეკორის მსახიობ-პიროვნების აქტიურობამ, აზროვნების პროცესების სიმახვილემ. მოკლაქვე-შეშოქმედის მსურველებისადმი აზრიანი მიმართვის ნათელი გახდა, რომ თეატრი თავისი თანამედროვე საზოგადოების მსჯავრდებისათვის ენააღებოდა. ჩემი აზრით, თ. ჩხეიძის თეატრისამაქაროს მთელი ამ წარმოდგენიდან იღებს დასაბამს.

ქართული მოზარდმეურეგებლთა თეატრის სპექტაკლი „ქამუშაის გაპირება“ (1974 წელი) დიის ჩარჩოს არღვევდა და ტრადიციულ თეატრის ელემენტებზეც ახენდა (1974 წელი). მ. გაწერელის მიერ დადგმული ტელისპექტაკლებიც დ. კლდიაშვილის თეატრის მნიშვნელოვან მოვლენებად მივაჩნია, ხოლო 1982 წელს განხორციელებული მისი სპექტაკლი „ირინეს ბედნიერება“ საგულდაგულოდ კვლევას საჭიროებს. კუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში 1976 წელს წარმოდგენილი „ქამუშაის გაპირება“ სწორედ რეჟისორ მ. კობიძისა და მსახიობ დ. დვალისშვილის მიერ ბეგლარის ხა. საათის ახლებური გადაწყვეტილი იქნენ საგულდისხმო უტრადლებას.

გ. ქავთარაძემ ამავე თეატრში „ღარისხანის გასაბიჯი“ დადგა მაშინ, როდესაც კლდიაშვილის თეატრმა ამ პიესის განხორციელების თანამედროვე სახეობა უკვე ჩამოაყალიბა. შეშოქმედებითი კონტექტივი ცდილობდა დაეცვა კაროენა-ნატალია მეჭანური ყუფის მონური შენისა და ძრწოლით შეუკრობილი ღარისხან-პელაგიამართის მეურვეობისაგან. ამ სპექტაკლში ადარავითარი შექიბი და აუქციონი აღარ იმართებოდა-ნატალია და კაროენა ბედის მოზარც, მაგრამ თანამდგომნი და თანამოსაჩრდენი იყვნენ, თავის დროზე ადამიანის ღირსების დაცვას მოწოდებამ სრულიად ლოგიურად შეამწადა ნადავრომ გ. ქავთარაძის რეჟისორულ ინტერპრეტაციას ნატალია-კაროენა პიროვნებად ჩამოყალიბების საზღვართან მიუყვანა.

80-იან წლებში კვლავ მ. თუმანიშვილმა გააღრმავა კლდიაშვილის თეატრის აზრობრივი პოტენციალი (ჭრს თეატრალურ ინტიტუტში განახორციელა, ხოლო შეშოქმ კინომსახიობთა თეატრში გადაიტანა სპექტაკლი „ბავულის ღორბი“). თითქმის სარკაშთმდე ასული სიმამვილით, დაუნდობელი ბრძოლის პათოსით დაესხა თავს ონიკატილის „სულისა და გონების ზანტონს“. თვითშეცნობისა და თვითგამორკვევისაკენ მოუწოდა საზოგადოებას, შეაცრად მოიზოვა მისგან არჩევანის აუცილებლობა — „შეიყან თავი შენი და იყოფი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“ — დაუფარავი სიმართლით, კატეგორიულობით, ამავე დროს საყვარულიანი ბუმბობითა და შეაცრა ირონიით მიმართა სცენამ დარბაზს. რეჟისორული ხედოვნება და მსახიობთა ანსამბლი დიდებულ სანახაობას ქმნიდა.

თუ გადავხედავთ ჩვენ მიერ დასახელებულ წარმოდგენების პათოსსა და სტრუქტურას, ე. ი. კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე სახეობას — აღმოვაჩინებთ ერთგვარ კანონზომიერებასა და შინაგან ლოგიკას:

1. კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე მოდელი რეჟისორული თეატრის ერთ-ერთი სპექტის წარმოდგენს. ამიტომაც მას ახასიათებს უვლა ის თვისება (შეტ-ნაკლები ძალით), რაც

საერთოდ, რევისორული თეატრისთვის არის დამახასიათებელი.

2. უოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმე ვაკებს ნაწარმოების ინტერპრეტაციის ინდივიდუალურ, გაბედულ მკვლევარსთან.

3. სპექტაკლის ავტორის, რევისორის, ტენდენციური პათოსი მთელი ძალით ავლენს მწერლის აზროვნების სიღრმესა და მასშტაბებს, მის ინდივიდუალობას.

4. სპექტაკლების გარეგნულ სახიერ პარტიტურაში საშემსრულებლო ოსტატობა მთელი სიკბოველით წარმოჩინდება. დ. კლდიაშვილის ნაწარმოების ღრმა შრეებში შეჭრით რევისორული და აქტიორული ხელოვნება ახალი პლასტიკითა და გამოხატვული ფერებით მდიდრდება.

5. უოველ სპექტაკლში აქცენტი გადატანილია პერსონაჟთა სულიერ შეიჭრებაზე და ამიტომაც ეკონომიკური შევიწროება, როგორც უოფის განმსაზღვრელი მიზეზი, მხოლოდ ფონდს წარმოადგენს და მისი პიამატი პრინციპულად უფლებებულოდია. სცენური გარემო პარობითა, შავრამ სახიერი და ზუსტი. უმეტესად რაიმე ნატურალიზტური დეტალი გამოყენებული (მაგალითად: ტალა, სამფეხა, ვიზი, წწული, ღობე, ტალაპი, ნიჭრისა და წიწყის გაღა, კრაველის ფაფახი, მათრახი და სხვ.) რომელიც განსაუბრებულ ელემენტებს აძენს, აზრობრივი დომინანტის ფუნქციას ასრულებს და მაურტებლის ანოციაციების რადიუსს აფართოვებს (საგანგებო ურთაღებებასა და კვლევას იმსახურებს დ. კლდიაშვილის თეატრის მხატვრობაც და მუსიკალური პარტიტურაც).

6. უოველ ცალკეულ შემთხვევაში დაშვებული ჭგუფი ცდილობს მაურტებლის გონება და გრძნობა წინასწარ დადგენილი მიზნისაკენ წარმოითოს. ამიტომაც უოველი სპექტაკლი აქტიორთა თავისი პათოსით.

ამრიგად, დ. კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე განვითარების შინაგანი კანონზომიერების ერთ-ერთი ასპექტი შემდეგია: პატარა ადამიანის გამოფხიზლების მკვლევარა; ადამიანის ღრსების დაცვისათვის მოწოდება; ადამიანის შინაგანი დაწინებვისა და დაცემის ჩვენება; მაურტებლის გონებასა და გრძნობაზე თავდასხმა; წნეობის პრობლემის გამოკვეთა; თვითშეცნობის, თვითშეგნებისა და თვითგამორკვევისადმი მოწოდება, ე. ი. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა და საზოგადოების გარდაქმნის პროცესში თანაშრომლობა.

აი ასეთ ნიადაგზე აღმოცენდა მარქანიშვილელთა აღნიშნული სპექტაკლი 1988 წლის დანაწესში.

ეს სტატია რეცენზია არ გაზღავთ. სპექტაკლის უოველი ასპექტის გაშუქებას უწოდებენ მხოლოდ ხილის საშემსრულებლო ხელოვნებას და შეფასება ამერად არ არის ზემო მიზანი. მხოლოდ რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა მიენდა სწორედ კლდიაშვილის თეატრის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ამიტომაც მოვასდინე კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე სახეობის ძირითადი თვისებებს წარმოჩენა ისე, როგორც ეს სადღეისოდ შესახება.

მარქანიშვილელთა სპექტაკლის გააზრებაში სწორედ ეს ტრადიცია არ შეიძლება. არ არის გამოკვეთილი დაშვებული ჭგუფის მოქალაქეობრივი სათქმელი და არ შეიცნობა თანამედროვე საზოგადოების სადღეისო პრობლემათა ანარკული. სწორედ ამ უპირველესი მიზეზის გამო მიმანია, რომ აღნიშნული წარმოდგენა თვით თ. ჩხეიძის შემოქმედებით ცხოვრებაში კომპრომისულ აქტს წარმოადგენს. ვფიქრობ, თუნდაც ილია ჭავჭავაძის პროზის სცენური ადატაციის შემდგომ, დ. კლდიაშვილის აღნიშნული პიენების ამოკითვა შეტ სიღრმესა და ზუსტ გააზრებას მოითხოვდა. კლდიაშვილის თეატრის მეზრძოლ პათოსს, აქტიურ სათეატრო ესთეტიკას, სადაც ადამიანთა რთული ურთიერთობების კვლევა მიმდინარეობდა, ილუსტრაციული თეატრისათვის დამახასიათებელი თხრობა შეენაცვლა. სამწუხაროდ, სპექტაკლში არ შეიგრძნობა ადამიანთა ურთიერთობების ამოხსნის ძლიერი ტალა, ცალკეული ეპიზოდების რთული ხელეებით გამდიდრება. ამიტომაც მივიღეთ ერთიანი სასცენო ნაწარმოები და არა მრავალნიშნა, რთული აზრობრივი კომბინაციების პროცესებით დაკტორთული სასცენო ქმედება, რაც დამახასიათებელია თანამედროვე კლდიაშვილის თეატრისა და თავად თ. ჩხეიძის რევისორული მოღვაწეობისათვის.

მართალია, დარისპანი-ტ. საყვარელიძე აქტიურად ცდილობს ქალიშვილის სახედოს მიგრებას, მაგრამ ვერო ჩარჩოში მოქცეული მისი გმირის სცენური ცხოვრება, ამიტომაც დოკალურ მნიშვნელობას იძენს მისი შეხმაც არსებულ პირობებთან, როცა „შენი სისხლ-ბორციე ორგულა ვიხედება დღეს!“... ვფიქრობ, მოვლენების ამოხსნისა და განვითარების ვერო რადიუსმა შეამცირა ხასიათებისა და პიენის მასშტაბურობა, ვერც ახალმა და თავისთავად ზანტირესო შტრიხების მიგრებას იხსნა სპექტაკლი. დარისპანი-ტ. საყვარელიძე გაუღმებით წარუწავს კაროგანუთილ მოსახვევს ფრთხილად ახურავს მხრებზე, საქოვს თავად გაუწვდის, რომ გულჩათხრობილ სვედა განუქარვოს და მარტობა შეაძლეზნოს, ცდილობს მოხერხებულად დასვას, მოა-

წონის ოსიკოს და სხვ. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ წარმოდგენის გამოკეთილი და ჩამოყალიბებული კონცეფცია არ იგრძნობა, უმხამართლად კრება რევისორისა და აქტიორის მიერ მოქმენილი ეს სახეირი ნიუანსები. დარისბანი „გასადაღებელ საქონელს“ უფრთხილდებია... მამა შეიღს, როგორც საქონელს, ისე ექცევა — მოვლენის ამოსნის ინტონაციის შეცვლა და სიტუაციის გამაფრება, ვფიქრობ, მთელი ძალით გამოავლენდა ადამიანის შინაგანი დაწინების უიღრეს აქტს. პერსონაჟთა ინტერების სი-დაწირვე და უშეცრება გახდებოდა ეს ქაჯვი, რომელიც „დარისბანის გასაპირება“ და „უხედურება“ გამაერთიანებულ ზიდად შეიქმნებოდა ლოჯია ხომ უნდა გაიჩნდეს ამ ორი პიენის ერთ სამქტაქლად გაერთიანებაში? ალბათ ასეთი სვლის გამართლება განსაზღვრული მქონდათ თავდაპირველად რევისორებს, მაგრამ სცენურ ქმედებაში ეს პოზიცია ვერ შევიცანით.

განსაკუთრებით დაგვაფიქრა ნატალიას ხახი-აჰის ამოხსნამ. ორი მსახიობის შესრულებას ერთი პოზიცია აქვს — გამოხატონ ნატალიას პროტესტი — მართა-ქელაგისა დაამპიარებელი მუთრველობის მიმართ, დაიცვან თავიანთი უფლებები. ეს პოზიცია, მაგრამ არანაქლები მნიშვნელობისაა როგორ მოხდება ამ სათქმელის გამოხატვა სცენურ ქმედებაში, ნიუანსთა სახიერების ლოჯიკით. მ. ბეაღავა შედარებით რბილი ფერტონი ვადმოგვეცხს ნატალიას ხახიანთ ასეთ გააზრებას. ა. ტუაბლაძე კი საგანგებოდ ცდილობს ამავე ლოჯიაში განსაკუთრებით „გამა-ძაფროს“ ნატალიას პროტესტის ძალი. მაგრამ ეს სადღეავები, რომლებსაც მსახიობი ხმარობს უხეშია, რაც, ჩემი აზრით, დ. კლდიაშვილის მწერლური ბუნების საწინააღმდეგო აქტია. არა მგონია პერსონაჟის ქცევითა ამაგარმა „სახიერებაში“ თანამედროვედ აქციოს იგი. ნატალიას პირველსავე გამოჩენითა და ამ ეპიზოდში მის ქცევითა ბუნების ჩვენებით ა. ტუაბლაძემ უწვლადფერი გვიხორა თავისი გმირის შესახებ და ამდენად ხახიანთი განვითარებათან ადარ გვაქვს საქმე. ამავე დროს, როგორც უკვე აღწაწნი, რევისორებისა და მსახიობის გამოჩნაპველი სა-შუალებების ფერადოვნება იმდენად არღვევს დ. კლდიაშვილის სიტუირი ქსოვიანის ბუნებას, რომ ეს ადარ არის ხახიანთ თანამედროვედ გა-აზრება, ინდივიდუალური ინტერპრეტაცია. ვგონებ, ეს გახლავთ შეგნებული აქცია და შეუფრებელი დაუფერობა. ორივე შემოხვევაში კი — ნაწარმოების სიღრმისეული კვლევის უმჯობე-ღელყოფის ფაქტა.

ნატალია-ა. ტუაბლაძე ურცხვი სიცილით იტე-ბება დარისბანს, ირონიით გაუწვადის ზელს და გარბის. საზოგადოებაში უწენობა იკადებს ფეხს, პიროვნების პატრიკისეუქმის გრძნობაც ქრება

— ეს სათქმელი ვასაგებია, მაგრამ ნატალია ხომ მაინც უფროს-უმცროსობის დასყველი ზრდილი იმერეთის წარმომადგენელია და ვფიქრობ, ასეთმა ნიუანსმა თავად მოვლენაში ნაქ-სოვლი პოზიცია გააუაღბა, ადარაფერს ვამბ-ობ უკვე ნაწარმოების ტრაგიკომიურ ფაქტუ-რისა და სიღრმეების ძიებაზე. შემდგომ ნატალია ენას გამოუყოფს ოსიკოს და კვლავ გარბის-ვგონებ, არც ეს უნდა იყოს „მოგნება“. დ. კლდია-შვილი ნატალიაზე წერს „მიფრენია-მოფრე-ნიაო“, მაგრამ არა მგონია ამ დახასიათების სცე-ნურ ქმედებაში გამოხატვის აღნიშნულმა ნიუ-ანსმა თანამედროვედ აქციოს პერსონაჟი. მე ტექსტის დრმა შრეებში შეჭრისა და ახლებური ამოკოხვის მომხრე და მოსურნე ვარ და არა პიენის იმეგვარი „ახალი“ გაზრების მხარაძებ-რი, როდესაც კავშირები ვარღვევა და ფაქტურა იკარგება. ნატალიას საქციელი პროტესტის გა-მოხატულება კი არ არის, არამედ ნაწარმოებისა და თანამედროვე ცხოვრების ზერტელე ანალიზ-ის შედეგია, ზოლო მისი ცეცვა, ისე როგორც ა. ტუაბლაძე ასრულებს, არა მგონია ზელოვნე-ბისეული იყოს, ამიტომაც იგი ჩვენს მსჯელო-ბის მიღმა რჩება.

ზ. იონელიანის მართასა და ნ. ჩხეიძის პელა-გიას მართალია სცენაზე შემოაქვთ იმერეთის სურნელი, მაგრამ აქაც დახადგენია საერთო მოქალაქეობრივი სათქმელი, რომ მათი სცენუ-რა ურთიერთობა გარკვეული ლოჯიკით განვი-თარღებს. ნ. ჩხეიძე ყოველ ეპიზოდში ავლენს დედის განცდებს, პერსონაჟის ამოცანას — დაიცვას ქალიშვილის სახელი, გამოუძენოს სა-ქმრო. მაგრამ პელაგიაას ხახიანთი გააზრებასაც სწორედ მასშტაბურბა აქლია. არ შეიძრობა მსახიობ-მოქალაქის პოზიციის არა მარტო პე-ლაგიაას, არამედ, საერთოდ, იმ მოვლენების მი-მართ, რომლებიც ადამიანში „მოცარტს ჰელავს“ და ცხოველურ ინსტიქტს ახატონებს. ამავე მი-ზეზით იკარგება ზ. მშვენიერაძესა და რევისო-რების მიერ მოქმენილი ოსიკოს ხახიანთი გამ-ოვლენის სახიერი ნიუანსებიც. კაროენას (მხა-ხიობები მ. ტატიშვილი, ნ. ბერიაშვილი) სახის გააზრებაში პრინციპული სიახლე არ შეიძნენე-აველა ერთად კი ქმნის პერსონაჟთა სცენური ცხოვრების ილუსტრაციას და არა მსახიობ-მო-ქალაქის მიერ ხახიანთისა და საზოგადოებრივი მოვლენების დისტანციურ გააზრებას. ამ მიე-სის დადგმის ტრადიციას კი, ვგონებ, კლდიაშვი-ლის თეატრის შემდგომი განვითარების პერს-პექტივა უნდა გამოეკეთა. ეს სურვილი ბუნე-ბრივად გამოჩნდა, რადგანაც თ. ჩხეიძის მოღვა-წეობის პათოსის თანამოაზრე გახლავარ.



ასევე ვერ გამოიკვეთა „უბედურების“ სცენურ გადაწყვეტაში დამდგმელი ჩტუფის მებრძოლი პათოსი. ეს ნაწილიც ტექსტის ილუსტრაციას წარმოადგენს. ამიტომაც ვერ იხსნა ი. გოგიჩაიშვილის აქტორმა პავლამ და გ. ზურცილავას ფიქრინმა ილიამ სპექტაკლი აშკარა ილუსტრაციულობისაგან. ფიქრობ, სადღესოდ განსაკუთრებული ძალით უნდა გამოვლენილიყო ამ პიესაში ჩაქსოვილი შერლის პოზიცია; დაქინებულმა ყოფამ ცხოველური ინსტინქტები და მონური შიში გაამძაფრა ადამიანში, სიტყვაზე და საქმეს შორის არსებულმა ზღვარმა, საზოგადოების უმეტესებამ, სიზნებლემ, გაუნათლებლობამ, სიყვითის ნიღაბმა, პირადული კეთილმოწყობის მოძღვრებამ — ზნეობრივად დაქინდა ადამიანი, შეგნება დაუყარა და გააველურა. სპექტაკლის ავტორებმა სცენური ქმედების სახიერება ვერ მოუჭებნენ დ. კლდიაშვილის სათქმელს. ამიტომაც ვერ შეიჭმნა სცენაზე რთული შინაგანი ხველებით გაშლიდრებული მასშტაბური სასცენო ცხოვრება. სპექტაკლში ნაჩვენებები უნდა ყოფილიყო როგორ აქცია სიზნებლის მოძღვრებამ ადამიანთა გონიერი საკრებულს ქერბზოდ, ხოლო შემდგომ ზრავად, რომელმაც თანამომხე გაიმტვა; ჩემის აზრით ეს პროცესი უნდა გამხდარიყო მარქანიშვილელთა კვლევის ობიექტი.

სახიერად გადაწყვეტილმა სპექტაკლის გაფორმებამ (გ. ალექსი-მესხიშვილი) მორყეულმა დედაბოძმა, შარაგზამ და მბრუნავმა ნათურამ, თავდაპირველად სწორედ ასეთი პოზიციით დამუბტული სცენური ცხოვრების არსებობა მაფიქრებინა. რევისორებმა და მხატვარმა ძლიერი მეტაფორით გამოხატეს სათქმელი, მაგრამ შემდგომ სცენური ქმედების პროცესით ველარ გადარწმუნეს იგი.

დ. კლდიაშვილის თეატრის შემდგომი განვითარების პერსპექტივა საჭიროებს დაკვირებულსა და ღრმა ანალიტიკურ აზროვნებას. ეს წარმოდგენა კი კომპრომისული ხასიათისაა. კომპრომისი, საერთოდ, დაუშვებელია პიროვნებისა და მოქალაქის შეგნებული მოღვაწეობისათვის, მით უფრო ისეთი რევისორული მოღვაწეობისათვის, რომელიც აირჩია თ. ჩხეიძემ.

სპექტაკლი დარისმანის ხატუვებით მთავრდება... ჩამახთან გამოსული ტ. საყვარელიძე ტკივილით მიმართავს მაყურებელს: „ღმერთო, კეთილად დააბოლოვე ჩვენი მჯზავრობა!..“

შეც ასევე მინდა მივმართო შემოქმედებით კოლექტივს — ღმერთო, კეთილად და უკომპრომისოდ დააბოლოვე მათი ძიებანი!...



## გალაკტიონი, გალაკტიონი

„ადამიანი, საიდუმლოა, უნდა ავხსნათ ეს“ — თ. დოსტოვესკის სიტყვები აქვს ეპიგრაფად შესავალი ნაწილს. დიდი რუსი მწერალი უბრალო მოკვდავთ გულისხმობდა, მაგრამ გალაკტიონის შემთხვევაში მართებულადაა მოყვანილი ეს ეპიგრაფი, რადგან დიდი შემოქმედი მთელი კაცობრიობის სისხლი და ხორცია, მთელი კაცობრიობის ფენომენი მისი პიროვნების და, ასევე, მისი შემოქმედების პრიზმაშია გარდატეხილი და წარმოჩენილი. სწორედ ამიტომაც, რომ „დიდი პიროვნება თავის ორბიტაში გვაქცევს და გვთანგავს“. ამიტომაცაა, რომ ყოველივე გვიანტერესებს, რაც დიდ შემოქმედთანაა დაკავშირებული, და მისი ცხოვრება ყოველწარმომადს დიდი ინტერესით ევცნობით.

ნოდარ ტაბიძის შრომას შემდეგი პრინციპი აქვს საბირველად — „გალაკტიონი გენიოსი იყო და მისი ცხოვრება შეფერადებას კი არ საჭიროებს, არამედ აღსანიშნავს“.

წიგნის პირველ ნაწილს „გალაკტიონის ცხოვრება“ ჰქვია. ცხოვრებას დასაწყისი კი ბავშვობაა...

დღევანდელი ფსიქოლოგიის მიხედვით, ბავშვობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებაში — „თანდათან გახდა ნათელი: ბავშვებს ხარისხობრივად თავისებური შინასამყარო აქვთ და „ბედნიერი, წარმავალი ბავშვობა“ — ესაა ხანა აღსავსე ისეთი ძალეში მთაბეჭდილებებით, ისეთი მიდრეკილებებით, რომ მერე ადამიანი სულ მუდამ განიცდის ბავშვობის ზეგავლენას“ (ი. კოლომინსკი).

და მართლაც, სხენებული წიგნიდან კარგად ჩანს, გალაკტიონი ნიადგ განიცდიდა თავისი ბავშვობის დღეებს და შეიძლება ითქვას, მისი ლექსია ყოველი სტრიქონი ამ გრძობის თუ გრძობათა ანარეკლია, ბავშვობაში რომ ვაჩვენებთ მას, რადგან ის გალაკტიონი იყო და არ გახლდათ უბრალო მოკვდავი — „მოშველია პოეტი მსაფრად განიცდიდა ყველაფერს“, ანდა: გალაკტიონი „გასაოცარი, უღრმესი ხილვები და შეგრძნებები ჰქონდა. მისი გული სეისმოლოგიური სიზუსტით აღწუნებდა უმცირეს ძვრებსაც და ეს მაშინ, როცა სხვები დედამწყის შეუბარბაცებლად კი ვერ გრძობდნენ“.

ესადა, გალაკტიონი გამოირჩეოდა საკვირველი მგრანობელობით, მაგრამ მთავარია, რა მგრძობობაობა ჰქონდა მას: „შორმხედველობა, დროებაზე უფლება მართო გენიოსის საქმე“ (ილია).

დიდი ხელოვნების მგრძობობაობა განსაკუთრებული რამაა. ამ კაცის „გრძობობადი აღქმა“, ძირისძირამდე წვდება საგანს და მერე სრულად წარმოაჩენს ამ საგანსა და მის არსს მხატვრული სიტყვის მეშვეობით.

ზემომოყვანილი გარემოება ასე უნდა დავახსოვროთ — ჩვენ ვიცნობთ გალაკტიონის შემოქმედებას, და უკვე იმასაც შეგვიძლია ჩავხედოთ, თუ როგორი ბავშვი იყო გალაკტიონი — **ო, სუფაწვადი აწი არასდროს იმგვარად აღა ამტკუველდება.**

ნოდარ ტაბიძის მშვენივრად აქვს მიკვლეული ის ფენომენი, თუ როგორ უკავშირდება მშობლიური კუთხე ბავშვობას, ისეთი გენიალური ბავშვის აღზრდას, როგორც გალაკტიონი იყო — „გალაკტიონი უკეთესი აღომებით, მისი ზმებით, ფერებითა და სვედით ღრმად არის გაფერებული. იგი მთელი არსებითა და სულით ექაჰვება მშობლიურ გარემოს“.

**სადაც მკვნებაზე ბავშვი  
ქარას პირდაპირ ეჭროდი;  
ველაჲ, ყანაში, წავი  
მღერდა ზვირთების ზფოთი.**

წიგნი შემდეგი თავის სათაური ასეთია — „არ მოსწრებობხარ შენ მშობელ მამას“. თავის მხრივ ეს თავი შემდეგ ქვეთავებადაა დაყოფილი: „პაპა“, „მამა“, „დედა“, „ბიძა“, „ძმა“.

საინტერესო, ძალზე საინტერესო ფაქტებია მოთხრობილი წიგნის ამ ნაწილში, აზრი არ აქვს აქ რომელიმე მათგანის მოყვანასა და ინტერპრეტირებას, მკითხველმა იგი მთლიანად უნდა წაეკითხოს და ასე მთლიანი წარმოდგენა უნდა შეიქმნას გალაკტიონის წინაპრებისა და უახლოესი ადამიანების შესახებ...

„გალაკტიონი დაიბადა 1891 წლის 17 ნოემბერს“.

გამზარულდა მგლოვიარე ფფე. ჩამოვიდნენ მაკინეს ნათესაები, მუზობლებმა მოსანახულებელი მოართვეს ოჯახს და გაიშალა შუა ცეცხლთან სუფრა, მოხუცი სტეფანე ხშირ-ხშირად შეაღებდა პატარა ოთახის კარს და სიყვარულს

ნოდარ ტაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., ნაკადუ-ლი, 1982.

რელით დასცქეროდა გულურსულ ბიჭუნას. უდროოდ გარდაცლილი ვასილის სიტყვებს ეუკვე ორი ვაგი აგრძელებდა.

ქუთაისში ჩასული ვალაკტიონი ეკვე სხვათა, უცხო ხალხის გარემოში მოხედება; უცხო თვლი ამხნეის მის თავისებურებას, პირველ რიგში ეს თავისებურება იმით გამოიხატება, რომ მას არ უყვარს თავისი გრძნობების თუ აზრების გამოვლენება. ცხადია, ვალაკტიონი ვალაკტიონი არ იქნებოდა, თუ არ ეცოდინებოდა, რომ იმ გრძნობების გამოშვებებზე, რომელითაც იგი იყო მოცულა, შეიძლება სხვებისთვის გაუგებარი ან სულაც სასაცილო უოფილიყო. ამიტომაც, რომ ნებისთი თუ უნებლიეთ „მას უყვარდა გამაართობით დგომა, დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს მეგობრები ბევრი არ ჰყავდა. მეტად გულჩახვეული იყო, არ უყვარდა თავისი გულის ნადებნს გამოაშკარაება, დადიოდა ჩაფიქრებული, თითქოს რაღაც დიდად აწუხებდა“, — ამას გენადი მიხვალაჲ იგონებს და დასძენს, „წუხილით კი, მართლაც აწუხებდა — თავისი ობლობა“.

ნამდვილად, მხოლოდ ეს უნდა უოფილიყო საცხადო მიზეზი ვალაკტიონის მწუხარებისა, ხოლო ფარულსა და მოუხელთებულს ვინ მოსთვლის, ანუ ვინ აღრიცხავს, როდესაც თავად მას არ შეუძლია ამის სრულად გაკეთება.

ზემოთქმულიდან ცხადია, ნოღარ ტაბიძეს კარგად აქვს შემჩნეული ის გარემოება, რომ ვალაკტიონთან მეგობრობა მხოლოდ ერთეულზე თუ შეეძლოთ, ესეთ ადამიანებს, რომლებიც მტლად დაედგომიან და ისე შეუფიქრებდნენ მას, როგორც ღვთაებას, ასეთები კი, ცხადია, ცოტანი იქნებოდნენ, და სრულად ეს, როგორც ჩანს, შესძლო მხოლოდ მისმა მამამ — პრიკლემ, დიდებული სულისა და გულის ადამიანმა. საერთოდ კი, ადამიანებთან ურთიერთობა ვალაკტიონს წამებდა ქონდა გადამტყუელი და მხოლოდ უდიდესი ძალისხმევების შემდეგ თუ შეეძლო ამ მწარე ხეანჭებისაგან თავის დაღწევა.

ვალაკტიონი მტკიცებულად განიცდის პატარას წაირიკლავებასაც კი; ვალაკტიონის სახლის ფანჯრებთან ორი ახალგაზრდის „უკლებობა“ გაიხსენოთ, ისიც გაიხსენოთ, თუ რა ძვირად დაუჯდა ვალაკტიონს ეს ამბავი.

ვიკით, რა სახისა ვალაკტიონის გრძნობებობა — მისი პოეზიის სათავეები და საძირკველი. მაგრამ უნებისყოფოდ ვალაკტიონი ვერაფერს გახდებოდა, და თუკი მის ბოგრაფიულ ფაქტებს გაიხსენებთ, რაც ამ წიგნში უხვადია წარმოჩენილი; ვალაკტიონს კი არა უფრორე მძლავრ პიროვნებასაც დასცემდა და დაუბაჲდა ეს „ფაქტები“.

საქმე ისაა, რომ ვალაკტიონი ენერჯიის წყაროს თავის შემოქმედებაში პოულობდა, ანტონოს მსგავსად მისი შემოქმედება იყო დედამიწა, რომელმაც სულიერი და გარემოსუელი

კოლიზიების დამანგრეველ ძალს გადაარჩინა იგი. დაბოლოს, თუკი ვივლენს მწიგნობარს კაცი საბოლოოდ თავისი საქმიანობის შედეგად დება ზოლმე, ვალაკტიონმა აქ უდიდესი, ღვათებას რომ შეეფერება, სწორედ ისეთი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ეს გამარჯვება იოლი როლი იყო უდიდესი ნიჭი და უდიდესი შრომა — იმ ეს გახლდათ ამ გამარჯვების წინაპირობა.

სიტყვამ მოიტანა და იქნებ რამდენადმე შევძლოთ იმ მექანიზმის წარმოჩენა, რაც ვალაკტიონის პოეზიის ქმნასთან არის წილნაყარი. ამ საკითხის დასახსნებლად ამოსავალი უნდა იყოს. აქ უკვე ცნობილი გარემოება, რომ ვალაკტიონი განსაკუთრებულად გრძნობიერი პიროვნება გახლდათ, მაგრამ ერთ შემთხვევაში რომ ეს გრძნობებობა მისი შემოქმედების ძირისძირია, მეორე შემთხვევაში ამის გამოვლინება უკვე სხვა რამითა გამოხატული — „არასდ არ ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვასთან, თუნდ საზოგადოებაში; მაშინ ჩემი სასოწარკვეთილება უმალეს წერტილამდე აღწევს და არ ვიცი რა ექნა“.

ვალაკტიონის ეს სიტყვები ვეამცნობს მისი ბუნების ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას, რომლის ჩახვედრა და გაგება საცნარის გახლდათ (გარკვეულწილად), თუ რა დიდებული, ურთულესი სული ესამიკვლევებობა მის პოეზიას.

ოღონდ ჯერ უნდა ამ კითხვას გავცეთ შედარებით ზუსტი პასუხი — ტატომაც, რომ საზოგადოებაში „ჩემი სასოწარკვეთილება უმალეს წერტილამდე აღწევს“.

ცხადია, ამ რთულ კითხვებზე პასუხი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი იყოს, პასუხი აქ საიმნარი ჩანს, და საბოლოოდ ეს საკითხი ანე თუ ისე ნათელი გახდება.

1. ვალაკტიონი რაკი მეტად მგრძნობიარე პიროვნებაა, სხვასთან ურთიერთობისას უოველი სიტყვა, უოველი ქმევა მისი აღქმის პრიზმაში მტკიცებულად გადატყუდება, და გულზე ხედება, რაც მთლიანად შეძრავს მის პიროვნებას.

2. ვალაკტიონს უდიდესი თანამობის ტნარი აქვს, მამ შეუძლია მეკუსეულად გაიზიაროს სხვისი „მე“. სხვისი ტანჯვა თუ სიხარული, და ესეც გულზე ხედება. მთლიანად შეძრავს მის პიროვნებას.

3. ვალაკტიონი რაკილა უოველმზრივ განიცდის ადამიანის თუ ადამიანთა სინამდვილეს, თავის სატყუელს თუ სიტყვას ისე ვერ გაზომავს, რომ უოველმზრივ შესაფერისი იყოს გარემოებისა თუ სიტუაციის. და მან ეს კარგად იცის, ანე რომ არ იყოს, მის ტანჯვას საფუძველი გამოეცლებოდა. მამ ყველაფერი ეს ესმის და ესეც გულზე ხედება და მთლიანად შეძრავს მის პიროვნებას.

გამოსავალი?

გამოსავალი მისი შემოქმედებაა.

ასეთი კატეგორიული დასკვნა შეიძლება შემდეგი მსჯელობით გაეხადოთ ცხადი.

გალაქტიონი გურბის საზოგადოებას და არც შეუძლია საზოგადოების გარეშე ყოფნა, რადგან სწორედ საზოგადოებაში ნახულობს იმ წყაროს, მის შემოქმედებას რომ ასაზრდოებს; „თბილისიდან გალაქტიონის წამოსვლით მზის ქვეშეთში არაფერი შეცვლილა და თუ შეიცვალა, ისევე მის საზიანოდ. იგი მოწყდა ლიტერატურულ გარემოს, მჭკვეთარ ცხოვრებას. გალაქტიონი დეპრესიას განიცდის. მისი ბუნება ვერ ეგუდება ერთფეროვნებაში გადაზრდილ სამშვიდეს“.

ეს სიტყვები ნოდარ ტაბიძეს გუთმენის; თავად გალაქტიონს მოვესმინით ახლა — „იგრავლოვ საშინელი ერთფეროვნება და ისეთი საშინელი, რომ აზრზე აღარ ვარ, ამგვარი სიჩუმე და ურე მიდამო სულს ანადგულებს“.

პარადოქსული ამბავია, გალაქტიონის საზოგადოების გარეშე დეპრესია ეფუძლება, ხოლო იქ კი მისი სასოწარკვეთილება უმაღლეს წერტილს აღწევს... რადგან მაშინ მის მოიცავს სხვათა მრავალი „მე“. და როგორც ვიცით, „სინამდვილეში უკველი“ მე, თუნდაც მთლად გულბრყვილო, ერთიანობა თუ არ არის, არამედ მრავალი სირთულის მქონე სამყაროა. ვარსკვლავიანი ეს არის ეს, ფორმათა, საფეხურებისა და მდგომარეობის, მემკვიდრეობითობისა და შესაძლებლობათა ჭაოსი“ (პ. ჰესე).

როგორც ვხედავთ, გალაქტიონის საზოგადოებაში მრავლის უმრავლესი „მე“ წარმოდგება. და იგი ამით აღიქვამს თავისი მეობისა და მდგომარეობისადა კვალად. გალაქტიონისნაირ შემოქმედს მით უფრო მრავალი „მე“ მოიცავს, მაგრამ უკველ ამ „მეს“ ერთი ძირითადი გალაქტიონისებური „მე“ ეფუძნება — წარუვალა და შეუცვლელი, რომლის დანგრევა („გარდაცვალება“) მხოლოდ სიკვდილს შეუძლია. და აი გალაქტიონი, უაღრესად მგრძობიარე ადამიანი. მით უფრო მტკაენველად, ცხოვლად განიცდის ამ „მეთა“ თარეშს და ამ განცდის კვალობაზე სულ უფრო და უფრო სრულად ჩახედება ადამიანის საიდუმლოს.

როგორც ვხედავთ, ამ „მეთა“ მრავალფეროვნებას სხეები, სხვა იწვევს. რეალურად ჩვენ ასეთი სურათი წარმოვიდგებთ, რაც კარგადაა ახსნილი სათანადო მეცნიერებაში, ადამიანი თავის თავზე თავისი და სხვათა შეხედულების ჯამია. კვლავ გაეხსენოთ ცნობილი ამბავი გალაქტიონის ცხოვრებიდან — ორი ემაწვილის „კულკობა“ მისი სახლის ფანქრებთან და ამის შედეგად წარმოქმნილი დიდი პოეტის სულიერი წამება. ამ დროს, სხვათა შორის, გალაქტიონის ის „მეც“ მოიცავდა. უაღრეს დამცირებას რომ იმკობდა მას. მაგრამ ამ „მეს“ სხვა „მეც“ დაერთოდა და საბოლოოდ მისი ღეთაებრივი „მე“ დაეფუძნებოდა უკველიეს და

ნათელს მოიღებდა მისი პოეტური ნაწარმოებების მეშვეობით.

გალაქტიონის პოეტური ნაწარმოებების უმეტეს ნება წიგნის მეორე ნაწილი — „შემოქმედის ლბორატორია“.

ნოდარ ტაბიძე წერს: „შემოქმედებითი პროცესის გაცნობიერება უდიდეს სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს განპირობებულია თხზვისას მოქმედი იმანენტურ ძალთა მრავალფეროვნებით, უხილავ მომენტთა გადაჯაჭვით, ქვეცნობიერი ბაჭვებითა და არცთუ იშვიათად განწყობილების ამორფულობით...“

მაგრამ როგორც ვიცით, არ გვაქვს გალაქტიონის „თვითნაალიზის“ მასალები, რაც რამდენადმე ნათელს მოჰქნენდა ამ რთულ გარემოებას.

არსებობს ასეთი გამოთქმა, „მთხარაი ვინ არის შენი შეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ“; მოდით და ასეთ შემთხვევაში გამოვიყენოთ ხსენებული პრინციპი — თუ ხელოვნების არსს რამდენადმე ჩახეხედებით, მაშინ ასევე რამდენადმე ნათელი წარმოდგენა გვექნება შემოქმედებითი პროცესის სირთულეზე, რაც განპირობებულია „იმანენტურ ძალთა მრავალფეროვნებით“, „უხილავ მომენტთა გადაჯაჭვით“ და ა. შ.

მხატვრული ლიტერატურა წარმოიქმნება ისეთი ცხოვრებისეული რეალობისა, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის არ ჩანს. ასე რომ, მხატვრული ლიტერატურის საშუალებით გამოიშვებურებული რეალობა უფროვე ცხადი რეალობაა, რაკლად ეს რეალობა მანამდე, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოების შექმნამდე დაფართული და მოუხელთებელი იყო კაცობისთვის.

ამ რეალობა სრულად წარმოიჩინის საწინდარი ის არის, რომ „გალაქტიონი ღრმად განიცდიდა სინამდვილეს. მან შეეძლო დაენახა ის, რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ; პოეზია აღმოაჩინა იქ, სადაც სხვები უკველდღერი პროზას ხედავენენ“. — აქ მოკვლევულია ის საფუძველი, თუ რატომბა გალაქტიონის ლექსი უღრმესი რეალობის წარმოიჩინი, და რატომ იყო ამ ლექსის დაწერამდე ეს რეალობა ჩვენითვის, მკითხველთათვის, ცხაკლიტერში დგამართლი და პართლავ. „არცოდნის ბურთისადმი ნათელი აზრის შექმამდე უნდა ვიპორო კეთილი მეგზურები — პოეტების მეშვეობით“ (ა. ბუშგარტენი).

თავის მხრივ ამ „ნათელი აზრის შექმის“ სათავე ის არის, რომ გალაქტიონი დიდი შემოქმედი იყო; გალაქტიონი პოეტი გახლდათ.

როგორც ვხედავთ, აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ შემოქმედში დიდი შემოქმედი იგულისხმება, ხოლო შემოქმედებაში — პოეზია.

ზემოთ მოყვანილი გარემოება რომ გვექნება მხედველობაში, რამდენადმე ნათელი მოგვიჩვენება იმას, თუ რა უნდა იყოს შემოქმედებითი პროცესის იმანენტურ ძალთა მრავალფეროვნ-

ნება, ქვეყნობიერი ბიძგები, განწყობილები ამორფელობა...

კონკრეტულად კი ეს არის ის ამბავი, ნოდარ ტაბაძე რომ ვადმოგვცემს — „გალაქტიონი აზნებული და აფორიაქებულია. დაშვლილი ოთახიდან ილტვის. შეღამე სველი თითებით ელსკიცება ფანჯრის მიწას. სიცივე სულში ქონავს. წარმოსახვა ღიზიანდება და თვალწინ მრუმე სურათები იშლება. პოეტი გარემოს რიტმს იჭერს და განცდათა მომენტალურ ფიქსაციას აზღვნის: „აღუჩამ დახედა საათს. იგი შეჭერებულყო პირველის მიზნად. მაგრამ რომელი საათი უნდა ყოფილიყო ეხლა? ეხლა, რა თქმა უნდა გვიანაა, შეიძლება ზღლე გათენდეს კიდევ... აღუჩა ატრიალებდა საათს ხელში, იღებდა ყურთან, მართავდა. საათი მაინც არ ამუშავდა... აღუჩა აღება ფანჯარას და ქუჩას გადაყურებს. ამინდი საზოხარია. მეტრეუები ერთიმეორეს ლანძღვენ. მაგრამ ქუჩაში მისვლა-მოსვლა კიდევ არის. ნეტავი რომელი საათია? — ფიქრობს აღუჩა: „რომელი საათია მოქალაქე?“ — ვასძახა აღუჩამ მიმავალ მეტრეულს, რადაც უმეყოფილოდ ჩაილაპარაკა მეტრულს, მაგრამ არავითარი პასუხი არ გასცა, გადაპტრა მათრახი ცხენებს და სიბნელეში მიიშალა... უთუოდ ძლიერ გვიან არის. აღუჩამ ფანჯარა მოხურა. იგი ტელეფონთან მიდის. „ბოდიშს ვიხბი, ქალბატონო, მიიხარით რომელი საათია...“ მოშორდა თუ არა ტელეფონს, იგი გაფითრებული დაეცა სავარძელზე. ამ დროს მოისმა ქალაქის კოჰკიდან მძიმე საათის ზარების რეკვა...“

და ასე: „გულში მწუხარებამ ღამე გაათია“. ჩვენ ზემოთ გვერინდა საფუძველი, რათა გალაქტიონის საოცარი ნებისყოფა აღგვენიშვნა, აქ კი ასეთი საფუძველი ცხადლევ ჩანს: საქმეში ჩაუხედავთ ლექსის თხზვა იოლი პროცესი ჰგონიათ. შეიძლება მავნათათვის ეს პროცესი იოლი იყოს, მაგრამ გალაქტიონის ლექსი, როგორც ამ მონოგრაფიიდან ჩანს, იოლად არ იქმნებოდა. რადგან „გენიოსობა თავდადებული შრომა შედეგია“ — სწორედ ამას გვაძენსთ თვით: „ლექსის სრულყოფა“.

სიტყვა რომ არ გავფიქრებოდეს, მხოლოდ ერთ ფაქტზე უნდა შევიჩროთ მკითხველის ყურადღება. სწორედ ამ ფაქტის გამო წერს ავტორი — „განსაკუთრებით მრავლისმთქმელია „მერის“ იატორია“.

უთუოდ დაგვიანტერესებს, თუ როგორი იყო „მერის“ პიროველი ვარიანტი, როგორ მუშაობდა გალაქტიონი ამ ლექსის სრულყოფაზე და ბოლოს იმასაც დაინახავთ — რა სამანებეს გადავლა საჭირო, რათა პოეტმა მდარე დიდებულად წარმოაჩინოს და ქეშნარიტ პოეზიას გვაზიაროს.

პირველად ეს ლექსი გალაქტიონს 1915 წელს გამოუქვეყნებია. მეროდ კი 1919 წელს შეუტანია კრებულში „არტისტული ყვაილუ-

ბი“, და როგორც ნოდარ ტაბაძე ვამცრობს — ამ მეროდ პუბლიკაციისათვის „გეტრანს „მეტი“ საფუძელიანად გადაუქვეყნებია. **სიცივე** ასეთი იყო პირველი ვარიანტი:

„შენ ქვარს იწერდი იმ ღამეს მერი... მერი იმ ღამეს გული მწუხებოდა, კადეტი ხვეტთან და ყვალაფერი მწარე ოცნება მერეგნებოდა.  
ნუ თუ დაჯარგე? ნუ თუ არა დროს ხედი ჩემთან არ გაგათანაბრებს? სხვისმა აღერსმა უნდა დაჯათროს? სხვამ უნდა მიცევს იღუბალ ზღაპრებს? ნუ თუ სხვამ უნდა დასწავს ეგ მკერდი თოვლიანი თეთრი და მწვენიერი? დაბრუნდი მერი მერი, შეხვდები? მე აქ ვარ, აქა, ძვირფასო მერი. შენ ქვარს იწერდი იმ ღამეს მერი იმ ღამეს შენი სიკაცხლას ხედი გათვდა... ჩაქრა შექთა ჩანჩქერი... ტაძრიდან მწარე გულშით გავედი.“

ავტორი გამოწველილეთ აღწერს ამ ლექსის სისუსტეს, აღწერს იმას, რომ „გაუბრალოებულად გავჩვენება შემდეგი სიტყვები:

**ნუ თუ სხვამ უნდა დასწავს ეგ მკერდი თოვლიანი თეთრი და მწვენიერი?!**

მაღალი მოთხოვნილებიდან გამომდინარე გაუმართლებელია შემდეგი ამოძახილიც:

**დაბრუნდი, მერი მერი, შეხვდები მე აქ ვარ, აქა, ძვირფასო მერი.**

გენიალური ინტუიციითა და აღლოთი გასწორდა „მერის“ პირენდელი ვარიანტი და საბოლოოდ მივიღეთ გალაქტიონის შესაფერისი ლექსი. მართლაც, აქ სისხლხორციელად დაუცავშირდა ერთმანეთს გალაქტიონის გენიალობა და ამ გენიალობით მომართული გალაქტიონის ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა. დაბოლოს, ჩვენს აზრით, ინტერპუტირებას, მოითხოვს ნოდარ ტაბაძის ერთი მოსაზრება — „გალაქტიონის ლირიკაში თავისუფალი ასოციაციების პრინციპი მძღაერობს“.

აღარაფერს ვიტყვით იმასზე, რის გამოც აქვს ავტორს მოუვანლო ვა მოსაზრება: სინტერესო აქ ჩვენთვის ის არის, რომ ეს შეხედულება გალაქტიონის პოეზიას არ შეეფერება.

მაგრამ კიდევ ამ „შეუფერებლობის“ დამტკიცებას შეეგებობდეთ, მ. კვესელავას „პოეტური ინტეგრალში“ მოყვანილი მოსაზრება გავიხსენოთ, ამ მოსაზრების მიხედვით, ინტეგრალური ლექსები თავისუფალი ასოციაციების თამაშით გამოირჩევიან.

ეს შეხედულება უთუოდ მოითხოვს განმარტებას.

გალაქტიონის ლექსები, გინდ მისი პოეტური ინტეგრალები არ იწვევს მკითხველში ასოცი-

აკების თავისუფალ თამაშს. ასე რომ იყოს, სრულიად უშინაარსო ლექსებთან გვექნებოდა საქმე. გალაკტიონის რთული ლექსები, მათში ჩაქლებული რთული გრანოზებისა და ცვადაც; გარკვეულ ასოციაციებს იწვევს და ამ მნიშვნელოვანი კანონზომიერების უარყოფა შეუძლებელია.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ, ვთქვათ, „ქარხლის ხარხარი“; „ქარის სიმძიმე“; „მთვარის ტყულები“, — თავისუფალი ასოციაციების თამაშის შედეგი იყოს, საქმე ისაა, რომ გალაკტიონის ლექსების მთლიანობა ადამიანის ურთულეს რეალობას ეფუძნება, ამ რეალობიდან მომდინარეობს და მისი აღქმა, ცხადია, საბოლოოდ ამ რეალობასთან იქნება წილნაყარი. თავისუფალი ასოციაციების დროს ეს რეალო-

ბა არ ჩანს, ანუ, არც არის რამე რეალობა და ამ დროს „ლექსი“ მხოლოდ სიტყვების უფრო შუბი იქნება აგებული — ანუ სწორედ ესაა ხსენებული თავისუფალი, უშინაარსო ასოციაციების თამაში.

გალაკტიონის ლექსები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ თვითველ მათგანს, ემიგრაცია, ურთულესი რეალობა აქვს საფუძვლად. თავად ეს რეალობა თავის ორბიტაში მოგვაქცევს ხოლმე და ჩვენ, მკითხველებს, გარკვეული ასოციაციების მეშვეობით მოგვეახლება.

ასეთია ჩვენი შენიშვნა ამ საკითხის გამო, საერთოდ კი უნდა ვთქვათ, ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონი“ დიდად შეუწყობს ხელს „გალაკტიონოლოგიის“ შექმნასა და განვითარებას.

ზაურ კილაძე

## ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის მნიშვნელოვანი შენახენი

საქართველოს ეთნოგრაფიის შესწავლაში, რასაკ მდიდარი და ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია, განსაკუთრებით დიდ მოვლენად უნდა ჩითვალოს ნ. ჯ. ვოლკოვასა და ჯ. ნ. ჭავჭავაძის ნაშრომის გამოქვეყნება, რომელიც მოკლე ხანში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც საქცილისტიმის, ისე მკითხველთა ფართო წრეებში. ეს დაბეჭდვითი შეიძლება ითქვას თუნდაც საქართველოს შავალითზე, რომლის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო საკითხების ეფექტურად შერჩევა და წიგნის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გაფორმება, არამედ, პირველ რიგში, კვლევის მაღალი დონე და მიმზიდველი თხრობა. გაძნელებულია სხვა რომელიმე წიგნის დასახელება, რომელიც ასეთი სისრულითა და თანმიმდევრობით გვაცნობდეს ქართველი ხალხის უფრო კულტურასა და ტრადიციებს.

ეტიკორებმა მიზნად დაისახეს ქართველი ხალხის უფრო კულტურისა და ტრადიციების დინამიური წარმოსახვა დროსა და სივრცეში. ნაშრომში განსაზღვრულია როგორც საკვლევა ეპოქა, ისე ქართული კულტურის თვითმყოფადობა და გარესსამყაროსთან მისი კავშირი.

**Н. Г. Волкова, Г. Н. Джавахишвили. Вытовая культура Грузии XIX—XX веков: традиции и инновации. Издательство «Наука», Москва, 1982. Ответственный редактор В. К. Гарданов.**

ქართველი ხალხის უფრო კულტურის უმთავრესი ელემენტებისა და ტრადიციების მიმოხილვისას ავტორები ითვალისწინებენ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქის სათანადო მონაცემებს. ნაშრომი მოიცავს შესავალს, ორ ნაწილს, დასკვნას და დანართს. შესავალსა და უოველ განილულ საკითხს ახლავს მითითება გამოყენებულ წყაროებსა და ლიტერატურაზე — ასწავლავს მარტებებით. ნაშრომი კარგადაა ილუსტრირებული რუკით, ნახაზებით, ნახატებითა და ფოტოგებით. ფოტოგები დიდი ნაწილი ავტორთა მიერაა გადაღებული. ილუსტრირების ღონით წიგნი მოწონებს იმსახურებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ხარვეზს: რუკაზე სათანადო სისრულით არ არის ლოკალიზებული ქართლი, ადგილი აქვს შეცვლილი ჭავჭავთის, გამოტოვებულია ლენხში, ვლდამეყარო და ა. შ. რაჭველი ქალის ტრადიციული ჩაცმულობის უოველი მხრიდან დათვალეირების მიზნით, ნ. პ. ბრაილშვილის მიერ სხვადასხვა პოზაში დახატულია ერთი ტიპი და არა არა „რაჭველი ქალები ტრადიციულ ტანსაცმელში“ (გვ. 76), ხოლო ამ ნახატის მეორე მხარეზე გამოსახულია სეანი და ქართული ქალი და არა პირიქით, როგორც ეს წარწერით წარმოიდგინება.

წიგნთან მკითხველის კონტაქტი მყარდება შესავალი ნაწილიდან, რაც მაღალ მეცნიერულ დონეზე გვაცნობს საკვლევი საგნის არსს, მისი შესწავლის მდგომარეობას რეგულაციამდელსა და საბჭოთა პერიოდში, გამოყენებული წყაროების ხასიათს:

და მნიშვნელობას, ქვეყნის ისტორიული განვითარების უმთავრეს მომენტებს და იმ არსებით ცვლილებებს, რაც განხორციელდა ჯერ რუსეთთან შეერთების, ხოლო შემდეგ საბჭოთა წყობილების დამყარების დროიდან. ავტორები აქვეყნებენ საქართველოს ტერიტორიულ დანაყოფებს და ქართული ხალხის შემადგენლობას, რის შესახებაც წერენ:

